644
1957/3

644/3

ცისკარი

20

3

1957

ცისკარი

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი

საქართველოს ალკა ტ. კ-სა და
მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1957

შ ი ნ ა ა რ ს ი

ზ. გოლოვაჩევი — ლენინი (ლექსი) . . . 3

ნ. კილასონია — ბარათი მოსკოვში (ლექსი) . . . 4

გ. გეგეშკორი — სალამი ფართოდ გახელილ თვალებს (ლექსი) . . . 5

თ. აბულაძე, რ. ჯაფარიძე — სხვისი შვილები (კინომოთხრობა) . . . 6

რ. გამზათოლი — მე ასმა ქალმა მომხიბლა; პაემანზე (ლექსები) . . . 52

რედაქტორი — ლექსები . . . 55

ჯაფნიკი

ხ. კორინთელი — ფანჯრიდან ფანჯარაში; ამისთვის არ მოვსულვარ; პანტელეიმონი (მოთხრობები) . . . 57

ლ. გოგიშვილი — დედა; წითელი ვარდი (მოთხრობები) . . . 66

1917 — 1957

ნ. კილასონია — ამხანაგო ბორის! . . . 73

მოგზაურის დღიური

ი. აბაშიძე — ინდოეთის გზებზე . . . 77

მემუარები

შ. დადიანი — რაც გამახსენდა . . . 101

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

გ. გვეტაძეთელი — დადებითი გმირის ცნების დაზუსტებისათვის . . . 114

გ. ხუხაშვილი — ეფექტური შეპარვების პოეზია . . . 121

ჯ. ფუტკარაძე — „ხალიჩები ფურცლების“ ავტორის გარშემო . . . 125

3

1957

აგვისტო

სახელგამი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეკლიკები

თ. კუკავა — ჩანაფიქრი და სინამდვილე 131

წიგნის თარო

რ. თვარაძე — ანა კალანდაძის ლექსების წიგნი 134
ზ. დავითაძე — მონოგრაფია ადამ მიცკევიჩზე 135
ჯ. ჰანტუარია — ხუტა ბერულავას ერთტომეული 136
ნ. ქართველიშვილი — ჰაინეს „მოგზაურობის სურათები“ ქართულად . 137

ხელოვნება

ბ. გორდეზიანი — მიხეილ ზიჩის ზოგიერთი სურათის შესახებ 139

მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლენი

ბ. ბეთანელი — „საზრიანი კუ“ 143

წარსულის ფერფლის ქვეშ

ბ. რჩეულიშვილი — უსახელო უფლისციხელი 146

სატირა და იუმორი

ჯ. დუმბავა — შედედებული სისხლი . 150
ჯ. ლოლუა — ნახატი-ხუმრობა . . . 154

ულველი მხრიდან

ა. გამყრელიძე — კემბრიჯელი მეცნიერი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ . 155
ქრონიკა 156

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ვახტანგ ჭელიძე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა:
ფ. ბადურაშვილი., რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე, გ. შატბერაშვილი,
ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

ტექრედაქტორი რ. ჩაჩანიძე. ნომერი გაფორმა ჯ. ლ ო ლ უ ა ს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაურ ბოლქვაძე

ლ ე ნ ი ნ ი

ოდეს დაირწა ამა ქვეყნად აკვანი მისი,
საბედისწერო რყევა იწყო მონობის ტახტმა
და თვე აპრილის — სიჰაბუკე მზისა და მიწის
კაცობრიობის სიჰაბუკის მშობელი გახდა.

მერე გულებმა მწუხარებით დაიგუგუნეს,
გლოვის სიმძიმემ დედამიწის ღერძი გახარა...
და თოვლიანი იანვარი ამ საუკუნეს
გამოერია, როგორც ჭაღარა.

ჭაღარა იგი — წარმავალი სუსხი იანვრის,
საუკუნეებს განარიდა აპრილის სითბომ
და დაბადება უდიდესი ადამიანის
ქვეყნიერების გაზაფხულად გადიქცა თვითონ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაზი კიღასონია

გარათი მოსკოვში

დღეს თუ მოსკოვში დახვალ უჩემოდ,
ჩემი ფიქრების ზეცავ ნათელო,
მინდა უჩვენო,
ყველას უჩვენო
რა ლამაზი ხარ, ვით საქართველო!

მინდა ეს ერთი ნატვრაც გაგანდო,
მე და თბილისი გითვლით ლექსითა:
ზანგ ბიჭს აჩუქე თეთრი ნაბადი,
მღერით შემალე ცხელი მექსიკა.

ბარს დააჯახე მთების სილაღე,
ჩემო ირემავ,
ჩემო ქორბუდავ,
და მეგობრობის უკვდავ ჩირაღდნებს
უთხარ — სამყარო მზისკენ მობრუნდა!

უთხარ: ჩვენი მზე, ჩვენი მამული
ჰყვავის, უმღერის, ჰხვდება ფესტივალს,
რომ ხიროსიმა კვლავ არ დაბურონ,
რომ ეგვიპტეში ბავშვს არ ეტირა...

კარგო, შენც სხვებთან ერთად მოჰფინე
ძმობის სიმღერა, ქვეყნად განთქმული,
ახალ დობილებს, ახალ ძმობილებს
შენც, შენც ასწავლე ჩვენი ქართული.

და თუ მოსკოვში დახვალ უჩემოდ,
ჩემი ფიქრების ზეცავ ნათელო,
დაე, უჩვენე,
ყველას უჩვენე
რა ლამაზი ხარ, ვით საქართველო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი გეგეჭკორი

სალამი ფართოდ გახელილ თვალებს

სალამი ფართოდ გახელილ თვალებს,
რომლებმაც ერთხელ დედამიწის ნახვა ინებეს,
რომლებიც ბევრჯერ მაჩუქებენ სითბოს და ალერსს
და უნაპირო სიხარულით შემომცინებენ.

სალამი ფართოდ გახელილ თვალებს, —
თვალებს, მერმისის იმედებით აცოცგებულს,
თვალებს, რომლებიც იხილავენ სიზმრების მხარეს,
ნაზი სურვილით ათრთოლებულ კაცის ბაგეებს;

სიკვდილთან თამაშს,
სიმამაცეს ჯარისკაცებურს,
ძიჯნურის ამბორს — სასურველს და მაინც უნებურს,
ბევრ ადამიანს — სიბერისკენ დაბარბაცებულს,
ტკბილი ბალღობის ასაკისკენ პირშებრუნებულს...

სალამი ფართოდ გახელილ თვალებს,
რომლებმაც ერთხელ დედამიწის ნახვა ინებეს,
რომლებიც ბევრჯერ მაჩუქებენ სითბოს და ალერსს
და მერე ბოლოს ცხარე ცრემლით დამიტირებენ.

სხვისი შვილები

ნახატი ჯემალ ლოლუასი

თენგიზ აბულაძე
რევაზ ჯაფარიძე

Uკვლა Uკვლეთ

კინომოთხრობა

მხარბეჭიანი მამაკაცი მძიმედ მიაბიჯებს ლიანდაგის გასწვრივ. გადაუხვია, გადახრუკულ მინდორში ბილიკს დაადგა, სოფლის განაპირა ქუჩაზე გავიდა, შუშაბანდიანი სახლის კიბე აიარა და კარი შეაღო.

ნახევრადშიშველ, ტანაშოლტილ ქალს ხმირი თმა გაუშლია და თავს იბანს შუშაბანდში.

— ვინ არის? — დაიძახა მან კარის ჭრიალზე.

— არ იკეტება? — მიხურულ კარს შეხედა რაღაცით უკმაყოფილო სტუმარმა.

— აკი აღარ მოვალო? — თავი ასწია ქალმა და მოშიშვლებულ მკერდზე დაიხედა. — ნუ მიყურებ!

მამაკაცი ქალს მიუახლოვდა და,

— მოვედი... — მიუგო ყრუდ.

— მე ვიცოდი, რომ მოხვიდოდი, მაგრამ არ მეგონა თუ ასე მალე... — ოდნავ დამცინავად განაგრძო ქალმა, — მიბრუნდი, ნუ მიყურებ...

— დღეს სერიოზულად უნდა მოგელაპარაკო, თეო... — თვალს ვეღარ აცილებს ქალის სიშიშვლეს სტუმარი.

— ხომ ვილაპარაკეთ... — პირსახოცს მისწვდა თეო, გაიმართა და თმის შემშრალება დაიწყო.

— აღარ შემიძლია, თეო... უშენოდ ცხოვრება არ შემიძლია... — აღმოხდა სტუმარს.

— არც მე...

— დღეს უნდა გადაწყდეს ყველაფერი... აი, ახლა, ამ წუთში!

თეო იღიმება, აბზინვებულ თმას ივარცხნის და მშვიდად, დაბეჯითებით განაგრძობს:

— ნუ მიყურებ ადრე... მე არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის შენს წინაშე...

კაცმა ვეღარ გაუძლო თეოს თვალებს, მის მაცდურ ღიმილს, ამ შიშველ ყელსა და მკლავებს, ერთი ნაბიჯი წინ წასდგა, გულში ჩაიხუტა იგი და გიჟურად დაუკოცნა სახე, მკლავები, მხრები...

— გადაწყვიტე, თეო... — ეჩურჩულებოდა თანაც.

— არა, დათა... — მშვიდი, დამაჯერებელი ხმით განაგრძო ქალმა, — მე შენ ვერ მოგატყუებ, ვერც შენს ბავშვებს... გაუბედურდებიან... იმათ დედა უნდათ დათა, დედა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ გიყვარვარ! არა! — აღმოხდა დათას.

— ასე გგონია?

— ასეა!

— ნუ ვიჩხუბებთ, დათა. მე ხომ არაფერს გთხოვ. არც ერთგულებას გთხოვ, ცოლად ვერ გამოგყვები. სანამ ერთად ვართ და ერთმანეთი გვიყვარს, ვიყოთ ასე...

— მერე?!

— მერე... ვნახოთ, რა მოხდება მერე. თუ მიმატოვებ, უნდა გავძლო უშენოდ, სხვა რა გზა მექნება...

დათამ ხელი შეუშვა ქალს, თეო კი ისევ მშვიდად განაგრძობდა:

— თუ მე მიგატოვე, შენ უნდა გასძლო...

ამან აანთო დათა. მხრებში ჩასჭიდა ხელები, თვალებში ჩაშტერდა.

— მძულხარ! მეჯავრები! — ამოიხრიალა, მთელი ძალით გასტყორცნა იგი ტახტის შუაგულისაკენ. მერე შემოტრიალდა, კარი გაიჯახუნა და უკანმოუხედავად გავარდა გარეთ.

თეო ისევე დარჩა, დათას დიდი სიყვარულით დამფრთხალი და შეშინებული.

* *

მძიმე ორთქლმავალი ქშენით და კივილით მიაპობს სივრცეს. შემოუხვია. გრძელი სატვირთო შემადგენლობა გრიალით მიექანება რკინიგზის მიწაყრილზე.

მხარბეჭმოშიშვლებული, თავით ფეხამდე მაზუთსა და ქვანახშირის მტვერში ამოსვრილი ჭაბუკი ორთქლმავლის სარკმელს გადაჰყრდნობია, ღიღინებს...

— ამირანი უნდა დავარქვა, დათა ძია! — წამოიყვირა ოცნებაში წასულმა. — დათა ძია!

მემანქანემ მოიხედა.

— გადავწყვიტე: ამირანი უნდა დავარქვა! — დაიღრიჯა ჭაბუკი.

დათამ უანგარიშოდ დაუქნია თავი.

— ოჰ — შვებით ამოიხვნეშა ჭაბუკმა და ისევ გადაეყუდა ფანჯარას. წამიც და, კვლავ შემოტრიალდა: — დათა ძია!

— რა იყო, ბიჭო?

— შვილზე უფრო საყვარელი არის რამე ქვეყანაზე?

დათამ მოიხედა, თვალი შეავლო რაღაც ახალი, უცნაური გრძნობით ფრთებშესხმულ ჭაბუკს.

— შენ რა იცი, ბიჭო, ჯერ შვილის სიყვარული!

— მე, დათა ძია? ასე მგონია, მე მემგვანება... ბიჭები ხომ მამებს ემგვანებიან...

— კარგი მოუვა შენს ცხვირს, შენ თუ დაგემგვანა!

— დათა ძია...

— ჰო, კარგი, საქმეს მიხედე! — ზურგი შეაქცია ჭაბუკს თავგამეზრებულმა დათამ.

ჭაბუკმა შეწუხება ვეღარ გაუბედა. ნიკაპით დაენდო ფანჯრის რაფაზე დაყრდნობილ ხელებს. ოცნებას მიეცა. ფიქრსა და ოცნებაში დაიბადა ახალი, მიამიტი სიმღერა, რომელსაც იგი თავის ჩვილ პირმშოს უმღეროდა ამ ტრიალ, უკრცურ მინდორში.

ორთქლმავალი დიდი სისწრაფით მიჰქრის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათა გარინდებული გაჰყურებს ლარიკინ გაუმიზულ რკინიგზას. ერთ-ერთ-ერთზე კიაფობენ მწვანედ გაბდღვიალებული შუქფარები.

— ბესო! — ოდნავ მოაბრუნა სახე მან.

— რა, დათა ძია?

— გადახვალ კახეთის გზაზე?

გაკვირვა ბესო ამ შეკითხვამ, უხერხული ღიმილი გაუკრთა თვალებში.

— არა, მართლა... — დაბეჯითებით განაგრძო დათამ. — მოყვარესთანაც ახლოს იქნები...

— შენ როგორ დაგტოვებ, დათა ძია!..

— მეც გადმოვალ.

ამან უფრო გაკვირვა ბესო. უხერხული ღიმილი არ ცილდება მის სახეს.

— მართლა, მართლა! — არ ეშვება დათა.

— კი მაგრამ... — ბესოს რაღაც უნდოდა ეკითხა, მაგრამ შერცხა, ვერ ბედავდა, — ესე იგი... შენც გადმოხვალ?

დათა მოიღუშა, თავი დაუქნია პასუხად და კვლავ ფანჯარას გადაეყუდა.

თითქოს რაღაცას მიხვდა ბესო, მაგრამ ვერ დაეჯერებია. ეჭვით შემოსცქერის დათას, გრძელი სატვირთო შემადგენლობა კი გრიალით მიექანება ქვემო ქართლის ტრამალში...

* * *

საცალფეხო ხიდი თბილისის სადგურის თავზე. ხიდის მოაჯირს ათიოდე წლის ბიჭუნა დაყრდნობია და მუჭში ფოთლებიანად მოქცეულ ალუბალს შეექცევა. დაბრანძულ, ჭუჭყიან ტანსაცმელზე. სასაცილოდ ჩამოზრდილ კიკინებსა და უდარდელ, თავისთავში ღრმად დარწმუნებული კაცის გამომეტყველებაზე ემჩნევა, რომ ეს უბრალო მაწანწალა, უთვისტომო ბავშვი კი არა, მთელი ქალაქის ბატონ-პატრონია.

პატარა გოგონა, ალბათ უმცროსი და ბიჭისა, აჩხაბაჩხა წასული, მთელი კვირის დაუვარცხნელი ბუწუწები რომ ხუთიოდე სხვადასხვა ფერის ჭინჭით აქვს გაკრული, ზურგით ხარიხას მიყრდნობია და ალუბლით იტკბანურებს პირს. თუმცა ხელები ჭუჭყიანი აქვს, ფრჩხილებს მაინც დიდი მონდომებით იღებავს ალუბლის წვენით. გამორჩენის იმედით შესცქერის მას იქვე დაყუნცული ფინია.

ბიჭი ბაქანს გადაჰყურებს, ალალბედზე ისვრის ალუბლის კურკას.

ბაქანზე უამრავ ხალხს მოუყრია თავი. მგზავრები და გამცილებლები ხმაურით მიმოდიან მატარებელ „თბილისი — სოხუმის“ წინ. ღაზურგული მუშები, ჩემოდნები, ფუთები, თაიგულები, ქოლგები, ბავშვები, ქალები, მამაკაცები — ყველა და ყველაფერი ერთმანეთში ირევა, ღელავს, ხმაურობს...

ბიჭი მუჭით იყრის პირში ალუბალს, მერე კი კურკების ხრეშკალა ეშვება ქვემოთ.

— ეეე! — ზოისმა ქვემოდან ქალის გაჯავრებული ხმა.

ბიჭმა გულგრილად მოიკლო თვალი ხალხმრავალ ბაქანს. ჯიბეები გადმოიბრუნა. რა დროს გამოლევია ალუბალი! ტანსაცმელზე ხელების წმენდით ზანტად შემოტრიალდა.

გოგონამ ქვემოთ გადაიხედა და მუჭში დაგროვილი კურკები გაიჭყარა.

— ეეე!

— აბა, აბა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაიკარგეთ მანდედან! — ახმაურდა მთელი ბაქანი.

ყველა ზევით იყურება, ხელებს იქნევენ, იმუქრებიან.

ბაქანზე ახმაურებულმა ხალხმა ხიდზე მიმავალთა ყურადღებაც მიიპყრო. კოხტად გამოწკეპილმა მამაკაცმა თავში წამოუთაქა ვოგონას.

— ხელი! — გამოესარჩლა დას ბიჭი და მოქალაქეს მოჩხუბარი მამალივით დაუდგა წინ.

— ვაჰ! — გაიოცა მოქალაქემ.

— ვას მოგცემ მე შენ! — წაილუღლუღა ბიჭმა.

— აბა, აბა, ენა დაიმოკლე! — გამოვიდა მოთმინებიდან მამაკაცი და ახლა იმასაც გაჰკრა მჯიღი.

ამან წაახდინა ბიჭი. ენა ვეღარ მოიბრუნა. ვოგონას ხელი ჩასჭიდა და დამუქრებულივით გაუდგა გზას.

აი, ვიწრო ქუჩაზე მიდიან ისინი. უცებ შეჩერდნენ. სწრაფად გადასჭრეს ქუჩა, მეორე მხარეს გადავიდნენ. ქურდულად მოიხედეს უკან.

მილიციელმა მშვიდობიანად გაიარა.

გული მოეცათ. ხელახლა გადმოსჭრეს ქუჩა და აუჩქარებლივ განაგრძეს გზა.

* *

მიყრუებული ვიწრო ქუჩა. მიდიან დაღლილობისაგან არაქათგამოცლილა ბიჭი და ვოგონა...

ქუჩის პირას პატარა შადრევანი ამოჩუხჩუხებს.

ბიჭი ხარბად დაეწაფა წყალს. ახლა ვოგონაც ეპოტინება, მაგრამ ვერ სწვდება. ბიჭი წაეხმარა, მერე ჩამოსვა ძირს.

უცებ მძლავრი საყვირის ღრიალმა შეაკრთო ვოგონა.

— მატარებელია? — დაინტერესდა იგი.

— მეორე ცალა ვათავდა, — გულგრილად მიუგო ყოვლისმცოდნე ძმამ.

ვოგონამ ამოიხვნეშა, მიიხედ-მოიხედა და იქვე ჩამოჯდა ტროტუარზე-ძმაც გვერდით ამოუდგა.

უმიზნოდ ადევნებენ თვალს გამვლელ-გამომვლელთ.

ტროტუარზე მოკიდებული პაპიროსი დაეცა.

ბიჭს იქით გაექცა თვალი. გაიქცა, პაპიროსი აიღო, დაამრგვალა, სული ჩაჰბერა და ის იყო უნდა მოეკაჩა, რომ ვოგონას მუჯლუგუნმა ააწევინა თავი. თვითონაც იქით გაიხედა, საითაც თვალებგაფართოებული ვოგონა იყურებოდა.

ვიწრო ტროტუარს დატვირთულმა საბარგო მანქანამ ჩაუქროლა.

მანქანის ძარაზე დაკიდებული ბავშვები პანტაპუნტით ჩამოცვივდნენ მოსახვევში და ყივილ-ხივილით დაბრუნდნენ უკან.

ბიჭმა პაპიროსი გადააგდო და მანქანას გამოუდგა.

ვოგონაც მას მისდევს.

ბიჭი მანქანის ძარას ეპოტინება.

ვოგონამ ფეხი წამოჭარა რაღაცას, დაეცა.

მისი დაცემა და ქუჩის მეორე მხარეს ხელბარგიანი ქალის შეკივლება ერთი იყო.

დამფრთხალმა ვოგონამ თავი ასწია.

მანქანიდან ჩამომხტარი ბიჭები თავქუდმოგლეჯილი გარბიან აქეთ-იქით.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მანქანა გაჩერდა. მის გარშემო ხალხი იყრის თავს.

იღება ფანჯრები, დარაბები, კარები...

გამორბიან თავზარდაცემული, საშინაოდ ჩაცმული დედები.

— ვისია...

— ვაიმე, შვილო...

— გადასრისა?

— მიშველეთ! — გაისმის ყოველი მხრიდან.

ფილაქანზე გაშხლართულმა ბიჭუნამ წამოიწია. ნატკენ მუხლზე მოისვა ხელი.

ატირებული გოგონა ბრბოს მიაწყდა.

— სად მიძვრები! — თავში წამოუთაქა ვიღაცამ.

გოგონა ხმამაღლა ზლუქუნებს, დაკონებით მიძვრება ბრბოში.

აი, ერთ დედას ყურით გამოჰყავს წრიდან თავისი აბღავლებული ვაჟი-შვილი.

— ღმერთო, შენ გადაშენე მთელი ქვეყნის შოფრები! — მყივანა ხმით გაიძახის იგი, თანაც საყელოთი ეწევა თავის ბავშვს.

— სულ ციხეში უნდა ამოალპო ეს ლოთები, ეს გასაწყვეტები! — ბობ-ქრობს მეორე, — ვის გაუგია, ქა! მოსახვევია, ხედავს თვალით, დააყვიროს მაინცა!

— ჩემს შვილს რომ რამე დამართნოდა, სად უნდოდა გაესწრო!

— რა ვქნა, ამოვაღრჩო ბავშვი ოთხ კედელშუა, ქუჩაში აღარ გამოვუშვა?! — იმედდაკარგულივით გაიძახის ხმელ-ხმელი მანდილოსანი.

— საერთოდ უნდა აიკრძალოს ქუჩაში მანქანით სიარული! — დაასკვნა ძუძუებზე კაბაგადახეხილმა შუახნის დედაკაცმა.

— მაშ ურმით ვიაროთ?! — მოთმინებიდან გამოვიდა მანქანის კაბინაში მოკალთებული ფაშფაშა ქალი.

— ფეხით კი ვერ ივლი, შენმა სიცოცხლემ, კუპატივით რომ გატენილხარ და ძრის ჩამოსვლასაც არ კადრულობ! — აღარ ცხრება შუახნის დედაკაცი.

შოფერს ხელი ჩაუვლია ბიჭისთვის საყელოში, ანჯღრევს და შიგ ყურში ჩაჰყვირის:

— შენი გულისათვის თავი წავაგო? ციხეში ჩავჯდე?

— აგრე მოუხდება მაგას, აგრე! ჩვენებიც ჭკუას ისწავლიან. შეხედე, შეხედე! ასე მოგივა შენც, თუ ჭკუით არ იქნები! — აქებებენ შოფერს მოსეირეებივით განზე გამდგარი ქალები.

— მაცალე, რას გიზამ... — ზუზუნებს ბიჭი და ნიდაყვებში იმალავს სახეს.

— აქეთ მემუქრები კიდე? — გამწარდა შოფერი და ბიჭს ისე მწარედ შემოჰკრა, რომ საბრალო მოცელილივით დაეცა ირგვლივ შემოჯარული ადამიანების ფეხებთან.

— ვაიმე, დედილო! — სულის შემძვრელი ხმით იკივლა გოგონამ, რომელმაც ის იყო გამოაღწია ხალხში.

მაგრამ ამ დროს ყველასათვის მოულოდნელი რამ მოხდა: ხალხის კედელი უეცრად გაირღვა და ბრაზით აცახცახებული შოფრის წინ შავგვრემანი, საშუალო ტანის ქალიშვილი აიმართა. ხალხმა რაიმეს მოსაზრებაც ვერ მოასწრო, რომ უცნობმა უსიტყვოდ მოუქნია შოფერს წიგნი, რომელიც აქამდე ხელში ეჭირა და ისე გამეტებით გაარტყა, რომ წიგნი ხელიდან გაუვარდა. მეორე ყბაში შემოკრულმა მწკავე სილამ სულ დააბნია შოფერი.

— ნადირო, შენ... ბავშვი მანქანას ძლივს გადაურჩა, ახლა ცემით გინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოჰკლა? — ტყვიასავით მიაყარა ქალმა დაბნეულ შოფერს. — რას მეტყ-ვრებ! ხომ არ გგონია შემაშინო მაგ ხარის თვალებით! ისე გაგხდი, პატრონმა ვეღარ გიცნოს! არამზადა! თქვენ კიდევ, — ახლა ქალებს მიუბრუნდა იგი, — ცხვრებივით რომ დამდგარხართ აქ და დაგიღიათ პირი, ხმას ვერ ამოიღებთ? ერთი თქვენსას ახლოს ვინმემ ხელი! — ამ სიტყვებით მან წიგნი ალიო და ფილაქანზე გაშლართული ბიჭი წამოაყენა, — დედა, დედა, დედა! — წამოიძახა მისი წამოსივებული სახის დანახვაზე, — მოუკლავს და ეს არის ამ მხეცს, ამას! მტეხილი ხომ არაფერი გაქვს, ბიჭო? ჰმ, ეს მხეცი, ესა! დაწყნარდი, ნუ გეშინია... — მოეფერა იგი გოგონას, რომელიც გულამომჯდარი სლუკუნებს.

ირგვლივ შემოჯარული ხალხი სდუმს...

შავგვრემანმა ერთი მოხედა მათ და:

— ქალბატონო, — მიუბრუნდა ბავშვიან ქალს, — მოითმენდით, თქვენი ბავშვი რომ ასე გაელახა ვისმე?

— ეს ბავშვი რა... ნათესავია თქვენი თუ... შვილი? — იკვნეულად იკითხა ბავშვიანმა ქალმა.

— შვილია, დიახ! — ხელახლა აენთო შავგვრემანი.

— ჰა, ბავშვის დედაა?

— ჰო... — თავის მოუბრუნებლად გაეპასუხა ბავშვიანი ქალი.

— დედაა, დედა, დედა! — გაისმის ხალხში.

— უყურეთ ერთი ამას! — წამოიყვირა ძუძუებზე კაბაგადახეხილმა დედაკაცმა და ხელების ქნევით წინ გადაუდგა შავგვრემან ქალიშვილს, — კაი იურის კონსულტივით რომ დაგიქერია ეგ წიგნი ხელში და ბრტყელ-ბრტყელს ლაპარაკობ, ბავშვებს ვერ მოუვლი?

— შოფერს რას ეჩრი, რა ქნას ამანმ?!

— თვითონ გამოწკეპილი დაიარება, შვილები ქუჩა-ქუჩა დაუდის! — აყაყანდნენ სხვებიც.

— ეგეც იტყვის, დედა ვარო!

— ახლა, ქალი რომ ხარ, ამით ისარგებლე? — გონს მოეგო შოფერი, — ვახმე!.. — ღონივრად იტაცა მან ხელი ლოყაში, სიბრაზისაგან ცრემლები მოაწვა...

ცრემლები ეძალება შავგვრემან ქალიშვილსაც, მაგრამ ხმის ამოღება ვეღარ მოუხერხებია.

მის წინააღმდეგ ამხედრებული ხალხის წრე თანდათან ვიწროვდება.

— ახლავე წამოდით! — ღონივრად ჩასჭიდა მან ხელი ბავშვებს და ხალხის კედელი გაარღვია. — წამოდით ახლავე!

გზადაგზა უბღვერენ, ყაყანებენ, ქოქოლას აყრიან...

— მე ბიჭი არ ვიყო, თუ ეს არ განანო, დამაცადე! — მოსძახის თავლაფდასხმული შოფერი.

ვიწრო ტროტუარზე აჩქარებით მიაბიჯებენ ბავშვები და შავგვრემანი ქალიშვილი. ისინი კუთხის შენობას მიეფარნენ.

ქუჩაში თავმოყრილი ხალხი თანდათან იფანტება.

— წადით, ახლავე წადით! — ხელის ჯიკავით მოიცილა ქალმა ბავშვები. — მომწყდით თავიდან, აღარ დაგინახოთ, თორემ არ ვიცი, რას გიზამთ!

ბავშვები გამგონედ დგანან და ცნობისმოყვარეობით შესცქერიან პირშავგვრემან ქალს.

— თქვენ რა, პატრონნი არავინა გყავთ ქვეყანაზე? — ხელახლა მოუვიდა გული შავგვრემანს. — რას დაეთრევით, რას დაწანწალთ ქუჩა-ქუჩა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მამას ვუცდით... ცირკში უნდა წაგვიყვანოს, — თავი იმართლა ბიჭმა ერთ-ერთ ასეთ რალეგმა გოგონამ.

— აბა, წამოდით, წამოდით ჩქარა! გამოადგით ფეხი! მე თქვენ გიჩვენებთ ცირკს!

ისინი, სამნი ერთად, ჯიკავ-ჯიკავით მიდიან ფილაქანზე.

* *

შუბლის კიდეზე თმაჩამოშლილი, სავსე პირისახის ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი შშობლიური მადლითა და სათნოებით შემოსცინის მაყურებელს.

— აი, დედა... — გაისმის ამ დროს გოგონას ხმა.

მომღიმარე ქალი თანდათან უკან იხევს და მაყურებელი თვალნათლივ ხედავს, რომ ეს კედელზე დაკიდებული, შავ ჩარჩოში ჩასმული პორტრეტია.

შავგვრემანი ქალიშვილი და ბავშვები ღია კარში დგანან. უსიტყვოდ შესცქერიან სურათს. გოგონამ მოიხედა, ახლა ქალიშვილზე გადაატანა მზერა.

ქალიშვილის ყურადღება ირგვლივ გამეფებულ სრულ ქაოსსა და უბადრუკობას მიუპყრია...

სურათის ზემოთ შპალერი დამსკდარა, აქა-იქ ჩვრებივით კოწწიალობს კედელზე. ჭუჭყიანი ფარდა ცალი ყურით დაჰკიდებია ლურსმანს ფანჯარასთან. მისი მეორე ბოლო დალაქავებულ იატაკზე ეთრევა. იატაკზე ბალიშებია მიყრილ-მოყრილი, ლოგინი არეული...

ქალიშვილმა კედლის საათს შეხედა. საათი გაჩერებულია.

გოგონა ცნობისმოყვარეობით შეჰყურებს სტუმარს, რომელიც კვლავ ოთახს ათვალიერებს.

სკამის ზურგზე მამაკაცის თეთრი კიტელი და რკინიგზელის ქუდი ჰკიდია. მაგიდაზე ბავშვს ფეხსაცმელი აგდია გაურეცხავი ჭურჭლის, ცარიელი ქილების, კონსერვის კოლოფებისა და გადაშლილი წიგნების გვერდით...

— თქვენ რა გქვიათ? — გაისმა უცებ გოგონას ხმა სამარისებურ სიჩუმეში.

— მე... — უცებ ვერ მოისაზრა პასუხი ქალმა, — ნატო... დედა ნატო.

— მე — ლია, გიას — გია...

შეფიქრიანებულმა ნატომ გოგონას დაუშტერა თვალები.

— ჩემი დღეობა მალე იქნება... — განაგრძო წათამამებულმა გოგონამ და როდესაც ნატომ გაუღიმა, ჰკითხა: — თქვენი როდის არის?

— რა? დღეობა?

— ჰო.

— ზეგ, — უანგარიშოდ უპასუხა ნატომ, რომელსაც ისევ არეულ-დარეულ მაგიდისაკენ გაექცა თვალი.

— ზეგ? — თვალები გაუბრწყინდა ლიას.

დასტურის ნიშნად ნატომ თავი დაუქნია და ბიჭს მიუბრუნდა:

— მამა სად არის, გია?

—სამსახურში, — ჩაიბურტყუნა ბიჭმა.

— აბა ვინ არის თქვენთან?

— არავინ...

— სადილს ვინ გიმზადებთ, ვინ გირეცხავთ?

— მამა.

ნატომ ერთხელ კიდევ მოავლო თვალი იქაურობას. მზერა წყლით სავსე ვედრიზე შეაჩერა. ვედრი მაგიდაზე იყო შემოდგმული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წყალი არ მოდის? — მაშინალურად იკითხა შემდეგ.

— ახლავე! — მკვირცხლად მიუგო გოგონამ და ჭიქას წაატანა ხელი მაგიდაზე.

— არა, არა... — გოგონას შეჩერება სცადა ნატომ, რადგან სრულიადაც არ სწყუროდა, მაგრამ ის ისე სწრაფად მოეჭიდა ვედროს, რომ უცაბედად გადმოუვარდა, კიტელგადაკიდებულ სკამს დაეცა, ააყირავა და ამდენი წყალი ერთბაშად დაიღვარა იატაკზე.

— ჰი... — დაიბნა ლია, გაწუწულ კალთებზე დაიხედა.

ნატო წაქცეულ სკამთან მიიკრა, დასველებულ კიტელს სწვდა, ქუდი წუმპედან ამოიღო.

— ნუ გეშინია, — დაუყვავა შეწუხებულ გოგონას, — ჩვარი არაფერი გაქვთ?

— კი... — სამზარეულოსაკენ გაიქცა ლია.

ნატომ ზედაწელის საკინძე შეიხსნა.

— როდის მოვა მამა?

— არ ვიცი... — უპასუხა გიამ.

— აი! — ჩვარი შემოარბენინა წიწილასავით გაწუწულმა გოგონამ.

ნატომ ზედაწელი წამოიძრო, ჩაიჩოქა და ჯვალოს ნაჭრით სველი იატაკის მოწმენდას შეუდგა.

• •

გვიანი ღამეა. ვიღაცამ ფრთხილად შემოაღო ოთახის კარი. შუქი აანთო. ოთახი ერთბაშად მოიცვა ნათელმა. შემოსულმა დათამ ხელუკუღმა მიხურა კარი.

სინათლე პირდაპირ სახეზე მიადგა ლოგინში ჩაწოლილ და-ძმას. ბავშვები შეიშმუშნენ, ბურტყუნით უჩვენეს ზურგი სინათლეს.

დათა მაგიდასთან მივიდა. ქაღალდის პარკები დააწყო. კიტელი სწრაფად გაიხადა და საწოლის მხრიდან ჩამოაფარა სინათლეს. დახედა მძინარე ბავშვებს, გოგონას ფრთხილად გაუსწორა საბანი.

კედლის საათის მონოტონურმა ტიკტიკმა მიიქცია მისი ყურადღება. გახედა... სამი შესრულებულა. ჯიბის საათი ამოიღო. აქაც ასეა! იჭვნეულად მოავლო თვალი ჭერს, კედლებს, გარეცხილ აბაჟურს და იატაკს, თაროზე წყობისაგ დალაგებულ ჭიგნებს.

„ვინ იზამდა ნეტავი?!“ — გაუელვა მას.

თითქოს პასუხს ელისო, ისევ ბავშვებისაკენ მოიხედა. მათ ტკბილად ეძინათ.

სამზარეულოში გავიდა. სინათლე აანთო. გაკვირვებულმა მოავლო თვალი იქაურობას.

სიგრძივ გაჭიმულ თოკზე თეთრი კიტელი და ბავშვების გარეცხილი ტანსაცმელი ეკიდა. ჭურჭლეულის თარო დალაგებული იყო, ნავთქურა ბრწყინავდა...

მხრები აიჩეჩა დათამ, შემოტრიალდა, მძიმედ მიუახლოვდა საწოლს. ერთხანს მძინარე ბავშვებს დასცქეროდა, მერე დაიხარა და ფრთხილად აკოცა ლიას შიშველ მკლავზე.

ბავშვს არ გაღვიძებია, მხოლოდ ამოიკვნესა მოუსვენრად, ხელი საბნის ქვეშ შეაცურა, გვერდი იცვალა და ზურგი უჩვენა მამას.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

დათა ლოგინზე დაეშვა, საწოლის თავს მიეყრდნო და დიდხანს, დიდხანს იჯდა ასე, გაუნძრეველად...

* *

კიბის მოაჯირზე ხელის ტყაპუნით ეშვება ქვემოთ გია. უკან დათა და ლია მოსდევენ.

გზადაგზა თავს უკრავს მეზობლებს დათა...

აი, ჩავიდნენ ეზოში. ონკანთან მეზობლის ქალებს მოუყრიათ თავი. ზოგს სარეცხი აქვს, ზოგი წყლისათვის გამოსულა. თავს უკრავენ დათას. დათაც, თავის მხრივ, თავაზიანად ესალმება მათ.

— გაიგეთ? კახეთის გზაზე გადაუყვანიათ, — ჩურჩულებს ერთი.

— გადავიდა! — ჩაერია სახეშეპუდრული შინაბერა ასული. — თვითონ გადავიდა!

— რატომ?

— ალბათ, ასე სჯობდა... — დიდმნიშვნელოვნად დასძინა შინაბერამ, — გამარჯობათ, დათა! — თავი დაუკრა სათაყვანებელ მეზობელს, შემდეგ წყლით სავსე ჩაიდანს დაავლო ხელი და ღიღინით მიაშურა კიბეს.

ქალებმა მხრები აიჩეჩეს და ჭიშკარს გაჰხედეს.

ხელიხელჩაკიდებული მიდიან ლია და დათა ნავთლუღის განიერ, მტვრიან ქუჩაზე. წინ მიუძღვით გია, რომელსაც ჯიუტი თმა მონდომებით გადაუვარცხნია და ქარმა რომ არ აუშალოს, ხელებით იმაგრებს.

— მამა, ლომებსაც გამოიყვანენ? — ცმუკავს, ვერ ისვენებს ლია.

— გამოიყვანენ, შვილო, მაშ!

— ცეზარს?

— ცეზარი ხომ მარტო ზოოპარკშია!

— კიდევ რას გამოიყვანენ, მამა, კენგურუს?

— კენგურუ არა, ოფოფი! — დამცინავად ჩაურთო გიამ.

— უთხარი, მამა! არ წავიყვანოთ ეგ!

— შენ გკითხავენ სწორედ!

— ჩუ, ჩუმად, რა გაჩხუბებთ!

ავტობუსი დადგა. დათამ წინა ბაქანს მიაშურა, რადგან უკანიდან ბევრი ხალხი აღის.

კარი მათ ცხვირწინ დაიკეტა. დათამ ხელში აიყვანა ლია. შოფერმა მოიხედა. კარი ჭრიალით გაიღო.

— ადი! — წინ გაუშვა დათამ გია, მერე თვითონაც მიჰყვა.

ავტობუსი დაიძრა.

წინა სავარძლიდან ქალ-ვაჟი წამოდგა.

— ნუ წუხდებით, ნუ... — მოიბოდიშა დათამ. — აჰა, დაჯექი, ლია. მოდი, შენც დაჯექი, გია!

დათა ჯიბეებს იქექავს ფულის გადასაწოდებლად. ლია რაღაცას ეჩურჩულება. დათამ ყური მიუტანა ახლოს:

— რა?

— მე ფანჯარასთან მინდა, — გაუმეორა ლიამ.

— გადაჯექი მერე. გია, აქეთ გადმოდი, ლიას ფანჯარასთან უნდა.

უმაყოფილო გია გადმოვიდა. ლია ფანჯრისაკენ მიფოფხავს.

მათ პირდაპირ მოხდენილად ჩაცმული და-ძმა უზის ძვირფასად მოკაზმულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავშენახულ დედას. ბიჭი ფანჯარას გადაჰყრდნობია, გაბუტული გოგონა ოთოჯინასავით დასკუპებულა სავარძელზე.

დედამ ვაჟს უბიძგა:

— ხედავ, რა ჭკვიანი ბიჭია? პატარა დას დაუთმო ადგილი.

ბიჭმა გადმოხედა გიას. თვალი მის მტკრიან, დაძველებულ სანდლებზე შეაჩერა. თავის მხრივ გიამაც შეავლო თვალი მის ცინცხალ ფეხსაცმელს და ახლა ბიჭის პატარა, მსუქანმა დასა და დედას ათვალიერებს.

მზისაგან დამწვარი ლია სავარძლის კუთხეში მიკუნჭულა. ქვეშ-ქვეშ გაჰყურებს ფუნჩულა გოგონას, თმა რომ ორად აქვს გაყოფილი, თავზე მაგრად გადაჭიმული და უკან ვანილი ბაფთით ჩასკვნილი.

ფუნჩულა გოგონაც შეჰყურებს ლიას, მაგრამ მის მზერაში არავითარი ყურადღება ან დაინტერესება არ იგრძნობა.

დედამ თავზე გადაუსვა ხელი გოგონას, მისი ლოყა ლოყაზე მიიხუტა, ლიაზე ანიშნა და რაღაც უჩურჩულა ყურში.

გულდაწყვეტილი შეჰყურებს დათა ფუნჩულა გოგონას, რომელსაც ასე ნაზად ეალერსება თავისი ლამაზი დედა.

— დედა ნატო! ნატო! მამა, დედა ნატო!.. — ისე მოულოდნელად დაარღვია ავტობუსში გამეფებული მყუდროება ლიას ყვირილმა, რომ ყველამ აქეთ მოაბრუნა განცვიფრებული სახე, — დედა ნატო!.. — განაგრძობს ყვირილს ლია, ხელებს იქნევს და ლამისაა გადავრდეს ფანჯარაში, — მამა, მამა... დედა ნატო... დედა ნატო დავინახე!

ვიღაცას ეაეცინა, ვიღაც ლიაზე აჩვენებს თითით და ხრინწიანი ხმით ხითხითებს.

— ბიძია, გააჩერე... — ახლა შოფერს ეძგერა თვალებანთებული გოგონა, — გააჩერე რა, ბიძია!..

ყველა გაკვირვებულია. ფუნჩულა გოგონას თვალებშიც კი გაიპწკიალა ცნობისმოყვარეობის ნაპერწკალმა.

ერთბაშად გამოცოცხლდა მიყუჩებული ავტობუსი.

გიამ ერთი კი მოხედა დას და სასხვათაშორისოდ, თითქოს ეს ამბავი მას სრულებითაც არ ეხებაო, ფანჯარას გადაეყუდა.

— კარგი, ლია, რა მოგვიდა! — გაწყრა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი დათა.

— გააჩერე, ბიძია, რა, გააჩერე! — ეხვეწება შოფერს ლია.

შოფერმა ოფლიანი კისერი მოაბრუნა, ნატვრით აცრემლებული ბავშვის დანახვაზე სახეზე ღიმმა გადაჰკრა და ავტობუსმაც შეანელა სვლა.

ლია კარისაკენ მიიწევს. კარი გაიღო. გულმოსულმა დათამ ხელში აიყვანა ლია და საჩქაროდ ჩავიდა ავტობუსიდან. ხელი ჩაჰკიდა შვილებს. უკან დაბრუნდა.

ლია ცმუკავს, თვალებს აქეთ-იქით აცეცებს.

ხალხმრავალია ზაფხულის კვირადღეს თბილისის ქუჩები. მთელი ქალაქი დიდპატარიანად გარეთაა გამოსული...

— აი, იქ იდგა, მამი... — წინ ეწევა დათას ლია.

— წავიდოდა, შვილო, ჩვენ ხომ არ დაგვიცდიდა.

— არ წავიდოდა, მამი, ჩქარა, გავიქცეთ!

— მოიცა, სამივე ხომ არ გავიქცევით, სირცხვილია!

ლია გაუსხლტა მამას. წინ მოჰკურცხლა. ხალხში მირბის. ყველა შემბვედრს ათვალიერებს.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

აჩქარებით მისდევენ მას დათა და გიაც.

ლია წამით გაუჩინარდა ხალხში.

ნაბიჯს აუჩქარეს დათამ და გიამ.

— დიდა ნატო! — შეჰყვირა უზომოდ გახარებულმა გოგონამ, როცა ბოლოლდაბოლოს იპოვნა ის, ვისაც ეძებდა.

ნატომ გაკვირვებით მოაბრუნა ეს. იცნო. უმალ ჩრდილმა გადაურბინა სახეზე.

— აქ რას აკეთებ, ლია? — ფარული ალერსით ჰკითხა მან გოგონას.

ლია მკლავზე მიეკარა ნატოს, სახეში შესცინა.

— ჩვენ ცირკში მივდივართ... მამაც აქ არის! — თითქოს თავს იმართლებსო, მიახარა მან ქალს და უკან მიიხედა, — მამი, მამი! აი, დიდა ნატო!

გოოცებული დათა შეჩერდა.

— აა, თქვენ ბრძანდებით დიდა ნატო? — გაუღიმა მან ქალს.

— დიახ... — ცივად უპასუხა ნატომ.

— კინაღამ ავტობუსიდან გადმოგვიხტა ეს მაიმუნი, დიდა ნატო დავინახეო, — ლიას გადახედა ქალის მოულოდნელი წარბშეკვრით შეფიქრიანებულმა დათამ. — ძალიან მიხარია, რომ გაგიცანით...

— მეც ძალიან მინდოდა თქვენი ნახვა... — რაღაც მტრულად განაგრძო ნატომ, — დიახ... როგორ შეიძლება ბავშვების ასე უპატრონოდ მიტოვება, — კინაღამ ენა დაება მას, — ბოლოსდაბოლოს... ბოლოსდაბოლოს, თუ პატრონობა არ შეგიძლიათ ან არ გსურთ, მაშინ... თქვით და... თავშესაფარი არსებობს... ვინ მოგცათ უფლება, რომ ასე ბედისანაბარა დაგიყრიათ ბავშვები. იმ დღეს კინაღამ მანქანამ გაიტანა...

არ ეჭაშნიკა გიას ეს, მოიღუშა, ქვეშ-ქვეშ გაჰყურებს ნატოს...

— ბოდიში, მაგრამ... — უხერხულად შეიშმუშნა დათა, — ეს ჩემი პირადი საქმეა და...

— ბავშვი რომ მანქანას გაეტანა, ესეც თქვენი პირადი საქმე იქნებოდა, არა? — ცნობისმოყვარე გამვლელებს გადახედა ნატომ და აღშფოთება დაიოკა, — მე თქვენთვის სრულიად უცხო ვარ. იქნებ ამის თქმის უფლებაც არა მაქვს, მაგრამ... თქვენს ადგილზე სხვა მამა აგრე არ მოიქცეოდა! — მოულოდნელად დაასრულა მან, სწრაფად გატრიალდა და იქვე, მაღალი სახლის სადარბაზოს კარში შევიდა.

გოგონებულმა დათამ თვალი გაადევნა მას.

— დიდა ნატო! — ახლადა მოვიდა გონს გულნატკენი ლია. ნატოსაკენ გაიწია, მაგრამ მამის ღონიერმა ხელმა შეაჩერა. — რატომ წავიდა, მამი? — ახლა დათას ახედა მან.

პასუხად დათამ უფრო მაგრად ჩაავლო ხელი მაჯაში, მეორე გიას მოჰკიდა. შემობრუნდა და შვილებთან ერთად ხალხის ზღვას შეერია.

* *

ქუჩაში იმდენი ხალხია, თაგვი კუდს ვერ მოიბრუნებს...

გია მაინც პოულობს გასაძრომ-გამოსაძრომს. არც მარცხენა იღლიაში ამოჩრილი ბოთლები უშლის ხელს, არც ბოთლებითვე გატენილი ბადე, ზურგზე რომ წამოუკიდნია.

კვალში ჩამდგარი ლია მარჯვედ მისდევს ძმას. ნიკაპამდე სწვდება გულზე მიხუტებული ბოთლები.

74581

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოთლების რაწკარუწკით და აქეთ-იქით თვალების ცეცებით გადაიბრუნ-და-ძმამ ფილაქნიანი ქუჩა.

გასტრონომში შევიდნენ. იმ ადგილს მიაშურეს, სადაც ლუდსა და ლიმო-ნათს ჰყიდიან.

დახლთან ხუთიოდე მამაკაცი დგას. ერთმანეთს ჭიქებს უჯახუნებენ და ლუდს სვამენ.

გია თითქმის ფეხებში გაუძვრა მათ. ერთს ბოთლის ძგიდეც კი გაჰკრა.

— ნელა, ჯო! — მოტრიალდა ლუდის ზორზოხა მუშტარი.

— ბოდიში... — ღირსეულად დაუკრა მას თავი გიამ და დახლის წინ ტვირ-თი მოიხსნა.

— ძია, ბოთლებს არ აიღებ? — ახლა დახლიდარს მიმართა მან.

— რა ბოთლებია? — აღრინდა დახლიდარი.

— აი, ესენი.

— სუფთაა?

— ნახეთ.

— კიდევ გაქვთ?

— ნუ.

— მოპარული ხომ არ არის, ბიჭო?!

— არა, საკუთარია.

ზორზოხამ მოიხედა, ზემოდან დაეცქერდა გიას და თავში თითი წაუტკა-ცუნა.

— ხელი! — შეუტია გიამ.

ლუდის მუშტრებს გაეღიმათ.

— მომაწოდე, მომაწოდე, ენახავ, რა საკუთარია! — გადმოიხარა დახლი-დარი.

გია და ლია სათითაოდ აწვდიან ბოთლებს. ბოლოს ბავშვების მთელმა ქო-ნებამ თაროზე გადაინაცვლა. ერთი ბოთლიღა შერჩა ხელში ლიას. ეჭვობს, ესეც მიაწოდოს თუ არა. თვალი ჩაუკრა ძმას.

გიამ ჯერ გამყიდველს გაჰხედა, მერე უსიტყვოდ გამოართვა დას ბოთლი და დახლზე დასდო.

დახლიდარი გულდასმით ათვალიერებს ყველა ბოთლს. აი, ესეც აიღო. გახედა სინათლეზე. არ მოეწონა. დაყნოსა.

— უ, თქვე... — დაიღრიალა უცებ მან. — რა არის ეს!

— რა არის... ბოთლია... — არ დაიბნა გია.

— უყურე ამას!

— ნავთიანი ბოთლით ვაჭრობა ვის გაუგია, ჯო! — აროხროხდა ზორზოხა კაცი და კიდევ წამოუსვა ხელი ბიჭს, მაგრამ გიას მისთვის აღარ სცხელოდა ახლა, რადგან ამ დროს გულმოსულმა დახლიდარმა ბავშვების ავლადიდება ისევ გადმოჰყარა დახლზე და აყვირდა:

— ახლავე მოხიკეთ თქვენი ბოთლები და ამიანა დაიკარგეთ აქედან!

ამას კი აღარ მოელოდნენ გია და ლია.

— მიიღეთ რა, ძია... — აცრემლდა გოგონა.

— მიიღე, რა... — მოიღუშა გიაც.

ლია ნავთიან ბოთლს მისწვდა ორივე ხელით და დახლიდან ჩამოიღო:

— ამას ახლავე გადავაგდებ... ეგენი მიიღე, მიიღე რა, ძია...

— მიიღე, შიოჯან, მიიღე, მერცხლებია, ნუ აწყენინებ, — დაიხარჯა ზორ-ზოხა კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიამ ბოთლი გარეთ გაარბენინა.

— მერცხლები! — ხელები დაიყნოსა დახლიდარმა, ბავშვებს ერთხელ კიდევ მოაელო თვალი, ქვითარი გამოწერა და გიას გაუწოდა.

გიამ ქვითარი გამოართვა, სალაროსთან მიირბინა და ურიგოდ მიაწოდა მოლარეს.

— სად მიძვრებით?! — ხელი აუქნია ბავშვებს რიგში მდგომმა სათვალეებიანმა მოქალაქემ.

— არ სცალიათ, ეჩქარებათ! — გაეპასუხა მეორე.

— აუცილებლად ურიგოდ უნდა გაძვრნენ! — დასძინა თმადახვეულმა, შეპუდრულმა ქალმა.

— რა არის ეს?! — იკითხა მოლარემ.

— ბოთლების ფული, — განმარტა გიამ.

— ახლა ამ ფულს კოჭში წაგებენ! — მის გასაგონად ჩაილაპარაკა სათვალეებიანმა მოქალაქემ.

გიას პასუხი არ გაუცია. უდიერად გადმოგდებული ფული აიღო, გულისჯიბეში ჩაიტენა, მერე მათრახივით მოიქნია ცარიელი ბადე და კარისაკენ გაქანდა. ლიაც მას მიჰყვა.

და-ძმა კისრისტეხით გავარდა ქუჩაში.

* *

ბავშვები შლაგბაუმის ქვეშ გაძვრნენ, მიიხედ-მოიხედეს: რკინიგზაზე არავინაა. გადასჭრეს ლიანდაგი, ქუჩის კუთხეში შეუხვიეს, მაღალი სახლის წინ გაჩერდნენ და ზემოთ აიხედეს.

— აი აქ! — დაბეჯითებით თქვა ლიამ და თითქოს გუშინაც აქ ყოფილიყოს, წინ გაუძღვა ძმას.

კიბეს რომ აუყვნენ, როლაც ხმაური შემოესმათ. შეჩერდნენ წუთით. აჩქარებული ფეხის ხმა ახლა უფრო გარკვევით ისმოდა. უეცრად მათ ცხვირწინ ორმა ბიჭუნამ ჩაირბინა. თავპირის მტვრევით ჩაათავეს კიბე და ქუჩაში გაცვივდნენ.

გიამ და ლიამ გაკვირვებული თვალები გააყოლეს მათ, მერე გზა განაგრძეს. კიდევ შეჩერდნენ კიბის ბაქანზე.

— მომეცი, — უჩურჩულა ძმას ლიამ.

გიამ რის ვაივაგლახით ამოიღო ჯიბიდან ქაღალდში გახვეული რაღაც ნივთი, დას მიაწოდა, მერე ყურადღებით შეათვალიერა კარი და კეფა მოიქექა.

ლიამ ელექტროზარის ღილზე უჩვენა.

გიამ ფეხისწვერებზე აიწია, თითი ღილისაკენ გაიწვდინა, მაგრამ დარეკვაც ვერ მოასწრო, რომ კარი მოწყვეტით გაიღო და ოთახიდან საშინაოდ ჩაცმული სქელ-სქელი ქალი გამოვარდა. გიას საყელოში სტაცა ხელი, შეანჯღრია და აკაკანდა:

— ააა... ახლა სადღა წამიხვალთ, თქვე საძაგლებო, თქვენა!

ლიამ შიშნაჭამი თვალები შეანათა ქალს. ერთბაშად დაიბნია ამგვარმა უცნაურმა დახვედრამ.

ლიამ ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო, რომ ახლა იმასაც მისწვდა ქალი.

კარის ზღურბლზე პირგაპარსული ღიპიანი მამაკაცი გამოჩნდა სამართებლით ხელში.

— აბა ერთი აქეთ მოიყვა, ყურები დავაჭრა! — საქმიანი კილოთი მიმართა მან ქალს და სამართებელი მოიმარჯვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიას ცრემლები მოეძალა.

— დღისით არ მასვენებენ, ღამით არ მასვენებენ, გაგონილა?! — ანჩხლობ და ქალი, — ეს ზარი სათამაშოდ არის გაკეთებული?

— ხელი გამიშვი! — დაიგრიხა გია და თავის გათავისუფლებას შეეცადა.

— ჩვენ არ დაგვირეკია, დეიდა... — როგორც იქნა ღონე მოიკრიბა თავგზააბნეულმა ლიამ.

— მაშ მე დავრეკე?

— მე რა ვიცი! — გულმოსულად წაიბურტყუნა გიამ.

— მილიციას რომ ჩავაბარებ შენ თავს, მაშინ გეცოდინება! — აღარ ცხრებოდა ქალი.

მოულოდნელად ატეხილ ხმაურსა და აყალმაყალზე ყველა კარები გაიღო. ცნობისმოყვარე მეზობლები კიბეზე გამოეფინენ:

— რა მოხდა?

— რა ამბავია?

— აააა... დაიბირეთ?

— ახლავე დავურეკავ მილიციას!

— ამისთანა უბედურება გაგონილა? სადილზე დავჯდები — ზრრ! გამოვალ — არავინ! ჩავთვლემ თუ არა — ზრრ! გამოვალ — არავინ! არ გამიჩინეს ჭლექი? — საკუთარ გულს ასკდება ბრაზით გაკინკლილებული დიასახლისი.

— მე არ ვყოფილვარ! — გაცეცხლდა გია.

— ჩვენ დეიდა ნატოსთან მოვედით, — წამოხტმარა ძმას გოგონაც.

— ადი, დაუძახე ნატოს! — მეზობლის ბავშვს წაუბიძგა ანჩხლმა დიასახლისმა.

— მოეშვი, ელისაბედ, ხომ გესმის, მე არ დამირეკიაო, — კვლავ გამოჩნდა ზღურბლზე ღიპიანი მამაკაცი.

ნატომ სწორედ ამ დროს ჩამოირბინა კიბე.

— დეიდა ნატო! — თვალები გაუბრწყინდა გოგონას მის დანახვაზე.

— ლია? — გაოცდა ნატო და გაკვირვებულმა მეზობლებს გადახედა. — რა მოხდა, დეიდა ელისაბედ?

— სახლი კი არა, ჯოჯოხეთია პირდაპირ, ჯოჯოხეთი! — პასუხიც არ აღირსა ქალს, ისე მიიჯახუნა კარი ზარის პატრონმა.

— ჩვენ არ დაგვირეკია, დეიდა ნატო, — კიდევ იმართლა თავი ლიამ.

— კი მაგრამ... აქ რა ეინდოდათ, ვის ეძებდით?

— თქვენ, დეიდა ნატო.

— მე? — მხრები აიჩეჩა ნატომ.

— ჰო, — ქაღალდში გახვეული ნივთი მიაწოდა გაკვირვებულ ქალს ლიამ. — მოგვილოცავს დაბადების დღე!

ვიღაცას გაეცინა. ნატომ თვალი მოავლო კიბეზე გამოფენილ მეზობლებს და:

— ვისი დაბადების დღე? — გაოცებულმა ჩაჰკითხა ლიას.

— თქვენი.

— ჩემი? — კვლავ კიბეზე გადმოყუდებულ მომღიმარე ხალხს ახედა ნატომ.

— თქვენ არა თქვით, ზეგ არის ჩემი დღეობაო?

— აჰ., აჰაა, — სიცილი ძლივს შეიმაგრა ნატომ და ქაღალდში გახვეულ ნივთს დაბჯენდა. შერე გახსნა. უბრალო, იაფფასიანი ოდეკალონი იყო.

— ვინ მოგცათ ამის ფული?

ლიამ ძმას გადახედა. გიამ სახე გვერდზე მიიბრუნა და უხალისოდ მიუგო:

— მამამ მოგვცა.

— მამამ?

— ნახვამდის, დედა ნატო! — თავი დაუქნია ქალს ლიამ, წამით ზემოთ გააპარა თვალი, მერე გაუღიმა ნატოს და წასასვლელად შემობრუნდა.

— მოიცა, მოიცა! — მოისაზრა ნატომ და ბავშვებს ხელი ჩაჰკიდა. — რახან მესტუმრეთ, ავიდეთ სახლში.

ეღიმებათ მეზობლებს...

ნატო და მისი საპატიო სტუმრები კი დინჯად ადიან კიბეზე.

* *

მძიმედ მიაბიჯებს დათა ლიანდაგის გასწვრივ: გადაუხვია, ბილიკს გაჰყვა გადახრუკულ მინდორში, სოფლის განაპირა ქუჩა გაიარა და ფუშაბანდიანი სახლის კიბეს მიადგა. ნაცნობმა ხმამ მოახედა.

— თეო რომ არ არის შინ! — წინსაფარზე ხელების მშრალებით მოუახლოვდა მას თავსაფრიანი ქალი. — შვებულება აიღო და წავიდა.

— დიდი ხანია? — შეკრთა დათა.

— სამი დღეა.

— გმადლობთ... ბოდიში! — უანგარიშოდ ამოიღუღღუღა დათამ და უკანვე გამობრუნდა.

* *

ფილაქანზე ორი წყვილი პატარა ფეხი მოჩანს. აი, ააწია ერთმა მტვრიანმა ფეხმა, წვივი მოფხანა მეორეს. გამოჩნდა გახვრეტილი ლანჩა.

მსხვილ-მსხვილი, ჯაგარა მეჯღანე ფეხსაცმელს აკერებს ფანერისკედლებიან ფარდულში, რომლის სამი კედელი ყოველი ჯურის კინორეკლამებითაა აწებებულ-ჩაწებებული.

გია და ლია რეკლამას ათვალიერებენ.

— აი ის, აი! — წამოიძახა ლიამ და თითი გაიშვირა აფიშისაკენ. — არ ჰგავს?

— რომელი, ის? — თვალებს აცეცებს გია.

— არა, არა! აი! — სილვანა პამპანინის პორტრეტზე უთითებს ლია. — არ ჰგავს?

გია საქმეში ჩახედული კაცის თვალით აკვირდება პორტრეტს, ხან აქედან შეხედავს, ხან იქიდან.

— ნამდვილი დედა ნატოა! — დაასკვნა აღტაცებულმა ლიამ და თავისივე ხელები ჩაიხუტა გულში. — რა ლამაზია!

საქმეში გართულმა ჯაგარა მეჯღანემ დაორთქლილი სათვალეები მოიხსნა, წმენდა დაუწყო.

— რა, მოგეწონა?

სახე უბრწყინავს ლიას, თვალები ვერ მოუშორებია პორტრეტისათვის.

— ლამაზია?

— ძალიან...

— აბა, მოუსვით ახლა აქედან! — დაასკვნა მეჯღანემ, სათვალეები ზანტად გაიკეთა და მახათს სწვდა.

ბავშვები გატრიალდნენ. თვალები უკან რჩებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილაქნიან ქუჩას გაუყვნენ.

გაიარეს ერთი ქუჩა, მეორე...

— სახლიდან ფეხი არ გამოადგათ-მეთქი, ვის ვუთხარი მე?! — მამაკაცის მკაცრმა ხმამ მოახეფა უცებ ორივე.

ნაწამები, თითქოს მთელი ღამის უძილარი დათა თავს წამოსდგომია ბავშვებს.

ელდანაკრავმა ლიამ და გიამ ერთმანეთს გადახედეს.

— რას დაეთრევით, რას დაწანწალებთ?! — რისხვასავით დაატყდა თავს შვილებს დათა, მაგრამ ბავშვებს ხმა არ ამოუღიათ. — ვერ ვაჩერდებით სახლში? ეზომ ვერ დაგიტიათ?

ბავშვები კვლავ ხმისამოუღებლივ იდგნენ და მხოლოდ ქვეშ-ქვეშ უყურებდნენ ერთმანეთს.

— წამოდით! — ხმას აუწია დათამ.

ბავშვები უხმოდ აედევნენ მამას.

— არა, მაინც სად იყავით აქეთ, ვინ მოინახულეთ?!

კითხვა ახლაც უპასუხოდ დარჩა.

— ვის ვეკითხები მე!

და-ძმა ხმას არ იღებს.

— გია!

— დეიდა ნატოსთან ვიყავით... — გამოტყდა ბოლოს ლია.

— სადა? — შეჩერდა დათა.

— დეიდა ნატოსთან, — გაიმეორა ლიამ.

— ბიჭო! რა გინდათ ამ დეიდა ნატოსთან, ამხანაგია თქვენი თუ რა არის!

— ისე ვიყავით... — თავი იმართლა ლიამ.

— დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა: დღეის ამას იქით თუ სახლიდან გამოსულხართ, მერე აღარ დამენახვოთ არც ერთი!

ბავშვები გამგონედ დგანან.

— გაიგეთ? — განაგრძობს დათა. — დეიდა ნატო! გაიჩინეს ამხანაგი!

მერე დაიძრნენ ისევ, უხმოდ განვლეს ერთი ქუჩა, მეორე...

დათამ ნაბიჯს აუჩქარა.

— გამოადგით ფეხი! — მოხედა მან ბავშვებს და სწორედ ამ დროს შეასწრო თვალი, რომ გია რაღაცას ატენიდა ჯიბეში. დათა შეჩერდა. თვალი ბიჭის ჯიბეს მიაპყრო. გიამ თავი ჩაღუნა. გაიბუსა.

— რა არის ეგ?!

გია სდუმს.

— რა გაქვს ჯიბეში?

— ბადე... — წაილუღლუღა გიამ.

— რად გინდოდა?!

— ისე...

— როგორ თუ ისე!

— ისე... — სხვა სიტყვა ვეღარ უპოვნია გიას.

— რომ გეკითხები, მიპასუხე, — დამარცხა დათამ, — რად გინდოდა ბადე!

გია ხმას არ იღებს.

— გია! — მოთმინებიდან გამოვიდა დათა.

— ძველი ბოთლები იყო შიგ... — წაეშველა ძმას ლია, — ძველი, ჭუჭყიანი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რად გინდოდათ ბოთლები? — ისევ გიას ჩაჰკითხა დათამ.

გიამ მამას აჰხედა. თვალი ვერ გაუსწორა მის მრისხანე სახეს.

— ისე...

დათა გიას მიუახლოვდა, საჩვენებელი თითით აუწია ნიკაპი:

— შენ გეკითხები!

— გავყიდეთ, — ფეხის წვერებს ჩაულაპარაკა გიამ.

— გაყიდეთ?

— ჰო...

— ყველა სიკეთესთან ეგეც ისწავლე ახლა? — აღშფოთებით იკითხა დათამ და მწვავე სილა გააწნა ბიჭს, — ჰა? დღეს ბოთლებს გაჰყიდი, ხვალ — ტანისამოსს, ზეგ — საბანს, სახლს...

გიას ცრემლები მოეძალა. სლუკუნ-სლუკუნით გადგა განზე.

— წამოდი შინ... წამოდი! — თავი ვეღარ შეუკავებია დათას. — წამოდი შინ!

— არ წამოვალ! — სლუკუნებს გია.

დათა ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა მას, მაგრამ გია უმალვე გაეცალა.

— გია! — გაუმეორა დათამ.

— არ წამოვალ მე შენთან, არ წამოვალ!

დათამ კიდევ გადადგა ერთი ნაბიჯი.

— არ წამოვალ... — თავისაზე დადგა გია, მამას ზურგი უჩვენა, ქუჩა გადაიარა და კედელს აეტუზა.

— არ წამოხვალ? კარგი, იყავი მანდ! ჩვენ წავიდეთ, ლია. დარჩეს ეგ ქუჩაში! — თქვა დათამ და ხელი ჩაჰკიდა გოგონას.

ლიამ იმ წამსვე გააშვებინა ხელი:

— არც მე წამოვალ!

— რატომ?

— აბა რად გალახე გია! წადი ახლა მარტო...

ამ სიტყვებზე ლიამ ქუჩა გადაიარა და აზლუქუნებულ ძმას ამოუდგა გვერდში.

გაწბილებული დათა ქუჩის აქეთა მხარეს დარჩა. უყურებს ბავშვებს, ბავშვებიც, თავის მხრივ, მტრულად ზვერავენ მას.

გაიარა ვიღაცამ. ჯერ დათას გაჰხედა, მერე ბავშვებს, დაინტერესებულმა კიდევ მოიხედა და ვეზა განაგრძო.

გამელელ-გამომველელი რომ შეთხელდა, დათამ დრო იხელთა და ბავშვებს დაუძახა:

— დიდხანს ვიდგებით ასე?

ბავშვებმა ხმა არ გასცეს.

— აბა კარგი, იყავით თქვენ მანდ, მე წავალ! — კიდევ გამოსძახა ბავშვებს დათამ, რამდენიმე ნაბიჯი გაიარა და კუთხის სახლს მოეფარა. იქიდან ქურდულად გამოხედა შვილებს.

ისინი კვლავ ერთ ადგილზე ჩარჯობილებივით იდგნენ კედელთან. გამოვიდა სამალავიდან დათა, ქუჩა გადაიარა, მიუახლოვდა ბავშვებს.

— კარგი, შევრიგდეთ, — ბოდიშის მოხდასავით დაიწყო მან, მაგრამ უმალვე შეცვალა კილო, — მომეცით ფული! — ხოლო როდესაც პასუხი ვერ მიიღო კიდევ გაიმეორა, ოღონდ ახლა უფრო რბილად, — მომეცი, გია, ფული!

— არა მაქვს მე... — თითქოს ჯავრს იყრისო, დაიღრინა გიამ.

— შენ გაქვს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა! — მოკლედ მოუჭრა ლიამ.

— სად არის ამა, რა უყავით!

— ოდეკალონი ვიყიდეთ...

— რა იყიდეთ?

— ოდეკალონი — მშვიდად უპასუხა ლიამ.

— რად გინდოდათ მერე?

— დეიდა ნატოს ვაჩუქეთ.

დათა არ მოელოდა ამას. ახლა ის მიხვდა რაღაცას. თანაგრძნობით დააცქერდა ბავშვებს.

— კარგი... წავიდეთ ამა ახლა, — აღერსი გაურია ხმაში, მაგრამ ბავშვებმა ფეხიც არ მოიცალეს ადგილიდან. ლია ჯიუტად ჩასცქეროდა ტროტუარს, ფეხის წვერს აწვალებდა, თვალი გიასკენ ეჭირა. — რამ დაგიხია ასე სანდლები?— ლიას ფეხსაცმელს დააცქერდა დათა. — წავიდეთ. ხვალ ხომ შენი დაბადების დღეა. ახალ ტუფლებს გიყიდი...

ლიამ ერთხელ კიდევ გაჰხედა ძმას. კმაროდა კი ეს მამასთან შესარიგებლად?

— ისეთ დღეობას გადაგიხდი, ისეთს... წავიდეთ ახლა, — თითქმის მუდარით მიმართა დათამ შვილებს.

— დეიდა ნატოს დავპატიჟებთ? — შეაპარა ლიამ.

დათას გაეღიმა: რამ შეაყვარათ ასე ეს დეიდა ნატო?!

— კარგი, დავპატიჟოთ, დავპატიჟოთ...

ეს რომ გაიგონეს და მამის სახეზე ღიმილსაც შეასწრეს თვალი, გაბუტული ბავშვები უსიტყვოდ მოტრიალდნენ და მორჩილად გაჰყვნენ დათას.

* * *

საღარბაზო შესასვლელის განიერ კიბეზე კისრისტეხით ჩამორბის გულამოვარდნილი ლია.

აი, გამოვარდა იგი ქუჩაში, გადაირბინა მეორე მხარეს და ორი ქუჩის შესაყარში გაჩერდა.

ამოიხვნეშა. თვალებდაცეცებული იყურება აქეთ-იქით, თან ბაფთას ისწორებს, კაბის კალთებს იქაჩავს.

უჭ, ეს ფეხის წვერი სადღა წამოუკრავს! დაიხარა, მუქში მოქცეული კაბის კალთა გადაუსვა ახალ ფეხსაცმელებს, მერე წამოდგა და კალთა დაიბერტყა.

ქუჩის მოპირდაპირე კუთხეში ავტობუსი გაჩერდა.

ლია ადგილს მოსწყდა. ავტობუსთან მიირბინა. გაფაციცებით ზვერავს ჩამოსულებს...

წავიდ-წამოვიდა ყველა, დაიძრა ავტობუსიც, დეიდა ნატო კი მაინც არსად სჩანს!

ლია გულდაწყვეტილი დგას ტროტუარზე. უცებ თვალები დაჭყიტა: მათი ეზოს ჭიშკარს ტაქსი უახლოვდება.

მოჭკურცხლა ლიამ. ჭიშკართან დაუხვდა მანქანას.

გაიღო მანქანის კარი და... ღაღოაა მომეელემა ქალმა რის ვაივაგლახით გადმოაჯახირა მოფამფალებული ბერიკაცი.

მტრულად შეავლო ლიამ თვალი გამცდარ მანქანას, გამობრუნდა, ქუჩა გადაირბინა და კვლავ გზაჯვარედინზე დაერჯო.

ამაოდ იდგა აქ დიდხანს.

ქუჩაში სიცარიელე სუფევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიამ ამოიხვნეშა და იქვე, აყრილი ტროტუარის თლილ ქვაზე ჩამოჯდა. ჩაფიქრდა. მერე ისევ წამოვარდა და თავქუდმოგლეჯილმა კვლავ სადარბაზო კარს მიაშურა.

სულმოუთქმელად აათავა განიერი, მიხვეულ-მოხვეული კიბის საფეხურები, ოთახის კარი ორივე ხელით მიახეთქა კედელს და გაჩირაღდნებულ ოთახში შურდულივით შეავარდა.

სადღესასწაულო სუფრის გარშემო შემომსხდარმა ბავშვებმა ლიას მიაპყრეს შემკრთალი სახეები. ატყდა ჟრიამული და ყიჟინა:

— ლია! ლია!

— რა იყო, ბებია? — შეშფოთდა მაგიდასთან მოფუსფუსე დედაბერი.

— რა, მოდის დეიდა ნატო? — გამოეგება გოგონას დათაც.

— არა! — მოუწია მას ლიამ და თვალი მაგიდის შუაგულს მიაპყრო. — ეს ვინ დამჯდარა აქ! აბა, გადაჯექი ჩქარა! მე ხომ ვთქვი, რომ ეს დეიდა ნატოს სკამია!

ლია მკლავში ჩააფრინდა ნაწნავებიან გოგონას, რომელსაც ლუკმა პირში შერჩა და თვალები ცრემლებით აევსო, ძირს ჩამოაგდო.

ნაწნავებიანი გოგონა აბღავლდა.

— ლია, რას შვრები, შვილო, სტუმარს ასე უნდა მოექცე? — გამოექომაგა ატირებულ ბავშვს დათა. — ნუ ტირი, გენაცვალე, ნუ ტირი... აგერ, უკეთეს სკამზე დაგაჯენ.

— შენც ადექი! აქ მე უნდა დავჯდე! — ახლა მეზღვაურის ფორმაში გამოწყობილ ჩასუქებულ ბიჭუნას ეძახერა ლია.

დამფრთხალი ბიჭი უმალვე ჩამოხტა სკამიდან. მოზუზნული პირი ხელისგულით შეიწმინდა, სწვდა თავის თეფშს, რომელზედაც ნაირნაირი ნამცხვარი და ტკბილეული იყო ახოხოლავებული და დათას აედევნა მავედრებელი თვალებით — მე სად დავჯდეო.

ლიამ დაცარიელებული სკამები გაასწორა, ფრთხილად მიადგა ერთიმეორეს და ისევ კარს ეცა.

— ლია! — მიაყოლა დათამ.

— სად მიხვალ, ლია, მიდიან სტუმრები... — შეწუხდა დედაბერი.

— თეკლე ბებია! არავინ არ დაჯდეს აქ! — სკამებზე მიუთითა ლიამ. — მე ახლავე მოვალ! — დაუმატა და ნაპერწკალივით გაჰქრა კარს უკან.

— ლია! — ესლა მოასწრო დათამ, მაგრამ რადგან ვერ გააგონა, უკან გამოუდგა გოგონას.

— რომ ვერ შემოვიტყუეთ... — ხელები გადაშალა ბებია თეკლემ, — გაგონილა ამისთანა დღეობა?

კუთხის სახლთან კი მოწუენით გასცქერის ლია ცარიელ ქუჩებს. ხანდახან მამას გადახედავს მალულად: ნუთუ ტყუილი თქვა დეიდა ნატომ?

ქუჩის ბოლოში მანქანამ ამოუხვია. გაჩერდა კიდეც.

ლიამ ქუჩა გადაირბინა.

ავტობუსიდან ხალხი ჩამოდის.

ლია დაკვირვებით ეძებს ნაცნობ სახეს, ლამისაა გადმოუცვივდეს თვალები.

— დეიდა ნატო! — უცებ შეჰყვირა მან და ავტობუსის კარს მიაწყდა, საიდანაც ჯერ კიდევ ჩამოდის ხალხი, — დეიდა ნატო... დეიდა ნატო!

— მოიცა, გოგონა, გვადროვე ჩამოსვლა, ბიჭოს! — იცილებენ გზიდან ლიას, მაგრამ ის მაინც არ შორდება კარს, ზემოთ აკარდნას ლამობს.

დათას ეღიმება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გვაჩალე, ბატონო, გვაჩალე... — ჩიფჩიფებს ხელჯოხიანი მეზავრი ბალ-მტკვანი ფეხი ძლივს ჩამოაქვს კიბიდან.

ლიამ ოდნავ გაიწია გვერდით.

აი, ჩამოვიდა კიბეზე დედა ნატოც! საგანგებოდ გამოწყობილა, კაბაც ახალი აცვია, ტუფლებიც! ლია მივარდა. მისი შიშველი ნიდაყვი ტუჩებზე, ლოყაზე, ყელზე მიიხუტა. უსაზღვროდ გაბედნიერებულმა აღარ იცის, კიდევ როგორ მოეფეროს დედა ნატოს.

ნატო მიესალმა დათას, გაუღიმა, ხელი გაუწოდა, მერე ნიდაყვ-ქვეშ მოიქცია საჩუქრები, დაიხარა, გულში ჩაიხუტა ბავშვი და მაგრად, მაგრად აკოცა.

— მომლოცავს, ლია, დაბადების დღე! — უთხრა მან გოგონას და საჩუქრების კონა გადასცა. — გაიზარდე დიდი, კარგი, ჭკვიანი გოგო.

— გმადლობთ, დედა ნატო! — მთლად გაიბადრა გოგონა.

მათ ჭეჩა გადასჭრეს და ტროტუარს დაადგნენ. აგერ სადარბაზო კარიც! ისინი განიერ კიბეს მიჰყვებიან.

— მე მეგონა, აღარ მოხვიდოდით, — ტიკტიკებს გზადაგზა ლია, — მამამ თქვა, რადგანაც დედა ნატო დაგპირდა, აუცილებლად მოვაო. მე ვუთხარი, ასე რომ დაგვიანდა-მეთქი? მამამ მითხრა, რაკი დაგპირდა, აუცილებლად მოვაო. მე ვუთხარი, იქნება კბილი ატკივდა დედა ნატოს-მეთქი, მამამ მითხრა, რაკი დაგპირდა, მაინც მოვაო. მე ვუთხარი... მე ვუთხარი... მამამ თქვა...

მათ სიცილ-ხარხარით აათავეს კიბე. ლიამ წინ გაუსწრო უფროსებს აივანზე და ოთახის კარი პირველმა შეაღო.

ელდა ეცა.

დაცარიელებული დაუხვდა ოთახი.

ნამცხვრისა და ტკბილეულის ნარჩენებით მირეულ-მორეული სუფრა ასევე მიეტოვებინათ. მხოლოდ მეზღვაურის ფორმაში გამოწყობილი ბუთხუზა ბიჭუნა იჯდა მაგიდასთან. სახე სულ ერთიანად მოეზღუნა, მაგრამ გიასთან ერთად მაინც გულიანად შეექცეოდა ნაირ-ნაირ ნამცხვარს.

— სად არიან სტუმრები? — წამოიძახა ლიამ.

პასუხი არავის გაუცია.

— ვაი! — შეიცხადა ლიამ და გაკვირვებულმა მოხედა ნატოს. — წასულან

— ჩემი ბრალია... — დათას გადაჰხედა შეწუხებულმა ნატომ.

— არაფერიც! — კვლავ აწკრიალდა ლიას ხმა ოთახში. — ჩვენ არავინაც არ გვინდა დედა ნატოს გარდა! არა, მამა?

უეცარმა შეკითხვამ დააბნია დათა. უნებურად შეხედა ნატოს, გაუღიმა და ახლოლა შენ�შენა, რომ მის წინაშე მომხიბლავი ქალიშვილი იდგა.

არც ნატოს გამოჰპარვია მამაკაცის მზერა, თვითონაც დაბნეულად ახედ-დახედა დათას დ უხერხულობის გასაფარტავად გოგონას მიუბრუნდა:

— აბა, ლია, თუ ქეიფი, ქეიფი იყოს! — ხელი მოჰხვია პატარა დისასლილს და წამით თავადაც გაბავშვებული ნაომარ მაგიდას მიუახლოდა.

* *

დათა და ნატო ნელი ნაბიჯით მიჰყვებიან ქუჩას.

მიძინებულ ქალაქს გვიანი ღამის მყუდროება დაუფლებია.

ქუჩის ბოლოში, დაბალრტოებიანი ჯადრის ქვეშ შეჩერდა ნატო. ყური მიუგდო ხის ფოთლების შეყუყული ჩიტუნების ყივყივს და ღიმილით ზემოთ აიხედა:

— საწყლები...ვერ ახერხებენ სინათლეში დაძინებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათა უსიტყვოდ შესცქერის ნატოს.

ქალიშვილმა იგრძნო ეს შემოხედვა, მიტრიალდა და გზა განაგრძო.

— თქვენ სულ ჩუმად ხართ, — ნაწყენივით წაილაპარაკა მერე, — მე კი ენა ვერ გამიჩერებია... მეტს აღარ ვილაპარაკებ!

— ილაპარაკეთ, ილაპარაკეთ! — უმალ ჩამოართვა სიტყვა დათამ.

— არა, არა... თქვენ გგონიათ, დავთვერი, ხომ? — ეშმაკურად ახედა ნატომ დათას და ნაბიჯს აუჩქარა.

დათა მხარდამხარ მიჰყვა მას.

— დაიღლებით.

— ვინა, მე? — ხმამაღლა გაიცინა ნატომ, უეცრად სირბილით გადასწრა ქუჩა, ხიდს მიაშურა და მოაჯირს გადაეყუდა. გრილმა ნიავმა თმა შეუთამაშა, კაბის კალთები შეურხია.

მოვიდა დათაც. გვერდში ამოუდგა. ხმის ამოუღებლივ ჩაჰყურებენ მოლივლივე წყალში თავდაღმა ჩაყუდებულ ქალაქს...

— გადახტებით აქედან? — მოულოდნელად ჰკითხა ნატომ.

დათას გაეღიმა. ჯერ ქალს შეჰხედა, მერე ისევ ქვემოთ, მდინარეზე გადაიტანა მზერა.

— ვხტებოდი ოდესღაც... აი, ამოდენა რომ ვიყავი... — ხელით აჩვენა მან ქალს.

ნატომ მხოლოდ ერთხელ შეანათა თვალები ვაჟკაცს. „რა თქმა უნდა, დათა მართალს ამბობს,“ — გაიფიქრა წამით.

— ჩემს გიაზეც ამბობენ, აქედან ხტებაო, — ღიმილით განაგრძო დათამ, — მე დამემსგავსა...

ამაზე ორივეს გაეცინა. აუჩქარებლივ გაჰყვნენ ხიდს.

— თქვენ გაბედადით? — ახლა დათამ ჰკითხა ქალს და თვალი მდინარეზე უყო.

— ღრმაა?

— ძალიან.

ნატომ ქვემოთ გადაიხედა, თვალები დახუჭა და თავი გადაიქნია:

— ვერა, ვერა... ვერაფრის გულისათვის ვერ გავბედავდი!

— არა მჯერა.

— რატომ?

— მე ვიცი... თქვენ გულადი ხართ!

— მე?

— ჩემს ბავშვებს ხომ გამოესარჩლეთ.

— როდის?

— მაშინ... ლიამ ყველაფერი მიამბო.

— ეს სხვა ამბავია... სულ სხვა... — ხშირი ფოთლებით დაბურული ხის ქვეშ შეჩერდა ნატო. — მაშინ მე... იცით... რომ დავინახე თმაგაწეწილი, ღილებდაგლეჯილი. ტანსაცმელმბრეცილი ბავშვები... ჩემი ბავშვობა მომაგონდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ ენატრობდი, ვინმე მომფერებოდა, ვინმეს თავზე გადაესვა ხელი... ეს ბავშვ ნატო ყველაზე კარგი, ყველაზე ჭკვიანი გოგონაა...

— მშობლები... — რაღაც უნდა ეკითხა დათას.

— ნათესავები მზრდიდნენ... — თითქო თავისთვის ჩაილაპარაკა ნატომ.

დათა ფრთხილად შეეხო ქალიშვილის ხელს:

— ყველაზე კარგი კი გაიზარდეთ...

— ნატო ყველაზე კარგი, ყველაზე ჭკვიანი გოგონაა... ხომ? — ნაღვლიანად გაეღიმა ქალს.

— ყველაზე კეთილი...

ნატომ თვალი შეასწრო: ცარიელი ტრამვაი თვლების ღრჭიალით უხვევდა უკანასკნელ გაჩერებაზე.

— ჩავსხდეთ ტრამვაიში, გვიანაა, — აჩქარდა ნატო.

— ერთი წუთი... — წარმოსთქვა დათამ და ნატოს ხელი კვლავ ხელში აიღო, — ნუ მიწყენთ, ნატო... თქვენთან ყოფნა ისე... კარგია...

მოსახვევში ტრამვაი გამოჩნდა.

ნატომ ხელი გამოსტაცა ვაჟს, გაიქცა. აძრულ ტრამვაის შეახტა.

დათა ფეხდაფეხ მიჰყვა მას.

მიძინებულ ქალაქში რახრახით მიჰქრის ცარიელი ტრამვაი.

პატარა მოედანზე მარტო დათა და ნატო ჩამოვიდნენ ძირს. ტრამვაიმ გზა განაგრძო.

სახლის შესასვლელთან შეჩერდნენ.

— აი მოვედით კიდეც! — დაარღვია სიჩუმე ნატომ, — ნახვამდის, დათა! — მაგრამ რიდესაც ყოყმანი და სინანული ამოიკითხა მის თვალებში, ხმადაბლა დასძინა: — ბავშვები მარტო დარჩნენ, ხომ იცით...

— ჰო... — დაეთანხმა დათა. — ხომ არ დაგავიწყდათ?

— არა, არა... ნახვამდის!

დათამ ერთ წამს დააყოვნა ქალიშვილის პატარა ხელი თავის დიდ, ღონიერ ხელში...

სადღაც საათმა ჩამოჰკრა ორჯერ...

— ნუ, დათა... გამიშვით ხელი...

დათამ უმალვე გაათავისუფლა ქალის ხელი.

ნატომ უკან დაიხია კარისაკენ.

— ნახვამდის!..

— ესე იგი ზეგ!..

ნატომ ღიმილით დაუქნია თავი, მახსოვსო.

— აღარ დაგვიანოთ...

ნატომ ერთხელ კიდევ გაუღიმა ვაჟს, კარს მიაშურა და ლანჩების ტყაპატყუპით აირბინა კიბის საფეხურები.

დათამ ჩაბნელებულ შესასვლელში შეიხედა. მიაყურა. ქალიშვილის მარდი ნაბიჯების ხმა სადღაც მესამე სართულზე მიწყდა. დაიჩხაკუნა გასაღებმა. ჭრიალით გაიღო და მოიხურა კარი.

დათა გამობრუნდა. მარტო გამოჰყვა ქუჩას. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ შემოტრიალდა. მოხედა იმ სახლს, რომელშიაც ერთი წუთის წინ ნატო შევიდა, შუბლი მოისრისა, მერე ხელი ჩაიქნია და მთვარეულივით აედევნა უკაცურ ქუჩას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილიციელმა ღიმილით გააყოლა თვალი მარტოდმარტო მიმავალ მგზავრებს, რომელმაც ეს იყო მშვენიერი გოგონა მიაცილა თავის სახლამდე.

*
* *

ქვემოთ ძველთაძველი ქალაქია, შორს — ატეხილი ჭალები...

თვალშეუდგამ სიმაღლეზე აზიდული გალავანშემორღვეული მონასტერი.

გალავნის ჩრდილში, მწვანე მოლზე სხედან ნატო, დათა, გია და ლია.

ნატომ ძეხვის ნაჭერი დადო პურზე და ლიას გაუწოდა.

— აღარ მინდა! — იუარა გოგონამ.

— არც მე! — მხარი აუბა დას გიამაც, სწრაფად მოათავა თავისი ულუფა და მკვირცხლად წამოხტა ზეზე.

— აბა კიდევ ვითამაშოთ დაჭერობანა! — თავზე წაადგა იგი ნატოს.

— ოჰო! ახლა კი დამიჭერ! — გამოაჯავრა ნატომ, — თუ ვაყაცი იყავი, წედან უნდა დაგეჭირე!

— ახლა დაგიჭერ. აბა ადექი!

— გია, როგორ ელაპარაკები უფროსს! — ჩაერია დათა, — ადექი რა, შენი ამხანაგია?

— აბრძანდით... თუ არ დაგიჭერ, ნახავ!

— არა, გია, ახლა დაღლილი ვარ.

— ადექი! — გაჯიუტდა ბიჭი, მაგრამ უმალ გამოასწორა, — აბრძანდით!

— გია! — ხმას აუწია დათამ.

— ვერ დამიჭერ, ვერა! — გიას გადახედა ნატომ, — აბა დამიჭირე, თუ ბიჭი ხარ!

გია მთელი ძალით გამოენთო ნატოს.

ნატო ქურციკივით გაიჭრა მინდორში.

ვერა და ვერ მოახერხა გიამ მისი დაჭერა.

სიცილით იგუდება ნატო...

კისკისებს ლია...

ელიმება დათას...

ბოლოს, მართლა დაიღალა თუ ბიჭი შეეცოდა, სირბილი შეანელა ნატომ.

გია წამოეწია, ხელი ჩაავლო.

— აკი ვერ დამიჭერო? — ნიშნისმოგებით გამოაცხადა მან.

— ყოჩაღ, გია! არ მეგონა თუ ასე ყოჩაღი იყავი!

გულმოჯერებულმა გიამ გალავანთან მიგდებულ წნელს წამოავლო ხელი, ხმალივით მოიღერა და აშოლტილი ბალახის ლაშქარს ეკვეთა.

აქლოშინებული ნატო კოჭლობით მიუახლოვდა სუფრას, მოწყვეტით დაეშვა ყარდაგზე.

— იტკინე, ღვიდა ნატო? — შეშფოთდა ლია.

ჰო, ვიტკინეო, ღიმილით დაუქნია ნატომ თავი.

— ფეხი ხომ არ გადაგიბრუნდა? — ჰკითხა დათამ.

ნატომ ფეხზე დაიხედა.

— მომეცი! — კოკში ჩაავლო ხელი დათამ ქალს, მეორეთი წვივი დაუჭირა და გასწია.

— ვაი! — ტკივილისაგან თავი ვეღარ შეიმაგრა ნატომ.

ლია შეწუხდა. თვალს არ აცილებს ნატოს ფეხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუ გეშინია, ნუ, — დაუყვავა ქალს დათამ. — ეგ არის, მორჩა!

— აღარ გტკივა, დეიდა ნატო? — დაინტერესდა გოგონა.

— აბა, აამოძრავე, — ისევ მიმართა ქალს დათამ.

— მოიცადე, გავლახო ერთი! — წამოიძახა ლიამ, ჯოხი მოძებნა და გალავნისაკენ გაიქცა.

— შორს არ წახვიდე, ლია! — დაადევნა დათამ და ნატოს მიუბრუნდა. — არ წავიდეთ ჯერ?

— არა, ბარემ მზის ჩასვლაც ვნახოთ.

— ესე იგი აღარ გტკივა.

— არა, არა, სულ არ მტკივა.

მათ ერთმანეთს შეხედეს.

— ნატო... — რაღაცის თქმა დააპირა დათამ, მაგრამ სიტყვის დამთავრებაც ვერ მოასწრო, უკან მიიხედა.

გალავანთან ეკლესიის ჯუჯა დარაჯმა გაიარა და მოწიწებით მიესალმა ქალ-ვაჟს. პასუხისათვისაც აღარ დაუცდია, გზა ისე განაგრძო.

გიამ მოხერხებულად აიცდინა დის მოქნეული წკეპლა. ამ დროს დარაჯს მოჰკრა თვალი და შორიახლო აედევნა.

ლიამაც დაინახა დარაჯი. გამოუდგა.

ჯუჯამ მოჰხედა ბავშვებს, რაღაც საალერსო უთხრა, მერე ხელი გადაჰხვია ორივეს და მათთან ერთად გალავნის ნანგრევს მოეფარა.

— ნატო... — კვლავ წამოიწყო დათამ და ხელი ფრთხილად მოავლო მკლავზე ქალიშვილს.

ნატომ გაუღიმა პასუხად. მაგრამ სულ სხვა იყო ეს ღიმილი, — სათნო, ქალური...

დათა მიუახლოვდა. მეორე ხელიც მოჰხვია.

გაუღიმა ნატომ, ოდნავ დაჰხარა თვალები.

დათას ახლა გარკვევით ესმოდა ნატოს გულისძგერა, სახეზე მისი სუნთქვის სითბო შემოენთო...

უცებ ყურისწამღებმა ხმაურმა შეაკრთო ორივე.

გალავნის ნანგრევს მიაპყრეს თვალი.

სამრეკლოს ქვეშ იდგა ჯუჯა დარაჯი, თოკს ჩასჭიდებოდა და დროდადრო ღონივრად ეწეოდა ძირს...

იმავე თოკის ბოლოს ჩაჰფრენოდნენ გამხიარულებული გია და ლიაც, ზემოთ კი რიგრიგობით ზრიალებდნენ დიდი და პატარა ზარები...

— მწუხრის ზარია? — გაიღიმა ნატოს.

— შტერია ეგ უბედური! — მიუგო დათამ.

ერთმანეთს შეჰხედეს და სიცილი წასკდათ, გაუთავებელი, გულიდან მოვარდნილი სიცილი...

* *

გრძელი სატვირთო შემადგენლობა უძრავად გაწოლილა რკინიგზის მიწაყრილზე. მძიმედ ქშინავს და გუზგუზებს ორთქლმავალი. დროდადრო ალი გაკრთება სადღაც თვლებს უკან. ორთქლი შიშინით გამოდის ლოკომოტივის ვეება ფილტვებიდან.

კაბინის ფანჯარაში ხაწში შესულმა მემანქანემ გადმოიხედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბესო! — დაიძახა და როცა პასუხი ვერ მიიღო, თავისთვის ჩაიდუდუნა: — სად დაიკარგება ხოლმე მაინდამაინც აძვრის წინ! ბესო!

ბესო ხე-ტყით დატვირთულ ვაგონთან დგას. აქვეა თეოც... ბესო მოუსვენრათ იყურება ორთქლმავლისაკენ. სადაცაა მისცემენ გასვლის ნიშანს, მაგრამ რადგანაც ასე შემთხვევით გადაწყდა ბესოს, ეს ორიოდე წუთიც საკმარისია თეოსათვის დათას ამბის გასაგებად.

— დათა ძიამ თვითონ ითხოვა გადაყვანა, — უყვება ქალს ბესო და მაზუთში ამოსვრილ ხელებს ნავთიანი ჩვრით იწმენდს, — ახლა კახეთის გზაზე დადის.

— ისე ხომ კარგად არის? — ჩაჰკითხა თეომ.

— კარგად.

— უკანასკნელად როდის ნახე?

— სამი კვირა იქნება.

— სამი კვირა?

— კი.

— აჰა... სამი კვირა იქნება... ბავშვები როგორ ჰყავს?

— კარგად არიან.

— კარგად, არა?

— კი.

— გადია ხომ არ უშოვნია ბავშვებისათვის?

ბესო დაიბნა. ცოტათი შეყოვნდა, შემდეგ გაუბედავად უპასუხა:

— მგონი...

— აჰა... შენ რატომ არ ჩანდი ამდენ ხანს? — ხმა გაებზარა ქალს ბესოს შეყოვნებულ პასუხზე.

— შვებულებაში ვიყავი, ჩემს ბიჭთან...

— მართლა, როგორ არის შენი ამირანი, რამდენის გახდა?

— ორი თვის და ოცდაშვიდი დღის... — გაიბადრა შვილის ხსენებაზე თავიდან ფეხებამდე მაზუთში ამოსვრილი ბესო, — ექვს კილოს და ორას ორმოცდასამ გრამს იწონის. ამისთანა ბიჭია, ა!

ამ დროს ორთქლმავალმა დაიბღავლა. მძიმედ გაიუახუნეს ბუფერებმა.

— აბა... ადი, ადი! — წამოიძახა თეომ და უკან დაიხია.

ბესო ორთქლმავლისაკენ გაიქცა.

თეო მიწაყრილზე დაეშვა და იქვე, შორიახლო გაჩერდა.

მატარებელი დაიძრა.

ორთქლმავლის ფანჯარას გადმოეყუდა ბესო. თეოს რაღაცას უყვირის.

არ მესმისო, — ანიშნა ორთქლში გახვეულმა თეომ.

მაშინ ორივეს ხელისგული მოიმრგვალა პირთან ბესომ და თეოს გადმოსძახა:

— დათა ძიასთან ხომ არაფერს დამაბარებ, დათა ძიასთან...

თეომ გაიგონა. ოდნავ გაიქნია თავი უარის ნიშნად.

ბესომ ვერ შენიშნა ეს და კითხვა გაუმეორა.

ამჯერად ხელი გააქნია თეომ პასუხად: „არაფერს, ბესო, არაფერს“.

* *

რკინის ჭიშკართან მანქანა გაჩერდა. რიგრიგობით გადმოვიდნენ დათა, ნატო, გია და ლია. მათ ფაცხაფუტცხით გადმოალაგეს შპალიერის თოფები, ჭალი, საღებავის კოლოფები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია ყველაფერს ეპოტინება, ყველაფრის წაღებას ლამობს.

ნატომ ბარგი გაანაწილა.

ლიამ შპალიერის სამი თოფი ჩაიხუტა და პირველი შეკარდა ეზოში.

— რემონტი გვაქვს! — გამოუცხადა მან ონკანთან მოფუსფუსე ქალებს და კიბეს ხტუნვა-ხტუნვით აუყვა.

— ასე ახალგაზრდა? — განცვიფრება ვეღარ დამალა ხმელ-ხმელმა დედაკაცმა, როგორც კი ნატო ეზოში შემოვიდა.

— ეს ის არ არის, — ჩურჩულითვე მიუგო მეორემ და სხვებთან ერთად მოწიწებით მიესალმა დათას, — გამარჯობათ, ჩემო ბატონო!

დათამ და ნატომ კიბე აიარეს, აივანზე ავიდნენ და ოთახის ღია კარს მიადგნენ.

კართან კიბეებია მიყუდებული. იქაურობა კედლებიდან ჩამოფხრეწილი ქაღალდებით, კრიჩითა და სალებავებითაა მოფენილი.

გათხუპნული მღებავები გარეთ გამოსულან, წასასვლელად ემზადებიან.

— სურენ, სად მიდიხართ? — შუა აივანზე შეჩერდა ნატო.

— მოვრჩით რა, — მშვიდად მიუგო მღებავმა და ქამარს დასწვდა.

— რას ამბობ! — თვალით შპალიერზე ანიშნა ნატომ.

— ხვალ! ადრე მოვალთ, შვიდ საათზე. ჩვენი წესი ეგრეა.

— არა, შენი ჯირიმე, — შპალიერი მიაჩჩა მღებავს ნატომ, — დღეს როგორ არ მოათავეთ, გაგვიყდები.

— ვა, ეს ოვა? — ამხანაგს გადახედა მღებავმა.

— მიდი, მიდი! — თითქმის ძალით შეაბრუნა ნატომ მღებავები და თვითონაც შეჰყვა ოთახში.

ელიმება დათას, გაბადრულან ბავშვებიც: რა ყოჩაღი ვინმე ყოფილა ეს დეიდა ნატო!

* *

ნატოს მადლიანი ხელი დასტყობია დათას ბინას. ბრწყინავს და ქათქათებს ყველაფერი. დათა ქეჩაზე შემდგარა, ღონივრად უსვამს სარკესავით მოპრიალებულ იატაკს...

ლიას ასოები გამოჰყავს ორსაზიან რვეულში.

ნატო გიას მისჯდომია მაგიდასთან, ამეცადინებს.

— დღეს ისწავლე რამე, სანამ მე მოვიდოდი? — ეკითხება.

გია თავს აქნევს. ვერ გაიგებ, უარია თუ თანხმობა.

— ჰა? — კიდევ ჩაჰკითხა ნატომ. — რა გაკვეთილები გაქვს ხვალ?

გია იბღუზება, ფეხები ვერ გაუჩერებია მაგიდის ქვეშ.

— გააჩერე, ბიჭო ფეხები! — მიაძახა დათამ.

— რა გაკვეთილები გაქვს, — გაუმეორა ბავშვს ნატომ, — გეოგრაფია გაქვს?

გია მხრებს იჩეჩავს.

— შეეშვი, ბიჭო, ფეხებს! — ხმას აუწია დათამ.

— ქართული? — დაუყვავა ნატომ.

გია თავს იქნევს.

— რუსული?

გიამ ამაზედაც წაუყრუა.

— ბუნებისმეტყველება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიამ ამოიოხრა.

— რა, ხვალ დასვენების დღე გაქვთ?

— გადამრევს ეს ბავშვი პირდაპირ! — მაგიდასთან მიიჩრა დათა.

— მოიცა, დათა... — ქმარს ახედა ნატომ და ისევ გიას მიუბრუნდა. — კარგი. აბა აქედან დავიწყოთ. უკანასკნელად რა გაკვეთილი მოგცათ მასწავლებელმა გეოგრაფიაში?

გიამ წიგნს გადახედა და სადაც მოხვდა, იქ დაადო თითი.

— „მთის მდინარე და ბარის მდინარე“, — წაიკითხა ნატომ. — ისწავლე?

— ჯერ არა... — გამოტყდა გია და მალულად გახედა მაგიდის კუთხეში განაბულ დას.

— მაშინ წინა მასალა გავიმეოროთ. მერე ვისწავლოთ ეს. აბა გაიხსენე, რა არის მთა?

— მთა?

— ჰო, რას ეწოდება მთა?

— მთა... მთა ეწოდება...

— მთა არ იცი, ბიჭო, არ გინახავს? მთა!.. — შეუტია შვილს დათამ. — გადამრევს ეს ბავშვი!

— მოიცა, დათა... ბორცვი რა არის, გია?

— ბორცვი... ბორცვი ეწოდება...

ნატომ ფურცელი მიაწოდა.

— აბა დამიხატე ამაზე.

გიამ ფურცელი აიღო, ფანქარი მოიმარჯვა, გაუბედავად გაატარა ქაღალდზე, მერე შედგა უეცრად, ყურები სცქვიტა: სტვენა მოესმა. სული განაბა.

დათქმული ნიშანი განმეორდა.

ქუჩაში სამი ბიჭი დგას. რიგრიგობით უსტვენენ. მესამე სართულის ფანჯრებისაკენ იყურებიან.

საგონებელს მისცემია გია, რომელსაც მთა გამოჰყავს ფურცელზე. მისი სული და გული ძირსაა, ბიჭებთან. როგორ დაუძვრეს ახლა ხელიდან ამათ?

სტვენა კიდევ გაისმა.

გიამ ხერხი იხმარა: გადახაზულ ფურცელს ხელი დაავლო და წამოდგა.

— რას შვრები შენ? — გაოცდა დათა.

გია საცოდავად მოიკუნტა.

— ახლავე მოვალ... — წაილუღღლუღა და სახითაც გამოხატა, რომ ძალიან უჭირს...

აივანზე რომ გავიდა, ერთხელ კიდევ მოიხედა უკან და თავქუდმოგლეჯილმა კიბე ჩაირბინა, ქუჩაში გავარდა.

როგორც კი გამოსული დაინახეს, ბიჭებმა ერთი მოხედეს მას და ტროტუარს გაუყვნენ, წავედითო.

გია დგას.

— ვაჰ! — გაუკვირდათ ბიჭებს. — წამოდი, რა!

— სადა? — მიუახლოვდა მათ გია.

— კინოში. ჯადა გვპატიჟობს.

ბიჭებმა კნაჯა ყმაწვილს გადახედეს.

ყმაწვილმა ტკაცინა ათმანეთიანი შეათამაშა ხელში, დაახარბა გიას.

— ვერ წამოვალ! — მოულოდნელად მოჭრა გიამ. — მამაჩემია შინ.

— მერე რა, მიდი, უთხარი, ჩვენ დაგიცდით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იცი, რა კინოა? — თითი აბზიკა გრძელკისერა ბიჭუნამ და იქვე გაჩერდა მაშა, როგორ ფარიკაობენ ახალ კინოსურათში.

გიამ სინანულით ამოიოხრა, თავი გაიქნია:

— ვერ წამოვალ... დეიდა ნატოც სახლშია...

— წაყვდით! — გადაწყვეტით მიმართა თავის ძმაკაცებს ჯაგამ, გიას კი დამცინავად გადაჰხედა:

— მაგას დედინაცვალი გამოუშვებს? მე არ ვიცი, რანაირი ქალია?

გია აენთო. ჯაგას მიუახლოვდა, ღვარძლიანად ჰკითხა:

— რანაირიან?!

— რანაირიან?

— ჰო, რანაირია, თქვი!

— შენ არ იცი?

გია წამოიქოჩრა, მამლაყინწასავით ჩააშტერდა ჯაგას.

— თქვი, რანაირია!

— რას იფხორები, ე! — ცოტა არ იყოს ნირი ეცვალა ჯაგას, მერე ბიჭებს გადახედა: — კომენდანტმა თქვა, დათა ძიას ახალი ცოლი სიპატიურიაო. ძალიან სიპატიურიაო...

— სიპატიური? ვინ არის სიპატიური? — ეძგერა გია ბიჭს და მუშტი შემოჰკრა.

— ხელი აიღე! — ახლა აღარც ჯაგა დარჩა ვალში.

ისინი წამით მაშტერდნენ ერთმანეთს.

ბიჭებმა ჯერ მიიხედ-მოიხედეს, მერე ფილაქანზე აკოტრიალებულ მოჩხუბრებს მისცივდნენ.

მაგიდაზე კი იდო გეოგრაფიის გადაშლილი წიგნი.

— სად წავიდა ის ბიჭი ამდენ ხანს? — თქვა დათამ და წამოდგა. კარი გამოაღო. აივანზე გავიდა.

— გია! — დაიძახა. პასუხი რომ ვერ მიიღო, მოაჯირს გაჰყვა და მიადგა კარს, რომელსაც ფურცელი 00. მოსწია. დაკეტილია. დააკაკუნა კარზე. როცა პასუხი კიდევ ვერ მიიღო, უფრო მაგრად დაამრახუნა:

— რას აკეთებ მანდ ამდენ ხანს, ახლავე გამოდი გარეთ!

კარი ნელა, ძიგძიგით გაიღო...

— უკაცრავად, ბოდიში... ბოდიში, ბატონო... უკაცრავად... — ძლივს მოახერხა ეს დათამ და გამოტრიალდა.

საპირფარეშოს კარი კვლავ მიიხურა.

ბოლმაზე მოსული დათა ოთახში შევიდა.

— რა იყო, დათა? — მიაგება ნატომ.

— გადამრევს ეს ბიჭი პირდაპირ! მოგვატყუა... — ხელები გადაშალა დათამ.

ამ დროს კარი გაიღო. აქლოშინებული, მტვერში ამოვანგლული გია შემოიბღუზა.

— სად იყავი შენ?! — ჩაჰკითხა დათამ შვილს და მისრესილ-მოსრესილ ტანსაცმელს თვალი შეავლო.

გიამ ვერ გაუძღო მამის შემოხედვას, თავი დახარა.

— ამხანაგები იყვნენ... ქართულში რა გვაქვსო.

— აკი არ გქონდათ ქართული? — წინდაუხედავად ჩაურთო ნატომ.

— უ, შე! — გიასაკენ გაიწია დათამ, მაგრამ ამ დროს ნატო წამოხტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაფეთებული გია მის ზურგს ამოეფარა.

— დათ!.. — შეეკედრა ქმარს ნატო.

* *

თბილისის სადგურის ბაქანზე ჯიქურ მოაბიჯებს თეო.

თვალი გამოაყოლა მას ჩემოდნიანმა მგზავრმა. მოხედეს ვაგონის კიბესთან თავმოყრილმა ყმაწვილკაცებმაც.

შეჩერდა სადგურის მუშა, ვაგონის ბორბლებს რომ სინჯავდა გრძელტარიანი ჩაქუჩის კაკუნით: „ვინ არის ნეტავ ეს ტანაშოლტილი, მადლიანი ქალი?“

შემადგენლობის თავში წასასვლელად გამზადებული ორთქლმავალი გუზგუზებს.

დათა ბორბლებთან წახრილა, თბილი წყლის ონკანი მოუშვია, ხელს იბანს. უკან დაიხია, ონკანი დაკეტა და შემოტრიალდა.

ხელების წმენდით გაემართა ორთქლმავლის კიბისაკენ.

უცებ ჩრდილმა გადაკრა სახეზე. ჭრელი ცხვირსახოცი კინაღამ ხელიდან გაუვარდა.

ბაქანზე თეო მოდიოდა.

თითქოს ქალი პირველად დაინახესო, მას შემოჰყურებდა დიდი და პატარა.

აი, გამოსცდა საფოსტო ვაგონს, ცოტაც კიდევ და...

დათამ ჯიბეში ჩაიჩარა ცხვირსახოცი. კიბის სახელურს მოეჭიდა.

თეო კი წარბშეუხრელად მოდიოდა წინ. იგი ეერავის ამჩნევდა ხალხმრავალ ბაქანზე. საბარგო ვაგონს რომ გამოსცდა, ნაბიჯი შეანელა...

ის იყო, ზემოთ აიხედა, რომ სახე მოეკმუხნა.

ყურისწამლებად დაიღრიალა ორთქლმავალმა, რასაც ბუფერების ყრუ გრუხუნი მოჰყვა.

შემკრთალმა და ფერწასულმა თეომ უკან დაიხია.

მის თვალწინ ერთიმეორეზე ჩაიკროლეს მატარებლის ალაპარაკებულმა ბორბლებმა.

* *

გვიანი ღამეა. ბავშვებს სძინავთ. ნატო მაგიდას მისჯდომია. მეცადინეობს. დაღლილია, მაგრამ მაინც ეძალება წიგნს.

შორით ორთქლმავლის შეკივლება მოისმა.

ნატომ ყური მიუგდო, საათს გახედა.

ორი სრულდება.

ისევ მიუბრუნდა წიგნს. მერე, თითქოს რაღაც გაახსენდაო, წამოიწია, საგანგებოდ შეფუთნულ ჩაიდანს შეავლო ხელი მაგიდაზე, ხომ არ გაცივდაო, და კვლავ მეცადინეობა განაგრძო.

ფრთხილად შემოაღო დათამ კარი. შეყოვნდა. მაგიდასთან ჩათვლემილ ნატოზე შეაჩერა მზერა. კარი ასევე ფრთხილად მიხურა და გასაღები გადაატრიალა.

ნატო შეკრთა. მოიხედა. სახე გაუნათდა. წამოხტა. მიეგება დათას.

— ეს არის შენი სიტყვა? — უკადრებულა დათამ. — რატომ არ გძინავს?

— მძინავს... ხომ მეძინა... — შეკვნესა მონატრებულ ქმარს ნატომ, თვალი იმ სკამზე უყო, საიდანაც ის იყო ადგა, ქაღალდის პარკები ჩამოართვა და მაგიდაზე დააწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იქნება მთელი ღამე არ მოვდივარ, — საწვიმარი გაიხადა დათამ, — უნდა დაიძინო?

— არა! — კვლავ სიყვარულით გამოაჯავრა ქმარს ნატომ, საწვიმარი ჩამოართვა და ეშმაკურად ჩახედა თვალებში. — ცივა გარეთ?

— ეჰ! — ხელი ჩაიქნია დათამ და სამზარეულოსაკენ გასწია.

ნატომ ჩაი დასახა. პური, ძეხვი და კარაქი ახლო მოსწია ჭიქებთან. ნამცხვარს ხელსახოცი გადაჰხადა, რამდენიმე ნაჭერი ჩამოთალა.

დათა ხელების მშრალებით გამოვიდა სამზარეულოდან. საწოლს მიუახლოვდა. ბავშვებს დახედა.

— მოდი, — გვერდში ამოუდგა ნატო, — გაცივდა ჩაი...

— არ მინდა, — იუარა დათამ.

— რესტორანში იყავი?

— ლუდი დავლიე ცოტა, — იცრუა დათამ.

— ნამცხვარი მაინც გასინჯე... ხომ გიყვარს...

დათამ ნამცხვარი გამოართვა და სკამზე დაეშვა. ნატოც გვერდით მოუჯდა. თვალს არ აშორებს ქმარს.

— მე არ დამილევია ლუდი... — გაუღიმა და ჩაი მოწრუპა, — დათა! რა მოგივიდა?

— არაფერი! — უხალისოდ გასინჯა ნამცხვარი დათამ.

— აბა შემომხედე?

დათამ შეხედა.

— რაღაცა გაწუხებს... ხომ არაფერი შეგემთხვა?

— შემემთხვა. ავარია, მარცხი!..

— დათა!

— მკვდარი ხომ არა ვარ! ადამიანი ხან ასე იქნება, ხან ისე! — წამოდგა დათა და იქვე დაბალ ტახტზე ჩამოჯდა.

ნატო გაჩუმდა. პირთან მიტანილი ლუკმა უკანვე დაუშვა თეფშზე.

დათამ თავი ასწია. ქალს გადაჰხედა.

ხმის ამოუღებლივ იჯდა შალმოხურული ნატო, ტუჩებს იკვნეტდა.

იგრძნო დათამ: წყრომის ღრუბელი არ იყო იგი. ნატოს არაფრით დაუმსახურებია ეს. იგრძნო, მივარდა ცოლს, ხელი მოჰხვია და გულში ჩაიხუტა.

— მაპატიე, ნატო... მაპატიე... — ჩურჩულებდა თანაც.

ალერსით გულმონადირებული ქალი თითით დაემუქრა ქმარს და თითქოს აქ არაფერი მომხდარაო, კვლავ დინჯად განაგრძო:

— გიასთან ვიყავი დღეს...

— მერე?

— კლასის დამრიგებელს ველაპარაკე.

— რაო? — თავზე გადაუსვა ცოლს ხელი დათამ.

— უნდა დავანებო სწავლას თავი.

— რა?!

— მე ბევრი ვიფიქრე...

— რას ამბობ!

— ჰო, დათა... ჩვენი თვალი და ყური ახლა ჭირდება გიას. მერე გვიან იქნება. რა მოხდა, ავიღებ ერთი წლის აკადემიურ შვებულებას. ერთი წელიწადი გინდა აქეთ ყოფილა, გინდა იქით. საქმე ... ის ნამდვილად ასე აჯობებს...

— გაგიჟდი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სხვა გზა რომ არ არის? აბა, შენ ხომ ვერ მიატოვებ სამსახურს, ... უნდა ვიცხოვროთ...

— არა! — მტკიცე გადაწყვეტილებით გადააქნია თავი ღრმად ჩაფიქრებულმა დათამ. — მოიძებნება სხვა გზა, გამოჩნდება...

— დათა... — კიდევ რაღაცის თქმა დაუპირა ნატომ, მაგრამ ქმარმა გააწყვეტინა:

— შენ უნდა ისწავლო! გასაგებია? უნდა ისწავლო! და ძალიან გთხოვ, შეორედ ეგ სისულელე არ წამოგცდეს!

— დამიგდე ყური...

— არ მინდა, არა! ჩემი გიჟი, გადარეული, სულელი გოგო... არ მინდა! — ეჩურჩულებოდა დათა ქალს და სახეს უკოცნიდა.

* *

— სად მიდიხარ, დეიდა ნატო? — გასძახა ტროტუარზე სწრაფი ნაბიჯით მიმავალ ქალს ლიამ, ჭიშკარში გამოვარდა და ფინია ძაღლი, რომელიც აქამდე ხელში ეჭირა, ძირს ჩამოსვა.

— ამ წუთში მოვალ, გიას მოვიყვან. შენ ჭკუით იყავი. კარგი? — არ გაჩერებულა, ისე მოაძახა გოგონას ნატომ.

— მეც წამოვალ! — თვალები გაუბრწყინდა ლიას და ქალს უკან გამოუდგა.

— არა, ლია, ასე გამურული სად წამოხვალ! შედი ეგერ, თეკლე ბებიასთან. მე მალე მოვალ.

— თეკლე ბებიას სძინავს...

— აბა, მურას ეთამაშე.

— არ მინდა მე თამაში! — გული ამოისკვნა ლიამ და მხარში ამოუდგა ნატოს, — შენთან მინდა...

— ოჰ! — ამოიოხრა ნატომ, გოგონას ხელი ჩაავლო მაჯაში, ტანსაცმელი გზადაგზა შეუსწორა და სწრაფად გადაიყვანა მოპირდაპირე მხარეს.

მათ სირბილით გაიარეს ერთი ქუჩა, მეორე...

სკოლას მიადგნენ.

— მესამე კლასი გამოვიდა? — ჰკითხა ნატომ კართან მთვლემარე დარაჯს.

— რა ხანია, შვილო, — არ დაყოვნა მოხუცმა.

— კი, მაგრამ... — კვლავ რაღაცის კითხვა დაუპირა ნატომ, მაგრამ გადაიფიქრა.

უეცრად ბავშვების ყიჟინა მისწვდა მის სმენას.

ლია უკანვე გამოიტაცა და ქუჩა გადაირბინა.

ვიწრო ქუჩამ პატარა მოედანზე გაიყვანა ისინი.

მოედანზე გახურებული ფეხბურთია. ბიჭებს კარის ძელებად დაუხვავებიათ ჩანთები და ქუდები. თავგამეტებით დასდევენ ბურთს.

ნატომ თვალის ერთი გადავლებით შენიშნა, რომ გია არ არის მობურთალთა შორის.

— ომარ! — დაიძახა მან ნაცნობი ბიჭის დანახვაზე. — ომარ! — გაიმეორა კიდევ, რადგან მისი დაძახილი ვერავინ გაიგონა ამ ოროომტრიალში.

ომარმა უცებ მოიხედა. ხელი დასტაცა ბურთს, რომელიც აქამდე მარჯვეულ მიჰქონდა კარისაკენ და ნატოს მოაშურა.

ბიჭები მას დაედევნენ ყიჟინით.

— ომარ, გია სად არის, არ იცი? — მოახლოვებისთანავე ჰკითხა ბიჭს ნატომ, მაგრამ ომარს მოთამაშეებმა აღარ დააცალეს პასუხი, ბურთს წაეტანენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოიცათ, რა! — მუჯლუგუნით მოიცილა გაოფლილმა ომარმა. — ოდა დამსხმელები, — არ ვიცი, — მიუგდო ნატოს და გასაქცევად მოემზადა.

— მოიცა! — მაჯაში წაატანა ხელი ნატომ. — დღეს ხომ იყო სკოლაში?

— იყო.

— ვინა, ე? — იკითხა ვიღაცამ.

— გია, — მიუგო ომარმა.

— ჩიტა? — საეჭვოდ დაკუნტა თვალები მაისურაჩახეულმა ბიჭმა.

— ჰო, ჰო, ჩიტა!.. — ახლა მას მიუბრუნდა ნატო. — არ იცი, სად არის?

— ჩიტა, ჯაგა და ტარზანა საბანაოდ წავიდნენ, დიდუბეში.

— ხომ არ გაგიყდი?! — მოღეღილ საყელოში ჩააფრინდა ბიჭს ნატო, — საბანაოდ? — კიდევ ერთხელ ჩაჭკითხა განცვიფრებულმა და თითქოს მისი ბრალი ყოფილიყოს ყველაფერი, ყმაწვილი შეანჯღრია.

— დედა მომიკვდეს... — წახდა ბიჭი.

ნატომ ხელი უშვა მას, ლია გაიყოლა და სასწრაფოდ გასცილდა იქაურობას.

— ვინ არის, ე! — გონს ძლივს მოეგო მაისურაჩახეული ყმაწვილი.

— ჩიტას დედინაცვალია, — აგდებულად მიუგო ომარმა, ბურთს ფეხი გაჰკრა და მოედანზე ისევ გახურდა თამაში.

აჩქარებით მიაბიჯებს ნატო ფართო ქუჩაზე.

ლია ჩანჩალით მისდევს უკან.

— გამოადგი ფეხი! — შეუწყარა გოგონას ნატო.

ლია ნაბიჯის აჩქარებას ლამობს, მაგრამ მაინც საცოდავად მოჩანჩალებს.

— რა გითხარი მე! ხელში ხომ არ აგიყვან ახლა! — გზადაგზა განაგრძობს მოთმინებიდან გამოსული ნატო.

მათ სირბილით მიაღწიეს ტრამვაის გაჩერებას. ტრამვაი ის იყო დაიძრა. ნატომ ხელში აიტაცა ლია, კიბეზე დაკიდებულ ყმაწვილებს მიაწოდა, თვითონ კი სახელურს წაეტანა და მარჯვედ ასტა ზემოთ.

ყმაწვილებმა ერთმანეთს გადაჰხედეს, მერე ნატოს გააყოლეს თვალი.

ნატო სამმანეთიანს აწვდის კონდუქტორს.

— ხურდა არ არის! — უკან დაუბრუნა ფული კონდუქტორმა. — გაიარეთ! თქვენ — სამი?

კონდუქტორი ბილეთს ხევს და ხელში ჩრის ჭილისქუდიან მამაკაცს.

ნატო ხურდა ფულს ეძებს ჯიბეში.

— ახი არ არის, კისერი რომ მოიტეხონ?! — ბუზღუნებს ვიღაც ვაგონში.

— ჭკუას ისწავლიან! — კვერს უკრავს მეორე.

ნატომ ახლაღა შენიშნა: ყველა უკან იცქირება. თვითონაც მიიხედა და დაინახა: ვაგონის ბაქანს ზურგით აჰკვრიან გარედან ბიჭები. პაპიროსს აბოლებენ.

ბიჭებს შორისაა გიაც.

ტრამვაი თავბრუდამხვევი სისწრაფით მიჰქრის.

აიბნა ნატო... არ უნდა გიას დაენახოს.

— გააჩერეთ ტრამვაი! — კონდუქტორს მივარდა იგი. — ხედავთ...

— რას ამბობ, ქალო! — ზანტად მოიხედა კონდუქტორმა. — რამდენი ოხერი ტრამვაის დაეკიდება, იმდენი რომ ვაჩერო, ერთ რეისსაც ვერ გავაკეთებ დღეს. გგმას შენ შემისრულებ?

ნატომ ისევ ბაგეზე ბისაკენ მიიხედა, მტკიცე გადაწყვეტილებით მიიჭრა ზონრამდე, რითაც ზარი ირეკება ვატმანის კაბინაში, ლონივრად ჩამოსწია.

ისმის ზარის უწესრიგო ყღრიალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქალო!.. — ხელებში ეცა კონდუქტორი ნატოს.

ტრამვაი ჩერდება. მგზავრები უკან იხედებიან. ვერ გაუგიათ, რა მოხდა.

ნატო და ლია სწრაფად ჩამოდიან ძირს. ვაგონს შემოურბინეს.

გიას პირზე შეაშრა ღიმილი ნატოს გაფფრებული სახის დანახვაზე. ნატომ ხელი წაატანა მას, დანარჩენებმა თავს უშველეს.

ტრამვაი დაიძრა.

— ვინ არიან ესენი?! — სიბრაზისაგან კრიჭა ეკვრის ნატოს.

— თავი დამანებე! — ბუზღუნებს გია.

— ეგ არის შენი პირობა?

— საზიზღარი! — გამოესარჩლა ნატოს ლია.

— უ! — მჯიღი მოუღერა მას ბიჭმა.

— წამოდი! წამოდი, მამაშენი მოგირიგდება! — მკლავში ხელი ჩაავლო ბიჭს ნატომ და თუმცა ეს უკანასკნელი უძალიანდება და არ მიჰყვება, მაინც დასძრა ადგილიდან.

* *

ფართო ქუჩა. ქუჩაში დიდი მოძრაობაა.

სამსახურიდან გამოსული ზღვა ხალხი ნიაღვარივით მოედინება ყოველის მხრიდან.

მიდი-მოდიან მსუბუქი და საბარგო მანქანები, ტროლეიბუსები, ავტობუსები.

ყურთასმენა აღარ არის ირგვლივ...

ხალხით გაჭედილი ტრამვაი რახრახით მიექანება შუა ქუჩაში.

ღრმა ფიქრებში წასული დათა ფანჯრიდან გაჰყურებს ქუჩას.

აი, გაუსწორდა ტრამვაის ერთ-ერთი ავტობუსი...

დათამ მაშინალურად გადაიტანა მზერა ავტობუსზე. გარინდებულმა უყურა ერთხანს და უცად მთელი სხეულით შეტოკდა. თვალები გაფფართოვდა. „ნუთუ თეო! — გაუელვა მას. — ნუთუ!“

თეო ავტობუსის ფანჯარასთან ზის. თავჩაღუნული თავის საფიქრალს მისცემია...

თეომ იგრძნო დაჟინებული მზერა, მკვეთრად მოაბრუნა თავი და... თითქოს სილა გააწნესო, ისე წამოეთხო სახე.

დათას ნაძალადევი ღიმილი გაუკრთა თვალებში. ხარბად შეჰყურებს თეოს.

წამიერმა ღიმილმა გაანათა თეოს სახეც.

დათამ წამოიწია, ფანჯარას ჩაეშიდა ორივე ხელით. ეჯაჯგურება, მაგრამ ვერა და ვერ გაუღია.

ავტობუსი ნელა გასრიალდა წინ და ტრამვაის გაუსწრო.

ისევ სკამზე დაეშვა დათა.

ცოტაც და ტრამვაი კვლავ წამოეწია ავტობუსს.

დათა ფანჯრის მინას მიეკრა.

„როგორა ხარ, როგორ?“ — თითქოს ეკითხება იგი ქალს.

თეო თვალმოუშორებლივ შემოსცქერის...

„მე ჩამოვალ შემდეგზე, ჩამოვალ!“ — ანიშნებს დათა.

მაგრამ თეომ ვერ დაინახა: ამჯერად ავტობუსი უკან ჩამორჩა ტრამვაის...

ავტობუსი ნელ-ნელა უმატებს სიჩქარეს. წუთით ხელახლა გაუსწორდა იგი ტრამვაის. ტრამვაი უკან რჩება. ცოტაც და, მოჩვენებასავით გაჰქრება თეო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათა გონს მოეგო. ხელებით და სახის მთელი გამომეტყველებით ანიშნებს ქალს, რომ ჩამოვა შემდეგ გაჩერებაზე...

თეო თვალს არ აშორებს დათას.

ტრამვაი გაჩერდა. დათა ჩამოვიდა. მიაშურა ავტობუსს, რომელიც მოშორებით დგას გაჩერებაზე.

აი, უკანასკნელი მგზავრებიც ჩამოდიან ავტობუსიდან...

დათამ მიირბინა გაჩერებასთან.

ავტობუსი მის თვალწინ დაიძრა და გზა განაგრძო.

ჩამოსულთა შორის არა ჩანს თეო.

„ბევრი ხალხია, ალბათ ვერ მოასწრო ჩამოსვლა“, — გაიფიქრა დათამ და ჩაქარებული ნაბიჯით, თითქმის სირბილით აედევნა ავტობუსს...

თეო არც შემდეგ გაჩერებაზე ჩამოსულა.

* * *

არაჩვეულებრივი სიხარული ეწვიათ დღეს ბავშვებს. ეზოში ქუჩის მუსიკოსები შემოვიდნენ, შემოვიდნენ და მთელი უბნის გოგო-ბიჭობაც თან შემოიყოლეს.

ეზო ძლივს იტევს მაყურებლებს...

ხარიხებს უფროსებიც გადმოყრდნობიან.

ხანგამოშვებით ზემოდან გადმოვარდნილი ხურდა ფული გაიწკრიალებს ფილაქანზე.

კონცერტი გრძელდება...

აი, კიდევ ერთი დაგვიანებული მაყურებელი, შავტუხა ბიჭი შემოვარდა ეზოში. აქლოშინებული მიიკვლევს გზას, თითქოს მისთვის შენახულ ადგილს ეძებდეს პირველ რიგში.

აჰა, დაინახა! გიას მიუახლოვდა, ნიდაყვი გაჰკრა:

— მამაშენი მოდის!..

— სად? — შეკრთა გია, ჭიშკარს გახედა.

— გასტრონომის წინ დავინახე...

— რა იყო? — ყურები დასცქვიტა ლიამ.

— მამაშენი მოდის! — ახლა იმას გადაუგდო შავტუხა ბიჭმა და ისევ გიას მიუბრუნდა. — ყველაფერს ეტყვის ის შენი დედინაცვალი...

გია აფორიაქდა. ფილაქანს ჩაშტერდა. კეფა მოიფხანა. ამბის მომტანს შიშნაჭამი თვალები შეავლო და:

— ლია! — დაიძახა, მაგრამ გოგონამ ვეღარ გაიგონა.

მას მაყურებელთა რკალი გაურღვევია და გახარებული ასძახის ზემოთ:

— დეიდა ნატო! დეიდა ნატო! მამა მოდის!

მოაჯირთან მომდგარმა ნატომ მხოლოდ კაბის ბოლოს მოატანა თვალი: ლია ჭიშკარში გავარდა.

გიამ მოუსვენრად გააყოლა მზერა, მხრები აიწურა და ნირწამხდარი ლასლასით წავიდა ჭიშკრისაკენ.

ქუჩის კუთხეში დათა გამოჩნდა.

გამოქანებული ლია ისე დაეკიდა მის კისერს, რომ ფეხიც არ დაუკარებია ბიწაზე.

— მომეცი, ამას მე წამოვიღებ!

— მძიმეა, მამა, ვერ შეერევი. აი, ის პარკი ამოიღე.

ლიამ ფრთხილად ამოიღო ბადიდან ქაღალდის პარკი, თავი გადაუხსნა და წამოიძახა:

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— რამდენი დათუნიები!

ისინი ჭიშკარში შევიდნენ.

— გია! — დაიყვირა გოგონამ.

— რა იყო? — გაუბედავად მიუგო დას ჭიშკართან ატუზულმა გიამ.

— აბა შენ! — კამფეტი გადმოუგდო ლიამ პასუხად.

კამფეტი ასცდა გიას ხელს, მტვრიან ფილაქანზე დაეცა.

გიამ აიღო, სული შეუბერა.

— უ, შე დოყლო! — გამოაჯავრა დამ.

— ჰა, გამომართვი! — ბადე გაუწოდა ბიჭს დათამ და გზა განაგრძო.

უხალისოდ მიმავალი გია კიბესთან შეყოვნდა.

— რა იყო, ბიჭო, ხომ არაფერი გტკივა? — ახედ-დახედა დათამ.

— არა... ცოტა ხურდა მომეცი რა... — [illegible]ისაზრა გიამ და მუსიკოსებს გადახედა.

დათამ ჯიბე მოიჩხრიკა.

— ერთი საათია უკრავენ... — განაგრძო გიამ ხურდის მოლოდინში, ბოლოს გამოართვა მამას ფული, ბადე უკანვე მიაჩეჩა და მუსიკოსებისაკენ მოჰკურცხლა.

დათამ გზა განაგრძო კიბეზე.

— რაო? — დაეტაკა გიას შავტუხა ბიჭი.

გიამ მხრები აიჩეჩა. ქურდულად გააპარა თვალი აივნისაკენ. შავტუხა ბიჭმაც იქით გაიხედა.

ნატო აივანზე გამოეგება ქმარს. წინსაფარზე შეიწმინდა ფქვილით გათეთრებული ხელები, ბადე და პარკი ჩამოართვა...

— დეიდა ნატო! — დაიყვირა ლიამ. — აბა, თვალები დახუჭე!

ნატომ თვალები დახუჭა. ლიამ შოკოლადის დათუნია ჩაუტენა პირში.

— ახლა გაახილე!

ნატომ თვალები ჩაუპაჭუნა.

ლია ჩამოცურდა მამის მკლავზე და ძირს ჩამოხტა.

— მეც მომეცი, მამა, ხურდა ფული...

დათამ კიდევ მოიჩხრიკა ჯიბეები.

— აღარა მაქვს მეტი.

— ყველამ მისცა და...

— აბა, ამ ჯიბეში ნახე... — მიუბრუნდა გოგონას ნატო.

ლიამ ხურდა ფულს მიაგნო. გახარებული დაეშვა კიბეზე.

დათამ და ნატომ ჯერ იმას გააყოლეს თვალი, მერე ერთმანეთს გაუღიმეს და ოთახში შევიდნენ.

ქვემოთ კი გრძელდება ქუჩის კონცერტი... ახლა ქართულ რომანსს ეძიებენ ლავაებ ხრინწიანი აკორდეონისტი.

— კარგად დაუგდე ყური... — შავტუხა ბიჭის თანდასწრებით ეჩურჩულება გია დას კიბის ძირში, — თუ რამე უთხრას, იმ წუთში ჩამოდი.

— მე ჯაშუში ხომ არა ვარ! — არ ეთმობა კონცერტი ლიას.

— ადი, რომ გეუბნები! — შეუტია ძმამ და თვალები დაუბრიალა.

ახლა კი ვეღარ გაბედა უარი ლიამ. ბუზღუნით დაიძრა.

გია და შავტუხა ბიჭი წინ გაძვრნენ. ყასიდად მიუგდეს ყური მუსიკას, თვალი კი მესამე სართულის აივნისათვის ვერ მოუშორებიათ.

მუსიკა შეწყდა.

გია მუსიკოსებს მიუახლოვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კიდევ დაუკარით რა, ძია... აი, ფული! — ხურდა ააჩხრიალა მან ხელში და ბრმა მევიოლინეს ქუდში ჩაუყარა. — დაუკარით რა...

მუსიკოსებმა ყური არ ათხოვეს მის მუდარას, აუჩქარებლად აიკრეს ბარგ-ბარხანა, მაღლობის ნიშნად ქუდი მოუხადეს მოაჯირზე გადმომდგარ მობინადრეებს და ჭიშკარს მიაშურეს.

ეზო დაცარიელდა. დარჩნენ მხოლოდ ორნი: გია და შავტუხა ბიჭი. ერთიც საგონებელს მისცემია, მეორეც.

აი, მათაც დააპირეს გაყოლა, რომ:

— გია! — გაისმა აივანზე.

ბიჭებმა ზემოთ აიხედეს.

— მამა გეძახის... ამოდი! — ჩამოსძახა ლიამ.

დათაც ამ დროს ამოუდგა გვერდით გოგონას.

— ვერ ხედავ, რომ ველაპარაკები? — ასძახა გიამ და შავტუხა ბიჭზე ანიშნა — მელაპარაკე რა!..

— რა გელაპარაკო?

— რაც გინდა.

— აბა რა ვიცი.

— ლექსი თქვი.

— ლექსი?

— უ ჰ! — ამოიოხრა გიამ. — ისევ იქა დგას?

შავტუხამ აიხედა.

— დგას.

— გია! — ახლა დათას ხმა მოისმა ზემოდან.

მეხივით დაეცა ეს ხმა გიას. თავაუღებლივ მოშორდა ამხანაგს და კიბისაკენ წავიდა. ფრთამოტეხილივით აუყვა კიბეს.

მარტო დარჩენილი შავტუხა ბიჭი თანაგრძნობით აჰყურებს მას.

გია ზემოთ ავიდა, ორიოდე ნაბიჯი გაიარა აივანზე, მერე თავი ასწია და იქვე გაშეშდა.

მოაჯირზე ნიდაყვდაყრდნობილმა დათამ გრძელი ქამარი შემოიხსნა და გაკვირვებული სახე მიაპყრო შვილს:

— რას გაჩერდი?

გიას ქამრისათვის ვერ მოუცილებია თვალი. სიმწრის ოფლი ასხამს.

დათა ქამარს ახვევს ხელში...

— მოდი, გია... — თანაც ალერსიანად ეუბნება შვილს.

ერთ ადგილზე მილურსმული გია ვერ ბედავს განძრევას.

დათამ ქამარს დახედა და:

— ლია! — დაიძახა.

აივანზე ფქვილში ხელებამოსვრილი ლია გამოვარდა. ჯერ დათას შეჰხედა, მერე გიას.

— გამომართვი ეს... — უთხრა გოგონას დათამ და გორგალად დახვეული ქამარი გაუწოდა, თვითონ კი გიას მიუახლოვდა.

— მოდი, გია... მოდი, შვილო, — ხელი გადაჰხვია ბიჭს და მიიზიდა, — დეიდა ნატომ ყველაფერი მითხრა... კარგად სწავლობსო, კარგად იქცევაო, ყველაფერს მიჯერებსო... აგრე არ ჯობია? — უფრო მიიხუტა დათამ შვილი. — ყოჩაღ!

გოგნებულმა გიამ დას გახედა.

ზღურბლზე ნატო გამოჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა იმას მიაპყრო გიამ დამფრთხალი თვალები.
ვერაფერი გაუგია: რა მოხდა ნეტავი, რა ამბავია მის თავს?

* *

მზიან კვირადღეს აუარბელი ხალხი გამოუყვანია თბილისის ქუჩებში...

დათა გაჰირვებით მიიკვლევს გზას. გიასათვის მაგრად ჩაუვლია ხელი, რომ ხალხში არსად დაეკარგოს.

მაღაზიების წინ სახელდახელო დახლებზე გაუშლიათ წიგნები, ჭურჭლეულობა, ქსოვილები, ათასგვარი საქონელი. ყოველ გზაჯვარედინზე ყიდიან მფრინავ ბურთებს...

დედებს თუ ბებიებს ჩვილი ბავშვები გამოუყვანიათ სასეირნოდ. ნებანება მოაგორებენ ოჟიორებს...

აგერ, ველოსიპედზე ამხედრებულმა ბიჭმა ჩაუქროლა დათას და გიას.

მამა-შვილი შეჩერდა. თვალი გააყოლეს ველოსიპედს, შემდეგ ერთმანეთს გადახედეს და გზა განაგრძეს....

აი, შევიდნენ უნივერმაღში.

— მეორე სართულზეა, მამა.... — შეახსენა დათას გიამ.

კიბეს აუყვნენ. გვერდი აუქციეს სავაჭროების წინ შეჯგუფულ ხალხს და თოკით გადაღობილ კიბეს მიადგნენ, სადაც მრავალნაირი მოტოციკლეტები და ველოსიპედებია ერთმანეთის გვერდით ჩამწკრივებული.

გია ხარბად ათვალიერებს ველოსიპედებს.

— თუ შეიძლება, საბავშვო ველოსიპედი მაჩვენეთ, — თოკს გადაღმა გადაულაპარაკა დათამ გამყიდველს.

— მობრძანდით! — თოკი ასწია გამყიდველმა და მამა-შვილი შიგ შეუშვა.— აირჩიეთ...

გიამ ერთი-ორჯერ აუარ-ჩაუარა ველოსიპედების რიგს. ვერ გადაუწყვეტია, რომელს დაადოს ხელი.

— ჰა, მამა, ვერ აირჩიე? — ჩაჰკითხა დათამ შვილს. — თუ ყველა წავიღოთ შინ?

კმაყოფილმა გიამ მამას ახედა და გაუღიმა.

— აი, ეს! — გადაწყვიტა მან ბოლოს და ერთ-ერთ ველოსიპედს საჭეზე მოავლო ხელი.

— მოგწონს?

— კარგია! — დარბაისლურად მიუგო გიამ.

— ფანარი რომ არა აქვს?

— პირველ სართულზე, მარჯვნივ, რამდენიც გინდა! — არ დაახანა გიამ.

— ჰოო? — გამყიდველს გადახედა პირმომღიმარე დათამ. — კარგი! მაშინ გამოგვიწერეთ.

გამყიდველმა ქვითარი გამოწერა და დათას მისცა.

— აქ იყავი, მამა, შენ, მე ამ წუთში მოვალ! — მოუბრუნდა ბიჭს დათა, გამყიდველს ქვითარი გასოართვა და სალაროსაკენ წავიდა.

სალაროსთან გრძელი რიგია.

დათა რიგში დგას. დროის მოსაკლავად გადაჰყურებს ქუჩას, რომელიც ხელისგულივით მოჩანს მინის კედელს გადაღმა...

ქუჩაში ფუტკარივით ირევა ხალხი. მიდი-მოდიან მანქანები, ავტობუსები, ტროლეიბუსები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათა შეკრთა. თვალები დააშტერა ქუჩას. მის წინ ერთბაშად დატრიალდა ყველაფერი. რიგიდან გამოვარდა. მინის კედელს მიადგა.

გზაჯვარედინზე თეომ გაიარა და კუთხეს მოეფარა.

დათა უმალვე შემობრუნდა, ჯიკავ-ჯიკავით გაიკვლია გზა, კიბეს მიაშურა, ქვემოთ ჩაირბინა და ქუჩაში გავარდა.

მსწრაფულ გადასვრა ქუჩა. სირბილით დაადგა იმ გზას, რომელზედაც ერთი წუთის წინ თეომ გაიარა.

აი, წაადგა იგი სხვა, ხალხმრავალ გზაჯვარედინს.

შეჩერდა. იქაურობას მოავლო თვალი.

„საით წავიდოდა?“ — გაუელვა.

ალაბედზე მიჰყვა ქუჩას.

აი, დაინახა თეო!

იგი მეორე მხარეს გადადის.

— თეო!

დათას მოეჩვენა, რომ მთელი ხმით დაიღრიალა ეს, მაგრამ თეომ ვერ გაიგონა. გაღმა გადავიდა და გზა განაგრძო...

დათამ გადაუხვია, მაგრამ სწორედ ამ დროს მანქანების მთელი კოლონა გაიჭიმა შუა ქუჩაში.

წუთით შეყოვნდა დათა. მერე მანქანებს აღარ დაერიდა და თვალის დახამხამებაში გადასტრა ქუჩა.

— თეო! — ერთხელ კიდევ გასძახა მან, მაგრამ ქალმა ახლაც ვერ გაიგონა.

დათამ ნაბიჯს აუჩქარა. მისთვის მხოლოდ თეო არსებობს ახლა, მხოლოდ თეო, სხვა არაფერი. აფორიაქებული მიისწრაფვის თეოსაკენ, რათა უთხრას, გააგებინოს, რომ ის — დათა — არ არის დამნაშავე, რომ სხვანაირად არ შეიძლებოდა, რომ მას, დათას, თეოსავით არავინ ჰყვარებია ქვეყანაზე, რომ ამ სიყვარულს ვერავითარი ძალა გადაათქმევინებს...

აი, წამოეწია დათა თეოს.

— თეო... — ახლა უკვე ჩურჩულით უთხრა მას და როდესაც ქალი არ გაჩერდა, ფრთხილად შეეხო მის მკლავს.

— ბოდიში... — აღმოხდა უცებ. ადგილზევე გაშეშდა.

გაკვირვებულმა უცნობმა ქალმა მოხედა მას და, თითქოს რაღაცას მიხვდაო, წაიჩურჩულა:

— არაფერია... ხდება ხოლმე... — და გაშორდა.

სამწრის ოფლი მოიწმინდა დათამ. მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ველოსიპედის ქვითარი ხელში შერჩენია. დახედა, შემოტრიალდა და აჩქარებით გაუყვა ქუჩას.

* *

მთვარის შუქი ოდნავ ანათებს ოთახს...

ტკბილ ძილს მისცემიან გულმოღეღილი გია და ლია...

სძინავს ნატოს...

დათას ბალიშში ჩაუმხვია სახე, მოუსვენრად წრიალებს. ამოიოხრა, მძიმედ იცვალა გვერდი.

ოთახში სიჩუმეა...

კედლის საათი მონოტონურად ითვლის წუთებს.

სადღაც შორს ჭრიალებენ დაგვიანებული ტრამვაის თვლები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათამ ხელი გადაიწვდინა, ფათურით მონახა პაპიროსი და ასანთი. ᲒᲐᲛᲬᲘᲠᲣᲚᲘᲐ კიდევ გაჰკრა, მოუკიდა, თვალები დახუჭა და პაპიროსის კვამლში გახვეულმა შუბლზე მწარედ გადაისვა ხელი.

მონოტონურად ითვლის წუთებს საათი...

დათა ლოგინზე წამოჯდა. გაირინდა. მერე ბავშვებს გადახედა.

მშვიდად სძინავთ გიას და ლიას...

ახლა ნატოზე გადაიტანა მზერა დათამ.

სძინავს ნატოს...

დათამ ერთხელ კიდევ მოისვა მჯიღი შუბლზე. ნახევრადდამწვარი პაპიროსი ჩააქრო. მეორე აიღო. ასანთი გაჰკრა. არ მოეკიდა. კოლოფს წაეტანა. ცარიელია. გამოიღო პირიდან პაპიროსი. კოლოფს დაასრისა.

— რა იყო, დათა? — ნატოს მოულოდნელმა ხმამ შეაკრთო იგი.

— არაფერი... ასანთს ვეძებდი... — ძლივს იპოვნა პასუხი დათამ.

— წინათ რომ არ ეწეოდი ამდენს?

— ახლა ვეწევი!

— დათა!..

— დწექე, დაიძინე!

— დათა... მე შენ ვეღარა გცნობ, რა მოგვიდა? სულ გაღიზიანებული ხარ, ნერვიულობ...

— დავიღალე, — დამარცვლა დათამ, — გაიგე? დავიღალე!

— სამსახურში ხომ არ გაწყენინეს?

— ოჰ! — ამოიოხრა დათამ, გვერდი იცვალა და საბანი გადაიხურა.

ნატო დიდხანს დაჰყურებდა მას, მერე თვითონაც დაეშვა სასთუმალზე და მეორე მხარეს გადაბრუნდა. ცრემლი ნაკადად დაეშვა მის ღაწვებზე, სასთუმალი დაასველა...

ოდნავ გაიჯრიალა საწოლმა.

ნატომ დათას ხელი იგრძნო სახეზე.

დათა სწრაფად გადმობრუნდა მისკენ, ჩაეხვია და კოცნა დაუწყო.

— მაპატიე, ნატო, შენი ჭირიმე, მაპატიე... — ჩურჩულებდა იგი, — ყოველთვის ერთ გუნებაზე ხომ არ იქნება ადამიანი...

— სტყუი, დათა, — ჩურჩულითვე უპასუხა ქალმა, — მე ტყუილს ვერ მოვითმენ... ნუ მომატყუებ...

— ჩემო გოგო, ჩემო პატარა გოგო, ჩემო ღმერთო... — ემუდარებოდა თავადაც ცრემლმორეული დათა ქალს და სახეს უკოცნიდა.

* *

ᲭᲣᲞᲐ-ᲭᲣᲞᲐ, ᲒᲔᲜᲐᲪᲕᲐᲚᲔ,
ᲘᲚᲘᲕᲚᲘᲕᲔ,
ᲘᲡᲠᲘᲐᲚᲔ,
ᲐᲢᲧᲣᲞᲣᲜᲔ ᲮᲔᲚᲘ, ᲤᲔᲮᲘ,
ᲘᲭᲧᲣᲛᲞᲐᲚᲔ,
ᲘᲤᲐᲠᲗᲮᲐᲚᲔ!

სიცილ-კისკისით მელეგსეობენ ნატო და ლია.

ტანგასაპანული ლია თუნუქის აბაზანაში ჩამდგარა.

დათა წყალს უსხამს, ნატო ბანს, თან გოგონასთან ერთად განაგრძობს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გია, გია,
აბა, ჩქარა,
მოგვეხმარე,
მოგვეშველე!
ეს ბალღი არ გაგვიცივდეს,
მალე, წყალი გაანელე!

გია სამზარეულოდან გამოვარდა. ტოლჩით ცივ წყალს მოარბენინებს. წვრილი კამარით ასხამს ვედროში.

— ეყოფა! — მოიხედა დათამ, ვედროდან წყალი ამოიღო და ლიას დაუსხა. ნატომ საპონი გააცალა გოგონას, მერე ერთხელ კიდევ წაუსვა, ააქაფა.

ჭუპა-ჭუპა,
ჭუპა-ჭუპა!
დათვი მჭლე და
შენ მსუქანი!
გაივსე და
გაჩახჩახდი,
შეგემატოს
დღე და ჯანი! *

ნატომ ლია წამოაყენა. დათა ვედროს სწვდა და დარჩენილი წყალი მთლიანად გადაასხა თავზე გოგონას.

გიამ ზეწარი მიაწოდა ნატოს, ამ უკანასკნელმა კი შიგ გაახვია ბავშვი, ხელში აიყვანა და გაშლილ საწოლზე გამშრალება დაუწყო.

— ახლა ჩვენი მენახშირის რიგია! — გაბრწყინებული თვალები შეანათა ძმას ლიამ.

გიამ მუქარით გამოჰხედა და ცარიელი ვედრო მიუმარჯვა აბაზანას, რომელიც ის იყო, დაფარდა დათამ.

— დეიდა ნატო, დეიდა ნატო! — თვალებში შეაჩერდა ლია ქალს. — ძალიან გიყვარვარ?

— როდესაც ჭკუით იქცევი — მიყვარხარ, როცა მაჯავრებ — არა!

— მე კი ყოველთვის მიყვარხარ! — ამოიოხრა ლიამ.

ნატომ აკოცა გოგონას.

სწორედ ამ დროს კარის კაკუნი მოესმათ.

— არ შეიძლება! — წამოიყვირა ლიამ.

— არა, ლია, ახლა შეიძლება, — საბანი შემოუკეცა ნატომ გოგონას, წამოდგა და კარი გააღო.

აივანზე უცნობი ქალი იდგა.

— დათა შინ არის? — იკითხა მან.

— დიახ, შინ არის. მობრძანდით! — გზა დაუთმო სტუმარს ნატომ და ქმარს გასძახა: — დათა!.. ბოდიშს ვიხდი, ასე არეულები რომ ვართ... ბავშვი ვაბანავეთ... — მოკრძალებით განაგრძო შემდეგ და მოსიყვარულე თვალები ლიას მიაპყრო.

---

* ლექსი გ. ქუჩიშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამით ღიმილმა დაისადგურა უცნობის სახეზე. იმანაც გახედა ლოგინზე წამომჯდარ გოგონას, მაგრამ ბავშვის დაკინებულმა მზერამ შეაშფოთა, ააწრიალა. მან კიდევ სცადა გაღიმება, მაგრამ ახლა საწოლსა და ტახტს შუა გახირულ გიას მტრულ თვალებს წაეწყდა.

— თეო!.. — მუხლმოკვეთილივით შეჩერდა დათა სამზარეულოს კარში. იატაკის საწმენდი ჯოხი თითქოს ხელთ შეაცივდა. წამით ნატოს მიაპყრო თვალები. მერე ისევ თეოს შეხედა და ენა ძლივს მოიბრუნა: — ეს... ჩვენი თანამშრომლია... თეო...

თითქოს რაღაც ენიშნაო, ნატომ ჯერ ქმარს შეხედა, შემდეგ სტუმარს გაუღიმა და მოსასხამის ჩამოსართმევად მიუახლოვდა.

— ჩემი მეუღლეა... — ნატოზე გადაატანა მზერა დათამ.

თეო შეკრთა. მის სახეზე ერთბაშად გაჰქრა ღიმილის ნაკვალევი.

ნატომ თვალი შეავლო ძვირფასად ჩაცმულ, მომხიბლავ სტუმარს და... შერცხვა, გაწითლდა... თავის იაფფასიან ჩითის კაბაზე დაიხედა, აქა-იქ შერჩენილი სანინს ქაფი მოაცილა წინსაფარს და სტუმარს აბნეულად მიმართა:

— გაიხადეთ, გაიხადეთ...

— არა, არა, მე მალე უნდა წავიდე... — იუარა ნატოს ხმის გაგონებით გონზე მოსულმა თეომ.

— დათა! — ქმარს მიუბრუნდა ნატო, იატაკის საწმენდი ჯოხი ჩამოართვა, სასწრაფოდ მოუსვა სველ ადგილებს, მერე აბაზანა აიღო, — ბოდიში... მე ახლავე... — ერთხელ კიდევ გაუღიმა სტუმარს, რომლის სახის ცვლილება ახლაც ვერ შეენიშნა, გზად თვალი უყო გიას და მასთან ერთად სამზარეულოსაკენ გასწია.

გიამ ერთხელ კიდევ მოჰხედა თეოს, სამზარეულოს კარი მიიხურა.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.

თეომ თავი ასწია.

დათა თვალებში ჩაეჩერდა მას. სახეზე ნაძალადევი ღიმილი უთამაშებს.

ღიმილშივე გაქვავდა თეო.

ასე გასტანა ერთხანს...

ბოლოს თეომ ღონე მოიკრიბა და წაიჩურჩულა:

— მაპატიე, დათა.

დათამ ოდნავ დახარა თავი.

— დათა?! — გაისმა ამ დროს.

წინსაფარშემოხსნილი ნატო სამზარეულოდან გამოვიდა და გაოგნებულმა სტუმარს მიაშურა, რათა მოსასხამის გახდაში მიხმარებოდა.

— ბოდიში... მატარებელზე დამაგვიანდება... ნახვამდის... — თვალი ვერ გაუსწორა სტუმარმა ნატოს და უნებლიედ ძირს დაიხედა, — როგორ დაგისვარეთ იატაკი...

— არა უშავს... — აივანზე გააყოლა სტუმარს ნატომ. — დათა, გააცილე სტუმარი! — წასჩურჩულა შემდეგ ქმარს.

დათამ ახლაღა მოისაზრა, რომ გაცილება აუცილებელი იყო, მოუსვენრად მიიხედა-მოიხედა და:

— გია, წამოდი, გავაცილოთ დეიდა, — თითქოს საშველად მოუხმო შვილს.

— რა ლამაზია! — აღმოხდა ნატოს.

დათამ ხელი ჩაავლო გიას და კარს ეცა.

ნატო შემობრუნდა, კარი მიხურა და იატაკს ჩააშტერდა. ცრემლით აევსო თვალები.

ნუთუ ეს ქალია დათას უცნაური საქციელის მიზეზი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნებურად ისევ ძირს დაიხედა.

სუფთად მოწმენდილ იატაკს მოულოდნელი სტუმრის ტალახიანი ნაფეხურები დამჩნეოდა.

ნატომ ჯვალო გამოიტანა სამზარეულოდან, ჩაიმუხლა და ფიქრში წასული უცნობი ქალის ნაფეხურების მოწმენდას შეუდგა.

* *

ჩაგმანულ ფანჯრებს თქრიალით აწყდება კოკისპირული წვიმა. მსხვილი წვეთების მონოტონურ კაკუნზე ჩასძინებია პატარა ლიას.

მოლოდინისაგან იმედგადაწყვეტილი ნატო ფანჯარას მოსწყდა და სამზარეულოში გავიდა. ადუღებული წყლით სავსე ქვაბი ჩამოდგა, ნავთქურა ჩაქრა, მერე პალტო გადაიცვა, გიას და დათას პალტოები მკლავზე გადაიკიდა, ერთხელ კიდევ დახედა მძინარე ბავშვს და სწრაფად გავიდა ოთახიდან.

„ვითუ რამე შეემთხვა?!“ — შფოთიანად გაიფიქრა მან და თითქმის სირბილით გაიარა ერთი ქუჩა, მეორე...

სადგურს მიუახლოვდა...

ყურისწამღებად ხრიალებდნენ რეპროდუქტორები, იქაურობას იკლებდა საცეკვაო მუსიკა.

მკრთალად განათებულ ბაქანზე ნატომ შორიდანვე შენიშნა დათა და გია. შეჩერდა. შვებით ამოისუნთქა. მიუახლოდა და... სახტად დარჩა.

— დეიდა ნატო! — აღმოხდა გიას მის დანახვაზე.

— სირცხვილია, მოქალაქე, ბავშვის მიტოვება, ისიც სადგურზე. ამისთანა უყურადღებობით იღუპებიან ბავშვები! — უსაყვედურა მილიციელმა, მაგრამ ნატოს ყური აღარ უგდია მისთვის, აცრემლებულ ბავშვს ორივე ხელი ჩაავლო და თვალებში ჩახედა.

— გია... სად არის მამა?.. მამა სად არის?

— წავიდა... — სული ძლივს მოითქვა ბავშვმა.

ნატო შეკრთა.

— წავიდა? სად, როგორ, რა თქვა?

— არაფერი... შეახტა მატარებელს და წავიდა...

— რა თქვი?

— მატარებელს შეახტა...

— კი მაგრამ, შენ?

— მე და მამა ერთად ვიდექით...—სლუკუნ-სლუკუნით განაგრძო ბიჭმა,— როცა მატარებელი დაიძრა, იმან ხელი დაუქნია... მშვიდობითო... მამა მატარებელს შეახტა და წავიდა...

— წავიდა... — უანგარიშოდ გაიმეორა ნატომ, დაცარიელებულ ბაქანს თვალი მოავლო, მერე ბავშვს პალტო ჩააცვა, მაჯაში ხელი ჩასჭიდა და გოგონებული წვიმიანი ღამის ბინდბუნდში გაუჩინარდა.

ყურისწამღებად ხრიალებდა რეპროდუქტორი, იქაურობას იკლებდა საცეკვაო მუსიკა...

* *

ძინავთ გიას და ლიას...

გაცივებული ოთახის შუაგულში ტაბურეტზე ჩამომჯდარა გულხელდაკრეფილი ნატო. ცრემლგამშრალი და გაფითრებული უაზროდ მისჩერებია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოჩემებულ წერტილს. რაღა დაგრჩენია ამ სახლში, ვიღას უცდი, ვიღას ელოდ-
დები? გათავდა... ის წავიდა... აღარ დაბრუნდება. აღარ დაბრუნდება ამ ოჯახში
რომ არასდეს არ ყვარებიხარ. აღარ დაბრუნდება იმიტომ, რომ მას ყოველ-
თვის სხვა უყვარდა, სხვა უყვარდა ყოველთვის... იმას დაუტოვა გული, გრძნო-
ბა, სითბო, სინაზე... შენ კი, საცოდავო, სულელო გოგო, მოსამსახურედ შე-
მოგიყვანა. შენს კუჭაზე გადიას ვერ იშოვნიო, — გახსოვს? ჩიოდა... შენ გი-
შოვნა — მომნდობი, უბირი, გულუბრყვილო, გიშოვნა და წავიდა თავისი გზით.
რაღა გაკავშირებს ახლა იმ ადამიანთან?! არაფერი. რაღა გაკავშირებს ახლა ამ
ბავშვებთან, ასე ტკბილად და უდარდელად რომ სძინავთ?! არაფერი. ვინ არიან
შენი, რა არიან! არაფერი. ამათ ხომ შემთხვევით გადააწყდი ქუჩაში და როცა
შიოდათ, ლუკმა მიაწოდე, როცა სწყუროდათ, წყალი მიაწოდე, როცა სციო-
დათ, შენი გაიხადე და იმათ ჩააცვი. ვინ არიან შენი, ვინ? რით დაისაკუთრეს
შენი სიყვარული, შენი ალერსი, შენი სული და გული, რით, რა უფლებით?
სხვისი შვილები... ესენი ხომ იმის შვილებია, ვისაც არასოდეს არ ჰყვარებიხარ,
ვინც წაგართვა ყველაფერი, რაც გაგაჩნდა და ცხოვრების გზის პირას მიგა-
ტოვა... წადი, წადი აქედან, წადი ჩქარა, უკანაც არ მოიხედო, წადი!..

ნატომ ხელები აიფარა სახეზე და აქვითინდა.

— დეიდა ნატო... — მოესმა მას უცებ.

ნატო შეკრთა. მოიხედა.

თვალებგაფართოებული, მთელი ღამის უძილარი გია, რომელსაც მოსვენე-
ბას არ აძლევეს რაღაც საზარელი ეკვი, თანაგრძნობით შემოსცქერის მას.

— ტირი, დეიდა ნატო? — უჩვეულო სინაზით წაიჩურჩულა კვლავ გიამ.

— არა... არა... — ძლივს მოითქვა სული ნატომ და კაბის სახელოთი ცრემ-
ლი მოიწმინდა.

— მამამ გაწყენინა, დეიდა ნატო? — ლოგინზე წამოჯდა გია.

— არა, გია, დაწექი, დაიძინე... — ბავშვს მიუახლოვდა ნატო, საბანი გაუ-
სწორა.

გია უსიტყვოდ დაემორჩილა. თავი ბალიშზე დასდო. მოსიყვარულე თვა-
ლები ვერ მოეშორებია ნატოსათვის.

— ძალიან გაწყენინა, დეიდა ნატო? — ისევ წამოიწია ლოგინზე ბიუმა.

— დაწექი, დაიძინე... ღამეა, ხომ ხედავ! — თავზე წაადგა ბავშვს ნატო.

გიამ მაჯაში ჩაავლო ორივე ხელი, ანთებული თვალები გაუსწორა და
თითქოს გულში დიდი ხნის წინათ ჩამარხულ საიდუმლოს უმხელსო, წას-
ჩურჩულა:

— დეიდა ნატო, შეიძლება დედა დაგიძახო?

ნატო უეცნოდ დაეშვა ლოგინზე, ბავშვი გულზე მიიხუტა და ატირდა. მე-
რე მძიმედ ასწია თავი. ბავშვის დიდის პორტრეტს ახედა.

უდარდელად იცინოდა ბავშვების დედა...

* *

საწოლის კიდეზე ჩამომჯდარმა ნატომ წამოიწია.

წვიმას გადაეღო...

ფანჯარაში თანდათან იკრებოდა დილის სინათლე.

ის დიდი ტკივილი, რომელმაც თეთრად გაათენებინა ეს ღამე ნატოს, ახლა
რაღაც საოცარ სიცარიელეს იწვევდა მის გულში და ისე უყურებდა ირგვლივ
ყოველ საგანს, როგორც არარსებულს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისთვის ყველაფერმა ერთბაშად დაჰკარგა ეშხი, მიმზიდველობა... გაფერმიხვნილი მკრთალდა, მოდუნდა ცხოვრება...

წამოდგა ნატო. უხალისოდ მოავლო თვალი ოთახს, რომელშიაც თავისი ხანმოკლე ბედნიერების მრავალი ტკბილი წუთი გაეტარებინა. თავღია ჩემოდანში უწესრიგოდ ჩაყარა თეთრეული, კაბები, წინდები, ცხვირსახოცები, ქალიშვილობის დროინდელი მთელი ქონება, რომელიც ერთადერთი პატარა ჩემოდნით შემოიტანა ოდესღაც ამ ოჯახში. პალტო გადაიცვა, თავზე შალი წამოიხურა, ჩემოდანი აიღო, ერთხელ კიდევ მოავლო თვალი მძინარე ბავშვებს და ნელა, მუხლმოკეკფილივით გავიდა ოთახიდან.

თქორი გაჭკენია ქალაქს. მაღალი, რუხი შენობები უსწორმასწოროდ აყუდებულან ნაწვიმარი ქუჩების ორივე მხარეს. სადღაც შორს, ტყვიისფერ ღრუბლებამდე აზიდულან ქარხნის მილები...

მარტოდმარტო მიაბიჯებს ნატო ატალახებულ ტროტუარზე. ახლა არც სიცივე არსებობს მისთვის, არც ქარი, არც ეს წვიმით დამბალი დედამიწა...

მან გაიარა ერთი ქუჩა, მეორე...

სადგურის ბაქანზე თავაუღებლივ აუარა გვერდი თითო-ოროლა გამვლელ-გამომვლელს და ვაგონის ტამბურში ავიდა. შეჩერდა. ვაგონებული იდგა ერთხანს. მატარებელი დაიძრა. ამან გამოარკვია. ვაგონში შესვლა დააპირა, მაგრამ შეჩერდა. ისევ გადაეხედა თუ არა, ერთხელ კიდევ დაენახა თუ არა ის სახლი?! არა, არ არის საჭირო! იმ სახლში გიმსახურეს შენ, დაგამცირეს...

ნატო ვაგონში შევიდა.

სიცალიერეა ირგვლივ. სიცივისაგან მოკუნჭულ ორიოდე მგზავრს შეუფარებია თავი იქითა კუპეში...

ჩემოდანი სკამლოგინზე დაუშვა ნატომ და ფანჯარასთან მივიდა. ნეტავი შორსაა ის შარაგზა, რკინიგზის ხაზი რომ კვეთს? შარაგზიდან მოჩანს ის სახლი...

„გამოეღვიძებათ... მე არ ვიქნები...“ — გაიფიქრა მან, ფანჯარაში გადაიხედა და... გაშრა.

ატალახებულ შარაგზაზე კისრისტეხით მორბოდნენ ნაუცბათევად ჩაცმული ბავშვები. ლიას მალიმალ უცურდებოდა ფეხი, ეცემოდა. გია მაშინვე წამოაყენებდა ხოლმე დას და ისინი კვლავ თავქუდმოგლეჯილი მორბოდნენ შარაზე.

აი, მოუახლოვდნენ უკანასკნელ სახლს. აქ გზა ორად იყოფა. ბავშვები შეჩერდნენ. არ იცან, საით წავიდნენ...

ლია ჩაცუცქდა, ფეხზე გაიხადა და ისინი კვლავ ატალახებულ შარას გამოჰყვნენ სირბილით...

ნატო თავზარდაცემული შეჰყურებს ბავშვებს. იგი ნათლად ხედავს ორივეს. ლიას შიშველ ფეხსაც კი მოატანა თვალი. მერე თანდათანობით ბურუსმა შთანთქა ბავშვები, ბოლოს სულ გაჰქრნენ... ნატო ტიროდა.

მისი ვაგონი გაცდა შლაგბაუმს.

„ალბათ, აქ გამოიარეს მაშინ, საჩუქარი რომ მოჰქონდათ, — გაუელვა, — ნუთუ იქ მიდიან!..“

ფანჯარას აეკრა.

ბავშვებს ტრამვაიმ გადაუღობა გზა.

ნატო ვეღარ ხედავს მათ. ფანჯარას მოსწყდა, ტამბურში გამოვარდა, კარი გააღო და ძირს გადაიხედა.

ხელიხელ ჩაკიდებული ბავშვები კვლავ მორბოდნენ მიწაყრილის გასწვრივ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიამ ხელი ასწია. დაჟინებით უქნევს მატარებელს, რომელიც თანდათანობით შორდება მათ...

ხელს იქნევს ლიაც...

ალბათ, დაინახეს!

„ჩამოდი, ჩამოდიო“, — თუ უყვირიან.

ფეხი წამოჰკრეს რაღაცას. ორივე ერთად დაეცა.

ნატომ ამოიგმინა და ხელი აიფარა სახეზე. კიდევ გაიხედა უკან.

ისინი კვლავ მორბოდნენ და ხელებს იქნევდნენ...

„საბრალო ბავშვები, მეორეჯერ კარგავენ დედას!“ — გაიფიქრა ნატომ, უცებ შებრუნდა ვაგონში, ჩემოდანს ხელი დაავლო, გამოიტანა, კიბის უკანასნელ საფეხურზე ჩავიდა და გამეტებით გადაისროლა ძირს.

ჩემოდანი ქვას დაასკდა. სახურავი მოსძვრა.

ქარმა ერთბაშად აიტაცა ნატოს ავლადიდება და შორს გაჰფანტა ატალახებულ მინდორში...

ნატო გადმოიწია კიბის საფეხურზე. თვითონაც გადმოეშვა ძირს. თავი ვეღარ შეიმაგრა, წაბორძიკდა და მიწაყრილზე დაეცა.

* *

ფართო შარაგზაზე მიდიან სამნი...

ტალახში ამოსვრილ ნატოს დალეწილი ჩემოდანი ამოუჩრია იღლიაში. ოკრობოკრო სახურავს ვერ დაუფარავს ჩემოდანში უწესრიგოდ ჩაყრილი თეთრეული და ტანსაცმელი.

დანარჩენი, რაც ჩემოდანში არ ჩაეტია, გიას და ლიას ჩაუხუტებიათ გულში.

ისინი მდუმარედ მიჰყვებიან ნატოს...

ქალაქის უსწორმასწორო წახნაგებს გადაღმა წვალებით ამოდის ვეება წითელი მზე და სველი ასფალტის სარკეში არეკლილი სამი გრძელი ჩრდილი ფეხდაფეხ მიჰყვება მიმავალთა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რასულ გამზათოვი

მე ასმა ქალმა მოვხიბლა

ასმა ლამაზმა მომხიბლა
და ასმა გამახალისა,
დარდი მაღვიძებს ძილშიაც
ასი ლამაზი ქალისა!..

ეს არის ჩემი ოცნება,
ჩემი ლექსი და იგავი, —
პირველ შეხვედრას ვიგონებ:
ჯერ კიდევ ბიჭი ვიყავი —
რომ ერთი გოგო იღბალმა
ჩემს გზაზეც გამოატარა,
ცივი, ანკარა წყაროთი
თუნგი აევსო პატარა.

წყალი ვთხოვე და ყოველი
წვეთი იმ ცივი წყალისა
გულს დაუცხრომელს მოედო
ისე, ვით ცეცხლი ალისა!
მისი კეკლუცი თვალები
წამით რომ შემომანათა —
მიყვარს... და ახლაც დამყვება
შუქივით მთა და ბარათა!

მაგრამ კვლავ დაუდგრომელი
გული თავისას არ იშლის, —
მახსოვს, კასპიის ზღვის პირად
კვალდაკვალ ვდევდი ქალიშვილს...

და ჩემი ჩრდილიც რამდენჯერ
მდგარა ამართულ ალვებთან,
როცა ღამეში ანთებულ
სარკმელს შორს უთვალთვალებდა!

ო, იმ სარკმელთა სინათლეს
კვლავ შევყურებდე ნეტავი,
დიახ, იმ ქალსაც ვეტრფოდი
ჩუმი და გაუბედავი!

მაგრამ, კვლავ მომაგონდება
ის გაელვება, ის სახე —
ვისთანაც ერთად მივქროდი
მეც ერთხელ მოსკოვისაკენ!
შენ გაიხარე, სადგურის
მოლარევ, სიამტკბილეთი, —
რომ იმის გვერდით მომეცი
მაინცდამაინც ბილეთი!

ერთად ვუცქერდით ქვეყანას,
ერთადაც გვემახსოვრება, —
ასეთი ქროლვით, მზადა ვარ,
განვვლო სულ ჩემი ცხოვრება!

მაგრამ, რა ვუყო, თუ ვეტრფი
მე ერთ მრისხანე ქალიშვილს,
რომელიც ფლეთდა ჩემს ლექსებს,
ვით გაავება ქარიშხლის!...
მაგრამ რა ვუთხრა მეორეს,
ვინც გამიმართლა ოცნება, —
ისე ვით ლექსის ნაფლეთი
ისიც ხომ დაიკოცნება!?

არა! მე ცეცხლს ვერ ჩამიქრობს
სიავე ტურფა ქალისა,
მიყვარს კეთილი ღიმილი
ჩუმად მომალულ თვალისა!

მიყვარს მკაცრი და ამაყი
ქალი, ხელმოუკარები...
მიყვარს, ჩემს გულმკერდს როდესაც
ინაწილებენ ქალები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ ქალაქში, ყოველთვის
გულდაისრული დავდივარ,
ყველგან ჩემს ლამაზს დავეძებ —
ლამაზთა გულითადი ვარ!
ეს ქალში ვიდექ, მხიბლავდა
ხმა ერთ მოსწავლე ქალისა...
რას მოიღრუბლ, რა იყო,
რას ნიშნავს ელვა თვალისა!...

— ასში თუ ერთი მეცა ვარ,
მადლობის მეტი რა მეთქმის! —
თქვი და გამწყარალი წამოდექ,
კუნთი გიცემდა საფეთქლის.
მივხვდი, რომ ჩემმა ტრფიალმა
შენი გულისთქმა შელახა,
ძლივს შეგაგონე:
— ძვირფასო,
ასშივე ასი შენა ხარ!

ხომ გახსოვს, გოგოვ, იღბალმა
ჩემს გზაზე გამოგატარა,
ცივი, ანკარა წყაროთი
თუნგი აგივსო პატარა.

ხომ გახსოვს როგორ დაგდევდი
ზღვისპირად უცნობ ქალიშვილს,
მატარებელიც ხომ გახსოვს
და რისხვა შენი ქარიშხლის!
ბოლოს მოსკოვიც... მოსწავლე
მეგობართ ქვეყან-ხვეული! —
ისევ ის ჩემი დარდი ხარ,
ისევ ის ჩემი ღიმილი!..

გაავებულიც შენა ხარ,
გაღიმებულიც კეთილად, —
ეგ მარმარილო მეტყველი
ასგვარად გამოკვეთილა!
ეს მთებიც ჩვენი სიმღერით
მიმორბენილი მთებია,
და ქალაქებიც გზადაგზა
ყოველთვის ერთად გვხვდებიან...

მინდოდა ასი ლამაზის
ეშხი ერთ ქალში მენახა...
მე ასმა ქალმა მომხიბლა,
ასშივე ასი შენა ხარ!

პ ა ე მ ა ნ ზ ე

შემოაღო უცებ კარი
და მიიპყრო ყურთასმენა,
რომ საერთო საცხოვრებელს
ეცნო მისი „აღმოჩენა“!

მერე ცეკვით მოიარა
სტუდენტების ბინა ვიწრო,
მაგრამ როგორც გამოცანა,
ის ვერავინ გამოიცნო.

უთხრეს:
— რაა, ცეკვა-რხევით
რას გვანიშნებ, ჩემო ძმაო,
შენი წრფელი აღტაცება,
სჯობს, რომ სიტყვით გამოთქვაო...

და მან ღელვით განაცხადა:
— ამეხილა, ძმებო, თვალი, —
ამ თხუთმეტი წუთის წინათ
გავიცანი ერთი ქალი!...

და არბატის ახლო, შვიდზე,
დავუნიშნე პაემანი...
სულ ეს არის ჩემი სულის
სიამე და წამებანი!..

დატრიალდა უმალ ყველა,
თქვეს:
— ძალღონეს არა ვჩივით,
ოღონდ ბიჭი გამოვაწყოთ
გულთამხილავ არტისტივით.

ზოგმა ღილი დაუკერა,
ზოგმა უთოს გაჰკრა ხელი,
ზოგმა, შავი გუტალინით
გაუწმინდა ფეხსაცმელი!

იპარსება ბიჭი სწრაფად,
ირგვლივ სჯა და კამათია,
მაგიდაზე გაიშალა
ვისაც რაც კი აბადია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორმეტ ახალ პერანგიდან
აირჩია ბოლოს ერთი
და ჰალსტუხით დაუმშვენეს
პირგაპარსულ სტუდენტს მკერდი.

შავთვალწარბა კიეველმა,
წმინდა, როგორც ლურჯი ზეცა,
მას პიჯაკის გულჯიბეში
ცხვირსახოცი ჩაუკეცა!

და უზბეკმაც უზბეკური
ჭრელი ქუდი მას დაუთმო,
მაგრამ,
ერთხმად,
ამ ეტაპზე
ამჯობინეს შლაპა უფრო!..

და არბატზე სეირნობით
ქალი რომ არ მოაწყინოს,
ჯიბის ფულიც შეუგროვეს, —
დასჭირდება ბოლ და კინოს...

აგრე შეცვლილ-შეკეთებულს
რჩევაც როდი მისცეს ცუდი:
უნდა პირველ პაემანზე
დააყოვნოს ორი წუთი!..

ერთი სიტყვით, რომანისთვის
გამოაწყეს როგორც გმირი...
ახ, რა კარგი იქნებოდა
შეეცვალათ გრძელი ცხვირი...

... ახ, ამ ცხვირის გახსენებით,
ალბათ ყველას მოგაგონეთ, —
რომ ეს გმირი ახალგაზრდა,
მეგობრებო, მე ვარ სწორედ...

თარგმნა **კარლო კალაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს აღნიშნავენ 1100 წლისთავს სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის მამამთავრის აბუ აბდალაჰ ჯაფარ ბენ მოჰამად რუდაქის დაბადებიდან. რუდაქი წარმოშობით სამარყანდელი ტაჯიკი იყო და სამანიანთა სამეფო კარზე მოღვაწეობდა ბუხარაში. მას ჰქონია სხვადასხვა ჟანრის მრავალი ლექსი თუ პოემა, მაგრამ ჩვენამდე მათგან ძალიან ცოტას მოუღწევია.

*
* *

— მოვიდა ჩემთან...
— ვინა?
— სატრფო.
— ეს როდის?
— დილით.
— კრთებოდა?
— მაშა!
— რად კრთებოდა?
— მამა ჰყავს ფრთხილი.

სულ დავუკოცნე...
— რა?
— ტუჩები.
— ლოყები?
— არა.
— მაშ რა?
— ღაწვები.
— ტკბილი იყო?
— თაფლივით ტკბილი!

*
* *

ამას რას ვხედავ!
შენი მშვენებით
თვითონ მშვენება
არა ჩახს მშვენად.
ვინც შენთა ხილფთა
ფშვენა ისუნთქა,
გადაავიწყდა
მუშკ-ამბრის ფშვენა.
გული კი არა,
ქვა გიდევს მკერდში,
ქვაზე ათასჯერ
ცივი და მძიმე,
კარგად ვიცი მე
და მაინც, ხედავ?
ისე გიფიცავ,
ვითარცა ზენას.
შენ არ გეგონოს
მე შენგან რამე
წყალობას, ანდა
სიკეთეს ველი,
სად გაგონილა,

გულქვას ულბობდეს
გულს
გულდამწვართა
გულების ქშენა!
შენზე ათასჯერ
შეეჩივლე ზენას
და იმას ველა
ათასჯერ ვთხოვე,
მაგრამ რა ვპოვე, —
თურმე ღვთაებას
არ ეპუები,
ღვთაებავ, შენა.
მე თუნდ ათასი
მეფე მამონონ,
რა თაეში ვიხლი
ასეთ წყალობას,
შენ ამიყვანე
ყურმოჭრილ მონად
და ეს იქნება
ნამდვილი ველა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

აჰა ესერა, დაჭირხლული
ზამთრის თოკშითა
მოლი და ნეშო რომ არ ჩანდა,
ხმელი ჩალა — კი,
დავანებულა გაზაფხული
და მანის ხელით
არქანგის [1] ფერად დაუხატავს
ველი, ჭალაკი.
ფრთხილად იყავი,
ნუ ენდობი ცსოვრების ნავსა,
თორემ ნიანგთა ბუნაგი არს
ესე ალაგი!

*
* *

მულიანიდან ზეფირი მოდის
(სად მომაგონდი, სად მომაგონდი!)
აბრეშუმივით გვეგება ფეხქვეშ
ამუ-დარიის რიყე და ლოდი.
წელამდე სწვდება ჩვენს ბედაურებს
ჯეონის [2] ზვირთი — წამლეკი კბოდის,
ჰეი ბუხარავ, მოდის ემირი,
იმხიარულე, დატკბი და ცხონდი!
შენ ზეცა ხარ და ემირი — მთვარე!
მთვარე აღმოხდა როდის და როდის!..
შენ ბაღი ხარ და ემირი — სარო,
საროს მოუნდა სავანე ოდის.
თუნდაც დაეცე და გავერანდე,
მაინც ღირსი ხარ ხოტბის და ოდის!

სპარსულიდან თარგმნა **მაგალი თოდუამ**

---

[1] ა რ ქ ა ნ გ ი — სურათების მითიური გალერეა, რომელიც ვითომ მანის უნდა დაეხატა.
[2] ჯეონი — ამუ-დარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოსო კორძაია

ფანჯრიდან ფანჯარაში

ჩვენ ვისხედით სავარძლებში. შუაში გვედგა მრგვალი მაგიდა. ვაჟა კითხულობდა „მასალათა გამძლეობას“, ჩვენ ვუსმენდით. ხვალ ვაბარებთ ამ საგანს. ლექტორი მკაცრია და ჩვენ უკვე ერთი კვირაა განუწყვეტლივ ვემზადებით.

— ე-ე, — ამოიოხრა ბეჟანმა, — მეტი ალარ შემიძლია, სადაცაა თავი გასკდება.

— შეისვენოთ? — იკითხა ვაჟამ.

— შეისვენოთ. — თითქმის ერთად ვთქვით მე და ბეჟანმა.

მე წამოვდექი და მივედი ფანჯარასთან. ფანჯარა გადის ქუჩის პირზე. ჩვენ ვართ მესამე სართულზე. ფანჯრის ქვემოთ არის რადიატორი. რადიატორი არის ცხელი და თვალებს მწვავს, ალბათ ეპარება ჰაერი.

მე ვდგევარ ფანჯარასთან. ბეჟანმა ჩაუცარა ვაჟას თვალი და ანიშნა ჩემზე. მე დავინახე ეს, მაგრამ არ შევიმჩნიე. ვდგევარ ფანჯარასთან და გავყურებ მოპირდაპირე სახლის იმ ფანჯარას. იქ არავინ ჩანს. ეს უკვე ოთხი შესვენებაა, ვუყურებ იმ ფანჯარას და მეორდება ერთი და იგივე: ფანჯარაში არავინ ჩანს.

ბეჟანი და ვაჟა იცინიან. ალბათ ხუმრობენ ჩემზე. მაინც არ ვციდები ფანჯარას. მე მირჩევნია აქ დგომა, თუნდაც იმ ფანჯარაში არავინ ჩანდეს.

ასე ვდგევარ კარგა ხანს.

— განვაგრძოთ. — თქვა ვაჟამ. მან აიღო წიგნი და ჩაჯდა სავარძელში.

— ორი წუთი კიდევ დავიცადოთ, — ვამბობ მე და ვნატრობ: „ნეტავ ახლა მაინც გამოჩნდებოდეს“. ჩვენ ყოველდღე ვხედავთ ერთმანეთს. შევხედავ, შემომხედავს. მერე თავს დავხრიით, ან ვუცქერით ერთმანეთს.

დაბლა მოპირდაპირე სახლის შესასვლელი გაიღო და გამოჩნდა ცამეტ-თოთხმეტი წლის ბიჭი. მას მკლავებზე ეწყო მოკლედ დაჭრილი შეშის ღერები. ბიჭმა დაჰყარა შეშა ტროტუარზე და დაიწყო პალტოს ფერთხვა. მერე გამოჩნდა იგი — ნინო. მას ეჭირა ხელში ნაჯახი და ეცვა შავი კაბა.

ბიჭი მორჩა პალტოს ფერთხვას და დააპირა წასვლა.

— სად მიდიხარ, ბიჭო, მოდი, დაჩეხე შეშა.

— მე ხომ გამოვიტანე, შენ დაჩეხე.

— მოდი, ჯონდო, ჭირიმე, დაჩეხე, მე საქმე მაქვს.

— დამანებე თავი.

— მოდი, ბიჭო, გეხვეწები, ჯონდო!

— არა!

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— ᲯᲝᲜᲓᲝ, მოდი, არა გრცხვენია?!

მე შევცქეროდი ნინოს. იგი ეხვეწებოდა ᲯᲝᲜᲓᲝს და იყო ძალიან ლამაზი. ᲯᲝᲜᲓᲝმ არ გაუგონა და გაიქცა. ნინო გაწითლდა ბრაზისაგან და გასძახა:

— ᲯᲝᲜᲓᲝ, ინანებ იცოდე, დაბრუნდი.

ნინო უყურებდა გაქცეულ ᲯᲝᲜᲓᲝს. თვალები აევსო ცრემლებით. მერე წამოავლო ᲜᲐᲯᲐᲮᲘ ხელი და მოუქნია შეშის ერთ ნაჭერს.

იყო იანვარი. რამდენიმე დღე მოდიოდა თოვლი. ახლა თოვლი იყო მოკინული და გადაშავებული. ტროტუარზე სადაც ნინო იდგა, ეყარა ქვიშა, გამვლელ-გამომვლელს ფეხი არ დაესრიალდესო. ციოდა ძლიერ, ტროტუარის გვერდზე ჩამავალი პატარა წყალი გაყინული იყო. ნინოს ეცვა მხოლოდ კაბა. კაბა იყო შავი და საყელოზე შემოვლებული ᲰᲭᲝᲜᲓᲐ თეთრი ᲐᲠᲫᲘᲐ.

მე ჩავცქეროდი ნინოს. იგი ჩეხავდა შეშას და მე ვხედავდი მისი მოხდენილი ტანის მოძრაობას. ნინოს უჭირდა მძიმე ᲜᲐᲯᲐᲮᲘᲡ მოქნევა და ხშირ-ხშირად ისვენებდა.

აღარ მომითმინა გულმა და გარეთ გავვარდი.

— სად გარბიხარ, ბიჭო? — მომაძახეს ამხანაგებმა.

მე არ ვუპასუხე, ჩავირბინე კიბე და უმალ ნინოსთან გავჩნდი.

— მომეცით ᲜᲐᲯᲐᲮᲘ, მე დავაპობ.

ნინომ შემომხედა მორცხვად და გაწითლდა. მე გავწიე ხელი ᲜᲐᲯᲐᲮᲘᲡᲐᲙᲔᲜ.

— არა, რას ამბობთ, — თქვა ნინომ და ᲜᲐᲯᲐᲮᲘ გასწია უკან. მე მივსწვდი ᲜᲐᲯᲐᲮᲘᲡ და გამოვართვი.

— რას შვრებით, როგორ შეგაწუხოთ!

მე კი ვაპობ შეშას და შევსცქერი ნინოს. იგი დგას იქვე ხელმარცხნით და დარცხვენილი შემომყურებს. ახლა იგი არის არაჩვეულებრივად ლამაზი. მე თავს ვგრძნობ ძალიან კარგად და მინდა ასე გაგრძელდეს დიდხანს.

— კარგი, მეტს ნუღარ დაჩეხავთ.

მე არ ვუგონებ და ვაპობ დარჩენილ შეშასაც.

— ახლა ღერები მკლავზე დამაწყეთ, — ვამბობ მე და მკლავებს შეშის დასაწყობად ვხრი.

— როგორ გეკადრებათ!..

— არა უშავს, დამაწყეთ, — და მე თავად ვიწყობ შეშას მკლავზე.

— რას შვრებით, კოსტუმი დაგესვრებათ.

მე მაცვია შავი ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘᲡ კოსტუმი.

— არა უშავს, დამაწყეთ.

ნინო შეშას მკლავზე ღერ-ღერად მაწყობს. ღაწვები შეფაკვლია. იგი ბრაზობს ძმაზე: — მოვიდეს ერთი შინ, ნახოს რა დღე დაეყრება, ამაას ვეტყვი.

ნინომ დამაწყო შეშის ღერები მკლავზე მთლიანად და, როცა წელში გაეიმართვე, დავინახე: ჩვენს ფანჯრასა მოსდგომოდნენ ვაჟა და ბეჟანი, ჩამომცქეროდნენ და იღრიჭებოდნენ. მე მოვაცილე მათ თვალი და შევხედე ნინოს. მან აიღო ᲜᲐᲯᲐᲮᲘ და წამიძღვა წინ.

ᲩᲕᲔᲜ ავიარეთ კიბე და შევედით ოთახში. ოთახში ციოდა. ყინვას ათასგვარი ფიგურები მოეტანა ფანჯრებზე. მე შეშა წყნარად დავყარე ღუმელთან და პიჯაკზე დავიხედე. პიჯაკი იყო დასვრილი და აქა-იქ შერჩენოდა შეშის ხიწვები.

ნინო გავიდა ოთახიდან, მოიტანა ტანსაცმლის ᲯᲐᲒᲠᲘᲡი და დაიწყო ჩემი პიჯაკის წმენდა.

— მომეცით, მე თვითონ...

— არა უშავს, მე გაგიწმენდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე დავემორჩილე.

— უკაცრავად, ოთახში ცივა, მაგრამ ახლავე დავანთებ ცეცხლს, — თქვა ნინომ და ღუმელში შეჰყარა შეშა.

შეშა იყო ნედლი და ცეცხლი არ ედებოდა. მე ავიღე ხმელი შეშის ერთი ღერი და დავუწყე დანაფოტება, თან ვამბობ:

— ალბათ ტყუილი სულ არ გეხერხებათ.

— რატომ ამბობთ?

— ამბობენ, კარგ ცეცხლს ის ანთებს, ვისაც ტყუილი ეხერხებაო.

მე დავანაფოტე შეშის ღერი. ეს ნაფოტები გარდიგარდმო შევაწყე ღუმელში და მალე აგიზგიზდა კარგი ცეცხლი. ნინომ გაიღიმა. მე მიეხვდი მიზეზს და ვთქვი: — მე მაინც არ მეხერხება ტყუილი.



ნინო მივიდა ბუფეტთან და რაღაცას საქმიანობს. იგი საშუალო ტანისაა, აქვს საუცხოო წაბლისფერი თმა და ცისფერი თვალები. შავი კაბა უხდება ძალიან და იგი არის ლამაზი, ძალიან ლამაზი. შევცქერი და მიკვირს: ჯერ კიდევ ერთი საათის წინ ვოცნებობდი მის გაცნობაზე.

— კარტოფილი უნდა შევწვა, — თქვა ნინომ. — გიყვართ შემწვარი კარტოფილი?

— ძალიან.

— მეც ძალიან მიყვარს. როცა ინსტიტუტიდან ვბრუნდები, ყოველთვის კარტოფილს ვაწყავ ხოლმე.

მე ვიღიმები. ვიცი, რომ ვიღიმები სულელურად, რომ საჭირია რაიმეს თქმა, მაგრამ არაფერს ვამბობ. მე მინდა ნინომ ილაპარაკოს. ბოლოს კეკითხები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჯონდო თქვენი ძმა არის?

— ჰო, ძმა არის. რომ იცოდეთ, რა საზიზღარია. დღეს დაბრუნებულა სკოლიდან, არც ღუმელი დაუნთია, არც შეშა დაუჩეხავს და კინოში გაიქცა. ყოველთვის ასე მაწვალებს ხოლმე.

მე არაფერს ვამბობ და ნინო განაგრძობს:

— მამა და დედა სამსახურში არიან, საღამოს დაბრუნდებიან და სადილი მე უნდა გავამზადო. შეშა სულ არ იყო დაჩეხილი და თქვენ რომ არ დამხმარებოდით, ვინ იცის, როდის დავჩეხავდი...

— თქვენ ნინო გქვიათ, არა?

— ჰო. თქვენ?

— ნუგზარი.

მე მინდოდა, მეკითხნა: გახსოვთ, როგორ ვიდექით ხოლმე ფანჯარასთან და ერთმანეთს ვუყურებდით-მეთქი, მაგრამ მიეხვდი, რომ ამის შეკითხვა არ ივარგებდა. ძალიან კარგად ვიცოდი, რომელ ინსტიტუტში და რომელ კურსზე სწავლობდა ნინო, მაინც შევეკითხე:

— რომელ ინსტიტუტში სწავლობთ?

— სასოფლოში.

— მეორე კურსზე?

— ჰო, — მიპასუხა ნინომ და გაიღიმა.

მე მიეხვდი, რატომ გაიღიმა და შემრცხვა. უხერხულობის გასაფანტავად განვაგრძე:

— მე ვაჟასთან ვსწავლობ, ერთ ჯგუფში ვართ.

— ვაჟა კარგი ბიჭია, — თქვა ნინომ.

— ძალიან კარგი ბიჭია, კარგი გული აქვს.

ნინომ დაიწყო კარტოფილის თლა. მე მინდა ვუთხრა, მოგეხმარებით-მეთქი, მაგრამ ვფიქრობ, ბიჭს კარტოფილის თლა არ შეშვენის-მეთქი და არ ვამბობ. ნინომ დადგა ტაფა ღუმელზე, დადვა ქონი, მერე დააყარა დაჭრილი კარტოფილი. კარტოფილმა შიშინი დაიწყო. ნინომ ტაფას გადააფარა დიდი თეფში და მერე ღუმელთან ჩამოჯდა.

— უკვე დაგეწყოთ გამოცდები? — მეკითხება ნინო.

— კი. ხვალ პირველი გამოცდა გვაქვს.

— ბევრს მეცადინეობთ?

— ძალიან ბევრს, ლექტორი ისე მკაცრია... ჩვენს მეორე ჯგუფში გუშინ შვიდი ორიანი დაუწერია.

კარტოფილი შეიწვა. ნინომ დაიწყო თეფშები მაგიდაზე და მიმიწვია. ჩვენ დავიწყეთ კარტოფილის ჭამა.

— ღვინო გინდათ? — შემეკითხა ნინო.

მე გავიღიმე.

ნინომ მოიტანა წითელი ღვინო ბოთლით, დამისხა და დაისხა.

— ხუთიანის მიღებას გისურვებთ, — მითხრა მან.

— გმადლობთ, ასევე თქვენც.

ჩვენ დავლიეთ ღვინო და შევექეცით კარტოფილს. ნინო მისხამს ჭიქაში ღვინოს და მე ვსვამ. არ ვამბობ უარს ღვინოზე. არ ვამბობ, ხვალ გამოცდა მაქვს და ვერ დავლევ-მეთქი. მე მინდა ღვინის დალევა და ვსვამ. ნინომ აღარ დალია ერთ ჭიქაზე მეტი.

შევატყვე, რომ დავთვერი. ღვინო იყო წითელი და ძალიან მაგარი. უფრო თამამი გავხდი, ახლა აღარ მებმებოდა ენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დღეს სულ თქვენი ფანჯრისაკენ ვიყურებოდი და, რომ ვერ გავიგეთ, დით, გული მწყდებოდა... — ვთქვი მე.

ნინოს შეეფაკლა ღაწვები და არაფერი თქვა.

— ისე მინდოდა თქვენი გაცნობა და დღემდე ვერაფრით მოვახერხე... — ვამბობ მე და მიხარია, რომ მთვრალი ვარ, რომ შემიძლია ვთქვა ის, რასაც ვფიქრობ.

— მე მარტოკა უკეთესად ვსწავლობ, მაგრამ ვაჟასთან იმიტომ დაკდივარ, რომ იმედი მაქვს, ფანჯარაში მაინც დაგინახავთ.

ნინომ დახარა თავი და კვლავ არაფერი თქვა.

— თქვენ არაჩვეულებრივი გოგო ხართ, ნინო...

გაიღო კარი და შემოვიდა ჯონდო. ჯონდო ძალიან ჰგავდა ნინოს. მე მიყვარდა ჯონდო და მადლობელი ვიყავი მისი, რომ არ დაუჩხა შეშა ნინოს და გაიქცა კინოში. მე გავუწოდე ხელი ჯონდოს. ჯონდომ ჩამომართვა ხელი, თან შეჰყურებდა ნინოს, მოულოდნელად არ დამარტყასო.

მე ხელი გადავხვიე ჯონდოს და ვეუბნები:

— შენ კარგი ბიჭი ხარ, ჯონდო.

...წამოსვლისას ნინო გამომყვა გარეთ.

— ნინო, ხვალ გამოცდას რომ ჩავაბარებ, ვაჟასთან მოვალ. გამოიხედავთ ფანჯარაში?

— გამოვიხედავ.

მე ჩამოვირბინე კიბე, მერე ავედი ვაჟასთან და ხმაურით შევვარდი ოთახში. ვაჟა და ბეჟანი მეცადინეობდნენ.

— თქვენ არაჩვეულებრივი ბიჭები ხართ, მე თქვენ ძალიან მიყვარხართ!— ვუთხარი ბიჭებს და ვაკოცე ორივეს.

— დამთვრალა, — თქვა ვაჟამ.

— არა, მე არა ვარ მთვრალი. თქვენი ჭირიმე, ბიჭებო, თქვენ არაჩვეულებრივი ბიჭები ხართ... ახლა წაიკითხეთ, მე გისმენთ.

ვაჟამ თვალი ჩაუკრა ბეჟანს და განაგრძო კითხვა.

მე არ ვუსმენდი ვაჟას.

ამისთვის არ მოვსულვარ

სადგურზე დამხვდნენ ბებია და მზია. ჩვენ წავედით სახლისაკენ. მე ველაპარაკები ბებიას და ვაკვირდები მზიას.

მზია არის ბებიას მეზობელი. იგი გაზრდილა და დამშვენებულა, თვალებში აღარ დაუტყია ცელქი ნაპერწკლები და არის დამორცხვებული. ადრე იგი არ იყო ასეთი მორცხვი. ადრე ყოველი ჩამოსვლისას მზია მკოცნიდა ხოლმე. დღეს კი მხოლოდ ხელი ჩამომართვა და გაწითლდა.

იყო ზაფხული და ძალიან ცხელოდა. ჭრიჭინობელები ჭრიჭინებდნენ გაწუწუვეტლივ. ჰაერი იყო სუფთა და ჯანსაღი. მე ვსუნთქავდი ღრმად და ვგრძნობდი, რომ მეზრდებოდა ფილტვები. ასეთ სოფელში სიამოვნებით ვიცხოვრებდი სამუდამოდ.

ბებიამ გააწყო სუფრა და მიგვიწვია ყველანი. იგი იყო ალერსიანი და მეფერებოდა, როგორც ბავშვს. ბაბუა შემომკქეროდა ღიმილით და ულაყაშებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისვამდა ხელს. მზია გაწითლებულიყო და არ იცოდა სად წაეღო ხელები. მერე ბებიამ ფანჩატურში გამიგო ჭილობი და მე წამოვწექი. დაღლილ ვიყავი და თვალები მეხუჭებოდა, მაგრამ არ მინდოდა დაძინება; მე მინდოდა მეფიქრა მზიაზე. მზია გამხდარა უფრო მშვენიერი და უფრო მორცხვი.

მე სიზმარშიც ვხედავდი მზიას...

მზე უკვე აპირებდა ჩასვლას, როცა გავახილე თვალები. იყო საოცარი სიწყნარე და აღარ ჭრიჭინებდნენ ჭრიჭინობელები. ცა იყო ლურჯი და სარკესავით კრიალა. მე გავშალე ხელები და წამოვჯექი ჭილობზე. მერე გავიხედე სახლისაკენ და დავინახე: ჩემს ახლოს მოლზე იჯდა მზია. იგი წამოდგა სწრაფად და გაწითლდა კვლავ. მე შევხედე მას და გავუღიმე.

— მე ბებია ნუცასთან მოვედი, — თქვა მზიამ და დახარა თავი. ახლა მზია იყო ძალიან კარგი. მას ეცვა უმკლავებო კაბა, შიშველი ფეხები ფლოსტებში ჩაეყო.

მე მეცვა მაისურა. სასწრაფოდ გადავიცვი ხალათი. ვიკრავდი ღილებს და ვუყურებდი მზიას.

— დედამ... დედამ ღილი დამაბარა ბებია ნუცასთან... — თქვა მზიამ.

— რა ღილი?

— ხალათის ღილი... დედა ხალათს უკერავს ჩემს ძმას და ღილი დააკლდა...

— ასეთი ღილი? — მე თითით ვაჩვენე ჩემი ხალათის ღილზე.

— ჰო, მასეთი, — თქვა მზიამ.

მე მოვწყვიტე ღილი ჩემს ხალათს და გავუწოდე მზიას. მზია მიყურებდა მე და მის თვალებში გაჩნდა ის ცელქი ნაპერწკლები, რაც ჰქონდა უწინ და არ ჰქონდა ამ დილით. მე მოვწყვიტე მეორე ღილიც და გავუწოდე მზიას.

— დაიცა, დანარჩენებს მე მოვწყვეტ, — თქვა მზიამ და მოვიდა ჩემთან. იგი დამიდგა წინ, — ხალათზე მაწყვეტდა ღილებს.

მე ვიყავი მზიაზე მაღალი და დავცქეროდი მის თავს. მზიას ეცვა უმკლავებო კაბა. კაბის გულისპირი ღრმად იყო ამოჭრილი და მე ვხედავდი მზიას მკერდს.

მე მზიას მკლავზე მოვკიდე ხელი. მზიამ ამომხედა; მას უთრთოდა ბაგეები...

მე ვერ შევიკავე თავი და ვაკოცე მზიას, ვაკოცე ტუჩებში.

მზიამ გაითავისუფლა თავი და მიეკრდნო ხეს. მე ვიდექი ხელებჩაშეებული და შევცქეროდი მზიას.

მზიამ აიფარა სახეზე ხელები და მორცხვად თქვა:

— ამისთვის არ მოვსულვარ, დედას ვფიცავარ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

პანტელეიმონი

დაღლილი ვიყავი და თან მშიოდა. დედა ჯერ არ იქნებოდა დაბრუნებული სამსახურიდან, ამიტომ შევედი რესტორანში. რესტორანში ბევრი ხალხი იყო და თავისუფალი მაგიდის ძებნა დავიწყე. გთავისუფლდა ერთი მაგიდა და მე დავჯექი იმ სკამზე, რომელზედაც იდრე იჯდა ლამაზი ქალი. სკამი ჯერ კიდევ თბილი იყო.

რესტორანში არ იძოროდა ჰაერი, ცხელოდა. თუმცა სექტემბრის ბოლო რიცხვები იყო, მაგრამ მაინც ცხელი დღეები იდგა. იყო შუადღე და ცა დაეფარა საწვიმარ ღრუბლებს. მერე რესტორანში შესამჩნევად ჩამობნელდა, ალბათ, ღრუბლები უფრო გაშავდა ცაზე. იანთეს სინათლე.

სანამ ოფიციანტი მოვიდოდეს, მე ვიღებ ქაღალდის ხელსახოცს და ვახვევ წვრილად. მაგრამ ოფიციანტი არ მოდის, ხელსახოცის ხვევა მომწყინდა და ვიწყებ თვალიერებას.

იყო შუადღე და რესტორანში უმრავლესობა სადილობდა. მეზობელ მაგიდას უჯდა რამდენიმე კაცი და სვამდა მუკუზანს. ალბათ, დალეული ჰქონდათ ბევრი, რადგან ყველანი ლაპარაკობდნენ ერთად და აარწმუნებდნენ ერთმანეთს თავიანთი მეგობრულ გრძნობებში.

მეორე მაგიდასთანაც არიან მთვრალები. ისინი ფეხზე დგანან, ხელში უჭირავთ ღვინით სავსე ჭიქები და ისე ირწევიან, რომ ჭიქებიდან ღვინო იღვრება მაგიდაზე. ერთი იმათთაგანი, რომელსაც მოკლედ შეკრეჭილი თმა აქვს და ქოჩორი ფეხსაწმენდ ნოხს მიუგავს, სადღეგრძელოს ამბობს და თან სიჩუმეს მოითხოვს. იგი, ალბად, თამადაა, რადგან ასეთ წუთებში სადღეგრძელოებზე და სიჩუმეზე მხოლოდ თამადები ზრუნავენ.

უკნიდან მომესმა ხმა: — გამარჯობა!

მე მოვიხედე. ჩემს წინ დგას საშუალო ტანის კაცი. იგი იქნება ორმოცორმოცდახუთი წლისა, აცვია აბრეშუმის თეთრი კიტელი და განიერი შარვალი. თმები გადაპარსული აქვს დანით, შუბლი დაბალი და ყურები ისე დიდი, რომ უნებურად იწყებ ფიქრს, შესძლებს თუ არა ყურებით მთელი სახის დაფარვასო.

— გაგიმარჯოთ. — ვუპასუხე მე.

— შეიძლება დავჯდე შენს მაგიდასთან?

— დაბრძანდით.

თეთრკიტელიანი დაჯდა და ხელები დაწყო მაგიდაზე, მერე დაიხედა ფრჩხილებზე, შეათვალიერა თითები და თქვა:

— ხელს არ დავიბან, რა უჭირს?

— როგორც გნებავთ, — ვუთხარი მე.

— რომელი საათია, ვერ მეტყვი?

— ოთხის ნახევარია, — ვუპასუხე მე და თან გავიფიქრე: „სად დაიკარგა ეს ოფიციანტი, ამდენხანს რომ არ გვაკითხავს?“

— ოთხის ნახევარია, არა? ოთხ საათზე ორთაჭალაში უნდა ვიყო, ერთი კაცი მყავს სანახავი, მოვასწრებ ვითომ მის ნახვას?

— როგორ გითხრათ... — გამიჭირდა პასუხის მიცემა.

ცოტა ხანს ვიჯექით ჩუმად.

— სად დაიკარგა ეს ოფიციანტი, კაცო, ჰა? შეიძლება ასე დაგვიანებდა? — ამოძრავდა თავის სკამზე თეთრკიტელიანი და ღაიწყო აქეთ-იქით ყურება.

მე ჩუმად ვიყავი.

— ო, რა სიცხეა, კაცო, არ დაიწვა ქვეყანა?! — თქვა ცოტა ხნის მერე თეთრკიტელიანმა და ნიკაპზე თითებით მოიწმინდა ოფლის წვეთები. მეც ყველაფერს ჩუმად ვარ. თეთრკიტელიანი კი, როგორც ჩანს, ვერ იტანს სიჩუმეს და ამბობს:

— ახლა ოთხის ნახევარია, ხომ სწორია? დაიმახსოვრე, ერთ საათში კოკისპირული წვიმა წამოვა. არ გჯერა? ზუსტად ერთ საათში, თუ გინდა, საათი დაინიშნე.

— თქვენ საიდან იცით, შეიძლება არც წამოვიდეს, — ვთქვი მე.

— ჰმ, როგორ თუ საიდან ვიცი?! ეგ თუ არ ვიცი, სხვა რაღა მეცოდინება, ჩემი სპეციალობა ეკავა, — თქვა თეთრკიტელიანმა და ისეთი ამაყი გამომეტყველება მიიღო, რომ კინაღამ სიცილი წამსკდა, მაგრამ თავი შევიკავე და გავჩუმდი. კვლავ ჩამოვარდა სიჩუმე.

მერე თეთრკიტელიანი მეუბნება:

— ერთი შენი სახელი მაჩუქე.

—როგორ?

— რა გქვია შენ?

მე ვუთხარი ჩემი სახელი და თან შევეკითხე:

— თქვენ რა გქვიათ?

— მე? პანტელეიმონი.

— კარგი სახელია, — ვთქვი მე.

— ალბათ ცუდ ფერზე ვარ, არა? — მკითხა პანტელეიმონმა.

— როგორ გითხრათ... — დავიბენი მე. — ადრე მე თქვენ არ გიცნობდით, შეიძლება...

მაგრამ პანტელეიმონმა არ მაცალა და თქვა:

— არა, მე თვითონ ვიცი, რომ ცუდ ფერზე ვარ და იცი, რატომ?

არ ვიცი-მეთქი, ვუთხარი და უნებურად გამეღიმა.

— ასი კაცი გაესინჯე რენდგენზე, ასი კაცი, წარმოგიდგენია? ოი, რამდენი ტუბერკულიოზი, რამდენი ინფილტრატი, რამდენი პლევრიტი!.. ჭკუაზე შეცდება კაცი.

— უკაცრავად, სად იყო ამდენი ტუბერკულიოზი, ამდენი ინფილტრატი...

ჩემი მოსაუბრე კვლავ არ მაცლის სიტყვის დამთავრებას და ამბობს:

— სად იყო და ტუბდისპანსერში.

— მერე თქვენ რა გინდოდათ ტუბდისპანსერში?

— როგორ თუ რა მინდოდა, კაცო, აბა სხვაგან სად უნდა ვიყო, თუ ტუბდისპანსერში არ ვიქნები?!

— სხვაგან სად უნდა იყოთ, არ ვიცი, მაგრამ ტუბდისპანსერში რა გინდოდათ?

— როგორ თუ რა მინდოდა, კაცო, ექიმი ვარ, შინაგანი ექიმი.

— ა, გასაგებია, — ვთქვი მე.

ბოლოს, როგორც იქნა, მოვიდა ოფიციანტიც. მე და პანტელეიმონმა შეუკვეთეთ ცალ-ცალკე და ოფიციანტი წავიდა. პანტელეიმონმა შეუკვეთა ღვინოც, მე კი ლიმონათით დავკმაყოფილდი.

— აბა თუ მიხვდები, რამდენი წლის ვიქნები, — მომიბრუნდა უცებ პანტელეიმონი.

მე მსურს, ვასიამოვნო პანტელეიმონს და ვეუბნები, რომ იქნება ოცდაათი, ოცდათხუთმეტი წლის, თუმცა თავისუფლად შეიძლება მისცე ორმოცდახუთიც.

— შეცდი, მე უკვე ორმოცი წლისა ვარ, — თქვა პანტელეიმონმა კმაყოფილი ტონით და განაგრძო: — ათი წელია, რაც ექიმად ვმუშაობ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სად მუშაობთ?

— ზუგდიდში, — თქვა პანტელეიმონმა ისეთი ხმით, თითქოს რეზვეხია, ზუგდიდში რომ მუშაობსო, და მერე დაამატა: — ზუგდიდში დროებით ვმუშაობ... ცოტას კიდევ დავრჩები იქ და მერე თბილისში გადმოვალ.

— აუცილებლად? — შეეკითხე და ღიმილი ვერ დავმალე.

— აუცილებლად, გაისად ამ დროს თბილისში ვიქნები.

— ახლა რატომ ხართ თბილისში?

— კვალიფიკაციის ასამაღლებლად ვარ ჩამოსული. მალე ერთი თვე შესრულდება, რაც თბილისში ვარ ჩამოსული, აბ, დღეს შესრულდა ოცდარვა დღე.

— ა, გასაგებია, — ვთქვი მე.

— თუ მიხვდები, რამდენს დავხარჯავდი თბილისში ამ ერთ თვეში?

— მართალი გითხრათ, ვერ ვხვდები.

— ორიათას ხუთასი მანეთი დავხარჯე, — თქვა პანტელეიმონმა და გამომცდელად შემომხედა.

— ცოტა დაგიხარჯავთ. მიკვირს, როგორ გეყოთ ასე ცოტა, — ვთქვი მე.

პანტელეიმონმა, ალბათ, იფიქრა, ორიათას ხუთასი მანეთი ცოტაა, მეტი უნდა მეთქვაო და, თითქოს ბოდიშს იხდიდა, ისე თქვა:

— არა, ცხადია, მეტი უნდა დამეხარჯა. კაცურ კაცს ორიათას ხუთასი მანეთი რას გეყოფა თვეში, მაგრამ ბინაში ფული არ მეხარჯება და ჭამა-სმაში, სულ ამხანაგები მპატიჟობენ.

ოფიციანტმა მოიტანა ჩვენი შეკვეთილი კერძები. პანტელეიმონმა ქაღალდის ხელსახოცი გაუსვ-გამოუსვა კოვზს და მერე მკითხა:

— ახლა რომელი საათია?

— უკვე ოთხია.

— ოთხია, ხომ? ერთი დაინშნე, რამდენ წუთში ვისადილებ.

— მხოლოდ არ აჩქარდეთ, — ვთქვი მე და კინაღამ გადავიხარხარე.

ეგ იყო და ეგ. ამის შემდეგ ჩემს ახალ ნაცნობს აღარ ამოუღია ხმა. მან დაიდგა ერთი ლიტრი ღვინო წინ, დაისხა ჭიქაში, დალია, მერე დაიწყო ბორშჩის ხვრეპა და ერთხელაც აღარ გამოუხედავს ჩემსკენ.

მე გამიკვირდა პანტელეიმონის ასეთი უეცარი შეცვლა და ვეძებდი მიზეზს. ნეთუ იმიტომ, რომ არ უნდა გამიმასპინძლდეს ღვინით?

სრულდებოდა ხუთი საათი, როცა გამოვედი რესტორანიდან. წვიმა კვლავ არ მოდიოდა და მე მიხაროდა, რომ დაუსველებლად მივდიოდი შინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია გოგიშვილი

დ ე დ ა

რვას თხუთმეტი წუთი აკლია. უკვე ფილარმონიასთან უნდა ვიყო, დღესაც მაგვიანდება. რას მეტყვის რეზო!

ჩქარა... ჩქარა...

როგორ მიიზლაზნება!..

ათი წუთი აკლია.

ხუთი წუთი!

წინ წავიწიე. ამ გაჩერებაზე ჩავდივარ.

— ჩადიხართ? გამატარეთ!

ჩემს უკან ვიღაც ბავშვიანი ქალი დგას. ბავშვი თმებზე ხელს მიცაცუნებს. ძალიან მიყვარს ბავშვები, მაგრამ ახლა ყველაფერზე ნერვები მეშლება.

— ბებო, — დედა...

— ნუ, ბებო გენაცვალოს, დეიდას ნუ აწუხებ.

მოულოდნელად ბავშვმა ისე მაგრად დამჭაჩა თმები, რომ მიმახედა. გავიღიმე. მან თვალები აახამხამა. თითქოს რაღაცის შეეშინდაო, — ღიმილი შეაშრა პატარა ტუჩებზე. ბებოს მოეხვია. მერე ცალი თვალით გამომხედა, ნელა მოატრიალა თავი. გამიღიმა. მთელი ტანით ჩემსკენ გადმოიწია.

— დედა...

სანამ რამეს მოვისაზრებდი, ბავშვი უკვე ხელში მეჭირა. ტროლეიბუსიც გაჩერდა. ბავშვიანად ჩავედი.

ლოყა ჩემს ლოყაზე უდევს. ხელები მაგრად აქვს მოხვეული კისერზე. სუნთქვა მეკვრის.

— უკაცრავად, გენაცვალე, რა დაემართა ეს... არავის ეკარებოდა ამ დრომდე, — დაბნეულად მითხრა ქალმა ტროლეიბუსიდან ჩამოსვლისას. ბავშვისკენ გაიწია.

— ალა! ა-ლ-ა, გადი! — თავი გაიქნია ბავშვმა და ზურგი შეაქცია. უფრო მაგრად მომეკრა. ქალმა ხელი მოჰკიდა, შეეცადა გამოერთმია, მაგრამ პატარამ ისეთი ტირილი მორთო, რომ გამვლელების ყურადღება მიიქცია.

— უიმე, რა ვქნა ახლა...

ის კი უფრო მეკვრის, თან გულამოსკვნით ტირის. ცხელი ცრემლები მეცემა ლოყაზე და მასველებს...

— დედა... დეე... და...

დაბნეული ვდგევარ, ხმას ვერ ვიღებ.

ქალმა შემათვალიერა. მერე მომიახლოვდა, თმებზე ხელი გადამისვა. უცებ ქვედა ტუჩი აუკანკალდა, თვალებში ცრემლი ჩაუდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დედას მიგამგვანა, შვილო, შენსავით ოქროსფერი თმები ჰქონდა. მუხლებში სისუსტე ვიგრძენ. უფრო დავიბენი. მინდოდა ბავშვისთვის შემეხედა. ის კი ისე ჩამკვროდა, — თავიც ვერ გავანძრიე.

— მიგაცილებთ... — მოვახერხე როგორც იქნა.

პასტერის ქუჩას გავყევით, მერე მარცხნივ გავუხვიეთ.

ბავშვი მძიმე იყო. დავიღალე. ხელში მეჭირა და ვგრძნობდი ლოყაზე მის სითბოს, მის გაუბედავ, დარცხვენილ ალერსს.

მსიამოვნებდა, რომ იგი მძიმე იყო და რომ დამღალა. ბებო კი მიამბობს თავისი შვილის უბედურების ამბავს.

— ძალიან უყვარდათ ერთმანეთი... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად მესმის, იმიტომ, რომ ახლა რეზოზე ვფიქრობ. ალბათ, დგას, მიცდის, ბრაზობს. სწორედ გუშინ დამადებინა პირობა, რომ აღარ დავიგვიანებდი და... აი...

დიდი სახლის წინ გავჩერდით. ბნელი დერეფანი გავიარეთ. ბებომ კარები გააღო. ოთახში შევედით. პირველად კედელზე დაკიდებული ახალგაზრდა ქალის გადიდებული სურათი შევამჩნიე. ძალიან ლამაზი მეჩვენა. იღიმებოდა, მაგრამ მაინც ნაღვლიანი თვალები ჰქონდა. რატომღაც თვალი მოვარიდე. მომეჩვენა თითქოს დამცინოდა.

წამოსვლას ვაპირებ, მაგრამ ბიჭს ამის გაგონებაც არ სურს. ჯიუტდება, კაბაზე მეკიდება, ტირის. მუხლზე ვისვამ, ვეფერები და ვაწყნარებ. მეკრდზე მეყრდნობა. ცალი ხელით კისერზე მეხვევა, მეორეთი თმებს მიწეწავს. ლოყაზე ბუთხუთა ხელებს მიცაცუნებს. ტირილისაგან სასაცილოდ სლოკინებს. ბებომ მაწონი შემოუტანა.

— სენ ალა, დედამ!.. — ბებოს კოვზი გამოართვა და მე მომცა. უცებ ისევ ბებოს მოუბრუნდა.

— ბებო, დედას?!

ყოველი კოვზი მაწვნის შემდეგ თავისი ხელით ნამცხვარს მთავაზობს.

— ახლა დედას...

— ახლა მე...

გავთამამდი. ისე ვაჭმევდი, თითქოს ჩემთვის ეს ჩვეულებრივი ამბავი ყოფილიყოს.

მერე სათამაშოები მომიტანა, კალთა ამივსო მანქანებით, ძაღლებით, რაღაც რკინისა და ხის ნაჭრებით. მეტიკტიკება. მეტიკტიკება... უნდა ყველაფერი მაჩვენოს, ყველაფერი მაჩუქოს.

— დედა, მოდი... აი...

— დედა, აჰა, სენ...

— ეს მამიკოსია...

ბოლოს დაიღალა. ჩემს კალთაზე მიწყნარდა. დასაძინებელ ოთახში გავიყვანეთ.

საწოლზე დავსვი. ბებომ საბანი გადასწია, ბალიში მოუმზადა. მერე ბიჭის ფეხს მოჰკიდა ხელი, რომ ფეხსაცმელი გაეძრო. ეს კი ლოგინზე გადაკოტრიალდა, ფეხი მაღლა აიქნია და ჩემს მუხლთან გააჩერა.

— დედა, სენ გახადე...

ლოგინთან ჩავცუცქდი. გავხადე ფეხზე. მერე ტანზეც. ჩავაწვინე.

ბებომ საბანი ამოუკეცა.

— აქა, დედა... აი, აქა... — მითხრა მან და გვერდით ადგილი გამინთავისუფლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებოს გავხედე. მან მეორე ბალიში მოიტანა, ბიჭის ბალიშის გვერდით დადო და ზედ მიმითითა.

ვამჩნევდი, ცრემლებს ძლივს იკავებდა.

ნახევრად წამოვწექი. ფეხები მოვღუნე, რომ საბანი არ დამესვარა. მკლავი თავქვეშ ამოვიდე. ბიჭი ჩემსკენ გადმობრუნდა. თავი ჩემს მკლავზე დადო. თითები სახეზე მომისვა. მერე ხელი გულზე დამადო. თვალებში შემხედა. უფრო ახლოს მოიწია. წინ კაბა მოუხერხებლად გადამიწია. ხელი ჩაჰყო. თვალები მოხუჭა და გაიტრუნა.

შეეკრთი. უცნაურმა, გაურკვეველმა გრძნობამ შემიპყრო ერთბაშად. თავი ვერ შევიკავე და... ჩამეცინა. მან თვალები გააღო. გაკვირვებით და ძალიან სერიოზულად ამომხედა. ხელი უფრო ღრმად ჩაჰყო. თვალს კი არ მაცილებდა.

ძალა მოვიკრიბე. დაეწყნარდი. მერე თამამად შევხედე თვალებში. მან მხოლოდ ახლა გამიღიმა რულმოკიდებული თვალებით.

მალე ჩაეძინა. ქვედა ტუჩი გაბუტულივით ჩამოეგდო. შუბლზე შავი კულულები ჩამოჰყროდა. ახლა დავაკვირდი და ახლა შევამჩნიე — კარგი, საყვარელი ბავშვი იყო! თვალის უპესთან ცრემლის სველი ნაკვალევი ემჩნეოდა. თითით მოვუმშრალე. მერე ვერ მოვითმინე, ვაკოცე. ძილში შეიშმუშნა. ხელი ამოიღო საბნიდან, ყელზე მომხვია.

გავიტრუნე. თვალები ჩემდაუნებურად მელულებოდა. მხოლოდ სადღაც, გულში და კიდევ სადღაც, შიგნით, იყო კარგი და თბილი.

იმ წუთს ძალიან მომინდა, რომ გაღვიძებოდა. მინდოდა შემეხედა, მენახა — როგორი თვალები ჰქონდა პატარას. მე დამავიწყდა მათი ფერი. მინდოდა გაღვიძებოდა, გაღვიძებოდა და ეთქვა — „დედა...“ ბევრჯერ ეთქვა და ყოველთვის ეთქვა — „დედა... დედა...“

ხელი დამბუჟდა, მაგრამ არ გავინძერი. მეშინოდა, არ გაღვიძებოდა... მეორე ოთახიდან მომესმა, როგორ ფუსფუსებდა ბებო. თვალი მოვავლე ოთახს.

გვერდით ხის ფართო საწოლი დგას, ცისფერი გადასაფარებლით. მეორე მხარეს — დაბალი, რბილი ტახტი. ზედ პატარა, ხელით ნაქარგი ლამაზი ბალიშები და გაზეთები ყრია უწესრიგოდ. ეტყობა, ახლახან ვიღაც იწვა აქ...

კუთხეში საწერი მაგიდაა. ზედ სურათი დევს. ქალის სურათი უნდა იყოს. როგორ მომინდა ახლოს შემეხედა.

ფრთხილად მოვიშორე ბავშვის მკლავი. წამოვდექი. ფეხაკრეფით მიეედი მაგიდასთან.

სურათიდან ახალგაზრდა ქალი მიცინის. თითქმის გოგონა. ვიცანი იმ ქალის სახე, ოთახში შემოსვლისთანავე რომ შევნიშნე. გულდასმით დავაკვირდი მის თვითეულ ნაკვთს: ოქროსფერი ტალღოვანი თმები, დიდი ცისფერი თვალები („ალბათ ბიჭსაც ასეთი თვალები აქვს“...).

პატარა ცხვირი და ოდნავ სქელი ტუჩები. კბილები? — კბილებს... არა უშავს.

ჩემდაუნებურად იქვე სარკეში ვიხედები...

მაგიდაზე კიდევ ქალის პატარა ოქროს საათი დევს, ზუსტად ისეთი, როგორიც ჩემია. ხელში ვიღებ: ოთხის თხუთმეტ წუთზე გაჩერებულიყო...

მაგიდასთან სკამია. ზედ მამაკაცის ცისფერი პერანგი და მუქი ლურჯი ფერის შარვალია გადადებული. უნებურად პერანგის საყელოს დავხედე.

ბებომ შემოიხედა.

— დაიძინა?

— დიახ... — ბიჭს გავხედე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხერხულად გავჩუმდით. მე ისევ სურათს შევხედე.

— ის არის? — ვიკითხე ჩუმად, მხოლოდ იმისათვის, რომ რაიმე მეთქვა. მან თავი დამიქნია, ამოიოხრა და ჩემსკენ წამოვიდა. რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გაჩერდა და ყური მიუგდო. კარებში გასაღების ჩხარუნი მომესმა მეც.

— გივი მოვიდა, — თქვა მოულოდნელად მან და გავიდა. დავიბენი. დერეფნიდან ჩურჩული მომესმა.

„რასაკვირველია, ჩემზე ჩურჩულებენ“...

სად დავმალულიყავი არ ვიცოდი. კარებისკენ გავიწიე, მაგრამ სკამს ფეხი წამოვკარი. სკამი ხმაურით წაიქცა. უნებურად ბავშვისკენ გავიხედე. მან ტუჩები უკმაყოფილოდ გაიცმაცურა, თვალები გაახილა და სატირლად მოემზადა. შემეშინდა და იმ წუთს მასთან გავჩნდი. თმებზე ხელი გადავუსვი, შუბლზე ვაკოცე.

ამ დროს ვიგრძენი, ზურგს უკან ვიღაც იდგა და მიყურებდა. ფრთხილად მივიხედე.

კარებში ახალგაზრდა კაცი იდგა. მაღალი, გამხდარი, შავგვრემანი. გაქათქათებული თეთრი პერანგი ეცვა, საკინძეშეხსნილი. ვგრძნობდი, ძალიან სულელური გამომეტყველება მქონდა. ის კი მოძრავი, მეტყველი თვალებით გვიყურებდა ხან მე, ხან ბიჭს.

— მამა, მოდი... აი დედა!

დაკენებით დააცქერდა შვილს. მერე მე შემხედა. ნელი ნაბიჯით მომიახლოვდა.

— გამარჯობათ... — წაიჩურჩულა და ბავშვის ლოგინზე ჩამოჯდა. საბანი გაუსწორა, მერე დაიხარა, შუბლზე აკოცა ოდნავ გვერდით, სწორედ იმ ადგილას, სადაც მე ვაკოცე წეღან.

— დაიძინე, მამიკო, უკვე გვიანაა...

ბალიში გაუსწორა. მერე „ჩემი“ ბალიში აიღო და იქვე სკამზე გადადო... გარინდებით ვიდექი. ცრემლები თუ რაღაც მახრჩობდა.

* * *

უხმოდ მივდიოდით. საათს დავხედე — თერთმეტი სრულდებოდა. გივი ჩუმად მომყვება. ვგრძნობ, სულ არ არის ჩემთან, სადღაც იქითაა, შორს...

მიხარია, — ჩემი სახლი ახლოსაა და მალე ბოლო მოეღება ამ უხერხულობასაც.

რაღაც მაინც მაწუხებს, ვღელავ. ვითომ რეზო?! ალბათ რამდენი მიცადა...

— აი, ჩემი სახლიც...

— მართლა?! — მან ახლა შემომხედა პირველად...

შევჩერდით.

„რა ნაცნობი თვალები აქვს! ღმერთო! სად მინახავს? ჰოო... ბიჭს აქვს სწორედ ასეთი შავი თვალები, ზუსტად ასეთი გამოხედვა!“

და მე გამეხარდა, რომ ბავშვს შავი თვალები ჰქონია თურმე და არა ცისფერი, როგორიც იმ ქალს, სურათიდან დამცინავად რომ მიღიმოდა.

გივი მათვალიერებს. ვგრძნობ, მათვალიერებს და უკვირს...

— სულ არ ვგევარ, არა?..

— არა, — ამბობს მოულოდნელად, — თითქოს თმებით. — მწყინს, რატომღაც მწყინს.

„რა ჩემი ბრალია, თუ შენმა შვილმა მიმამგვანა“.

— მშვიდობით....

— მაპატიეთ... ნახვამდის... — ალბათ, მიხვდა, რომ ნაწყენი ვარ. უკან არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომიხედავს, ისე გავიქეცი. კარებთან ვინანე, რომ არ მივიხედე და არ დავინახე — გამომხედა თუ არა მან.

* *

დილიდან სულ ბიჭზე ვფიქრობ.

„ბებო, დედას?“

„ახა დედას!“...

რეზოს ბავშვები არ უყვარს. „ჩვენ შვილი არ გვეყოლება დიდხანს, არა? მეჯავრება ბავშვების ჟყიპინი“...

რა ცუდია. რატომ მახსენდება ახლა ეს? მაშინ ყურადღებაც არ მიმიქცევია...

ვერ ვისვენებ ერთ ადგილას. ვწრიალებ.

„ნუთუ არ იტირა?“

დრო გადის... დრო გადის...

ორს აკლია თხუთმეტი წუთი...

წიგნს წავიკითხავ ახლა, მორჩა და გათავდა...

„დედა, ახა შენ...“

„დედა, სენ გახადე...“

ორი საათია... სამის ნახევარი...

ნუთუ დავავიწყდი, არ მიკითხავს?

„მამა, აი დედა...“

სამი საათია... „დედა, დედა... დედა...“

კარებზე ვიღაცაა... გავრბივარ.

— დედამ, საცერი მახხოვეთო...

ჯანდაბას!

ნუთუ არ ტირის?

დრო გადის... დრო გადის...

ოთხის თხუთმეტი წუთია...

მე მახსენდება ის პატარა საათი, ზუსტად ისეთივე, როგორიც ჩემია. ის იქ დევს, საწერ მაგიდაზე — ოთხის თხუთმეტ წუთზე გაჩერებული...

ფითელი ვარდი

საცაა კონცერტის მეორე განყოფილება დაიწყება. ლალი ღელავს. ჯერ ხომ მხოლოდ ორი კვირაა, რაც უნივერსიტეტში დადის. ძლივს შეეჩვია აუდიტორიებს, ამხანაგებს... და დღეს უკვე პირველკურსელებთან შეხვედრის საღამოში იღებს მონაწილეობას... ვერც კი გიგონა როგორ გამოაცხადეს. ვიღაცამ უბიძგა — „მიდი, მიდიო“. როგორ გავიდა სცენაზე, არ ახსოვს. აღელვებით გადახედა სტუდენტებით გაჭედილ დარბაზს და დაიწყო...

ტაშის გრიალმა გამოაფხიზლა.

კიდევ იმღერა.

კულისებში ამხანაგები ულოცავენ, კოცნიან...

ვიღაც ვაჟი... არა, ვიღაცა კი არა, აი ის, ახლახან რომ გააცნეს, ყოველთვის ასე უცნაურად რომ აცქერდება ხოლმე თვალებში ლალის, წითელ ვარდს აწვდის.

— რა კარგი ხართ დღეს, ეს კაბაც ძალიან გიხდებათ... — ეუბნება და

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



ისევ უცნაურად უყურებს. გაწითლდა ლალი. ჯერ გაბრაზება დაეპირა, წარბიც კი შეიკრა, მაგრამ... რატომ უნდა გაბრაზებოდა! გაუღიმა და ვარდი თმებში ჩაიბნია.

მერე ამხანაგებთან ერთად ვესტიბულში გამოვიდა. უცებ თვალი მოჰკრა თემურს. მარტო იდგა, მოწყენილი. როგორ დაავიწყდა. მისკენ გაიქცა და ხელზე წაეპოტინა.

— თემიკო! აქ რას უდგეხარ?! რატომ არ მოხვედი ჩემთან?! — მიაყარა ზედიზედ.

— ჩემთვის სად გეცალა...

— არ გრცხვენია?! ვერ დაგინახე... წამო!

ტევა არ იყო დარბაზში.

— დაბრძანდით, — მოესმა სიბნელეში და ვიღაცამ თავის სკამზე მიუთითა. ლალიმ მადლობა გადაუხადა, დაჯდა. თემური შორიახლოს დადგა და სცენას მიაჩერდა უაზროდ.

ლალი ვერ ისვენებდა. რა ხდებოდა სცენაზე, ლალის არ ესმოდა. არ მოელოდა, რომ ასე კარგად იმღერებდა. როგორ უცემდა გული! ნეტავი, როგორი იყო სცენაზე? არა, კაბა ნამდვილად უხდება...

დარბაზში სინათლის ანთებისთანავე გრძნობდა, როგორ უყურებდნენ უცნობი თვალები და უღიმოდნენ. ლოყები ეწვოდა, თავბრუ ეხვეოდა.

საღამო დამთავრდა. თითქმის უკანასკნელები გამოვიდნენ. ლალიმ შორიდანვე შენიშნა ის... ვიღაცას თვალებით ეძებდა. აღელდა. უნებურად ხელი მოისვა თმებში ჩაბნეულ ვარდზე. „მე დამელოდა“...

მან დაინახა ლალი, წამოვიდა მისკენ, მაგრამ თემური შეამჩნია და შეჩერდა, გაუღიმა მხოლოდ. ლალიმ გაბუტული თვალებით ახედა თემურს.

გვიან იყო, ფეხით წავიდნენ მაინც. მიდიოდნენ ჩუმად. ლალი გრძნობდა, თემური ნაწყენი იყო, მაგრამ არ შეეძლო ახლა ამაზე ლაპარაკი.

ბოლოსდაბოლოს რა ჰქნა ასეთი?.. იქნება ახლა ასე გაჩუმებული მთელ გზას! ერთ სიტყვას არ ეტყვის... ფხუკიანი! ახალი კაბაც ვერ შეამჩნია...

რა მალე გადის დრო... თითქოს გუშინ იყო, უკანასკნელ გამოცდას რომ აბარებდა სკოლაში; თეთრწინსაფრიანი ფორმა ეცვა, დიდი ბაფთი ეკეთა ნაწნავზე. თხელი წინდების ჩაცმის ნებას არ აძლევდნენ, კინოში ათსაათიან სეანსზე არ უშვებდნენ. — რატომ დაიგვიანე! — სად იყავი! — ჯერ პატარა ხარ! — რა დროს შენი ზამშის ტუფლებიო!..

ახლა? თითქმის ყველაფრის ნებას აძლევენ. თხელი წინდები აცვია, ზამშის ტუფლებიც. ეს კაბა... იცის, იცის, რომ ძალიან უხდება. იმასაც ხომ მოეწონა... ნეტავი რა ჰქვია?.. რაღაცნაირი თვალები აქვს... კარგი...

— ლალი!

— აა...

სახლს უახლოვდებოდნენ. ესეც ლალის ეზოს კარები. შეჩერდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლალი!

— ჰა...

— ხედავ, დაგავიწყდა, რომ გვერდით მოგყვება...

— რას ამბობ... ნახევამდის, თემურ, გმადლობ, — ხელი გაუწოდა.

— როდის აქეთაა ასე მემშვიდობები? — ორივე ხელი მოჰკიდა ლალის პატარა ხელს, — როგორი ცივი გაქვს. გცივა?

ლალიმ თავი გააქნია. მერე ისე შეანძრია ხელი ვაჟის ხელში, თითქოს უნდოდა გაეთავისუფლებინა.

უხერხულად გაჩუმდნენ. ლალიმ ახედა. თემურის სახე სულ ახლოს იყო. გულში რაღაცამ გაჰკრა.

„ვაი, მაკოცებს...“ — მაგრამ რატომღაც ვერ გაინძრა.

— გახსოვს, ლალი, პატარები რომ ვიყავით?.. რა კარგი იყო, არა? მაშინ არაფერი არ გვესმოდა... არასოდეს არ დავფიქრებულვარ ამაზე... დღეს კი ვიგრძენი. შეიძლება... დაგკარგო... ლალი. — ჩურჩულებდა თემური.

„აი, ახლა ნამდვილად მაკოცებს... აი... ახლა...“

თემურმა თითთი შუბლზე ჩამოშლილი თმა გაუსწორა. მერე თითი საფეთქელზე და ლოყაზე ჩამოუცურა. ლალი სულგანაბული იდგა და სადღაც, თემურის უკან იხედებოდა. გაქცევა მოუნდა, ფეხები არ დაემორჩილა.

თემურმა ისევ მოჰკიდა ხელები მის თითებს.

— მე გაგითბობ... — წაიჩურჩულა და ტუჩებთან მიიტანა.

ახლა კი დაატანა თავს ძალა ლალიმ, ხელი ფრთხილად გაითავისუფლა, უცბად შემოტრიალდა და გაიქცა.

ვერ დაიძინა. დიდხანს წრიალებდა.

მერე ადგა, ფეხშიშველი მივიდა დედასთან.

— დედიკო, შენთან დაწვები, რა, — წასჩურჩულა, რომ მამას არ გაღვიძებოდა.

— რა მოგვიდა? ავად ხომ არა ხარ? — დედა ტუჩებით შვილის შუბლს შეეხო.

— არა, დედიკო... არა, ისე... გეხვეწები, რა...

თავი დაადო გულზე. დედამ თმებზე გადაუსვა ხელი. თითები რაღაცას შეეხო.

წითელი ვარდი.

— მომეცი, დედა, მომე... — ლალიმ ფრთხილად მოჰკიდა ხელი ყვავილს. წამოჯდა. დააკვირდა სიბნელეში. მერე ნაზად აკოცა დედას ლოყაზე.

ჩამოვიდა ლოგინიდან. ისევ თავის საწოლს მიაშურა.

თენგიზი?.. არა. ოთარი. ნამდვილად არა. გია... არა, არა... ხვალ აუცილებლად გაიგებს რა ჰქვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაზი კიღასონია

ამხანაგო გორის!..

ზაფხულმა მხოლოდ თბილისში იცის ასეთი ცხელი, ზღაპრული ღამეები. წყნარ ქუჩაზე ცაცხვები ჩუჯვიან, თავბრუს მახვევენ. ფილაქანზე ჩრდილები ქანაობენ და სახლამდე მიმდევენ. მინდა ვიტირო სიცოცხლის სიხარულით, ერთხელ მაინც გიამბო, რა კარგია იგი თუნდაც მაშინ, როცა რაბინდრანათ თაგორის ლექსებს ვერიკო ანჯაფარიძე კითხულობს; როცა რაღაც შორეულზე, მშობლიურზე ტირიან ინდური სალამურები. შენც რომ გესმინა! მერედა როგორ გიყვარდა სეენ! ჯერ კიდევ ბავშვმა გეტრიაში, ბერნათში, ტოლებს თავი მოეყარე, აკაკის „პატარა კახი“ წაუკითხე და ერეკლეს როლი დაისაკუთრე:

„საკუთარ ტანჯვად მე მიმაჩნია
ჩვენი სამშობლოს უბედურება.
და ვერ ვუყურებ გულდამშვიდებით,
როცა ამდენი სისხლი იღვრება!..“

ეს იყო 1914 წელი... შენ უკვე გესმოდა სამშობლოს ვარამი, უკვე ფრთებს ისწორებდი, ჯერ კიდევ ცხრაასხუთიდან უსმენდი ძმასთან მოსულ ბოლშევიკებს, დაჰყვებოდი მათ კრებაზე, შენ დაბრუნებისას კი...

მაგრამ, ან რას ჰყვება თავად შენი ძმა: „ბავშვი ხშირად დაგვყავდა კრებაზე. ის ჯერ კიდევ პატარა უსმენდა ორატორების ლაპარაკს. სახლში დაბრუნებისას ბორისი დაუძახებდა თავის ტოლ-ამხანაგებს, მოიტანდა სკამს, ავიდოდა ზედ და დაუწყებდა მიბაძვას იმ ორატორებს, რომელთა სიტყვები ჰქონდა მოსმენილი“...

შემდეგ?

თბილისი, მეჩიდრო კავშირი ნაძალადევის ბოლშევიკების პარტიულ კომიტეტთან, მეშა ახალგაზრდობასთან.

ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტების — „სპარტაკის“ ორგანიზაციის დამფუძნებელ კრებაზე პირველად გნახეს შენ, ამხანაგო ბორის, მომავლის მეგობრებმა. თბილისის რევოლუციურმა ახალგაზრდობამ ამ პირველ კრებაზე შენთან ერთად მისცა ხმა მებრძოლ ორგანიზაციას, ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაციას — „სპარტაკს“. კრებამ ორგანიზაციის წესდება შეიმუშავა, აირჩია დროებითი კომიტეტი და მანიფესტით მიმართა მთელი კავკასიის მშრომელ ახალგაზრდობას. „ყოველთვის და ყველგან დავუჭიროთ მხარი ინტერნაციონალური პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობას!“. — მოეწოდებდა მანიფესტი.

კრებაზე გამოსულ ორატორთა უმრავლესობა ასე ამბობდა:

„ვისთვისაც გაძნელებულია სუნთქვა ექსპლუატაციის უღლისქვეშ, ვისთვისაც ქვიტკასია სოციალიზმი, იგი უნდა შეეიღვის მებრძოლთა რიგებში, რომლის დროშაზეც ცეცხლიანი ასოებით მოხაზულია: „საკვდილამდე ბრძოლა მსოფლიოს ბატონ კაპიტალთან, მის დამქაშებთან, რომლებიც ერთად არიან ერთადერთი მიზეზნი სისხლისა და ცრემლის ოკეანეებისა“...

ეს იყო 1917 წლის 3 სექტემბერი. ალბათ აღელვებული დაბრუნდი სახლში. გზადაგზა მომავალი დღეების გეგმას სახავდი, და ფიქრში წასული იღებდი ჯიბიდან ტკბილეულს. დღესაც იგონებენ, თუ რა ბავშვურად გიყვარდა კამეტები...

დროებითმა კომიტეტმა დაიწყო ზრუნვა „სპარტაკის“ ახალი ორგანიზაციის შექმნისაკენ. მან გამოსცა მანიფესტები, მოწოდებები, ფურცლები, ამხელდა მეწუმეებს, დაშნაკებს, მუსაგატელებს, რომლებიც ცდილობდნენ კავკასიის ერთა შორის შეღელის ჩაგდებას, ავრცელებდა პოლეტარიატ ცოდნას ახალგაზრდობაში; იგი მხარში უდგა ამიერკავკასიის ბოლშევიკებს.

და ყველგან, ყოველთვის იკავი შენ, ჩვიდმეტი წლის ბორის ძნელაძე.

ჩვიდმეტი წელი!

რომელიც სამყაროს ახალი თვალებით უყურებს, დამეებს თეთრად ტანს, ლექსებს ჩურჩუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს, და ჰგონია სულ ასე ახალგაზრდა იქნება. ამტომ არ დარდობს ხშირად უმიზნოდ, უაზროდ ჩავლილ დღეებს, თვეებს.

მე ვიცი ჩვიდმეტი წლის ბიჭი, რომელიც შრომით მოღლილ დედას ეჩხუბება — ფული მომეკითხო.

მე ვიცი ჩვიდმეტი წლის ბიჭი, რომელსაც ცინკოსის პიზა მიეღია და ასე ტუჩამრეზით დაჰყურებს ყველაფერს ადამიანურს, უბრალოს...

როგორ არ ჰგავხარ შენ მათ!

მაგრამ მე მახსოვს ჩვიდმეტი წლის ქალიშვილი, რომელმაც ომები მოკლედ შეიჭრა, უკანასკნელად აკოცა დედას და ფრონტზე, ცეცხლის ბაზზე წავიდა.

მე ვიცნობ ჩვიდმეტი წლის ახალგაზრდას, რომელიც დედასა და ორ ძას ინახავს თავისი შრომით.

როგორ გგვანან ისინი შენ, ამხანაგო ბორის!

*

* *

ნაძალადევში „სპარტაკის“ ორგანიზაციის შექმნის შემდეგ ზედიზედ ყალიბდება ასეთი ორგანიზაციები თბილისის სხვა რაიონებში. ამ ორგანიზაციებს თანდათან ემატება რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობა. პარტიის თბილისის კომიტეტი, მისი ხელმძღვანელი ამხანაგები მათთან არიან, ასწავლიან, წრთვნიან. მენშევიკური მთავრობა აბრეკს „სპარტაკის“ მიერ მოწყობილ საჯარო ლექციას, სადაც მეხაცაკია გამოვიდა ლექციით ოქტომბრის რევოლუციის შედეგებისა და პერსპექტივების შესახებ. ორგანიზაცია არალეგალურ მუშაობაზე გადავიდა, მაგრამ წამითაც არ შეფერხებულა მისი მაჯისცემა. უფრო ფართოვდება მისი ქსელი. ქუთაისი, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ზუგდიდი, ჩოხატაური... ყველან ედება „სპარტაკელი“ მოძრაობა და ყველან ბალშევიკურ გაზეთ „ბრძოლაში“ კორესპონდენციებს, რომლებშიც ამხელ ადგილობრივ მენშევიკებს, მათს კავშირს ჩარჩ ვაჭრებთან, ხალხს წურბელებთან.

1918 წელს „სპარტაკის“ ორგანიზაციის თბილისის საქალაქო კონფერენციან ახალგაზრდათა კომუნისტური ორგანიზაცია უწოდა.

ამავე წლიდან ხელმძღვანელობს ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციის „სპარტაკის“ ამიერკავკასიის დროებითს ცენტრალურ კომიტეტს, რომელშიც დიდი როლი შეასრულა იმ მეფეკარე დღეებში.

„ჩვენი ორგანიზაცია, ახალგაზრდა კომუნისტების ორგანიზაცია „სპარტაკი“ მთელი მსოფლიოს მსგავს ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში გამოდის აშკარა კლასობრივი ბრძოლის ლოზუნგით. ან ლებულობს რა აქტიურ მონაწილეობას იმპერიალიზმის განადგურებაში, მიისწრაფის ბრწყინვალე მომავლისაკენ, ახალი ქვეყნისაკენ — კომუნიზმისაკენ.

გაუმარჯოს კომუნიზმისაკენ მიმავალ სიცოცხლის გზას — სამოქალაქო ომს!

გაუმარჯოს მსოფლიო კომუნისტურ რევოლუციას!“ — გადასძახეთ სისხლიან სამყაროს ახალგაზრდა სპარტაკელებმა.

ეს თქვენ იყავით, პარტიის ნაცად წევრებთან ერთად ნიღაბი რომ ანადეთ ამიერკავკასიის მთავრობებს, მრისხანედ ამხილეთ მათი კონტრრევოლუციური ზრახვანი, მხარი დაუჭირეთ წოთელი არმიის ბრძოლის ინტერესენტების წინააღმდეგ.

„ძირს დენიკინი! გაუმარჯოს რევოლუციურ ბრძოლას დენიკინის წინააღმდეგ!“ — აი, რას მოეწოდებდა ამიერკავკასიის პროლეტარული ახალგაზრდობის კომკავშირის დროებითი ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული სპეციალური რეზოლუცია.

ახლოდებოდა გადამწყვეტი ბრძოლის დღეები. ეერ შეგანშინთ რბევამ, დაჩიჩქეამ, რეპრესიებმა. იმ მღელვარე დღეებში პარტიის ხელმძღვანელობით ახალგაზრდები აკაენყებისათვის ემზადებოდნენ. ქუთაისს, ლანჩხუთს, ჩოხატაურს იქნებ დღესაც ახსოვთან მაღალი, ფერმკრთალი, სათვალიანი ჭაბუკი — შენ ხომ აკაანყებისათვის წრთვნიდი გურიის ორგანიზაციებს, ამზადებდი, ეიარაღებდი!

და როცა ეს აკაანყება დამარცხდა, დამსჯელი ცეცხლის ალში გაეხვია აკაანყებული რაიონები და არნახული სისასტიკით მოხდა ანგარიშსწორება, მენშევიკური მთავრობა გაკვირვებული დარჩა იმით, თუ რა სიზუსტით ასრულებდით ახალგაზრდა კომუნისტები პარტიის დავალებას. კომკავშირმა მობილიზაცია უყო მთელ თავის ძალებს და ცეცხლის ხაზზე უჩვენა უფროს ამხანაგებს, თუ რა სიმაღლე ცვლა ჰყადეთ მათ.

კომკავშირმა ბრწყინვალედ შეასრულა დავალება: მტრის ძალების შესწავლა, კონტრდაზვერვა, იარაღის რაოდენობის გაგება და მთელი რიგი სამხედრო ხასიათის დავალებანი.

შემდეგში შენ და ახალგაზრდათა მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ამბავი აქე იგონებთ იმ პერიოდს:

ბ ო რ ი ს ძ ნ ე ლ ა ძ ე: „ჩვენ ვეზმარებოდით პარტიას ამ მუშაობაში და ენერგიულად ვუშზადებდით ნიადაგს გამაატონებელი ხელისუფლების დამხობას. ამას გარდა ჩვენ გამოვცემთ რამდენიმე წიგნაკი, პროკლამაციები, მოწოდებები... პარტია გვავალებს გეგმის შედგენას მტრების მდგომარეობის, ჯარების დანაწილების, ყუმბარების საწყობების შესახებ... უნდა ითქვას, ჩვენმა კავშირმა ძლიერ დიდი დახმარება გაუწია კომუნისტურ პარტიას“.

ა ნ ა ს ი: „ჩვენს აკაანყებას განსაკუთრებული სისასტიკით ახშობდნენ, ხვრეტდნენ, სცემ-

დნენ და უკეთეს შემთხვევაში ამწყვდევდნენ ციხეებში. მენშევიკებს ეშინოდათ აშკარად განცხადების, რომ პოლიტიკური მებრძოლები — კომეწინააღმდეგენ, ბიუვდნენ დასახვრეტად. ამიტომ ისინი მიმართავდნენ ჩვეულებრივ მახინაციებს: ატუალებდნენ, ან გადაჰყავდათ ციხიდან ციხეში არა დღით, არამედ ღამით და გზაში კლავდნენ. შემდეგ ავრცელებდნენ ხმას: „ესა და ეს კომუნისტი გაქცეულ ცდის გამო მოკლული იქნაო“.

ჩვენი და ყველა კონსპირაციული ბინა, დაარბევიმრეს მრავალი ამხანაგი, მაგრამ მაინც შეუძლებელი შეიქნა კომკავშირული ორგანიზაციების განადგურება, რევოლუციური სულის ჩაქრობა. ეაბიმრობამ თითქოს უფრო დაგვიქაცა. მოგაბარეს ოზურგეთის, მეტეხის, ქუთაისის საპატრიოტიკანი, ალბათ იქ გგიდგა ფილტვებში ხენი. მაგრამ ვერც მტერმა მოგდრაკა, ვერც ავადმყოფობამ. დადიოდი მხრებგაშლილი, თავამაღთული. ახალ ბრძოლაზე ფიქრობდით შენ და კომკავშირი. კანა ბრძოლა არ იყო „ტეეტრის ბეჭდვა სწორედ მენშევიკების სტამბებში? ამ დიდ რისაზე მიდიოდა ახალგაზრდობა! ისინი ღამით ბარეთან ალყას არტყამდნენ სტამბას, ვიდრე დანარჩენები შიგ კარტოფილის სანლოს შუქზე აწყობდნენ მასალებს. სწორედ ეს კომკავშირლები იყვნენ ტექნიკური კოლეგიის წევრები.

იმ დროს, როდესაც სტამბის ბატონ-პატრონები ღრმა ძილში იყვნენ, ხოლო დარაჯებსაც და მეეზოეებს „ტეკეოლის“ სხვა წევრები სადმე დუქანში აქეთებდნენ, იბეჭდნდოდა კომუნისტური, ცეცხლიანი სტრიქონები. რა მართალი იყო პარტია, როცა ეს საქმე თქვენ დაგვავალეთ. რისაკ, ბრძოლის რომანტიკა! განა ვის იტაცებს იგი, თუ არა თქვენ — გაუშინეელ ბავშვებს, ღღეკანნელ ჯაბუკებს!

„ამრიგად ჩვენი მტრების სტამბაში, მათი შრიფტით, მათ მარქანებზე და მათ ქაღალდებზე ბეჭდავდნენ კომუნისტური ორგანიზაციები თავის არალეგალურ ლიტერატურას, — იგონებს „ტეკეოლის“ ერთი წევრი. — იყო შემთხვევა, როცა ერთ სტამბაში, რომლის გამგე იყო ურუშაძე, ჩვენმა კაზარომვა გარმონის დაკვრით გაართო ის და ითამაშა კიდეც, ამ დროს ლოგინიგან და ზაიკან აფუყვეს პროკლამაცია. ურუშაძემ ეს ამბავი გაიგო მხოლოდ მას შემდეგ, როცა ეროა ქუჩაზე დაინახა მისი შრიფტით და მის ქაღალდზე დაბეჭდილი პროკლამაცია...“

დარჩა წეგნები, მოგონებები, არქივის მასალები, მაგრამ აღარა ხარ შენ, რომ ქართველ ახალ თაობას უამბო იმ დღეებზე, ბრძოლის იმ რომანტიკაზე.

აღარა ხარ შენ და... ფართო, მაღალქერიანი ოთახი ბინაში ცურავს. მოგონებებში წასულა შენი უფროსი ძმა, ძველი ბოლშევიკი ვარლამ ძნელაძე. მაგიდაზე აფთურებს ხელს, ნეფენელი მარცელავს ბორისის ამბავს, იგონებს „ვეფხისტყაოსნის მოლეს“ — ვარდანიანს, ამასს, ლეგდარიანს, ინინდს. იგონებს თქვენს, დიდ საქმეებს, თქვენს კარგ საქმეებს.

ის როგორ იყო?..

ძმის ბინას უკვე უთვალთვალებდნენ; ფანჯრიდან დაინახე, რომ ძმასთან თანამებრძოლი მოდიოდა. მაშინ ქმარი შეიხსენი თურმე, ეზოში გიგარდი და ლაბტით მთთამაშე ბიჭებში ჩაერიე. გაკვირდა სტუმარი. ეუცნაური შენი თამაში. შენ კი ისევ იქნევდი ქამარს, და ამ თამაშით ანიშნებდი პარტიულ ამხანაგს „არ შეხვიდე ოთახში, თავი არ გასცეო“. მიხედა სტუმარი და აკი გადარჩა კიდეც...

ისევ გაიცინა ვარლამმა. იქნებ შენი „გადიდლომატება“ გაახსენდა. მაგრამ სჯობს ისევ შენი მოგონება გადავშალოთ. საქართველოს საზღვრებიდან გგიასახლეს მენშევიკებმა. შენ კი მალე ისევ საქართველოში დაბრუნდი.

„ბაქოში დაგრჩი ერთი კვირა. შევიძინე დოკუმენტი თავად ეეზრორვის სახელზე, სადაც ნაჩვენები იყო, თითქოს მე ვიყავი მთელთა რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს შიკრიკი და ვიგზავნები მილენინაზე ბარათოვთან, ტფილისში. გადავიცვი სხვა ტანისამოსი და წყვიდი მატარებლისაკენ, სადაც დამითმეს მთელი კუპე. მატარებლის მხლეველმა გამოაკრა ჩემს კუპეზე განცხადება, რომ მე ვიყავი დიპლომატიური შიკრიკი თავდაცვის საბჭოსი. საზღვარზე მენშევიკების კონტროლიორმა წაიკითხა წარწერა ჩემს კუპეზე და ქართველად ჩაილაპარაკა: აქ არც კი ღირს შესვლოო, და ჩაიარა“.

დათვლილი იყო მენშევიკური თთავრობის დღეები... 1920 წლის 2 მაისის დემონსტრაციამ ერთხელ კიდეე დაამტკიცა, თუ რა საძულველი იყო მენშევიკური რეკიმი საქართველოს პროლეტარიატისათვის. კომკავშირული პარტიულებთან ერთად ხელმძღვანელობდნენ ამ დემონსტრაციის როგორც მომზადებას, ისე ჩატარებასაც. „სადავეებო რაზმმა“ დაარბია იგი, დაპატიმრა მრავალი დემონსტრანტი, აქტიური ხელმძღვანელი მუშაკი, მაგრამ ვერ გატეხა მათი გმირული სული.

* * *

საქართველოს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის დროებითი ცენტრალური კომიტეტი კომკავშირის პირველი ყრილობისათვის ემზადება.

1920 წლის 25 აგვისტოს ყრილობის 43 დელეგატი შეიკრიბა. მაგრამ ყრილობის არ დასაცალდა თავისი მუშაობის ბოლომდე მიყვანა: მიუხედავად „ლეგალიზაციის“ გამოცხადებისა,

„დემოკრატიულმა“ მთავრობამ დაშალა იგი. მხოლოდ ორგანიზაციული საკითხების განხილვა და ცენტრალური კომიტეტის არჩევა მოხერხდა.

ყირლობა შენ ამ დაცვიწყარი სიტყვებით დაბურე:

„ნამდვილი ლეგალური ყირლობა საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირისა გაიხსნება იქ, სადაც სხდომებს აწარმოებს დამფუძნებელი კრება, ვითარცა მშრომელი ხალხის საკეთილდღეო საკითხების განარჩევად“.

... მხოლოდ ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, და შენ, ამხანაგო ბორის, სწორედ იმ დარბაზში ხსნი ყირლობას. საბჭოთა საქართველო, რომლის შეკრნისათვის ბრძოლაში მსხვერპლს არ იშურებდნენ კომკავშირლები, ახლა ისმენს შენს სიტყვებს ამ ნამდვილ ლეგალურ ყირლობაზე:

„ჩვენმა ახალგაზრდათა კომუნისტურმა კავშირმა და მისმა პირველმა ლეგალურმა ყირლობამ უნდა თქვას, რომ იგი მიიღებს მხურვალე და აქტიურ მონაწილეობას ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მას უნდა აინტერესებდეს ყველა ის საკითხი, რომელიც აინტერესებს კომუნისტურ პარტიას. ყველა ამ საკითხის გადაწყვეტაში საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტურმა კავშირმა უნდა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა... იგი საეტაპოოდ შეასრულებს იმ მოვალეობას, რომელსაც ავალებს მას დღევანდელი მომენტი“.

ახალ, პარტიულ სამუშაოზე გადასული — გულით ისევ შენს საყვარელ კომკავშირთან ყოფილი. უკვე გეძალებოდა ავადმყოფობა, მაგრამ წუთითაც არ გსურდა შესვენება. ახლა კომისარი — სამხედრო სკოლის კურსანტებს წრთვნიდი, წითელ მეთაურებს ზრდიდი...

ახლობლები კი გრძნობდნენ, თუ რა სერიოზულად იყო შერყეული შენი ჯანმრთელობა. დღის განსაკუთრებულ რეჟიმს გიქმნიდნენ, თავს გაბეზრებდნენ... მაშინ ძმის ოჯახიდან სასტუმროში გადახვედი, გაჯიუტდი. გიკვირდა — როგორ არ ესმოდათ შენი, რად გთხოვდნენ აღრიცნად დაძინებას, დროულად დასვენებას, განსაკუთრებულ კვებას. მაინც არ მოგასვენეს, სასტუმროშიც მოვიდნენ შენიანები. დაადეს ხელი წიგნებს, ტანსაცმელს, და წაიღეს. გვიან დაბრუნებულს ცარიელი ოთახი რომ დაგხვდა, მიხვდი, ხელი ჩაიქნიე და კვლავ ოჯახში დაბრუნდი. მაგრამ ვეღარ გიშველა ადამიანთა სიყვარულმა, ექიმის სიბრძნემ. ლიკანსა და აბასტუმანს ანდეს შენი მკურნალობა, ფიქვნარის სუნთქვას — დახარჯული სულის ჩადგომა ... კეღლტბრიგით ოწვდი თერმე. თვალი მაინც საყვარელი საქმისაკენ გეკარა, თბილისსაკენ, ბრძოლისა და ცხოვრებისაკენ. სამხედრო სკოლამ რომ კურსანტები გამოაშვა, ის დღეს მოჩენენებასავით მოეკლინენ თბილისს. აბასუმნიდან გამოპარულმა სკოლასთან გადაიღე სურათი და... კვლავ უკან დაგაბრუნეს.

უმამაცეს ვაკაცს ულამაზეს გზასთან — ბორჯომის ხეობასთან დგეგნა საკვდილი...

მხოლოდ ორი წელი იცოცხლ შენს ნანატრ საბჭოთა საქართველოში. ოქტომბრის პირველ რიცხვებში შენი ნეშტი-ღა დაუბრუნდა თბილისს.

„ადარ არის ჩვენი ბორისი, კეთილშობილი სპარტაკი“ — აღმოხდა ერთ ამხანაგს.

გლოვობდა თბილისი, გლოვობდა საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური ორგანიზაცია, რომელიც პირველი უჯრედის შვიდი კაციდან თეკვსმეტი ათას კომკავშირლამდე გაზრდილიყო.

სამგლოვიარო პროცესიას მოჰყვებოდნენ ახლობლები, მეგობრები, ყველა, ვისაც უყვარდი შენ, ვისაც ენანებოდა ადრე დაფერფლილი ახალგაზრდობა.

ვიკაცს ლამაზი ცოლი და ქუჩანა ცხენი უნდა გლოვობდეს.

„ყველა თქვენგანს აქვს პატარა, პირადი საქმე, — თქვა იმ დღეს ბორისის ერთმა თანამებრძოლმა, — ბორისს ასეთი რამ დავიწყებული ჰქონდა...“

და მხოლოდ ცხენი, შენი საყვარელი ცხენი მიეყოლოდა სამგლოვიარო მსვლელობას. მისთვისაც ძაძა გადაეფარებინათ. მიდიოდა თავჩაქნდრული ცხენი და... ამბობენ, ტირიოდა.

იქნებ ამისთვის წახვედ ასე ადრე, რომ სულ ახალგაზრდა, სულ ოცდასამი წლისა დარჩენილიყავი?

საქართველოს უყვარხარ,
საქართველოს ახსოვხარ.

მაინც ვალი მართვებს შენი საქართველოს, მის ხელოვნებას, მის ლიტერატურას, ისტორიას. ჯერ კიდევ რა ეოტა რამ არის თქმული შენს შესახებ! განა ორიოდე ლექსით მოვიხდით ვალს შენი ნათელი ხსოვნის წინაშე?

ხვალაც მზიანი დარი დადგება. კომუნარების ბაღში, შენს ძეგლთან, თთამაშებენ პატარები. განა მათ ბევრი რამ არ უნდა ვუთხრათ ამ ნათელი სიცოცხლის შესახებ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე

ინდოეთის გზებზე



ჯერ მაინც ნუ გავალთ ინდოეთის დედაქალაქიდან. ჯერ კიდევ ბევრს უცხო მოსაგონარს გამოგვატანს ქალაქი დელი.

მუშაირა — პოეტების შეჯიბრება, პოეტების ჭიდილი.

მე მანამდეც ბევრი რამ გამეგონა მუშაირას შესახებ, შარშანწინ ცნობილმა ინდოელმა პოეტმა ალი სარდარ ჯაფრიმ წერილიც დასტამბა მოსკოვის ჟურნალ „ნოვი მირში". იგი ამ წერილში ილაშქრებდა იმ ინდოელ მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა წინააღმდეგ, რომელთაც პოეტური შებმის ეს ფორმა უკვე დიდი ხანია დრომოჭმულად და მოძველებულად მიაჩნდათ და მის გაუქმებას მოითხოვდნენ. იმ ზოგადი წარმოდგენით, რაიც მე აქამდე მუშაირაზე მქონდა, რასაკვირველია, არაფრის თქმა არ შემეძლო; ხოლო მას შემდეგ, რაც თავად დავესწარი და მონაწილეობაც მივიღე ამ პოეტურ პაექრობაში, მე სარდარ ჯაფრის მოსაზრება სავსებით სწორად მომეჩვენა.

მუშაირა აღმოსავლური პოეტური მატჩის მეტად საინტერესო ფორმაა.

მუშაირას გამართვა ინდოეთში მთელ რიგ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ამ სიძნელეებს პირველ რიგში იწვევენ სატრანსპორტო ხარჯები. საბჭოთა ქვეყნის პოეტებისაგან განსხვავებით (რასაც ყოველთვის გვისაყვედურებენ ხოლმე) ინდოელი პოეტები ამ უდიდესი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში არიან გაფანტულნი. ისინი ინდოეთის უამრავ ქალაქსა და სოფელში მსახურობენ ლუკმა პურის მოსაპოვებლად. მუშაირაზე მათს შეკრებას უმეტესად პოეზიის მოყვარული რომელიმე მეცენატი კისრულობს ხოლმე.

ამჯერადაც ასე მოხდა. დელის მეჩერალთა კონფერენციაზე შეკრებილთ ინდოეთის ბევრი გამოჩენილი პოეტი თითქმის აღარც აკლდა. დელის მეცხოვრებმა, პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულმა ერთმა მდიდარმა ვაჭარმა ის რამდენიმე გამოჩენილი პოეტიც მოიწვია ინდოეთის შორეული კუთხეებიდან და დეკემბრის ერთ მშვენიერ ინდურ საღამოს დელის ერთ დიდ აუდიტორიაში დაინიშნა მუშაირა.

ამ მუშაირას, ასე ვთქვათ, ამჟამად უფრო ღრმა აზრიც და ფართე მნიშვნე-

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობაც ჰქონდა: ინდოეთის გამორჩენილი მგოსნები საასპარეზოდ ხედავდნენ საბჭოთა ქვეყნის ცნობილ პოეტებს.

წინასწარ ახალგაზრდა მეცენატმა ყვავილებში ჩაფლულ თავის ეზოში მოკლე ვაზშამზე გამართა. ვაზშამზე პოეტებმა ერთმანეთი თითქოს თვალით აფეროდავწონეთ, გავზომეთ, ერთურთს თავაზიანად გავუღიმეთ, ვისკით და ლიდის წყლით სავსე ჭიქები მივუჯახუნეთ და ერთმანეთის სადღეგრძელოები ჩვენებურად, პოეტურად გადავკარით. სუფრაზე უხვად ელაგა მშრალად შემწვარი წითელი ვარიები, ნივრით როგორღაც შეზავებული. თეფშებით ხმირ-ხმირად შემოჰქონდათ ადმოსავლური ბოღლამა და შილაფლავი, ფართეფოთლებიანი მწვანილი და ახალი პამიდორი. ბოღლის ხონჩებით შემოვიდა მანგო — ინდური ხილთა მეფე. დანა-ჩანგალი მხოლოდ სტუმრებს მოგვართვეს, ადგილობრივნენ კი პირდაპირ, ჩვენწი რომ იტყვიან, იდაყვებამდე შედიოდნენ ფლავსა და ბოღლამაში. ტუჩები ყურებამდე ჰქონდათ ცხიმით მოზუზნული და ხელებს ხელსაწმენდის მაგიერ ტანსაცმელზე იწმენდდნენ.

ვიწრო, აყვავებული ხეივნით მაგიდასთან, მსახურთა თანხლებით, მოვიდნენ მასპინძლის ულამაზესი ახალგაზრდა მეუღლე და ასევე ულამაზესი ცოლისდა. ჩვენ, არც თუ ისე საკმაოდ დანაყრებულებმა, ჭამას თავი ვანებეთ. ინდოელ ლამაზებს ტანთ ცეცხლის ალივით წითლად მოშრიალე სარი ემოსათ. ქვემოთ შეიდიში, ზემოთ სიფრიფანა წამოსასხამი, ისე რომ წერწეტა, მზედაკრული წელი შიშველი უჩნდათ. ეს ქალები მართლაც აღმოსავლელი ფერმწერლის კალმით ნახატ მინიატურებს გვანდნენ. ხელები ტყუპად შუბლზე მიიდეს, ინდურად მოგვესალმნენ და ხისსიძის დადგნენ. იმ საღამოს მოსვენება დაჭკარგა განსაკუთრებით ჩვენმა თურქმენმა ამხანაგმა, პოეტმა კარა სეიტლიევმა, თავადაც ლამაზმა, ეშხიანმა ვაჟკაცმა. იმ ორმა ლეილამ იმ საღამოს დაჭკოდა ორი მეჯნუნის „ნორჩი“-გული.

მუშაირას უამრავი ხალხი დაესწრო. ვეებერთელა საზაფხულო საესტრადო თეატრის ეზო სავსე იყო მსმენელებით.

სცენაზე, ფართე ნოხებზე აღმოსავლურად ფეხმორთხმით დასხდნენ ინდოეთის გამორჩენილი მგოსნები: ფიროქ გორაკპური, ჯიგარ მურადაბადი, ფაის ა ჰამად ფაისი, მაჰდუმ მაჰიუდდინი, ქუმარი, ალი სარდარ ჯაფრი, გულიამ რუბანი, ნიაზ ჰაიდარი და ბევრი სხვა.

მუშაირა ორიოდე სიტყვით გახსნა თვითონ მეცენატმა. მან დამსწრეთ აცნობა ჩვენი ეკ ყოფნა. ტაში და შემახალეში.

მეცენატი თავად ბედგაცრუებული პოეტი ყოფილა. ლექსების წერისათვის თავი დროზე მიუნებებია, კომერციული ნიჭი აღმოჩენია და, აი, გამდიდრებულა კიდეც. სხედან ახლა ერთად აღმოსავლეთის სახელგანთქმული, პირველი პოეტები, ღვაწლმოსილი მოხუცნი: ფიროქ გორაკპური, ჯიგარ მურადაბადი და ამ უნიჭო ხელმოცარული პოეტს, დღეს ოქროთი მდიდარ კომერსანტს, თვალებში შესცქერიან. კიდევ კარგი, რომ პოეზია და პოეტები მას საერთოდ თვალდასანახავად არ შესძულებია, როგორც საერთოდ ბევრ ნიჭგაცრუებულ მოლექსეს სჭირს ხოლმე, თუ სადმე სხვაგან კარიერის რასმე მიაღწია.

შემდეგ მუშაირა გულიამ რუბანმა წაიყვანა. პირველნი გამოვიდნენ მოლექსენი, რომელნიც, ეტყობა, დამსწრე საზოგადოებაში დიდი პოპულარობით და სიყვარულით არ სარგებლობენ. ჩვენთვის ხომ, მით უმეტეს, მათი გვარებიც კი სრულიად უცნობი იყო. მიუხედავად აუდიტორიის აშკარა გულცივობისა, ეს მოლექსენი მიკროფონს არ ეშვებოდნენ, კვლავ იჭაჭებოდნენ და ინლიჩებოდნენ, აქოო და ჩემი სჯობიან სხვისასაო. გამახსენდა რუსთაველი: „მაინც იტყვის ჩემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სჯობსო, უცილობლობს, ვითა ჯორი“. ასეთი ხომ არ იყო რუსთაველის დროს ჩვენი პოეტების შეჯიბრებაც? ალბათ ასეთი იყო. მერე პოეტური შერკინების ეს აღმოსავლური ფორმა, ეს ბედნიერ დღეთა დიდებული გასართობი, ბუნებრივია, დაიკარგა, დავიწყებას მიეცა ჩვენს ცრემლიან საუკუნეებში თემურსა და ჯალალ-ედდინის შემოსევიდან ვიდრე აღა მაჰმად-ხანის ულმობელ ხანძრამდე. თუმცა გურამიშვილიც ხომ ამბობს: „ჯავახიშვილს შემაჯიბრეს...“

მუშაირა თანდათან გახურდა, შეჯიბრებაში სულ უფრო და უფრო მეტად ცნობილნი გამოვიდნენ. გულიამ რუბანნა გამოაცხადა: — მაჰდუმ მაჰიუდდინი. იქუხა ტაშმა. მაჰიუდდინი დინჯად მიეიდა მიკროფონთან და თითქმის თვალმოხუჭულმა დაიწყო მისი ცნობილი „საპყრობილეში“.

„მე ციხეში ისევ ვზიავარ, რით მოვიკლა, მითხარ, თავი,
ტანჯვას ბოლო არ ჰქონია, შავი არის ციხე, შავი...“

— ვააა3, ვააა3, ვა3! — შესძახეს პოეტებმა აქეთ-იქიდან.

— ვაა3, ვაა3, ვა3! აჰყვა აუდიტორიაც.

ეს შეძახილები პოეტის სტრიქონების მოწონების ნიშანია და პოეტმაც იგივე სტრიქონები ხელახლა უნდა გაიმეოროს. მაჰიუდდინმაც გაიმეორა: „მე ციხეში ისევ ვზიავარ...“

საპყრობილეში განა მარტო მაჰდუმ მაჰიუდდინი მჯდარა. ინგლისელთა ციხეებში ათეული წლების წამება უგეშნია აქ, ამ სცენაზე მსხდომ პოეტთა უმეტესობას, თავისუფლებისათვის, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ვაჟკაცებს. აგერ ჯიგარ მურადაბადი, დილეგებში ნატანჯი სახით; აგერ ფაის აჰმად ფაისი, აგერ ალი სარდარ ჯაფრი, ნიაზ ჰაიდარი, გულიამ რუბანი, რომელი ერთი...

— ვააა3, ვააა3, ვა3! — გაისმა ისევ, როცა მაჰიუდდინმა თავისი ლექსი დაამთავრა:

„არ მოვიკლავ, არა, თავსა, მე ვერ გამტეხს ციხე შავი,
თუ სამშობლოს არ შეეწირე, ღმერთმა რისთვის მომცა თავი“.

მაჰიუდდინს მოჰყვა ფაის აჰმად ფაისი. იგი დელის კონფერენციაზე ევროპულ ტახსაცმელში იყო გამოწყობილი, აქ ინდოეთის ნაციონალური ტახსაცმელი აცვია და ბეტელსაც გემრიელად ღეჭავს. აჰმად ფაისი ურდუს ენაზე წერს, უმეტესად პაკისტანში ცხოვრობს და უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს მთელს ინდოეთსა და ახლომახლო ქვეყნებში. იგი მშვიდად კითხულობს ნაცხარ სტრიქონებს:

„წამართვეს კალამი, მე ვმღერი მაინც
მე ვხედავ შორიდან სამშობლოს აისს...“

— ვააა3, ვააა3, ვა3! — და აჰმად ფაისიც იმეორებს: „წამართვეს კალამი...“ აქვე უნდა დავუთოთო, რომ ინდურ პოეზიაში საერთოდ, ისე როგორც მთელს აღმოსავლურ პოეზიაში, სატრფიალო ლირიკა სჭარბობს, მაგრამ ახლადგანთავისუფლებული ინდოეთის პოეტების შემოქმედებაში დღეს, ბუნებრივია, მეტწილად წინ სოციალური მოტივებია წამოწეული.

ფიროქ გორაკპური... ჰაერი ტაშის ცემით შეზანზარდა. გორაკპურის ელეგანტური მოსრიალე თვალებმა მსმენელთა რიგები მოიქროლეს, თითქოს მსმენელნი გაზომეს, აწონ-დაწონეს, შეამოწმეს, გაგვიგებენ თუ არა ჩვენს ნათქვამსაო:

„რიყის ერთი კენწეს მთელი ქვიშა არ არის,
წვიმის ერთი წვეთი ოკეანე არ არის...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვააააჰ, ვააააჰ, ვაჰ! — გორაკპურმაც გაიმეორა: „რიყის ერთი კენჭიანი ზედმოსვა **რე შემდეგი მიაყოლა:**

„ერთი წვრილი წერტილი მთელი სურათი არ არის;
ერთი კაცის ბედი მთელი ხალხის ბედი არ არის...“

— ვააააჰ, ვააააჰ, ვაჰ! — ისევ ატყდა ძახილი. ისევ გორაკპურის: „ერთი წვრილი წერტილი...“

პოეტი ნიაზ ჰაიდარი თვითონ მიიჭრა მიკროფონთან, ტოგის მსგავსი ჩალისფერი მოსასხამით, ფეხთ ჩვენი ძველი თავადების წვერწაწვეტილი მაღლა აპრეხილი წაღებით, მხრებამდე გადმოყრილი თმებით, ბეტლის ღეკვისაგან დაწითლებული და დასისხლიანებული ტუჩ-კბილით, მსმენელთ თავი დაბლა დაუკრა და მაღალი სიმღერით დაიწყო:

„სულ ჩერჩილის ოინია, ქვეყნად ჭირი რაცა ხდება,
მე იმ მიწას ვენაცვალე — ჩერჩილი რომ ჩაძაღლდება“.

— ვააააჰ, ვააააჰ, ვაჰ! — აჭუხდა მთელი დარბაზი. ნიაზ ჰაიდარმაც გაიმეორა:

„სულ ჩერჩილის ოინია...“

ახლა ჯერი საბჭოთა პოეტებზე მიდგა. სცენაზე გაიხმეს მირზო ტურსუნ-ზადე. აუდიტორია მქუხარე ტაშით შეხვდა ინდოეთში უკვე ცნობილ პოეტს. ტურსუნ-ზადემ ლექსი ტაჯიკურ ენაზე წაიკითხა, ეს ენა კი ინდოეთში, ისე როგორც ფარსული, ინტელიგენციის უმეტესობას ესმის. დიდხანს არ შეწყვეტილა ტაშისცემა ტურსუნ-ზადეს პატივსაცემად.

შემდეგ ფეხსაცმლის გახდა კონსტანტინე სიმონოვს მოუხდა (სცენაზე, ისე როგორც სამლოცველოში, ფეხსაცმლით შესვლა არ შეიძლება). სიმონოვმა თავისი „დამელოდე“ წაიკითხა. როცა თარჯიმანმა ლექსის სათაური ინგლისურად გამოაცხადა, აუდიტორიაში იქუხა მოწონების შეძახილებმა და ტაშმა. ეტყობა, ეს ლექსი აქაც ბევრს გაეგონა მანამდე.

სიმონოვის შემდეგ სცენაზე თავისი მსუქანი ბრტყელი ფეხები სოფრონოვმა შეალაჯა. მან იმღერა მისი ლექსის ტექსტზე კინოფილმისათვის დაწერილი სიმღერა, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე.

— ვააააჰ, ვააააჰ, ვაჰ!

შემდეგ ჩემი ჯერიც დადგა. სცენის კიბეებზე დავტოვე ფეხსაცმელი. იმ დილით ქალაქ დელის „რაკლზე“ ნაყიდი მეტად ჭრელი წინდებით მიკროფონთან მივედი, გვერდით ჩვენი პატარა, დიდად ნიჭიერი და განსწავლული მთარგმნელი ქალი კრუგერსკაია ამოვიყენე და დავიწყე:

„ამ ზღაპრულ ქვეყნის, ამ საოცრების
მე ვერ ავხსენი ერთი მეცხრედიც...“

სწორედ იმ დღეებში ვწერდი ამ ლექსს. პირველი და ბოლო სტროფები წავიკითხე, კრუგერსკაიამ ლექსი მთლიანად უთარგმნა დარბაზს. ვააჰ, ვააჰ, ვაჰ!

რიგრიგობით მიდიოდნენ მიკროფონთან კარა სეიტლიევი, ზულფია, ირანის ელჩი ინდოეთში — ჰიქმათი, შემდეგ ისევ ინდოელი პოეტები. სცენაზე ხონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩებრთ შემოჰქონდათ ახალ-ახალი ბეტელი და იყო გაჩაღებული ღეჭვა ჩების წკლაპუნი.

ღამის პირველ საათზე დავიშალენით. ესეც ჩვენდა საპატივცემოდ. ჩვეულებრივად მუშაობა, როგორც ამბობენ, ინდოეთში ხშირად დილამდე გრძელდება ხოლმე.

ჩვენი მანქანები აპოდიმენტების ხმაურში და შეძახილებში დაიძრა სასტუმრო „ჯანპატისაკენ".

ბელეტრისტმა და ჩვენი დელეგაციის უკვე განუყრელმა თანამგზავრმა ნავეტეჯმა სასტუმრომდე მოგვაცილა და იქ სასტუმროში ოფიციალურად გვაცნობა, რომ მეორე დღისათვის გვეპატიჟებოდა მამამისი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ინდოეთის პარლამენტის წევრი, საბჭოთა კავშირის მეგობარი გურბაჰშ სინგჰი. გურბაჰშ სინგჰმა მოგვიწვია თავისი ქალიშვილისა და სიძის სახლში, თავად იგი დელის მცხოვრები არაა, ფენჯაბელია.

ჩვენ ეს მიწვევა სიამოვნებით მივიღეთ; მეტად გვაინტერესებდა დელის მოქალაქის ოჯახის ნახვა, ქალაქის მცხოვრებთა ყოფისა და ადათების გაცნობა.

მუშაობას შთაბეჭდილების ქვეშ გავატარე ის ღამე (სხვათა შორის, „ღამე" ფარსული სიტყვა ყოფილა და ნიშნავს მუუხარებას. მუუხარსა ყამი?).

მეორე დღეს დილით საბჭოთა დელეგაცია მიიღო ინდოეთის ვიცეპრეზიდენტმა რადჰაკრიშნანმა. მისი სახლი, როგორც ნიუ-დელის თითქმის ყველა შენობა, ერთსართულიანია. დიდი, ქვის სახლი. ეზოში მწვანე მოლი და მრავალფეროვანი ყვავილნარი, მაღალი ფართეფოთლოვანი ხეები, ცისფერი რკინის ღობე. მშვენიერი მწვანე ხეივნები, გაზონები. წინასწარ გაფრთხილებულმა დარაჯებმა თავაზიანად გაგიღეს დიდი ჭიშკარი და ჩვენი მანქანები ეზოში შესრიალდა, აგურის ფხვნილით მოფენილ გზაზე.

შეგვიყვანეს დიდ, ნოხებით მოფრთელ დარბაზში. ჩვენმა თანმხლებმა ინდოელმა მწერლებმა იქვე, იატაკზე მოიროხეს ფეხი და ნოხებზე დასხდნენ. ჩვენ, როგორც უცხოელ სტუმრებს, რბილი სკამები მოგვართვეს. ცოტა ხანიც და, ვიცე პრეზიდენტიც გამოვიდა მეორე ოთახიდან.

რადჰაკრიშნანი საბჭოთა კავშირში იყო ინდოეთის ელჩად რამდენიმე წლის განმავლობაში, ასე რომ ჩვენს ქვეყანას კარგად იცნობს, განსაკუთრებით რუსეთს, მოსკოვს.

იგი თხელი, მაღალი მოხუცია, ინდოელს მაინცდამაინც არა ჰგავს, ისე როგორც, თუ ვნებავთ, ნერუც. პრასადიც უფრო სპარსელსა ჰგავს. რადჰაკრიშნანი დღევანდელი ინდოეთის ერთი გამოჩენილი ფილოსოფოსთაგანია. მას მრავალი ტომი დაუწერია, და, როგორც ამბობენ, კიდევ ბევრის დაწერას აპირებს. მან თავაზიანად მოიხსენია საბჭოთა კავშირი და ილაპარაკა მრავალ შეხვედრაზე მოსკოვსა და ლენინგრადში.

დარბაზში შემოვიდა და ვიცეპრეზიდენტის გვერდით დაჯდა ორმოციოდე წლის მამაკაცი. ეს იყო მაჰათმა განდის შვილი. მე მასზე განსაკუთრებულს ვერაფერს ვიტყვი, ჩემზე რაიმე აღსანიშნავი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ისე კი, ეტყობა, პატივს სცემენ. შიგა და შიგ ჩაერეოდა ხოლმე საუბარში და თავის აზრს გამოთქვამდა, რაზედაც აგრეთვე ვერაფერს ვიტყვი, რადგან არც მის ნაზრევს მოუხდენია ჩვენზე რაიმე განსაკუთრებული შთაბეჭდილება.

რადჰაკრიშნანმა თავისი მოსაზრებანი მოგვახსენა ორი ბანაკის — სოციალისტური და კაპიტალისტური სამყაროების — თანაარსებობის შესახებ. ისტორიულ წარსულში ხშირად ეგონათო, — განაცხადა მან, — რომ ორი იდეა, ორი რელიგია ერთად ვერ იარსებებსო, მაგრამ ეს ყოველთვის ასე როდი მომხდარაო. ასე იე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნება ჩვენს დროშიაცო, — განაცხადა მან, — ორი იდეოლოგიის თანაარსებობა მეოცე საუკუნეში. სავსებით შესაძლებლად მიმაჩნიაო.

ბევრი ილაპარაკა ვიცეპრეზიდენტმა მწერლის მოვალეობაზე. მას ამ მოვალეობაზე მართლაც რომ თავისებური წარმოდგენა ჰქონია. მისი აზრით, ყოველი მწერალი უნდა იღწვოდეს იმისათვის, რომ ადამიანებმა მიაღწიონ მსოფლიო ჰარმონიას, რომლის მიღწევაც არც თუ ისე ძნელი ყოფილა, თუკი ყოველი ადამიანი ამ‍ისათვის გადადებს თავს. რამდენიმე წუთის შემდეგ მანვე განაცხადა, რომ ყოველი ადამიანი ერთნაირი ხასიათის როდია, ამ ქვეყნად ყოველთვის არსებობდა ბოროტი და კეთილი და, როგორც ძველი ინდური ანდაზა ამბობს — ბოროტიცა და კეთილიც ერთი ღმერთის შვილები არიანო. ჩვენ გვინდაო, — თქვა მან შემდეგ, — ჩვენი თაობა ამ ქვეყნიდან წავიდეს როგორც მებრძოლ ქვეყანათა შემრიგებელი თაობა, კეთილი ნების ადამიანებიო. იმ სამოცდაათ, ოთხმოც სახელმწიფოსაგან, რომლებიც დღევანდელ მსოფლიოს შეადგენენ, ჩვენ უნდა შევქმნათ სამართლიანობის სამეფო, ავაშენოთ მშვიდობის სამყარო. ჩვენი პატრიოტიზმი არის პატრიოტიზმი მთელი კაცობრიობისა; ჩვენ არ ვლამობთ წავშალოთ თავისებურებანი, რაიც ხალხებს ერთმანეთისგან განასხვავებენ, მაგრამ ჩვენი მიზანია ამ თავისებურებათა გათვალისწინებით შევქმნათ მსოფლიო ჰარმონიაო. პატრიოტიზმი არ არის შენი ხალხის დაყენება სხვა ხალხზე მაღლა, ეს კაცობრიობის ღალატიაო; შენ უნდა იდგე ამ პატრიოტიზმზე მაღლა, რადგან ამგვარი პატრიოტიზმი არ არის გონიერი ადამიანის დამოკიდებულება სამშობლოსადმი, მით უმეტეს, კაცობრიობისადმიო. ნამდვილი ადამიანი არის არა მარტო თავისი სამშობლოს, არამედ კაცობრიობის შვილიცაო.

ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა შენიშნა — ეს ყველაფერი დიდებულია, მაგრამ ჩვენ დელის ქუჩებში მეტად მრავალ უსახლკაროსა და შიმშილისაგან დავარდნილ ადამიანს ვხედავთ, რომელთაც ღამით პირდაპირ ფილაქანზე სძინავთო, რომ ჩვენ ინდოეთში ასეთი გაჭირვება არ. წარმოგვედგინაო. მაშინ ვიცეპრეზიდენტმა გა-



დელი. „ქალაქის გული“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაცხადა: დიაღ, ჩვენ თქვენგან ვისწავლით სოციალურ თანასწორობას, ხალხთა ჩვენ ადამიანის, პიროვნების თავისუფლებას გასწავლითო. მან არაფერი თქვა ამის შესახებ, თუ რა განსაკუთრებული თავისუფლება გააჩნიათ ქუჩებში მძინარ მოქალაქეებს.

თავად მწერალმა, რადჰაკრიშნამა დიდი შეფასება მისცა მწერლის როლს საზოგადოებრივი ცხოვრებაში; მწერალი ესაა სული, გონება და შეგნება ხალხისა. აი, ჩვენ, სახელმწიფო მოღვაწენი, ემართავთ ქვეყანას, მიგვყავს იგი, მაგრამ ვინ იტყვის, რომ სწორედ ეს გზაა ის გზა, რომლითაც ყოველთვის უნდა ვიაროთ ჩვენ. აქ ჩვენ მწერალი უნდა დაგვეხმაროს, მან თავისი მხატვრული სიტყვით უნდა გვითხრას აზრი ჩვენს მუშაობაზე. ჩვენი ქვეყნის წარმართვის საქმეზე, ჩვენს მომავალზეო. საჭირო დროს მან თავისი ავტორიტეტული სიტყვა პარლამენტის ტრიბუნიდანაც უნდა მოგვახსენოსო.

ბელეტრისტმა ვაცანმა დაუმატა: ლიტერატურა არის ნაწილი საერთო მოძრაობისა, წინსვლისა, მაგრამ იგი ძალიან მგრძნობიარე ნაწილია. ლიტერატურის ასპარეზი არის ადამიანის სული. მისი სამყარო ადამიანის შიდაქვეყანაა, ამიტომაც ადამიანის სულის მოძრაობა, ადამიანის სულიერი მოვლენები, მისი გამოვლინების ფორმები მწერლისთვის უფრო საინტერესო და არსებითია, ვიდრე, თუ ვნებავთ, მთელი აღმოსავლეთის ბედი, მათ შორის ინდოეთის ბედიცაო. ვაცანმა ერთი რამ მართლაც კარგად თქვა: ლიტერატურას პატარა ადამიანები არ ქმნიდნენ და ვერც ვერასოდეს შექმნიან, პატარა ხალხები კი ყოველთვის ქმნიდნენ და კვლავაც შექმნიანო.

შესაღამოდდა და ჩვენს სასტუმროში ისევ გამოცხადდა ჩვენი ნავტეჯი. გურბაჰშ სინგჰი ქალიშვილის სახლში გველოდებოდა.

ესეც ნიუ-დელის ერთსართულიანი სახლი. ვილა. სუფთა იმერული ეზო. ოდაში ნოხებით მოგებული ქვის იატაკი. აივანზე გადმოდგა წელში ჭაბუკურად გამართული, ხელებგაშლილი მასპინძელი გურბაჰშ სინგჰი, იგი შემოგვეგება სიცილითა და შეძახილით. ახლა იგი მართლა ზღაპრულ მოხუც, ქუჯა მეფეს ჰგავდა, გრძელი თეთრი წვერით, ფართე, გაფაჩხული, დაბლა დაშვებული ულვაშებით და ხშირი წარბ-წამწამით. სწორედ ისეთ მეფეს ჰგავდა, როგორსაც ხატავს ხოლმე ზიჩი „ვეფხისტყაოსანში“.

ჩვენებურ პარმაღზე ავედით, იქიდან შევგიპატიჟეს სასტუმრო დარბაზში, სადაც გვიცდიდნენ სინგჰის სიძე და ქალიშვილი, აგრეთვე რამდენიმე სტუმარი, ეტყობა, ოჯახის ახლობლები, მათ შორის ჩვენი უკვე ნაცნობი პოეტი ქალი ამრიტა თავისი მეუღლით.

ამრიტა პრიტამი მეტად ლამაზი, მშვიდი და ეშხიანი ქალია, ხშირი წარბების ქვემოდან წყლიანი შავი თვალებით დამატყვევებდა გამოშზირალი, მუდამ მომღიმარი. ყურში თითქოს ახლაც ჟღერს მისი დაბალი, ქალური დვრინი, გულის სიღრმიდან ამოსული ხავერდოვანი ხმა, ლექსის კითხვის დროს დინჯი, უფრო მეტად სევდიანი და მშუხარე, მაგრამ ეს სევდა, ეტყობა, სიყვარულის სევდაა, მხოლოდ სიყვარულის სევდა. ამრიტას დეკლამაციის დროს ქმარი ყოველთვის გაღიმებულია, იქვის ნაპერწკალიც არა წვავს. იქნებ პოეტის ყველა სტრიქონი მისდამია მიძღვნილი? ეს მარტო მათ იციან — ამრიტამ და მისმა მეუღლემ, ხშირ, შავ წვერში ოდნავ ჭირხლდაკრულმა ლამაზმა სიკმაზ, რომელიც აგერ ტახტზე ფეხმორთხმული ზის და ცოლს თვალებში მისჩერებია. ხშირად იგი ჩვენც გადმოგვხედავს ხოლმე: მოგვეწონა თუ არა მისი მეუღლის ლექსი.

გურბაჰშ სინგჰმა უმკროს, გაუთხოვარ ქალიშვილს რაღაც დაავალა, იგიც შალე გამოვიდა მეორე ოთახიდან და თან ინდური ეროვნული საკრავი გამოიტანა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტად ლამაზი, მრავალსიმიანი ინსტრუმენტი — სეტარი. იგი ევროპულ აკორდებს ჩამოგავს. ქალი ქვის იატაკზე მოფარდაგულის შუაგულზე დაჯდა, სიმებს ჩამოჰკრა და ამანაც მუუხარე ხმით დაიწყო ინდოური სიმღერა. ნეტავ რაზე მღერიდა იგი? პირველი ორი მელოდია ჩვენთვის გაუგებარი იყო, შემდეგ კი თითქოს რაღაცას მივაგენით, მივაგენით მის ძირითად მოტივს და ადგილ-ადგილ გულსაც მოხვდა ეს დღემდე ჩვენი ყურისთვის უცხო მელოდიები. ჩვენს შორის უფრო მეტად მოხვდა იმის ყურს, რომელიც ასე თუ ისე მიჩვეული იყო სპარსულ-აღმოსავლური სამყაროს ჰანგებს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ჰანგები, როგორც საერთოდ ინდური სიმღერები, არც თუ ისე ძალიან ჰგავდა სპარსულს.

გურბაჰშ სინგჰმა ახლა ჩვენ გვთხოვა სიმღერები და ლექსთა წარმოთქმა. ჩვენც მათი წესისამებრ ვიმღერეთ და წარმოვთქვეთ. პირადად მე, მათთვის რომ უფრო გასაგები ვყოფილიყავი, ჩვენებური, პრიმიტიული, აღმოსავლურ-ქალაქური მოტივი წავიღიღინე თბილისის მუსიკალური ფოლკლორიდან: „არა, ვარდებს ადარ ვეძებ...“ ეს სიმღერა არავრთხელ ამიყოლეზია ხოლმე ჩემს ყმაწვილკაცობაში თბილისურ „დუდუკებზე“ მტკვრისპირეს მხიარულ სასადილოებში, მეგობარ პოეტებთან ერთად, რომელთაგან ბევრი უკვე დღეს ცოცხალი აღარ არის. დიდი ხანი იყო ეს მოტივი აღარ გამხსენებოდა; არ ვიცი — მსმენელებზე ვიმოქმედე თუ არა, თვითონ მე კი საოცრად მომშალა ამ შორეული სიმღერის მოგონებამ შორეული ინდოეთის მიწაზე. ახლა აქ გამახსენდა, რომ თითქმის არც ერთ იმ პოეტთაგანს ხეირიანად არც კი დავმშვიდობებივარ.

სიმონოვმა ისევ თავისი „პროპოისკი“ წარმოთქვა, ამ შემთხვევაში უფრო ჩვენდა სიამოვნებისათვის, ვიდრე მასპინძელთათვის, რადგან მასპინძლებს მაინც, სულერთია, ამ ლექსისა არა გაეგებოდათ რა. სოფრონოვმა ისევ სიმღერით ისახელა თავი, ისევ მის ტექსტზე კინოსურათისათვის დაწერილი მოტივი იმღერა. ტურსუნ-ზადემ ახლაც გვიშველა, უშველის ღმერთმა, ორიოდე აღმოსავლური რუბაი წარმოთქვა ფარსის ენაზე. ხოლო გარეგინ სვეუნცმა, რომელმაც სიმღერა არ იცის და ვისიმე ლექსიც უცბად აღარ გაახსენდა, ისე როგორც ეს თითქმის ყოველ ბელეტრისტს ემართება ხოლმე, გამალა ხელები და რაღაც ლეკურის მსგავსი ცეკვა დაუარა. მერე მტკიცება დაიწყო — სომხეთში სწორედ ასე ცეკვავენო.

მასპინძელს, გურბაჰშ სინგჰის სიძეს, ერთი ხმაც არ ამოუღია მთელი საღამოს განმავლობაში. იგი ეტყობოდა თავის საკმარისნტო ფიქრებში იყო გართული და, თუ დავიჩქარებდით და უკან აღრე გამოვბრუნდებოდით, ჩანდა, მაინცდამაინც ჩოხის კალთებს არ დაგვაგლეჯდა. უპერმარილო კაცი კი, როგორც ეტყობოდა, არ იყო. ახალგაზრდა ქალი და ვაჟი ყოველ წუთს გვაწოდებდნენ მოხალულ ნუშს, ტკბილეულსა და ვისკის, რასაც ვერ იქნა და ვერ შევეჩვე. ეხატვრული-ლიტერატურული, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ნაწილის დამთავრების შემდეგ მიგვიწვიეს მეორე ოთახში გაშლილ სუფრაზე. აქაც გემრიელი საჭმელები, წითელი ქაბაბები და მწვანილი, ბოღლამა და პამიდორი; სოდიანი ვისკი; ქუჯა კაცი გურბაჰშ სინგჰი ვერცხლის წყალივით დასრიალებდა, რომ სტუმრებისათვის სათანადო პატივი ეცა და სუფრა გაემხიარულებინა.

იმ საღამოსვე ამ დაუღალავმა მოხუცმა გვთხოვა ორი დღით თავის სახლში, ნიუ-დელიდან შორს, ფენჯაბში სტუმრობა. ჩვენ ეს მოწვევაც უყოყმანოდ მივიღეთ, რადგან ფენჯაბი დღემდე ნახულზე არანაკლებ გვაინტერესებდა.

ჭიშკრამდე ყველამ გამოგვაცილა. გულითადი მადლობით დავემშვიდობეთ მასპინძლებსა და დამხვდურთ და, მგონი, ყოველი ჩვენთაგანის გული უფრო ამრიტას დაშორებამ დაიღონა. იგიც, როგორც შევატყვეთ, მოწყენილი ჩაჯდა თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის ქმართან ერთად პატარა ინდურ ტაქსში, ერთხანს ჩვენს „პლიმუტს“ გასცილებ-ყვა და მერე ქალაქის ქუჩებში თვალს მიეფარა. იმ საღამოს მან ყოველ ჩვენთა-განს უძღვნა თავისი პატარა ლექსები კრებული ყავისფერი ყდით და თავისი ლა-მაზი, დახვეწილი ხელმოწერით — „ფრომ ამრიტა პრიტამ“.

ახლა კმარა. გავიდეთ ქალაქ დელიდან. წავიდეთ ინდოეთის სხვა ქალაქებში.

*
* *

ნიუ-დელიდან ქალაქ აგრისაკენ, ინდოეთის დიდ მოგოლთა ძველი დედაქა-ლაქისაკენ, საკმაოდ დაზიანებული გუდრონის გზა მიემართება, ისეთი, როგორ-იც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვხვდება ჩვენს ზოგიერთ რაიონში. ასე რომ, ჩვენი მანქანები, საუკეთესო, კომფორტაბელური ავტობები, მიუხედავად მათი მშვენიერი ამორტიზაციისა, ხშირად ბურუსებივით ხტოდა ჰაერში. მივქროდით აგრისკენ დიდ საოცრებათა ნახვის მოლოდინით.

გავიდით თუ არა დელიდან და დავდექით თუ არა სოფლებსა, დიდ ტყეებსა და ტრამალებში მიმავალ გზას, ხეებიდან და ციხეთა ნანგრევებიდან დაეშვა და პირდაპირ წინ გადაგვიდგა აუარებელი მაიმუნი. ისინი ჩვენსკენ აბრავებივით გა-მორბოდნენ. ჩვენ მანქანები გავაჩერეთ და გადმოვედით. მანქანის მძღოლებმა გასძახეს: ჰო, ჰო, ჰოოოო! მაიმუნები მანქანებს გარს შემოერტყნენ. მძღოლების ძახილზე ისინიც დაიძრნენ, რომელნიც სადღაც შორს, ციხეთა ნანგრევებში იმ-ყოფებოდნენ, და მანქანების გარშემო უცებ უთვალავი მაიმუნი შეიკრიბა. შო-ფრებმა მათ მიწის თხილი გადაუყარეს სერის საყურებლად და შეიქნა რიგ-რიგ. მაიმუნები დაერივნენ ერთმანეთს, თხილს ერთურთს ხელიდან და პირიდან ართ-მევდნენ, კიოდნენ, წეოდნენ, ზოგ-ზოგები დასისხლიანებული გარბოდნენ ხეებ-ზე თავის საშველად. აგერ, თხილის ამ ნადავლის ხელში ჩასაგდებად ხეებიდან თრითინებიც ჩამოსრიალდნენ, სასწრაფოდ მოფრინდნენ ყვავებიც... ერთი სი-ტყვით, გადაიშალა სურათი: „რა ესმოდეს მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვი-დიან...“ სრულიად რეალისტური სურათი. არ შეიძლება ეს სურათი არ ენახოს შოთა რუსთაველს. რა თქმა უნდა, მაშინ, რუსთაველის დროს, ათასჯერ მეტი მხეცი და მტაცებელი ფრინველი იქნებოდა ინდოეთში, ვიდრე დღეს, მტაცე-ბელ-ინგლისელთა და ევროპელთა აქ მოსვლის შემდეგ.

მოდიან მხეცები „სმენად“, ე. ი. საშვლის საშოვრად. პატარა მაიმუნები დე-დებს მუცელზე ჰყავთ მიწებებულნი, ისინი პირდაპირ ჩვენს წინ ჩაცუცქდნენ და მათხოვრებივით რაღაცას თავის ენაზე გვემუდარებიან ხელებგაშვერილნი.

აგერ ერთმა მაიმუნმა მოიგდო ხელში თხილი, მას სხვები გამოე-დევნენ, იგიც სასწრაფოდ ხის კენწეროს მოექცა და იქიდან ტარზანივით გაქანე-ბული ხან ერთ ხეზე გადახტება, ხან მეორეზე. აგერ ერთ დიდ მაიმუნს ჩვენი მანქანა განსაკუთრებით მოეწონა, მისი სარკესავით მოკრიალე ფრთები და თვლების კრიალა ხუფები. რამდენჯერმე დინჯად შემოუარა გარშემო, მას სხვა მაიმუნები ერიღებიან, ეტყობა, ან მათი დიდი ბატონია, ან დიდი შარისთავი. მერე მანქანის მინაში ჩაიხედა, ძირს ჩამოხტა, მანქანის თვლის ხუფის სარკეში თავისი ორეული დაინახა, ხელი მოუთათუნა, ვერ მიეხვედით — მოეწონა თუ გაუწყრა. მე გამახსენდა: „მაიმუნმა თავის სახე სარკეში რომ დაინახა...“

როგორც იქნა გავაღწიეთ ამ გარეული მათხოვრების ბრბოს. რომელიღაც პატარა სოფელში შევედით. აქ კიდევ სხვა უცნაური სანახაობა დაგვიდგა თვალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინ: სოფელში ძროხა მომკვდარიყო. იგი იქვე ეგდო, სადაც უკანასკნელი სუნთქვა ამოხდომოდა; რასაკვირველია, მისთვის, აქაური წესის მიხედვით, ხელი არავის ეხლო. მძორს დასცოდა და ძიძგნიდა რამდენიმე ათეული არწივი — გრიფი. ისინი თითქმის ერთმანეთს ზურგზე ასხდნენ, იყო გაბმული ყივილი და ძიძგილაობა. გრიფების ამ გუნდში შიგადაშიგ ძაღლები შემძვრალიყვნენ მძორის საძიძგნად. გრიფები მათ დაუზოგავად უნისკარებდნენ თავში და გასისხლიანებული ძაღლებიც სიმწრისაგან ყეფდნენ და წკაკუნკაკებდნენ. მძღოლებმა ჩვენი მანქანები ამ სურათის ახლოს გააჩერეს. ჩვენ ერთხანს მანქანებიდან შიშით ვერ გადმოვედით, მაშინ მძღოლები მივიდნენ და გრიფებს ჯოხები დასცხეს თავზე; არაფერი, გრიფები ადგილიდანაც არ დაიძრნენ, მხოლოდ ისე შემოჰკრანტყიანეს და ერთი კი შეჩქვიფდნენ. მერე ისევ თავისი საქმე განაგრძეს. გარეგნულ სეფუნცი მანქანიდან გადმოხტა, ჩვენც მანქანიდან ჩამოსვლა გვთხოვა და ამ საოცარ სურათთან ჩვენც ჩაგვასურათა.

გავუდექით გზას. რანაირი ფრინველი და ცხოველი არა გვხვდება გზაზე: თრთინები, ინდოეთის მწვანე მოკრიახე თუთიყუშები, რომლებიც ჰაერში ძალიან გვანან მწვანე ხახვს, ქორები, ორბები, გიტარები, ჭაობებში — წეროები და ყანჩები, გარეული იხვები და ბატები, პელიკანის მსგავსი რაღაც დიდი ფრინველები, გზებზე: აქლემები, ურმებში—კუზიანი თეთრი ხარები, ვირები; აგერ მინდორზე ფარშავანგი, ვეკითხებით მძღოლს — ნეტავ ვისი უნდა იყოს ტყედ გაშვებული ფარშავანგი? ვისი უნდა იყოს, — გვპასუხობს მძღოლი, — ვისია ქორი?!

სოფლის მახლობელ ტყეში ვეებერთელა ასწლოვანი ხეების თავებზე ჰაერში დააბოტებენ გრიფები. ეს გრიფები ამ სოფლის მესაფლავენი ყოფილან; ეს ტყე ამ სოფლის სასაფლაოა. აქ მოჯტანენ საღამოს და დილით, თურმე, მიცვალებულის მარტო ძვლები-ღა ჰყრია. ამ ადგილებს ინდოეთში „დუმილის კოშკები" ეწოდება.

აგრამდე გზაზე შეგვხვდა რამდენიმე ძველი სასახლე, რომლებიც აქაურებს დიდი მოგონის ფადიშა აკბარის სასახლეებად მიაჩნიათ. ინდოეთში ბევრს რასმე მიაწერენ აკბარის სახელს, ისე როგორც ჩვენში თამარის ან დავითის სახელს. ეს ისეა ყველა ქვეყანაში, ყველას ჰყავს თავისი აკბარი, იულიუსი, თამარი.

აგრაში სასტუმროს წინ რომ მანქანა შეჩერდა და ჩამოვხტით, უეცრად თავზარი დამეცა. ზედ სასტუმროს კარებთან ახალგაზრდა ინდოელს მთელ ტანზე შემოხვეული ჰყავდა ვეებერთელა მოყვითალო მახრჩობელა გველი. მს გველისთვის კისერზე ხელი წაეტანებინა, გველს ენა გარეთ გამოეყო და მთრახნიით ასარსალებდა. საზიზღარ მომნუსხველ თვალებს აბრიალებდა. იქვე მეორე ინდოელი ასეთივე გველის, ვეებერთელა პტონის ტყავს ჰყიდდა ოცდაათ რუპიად. სასტუმროში შესვლისა შემეშინდა, მეგონა იქაც რამე უბედურება დამხვდებოდა.

აგრა მეტად საინტერესო ქალაქია. აქ ედგათ ტახტი დიდ მოგონლებს ბაბურისა და ჰუმაიუნის შთამომავლებს, აკბარს, შაჰ-სელიმს, შაჰ-ჯაჰანს, აურენგზებს. აგრაში დგას ინდოეთის ერთი საოცრებათაგანი — ტაჯ-მაჰალი — სასახლეთა გვირგვინი, აღმოსავლური ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნების ერთ-ერთ აუწერელი ძეგლი, შაჰ-ჯაჰანის მიერ მეჩვიდმეტე საუკუნეში აგებული მავზოლეუმი. ეს მავზოლეუმი შაჰ-ჯაჰანს მისი უდროოდ გარდაცვლილი მეუღლისათვის აუშენებია. თოვლივით თეთრი მარმარილოსგან აგებული ეს შენობა დგას ინდოეთის ერთი დიდი მდინარის — ჯამნის ნაპირად, მის მარცხენა მხარეზეა. ტაჯ-მაჰალზე იმდენი რამ დაწერილა, რომ ჩვენ მასზე დიდხანს საუბარს ოარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავაგრძელებთ, მხოლოდ ჩვენს განცვიფრებას გამოთქვამთ ადამიანის ყოფიერების შემძლე გონებისა და მარჯვენის გამო, ამ შემთხვევაში ამ ძეგლის მშენებელთა საოცარი ოსტატობის გამო. გარედან იგი სრნამდვილად ქვეყულ სიზმაროს ან რეალობად ქვეყულ ზღაპარს წარმოადგენს. თითქოს ღრუბლის თეთრი ქულები დამსხდარან მიწაზე და განგების უხილავ ხელს მათგან გუმბათები და მინარეთები გამოუკვეთია. თვალს მოშორება გეშინიათ — უცებ ქარმა არ დაუბეროს და ეს საოცნები ღრუბლის ქულები ისევ ცაში არ იიტაცოსო.

მავზოლეუმის მსახურებმა ფეხსაცმელები დაგვხადეს და ჩვენ შევედით დუმილით მოცულ, დღეს უკვე მუზეუმად ქცეულ დარბაზებში. რა ხელმა გარდაქმნა პიტალო მარმარილო უნაზეს ქსოვილებად; რა ხელმა მოქარგა ეს კედლები მარმარილოს აშიებით; რა ხელმა გამოrყვანა ეს სახეები ძვირფასი თვლებით. კედლებზე — ყვავილები, თუთrყუშები, გედები, წეროები, შავარდნები, ლომები, ვეფხები, ავაზები, ირმები; როგორი საგანგებო ზომიერება, როგორი დახვეწილი გემოვნება, რა ფანტაზია და ოსტატობა! კედლები მთლიანად ფარსულადაა შემოწერილი, ესაა ყურანის მთელი ტექსტი. ყველაფერი ეს ნამდვილად თავბრუდამხვევია.

შაჰ-ჯაჰანს, დიდ მოგოლს, თემურლენგის მეათე შთამომავალს, დიდი აკბარის შვილიშვილს (რომელიც თავის მხრივ, იყო შვილი ჰუმაიუნისა და შვილიშვილი ბაბურისა) უცნაური ბედი ხვდომია წrლად. ამის შესახებ მეტად საინტერესოდ მოგვითხრობს ფრანგი მეცნიერი და მოგზაური ფრანსუა ბერნიე, რომელიც სწორედ იმ ამბავთა დამსწrე იყო, რაიც იმ დროს ამ მეფის გარშემო და მის სამფლობელოში — ინდოეთში ტრიალებდა.

შაჰ-ჯაჰანს ოთხი შვილი ჰყოლია: დარიოსი, სულთან სუჯა, აურენგზები და მორად ბახში. სიბერეში მrსული ფადიშას შვილებმა ტახტისთვის ერთმანეთს აუტეხეს ბრძოლა, რომელიც მამამ ვერასაზრით ვერ ჩააქრო, აურენგზებმა ბრძოლებში, ინტრიგების გამოყენებით დახოცა ძმები, ავიდა დიდ მოგოლთა დინასტიის ტახტზე და ღრმა მოხუცrმამა საკანში ჩასვა მდინარე ჯამნას მარჯვენა ნაპირზე მდებარე აკბარის მიერ აგებულ უზარმაზარ აგრა-ფორტში. რამდენიმე წლის განმავლობაში მდინარის გაღმიდან გამოღმა უცქერდა თავისი საყვარელი მეუღლისადმი, მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ ტაჯ-მაჰალს ტყვე ფადიშა და გარდაიცვალა იქვე, აკბარის მრისხანე აგრა-ფორტში.

აურენგზები ბოლოს, მამის სიკვდილის წინ, როგორც მოგვითხრობს ბერნიე, მამისგან პატიებას rთხოვდა და მას ბევრ ლმობიერებით სავსე წერილსა სწერდა ფორტში. ერთი ასეთი მისი წერილიც მოჰყავს ფრანსუა ბერნიეს თავის წიგნში: „როგორც თქვენ მოგეხსენებათო, — წერდა აურენგზები შაჰ-ჯაჰანს, — როცა თემურმა ტყვედ ჩაიგდო ბაიაზეთი [1], ბრძანება გასცა იმ დღესვე მიეყვანათ იგი მასთან და, სახეზე რომ დააცქერდა, დაიწყო სიცილი, რაზედაც ბაიაზეთმა სევდიანად უთხრა: „ნუ დამცინი, თემურ, ნუ დასცინი ჩემს უბედურებას, იცოდე, რომ სამეფოებსა და იმპერიებს ანაწილებს ღმერთი და ხვალ შენც შეიძლება ისეთივე ბედში ჩავარდე, რა ბედშიც მე დღეს ვიმყოფებიrო“. ამაზე თემურმა ღრმაზროვნად და ზრდილობიანად უპასუხა: „მე შენზე უკეთ ვიცი, ბაიაზეთ, რომ სამეფოებსა და იმპერიებს ღმერთი ანაწილებს, მე არ დავცინი შენს უბედურებას, ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ როცა მე შენს სახეს ვაკვირდები, თავში მომდrს აზრი, რომ ეს სამეფოები და იმპერიები ალმათ ღვთისათვის და იქნებ

[1] სულთანი ბაიაზეთ პირველი თემურმა ტყვედ ჩაიგდო 1402 წელს. თემურს იგი რკინის ბალიაში ჰყავდა ჩამწყვდეული და ეს ბალია თან დაჰქონდა ყველგან, სანამ ბაიაზეთი 1403 წელს არ გარდაიცვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინგლისური ავტოგრაფი დიდი ინდოელი მწერლის რაბინდრანათ თაგორის ლექსისა — „იქ გაიღვიძოს სამშობლომ ჩემმა“. ავტოგრაფი დაცულია შანტინიკეტანში, თაგორის სახლ-მუზეუმში.

თავისთავადაც არაფერსაც არ წარმოადგენენ, თორემ რატომ აძლევს ღმერთი მათ ისეთ უშნო აგებულების მქონე ადამიანებს როგორიც მე და შენა ვართ — შენ, ცალთვალა უბედურ ბრმას და მე — საწყალ ხეიბარსო.“

ეს ამონაწერი ისე, ამ ნარკვევის გასამხიარულებლად მოვიყვანე.

დაბლა, ჯამნას კრიალა ზედაპირზე ზვირთებს დასთამაშებენ და აწკუმპლებენ მკვრცხლი მერცხლები, მაღლა, ტაჯ-მაჰალის ცაში, ზაფხულისებურად გაშლილ ტატნობზე დინჯად დაცურავენ არწივები და შორს სადღაც მიფრინავენ გრიფები, ალბათ „დუმილის კოშკებისაკენ“.

ახლა მდინარე ჯამნას გაღმიდან, მარჯვენა მხრიდან მოვუარეთ და აკბარის ციხე-სიმაგრეს, მრისხანე ავრა-ფორტს მივადექით. თანამედროვე სამხედრო ტექნიკით შეჭურვილ სახმელეთო ძალებსაც კი გაუჭირდებათ ამ სიმაგრის აღება ბომბდამშენი ავიაციის გარეშე, საღესანტო ნაწილების გარეშე. გარშემო ფართე,

ღრმა თხრილები, რამდენიმე წყება კლდესავით გაუტეხელი კედელი, შეკვეთილი რკინის ურდულებით დაცული კარები, კედლების შიგნით კიდევ რაღაც სიმაგრეები და კლიტეები; ერთი სიტყვით, ეს ციხე თავის დროზე მხოლოდ აუღებელი სიმაგრე იქნებოდა და აკი არც არავის აუღია საერთოდ ინდოეთის დაცემამდე. ამიტომაც ფორტი დღემდე შემონახულა დაუნგრეველად და პირველადი სახით. ახლა ამ ფორტში არავინ ცხოვრობს და ეზოში მხოლოდ მიმმუნები შემოგვეგებნენ. ფორტიდან, სწორედ შაჰ-ჯაჰანის საკანიდან გავხედეთ გალმა ტაჯ-მაჰალს. დიდებული სანახობაა.

აგრა-ფორტიდანაც ბევრი რამე წაუღიათ ინგლისელებს — კედლის მხატვრობა, ძვირფასი თვლები, ორნამენტები. ახლა ეს გაძარცვული კედლები და დარბაზები, ეს ძვირფასი სასახლეები გაუპატიურებულსა ჰგავს. ინდოეთის მეცნიერები დღეს დიდ მუშაობას ეწევიან თავიანთი შშობლიური ისტორიული სიმდიდრის მისაგნებად. სახელმწიფო ცდილობს შეიძინოს და უკანვე მოიტანოს ის სამშობლოში, მაგრამ ამ საქმეს იმდენი სახსარი და თანხები სჭირდება, რომ ბიუჯეტიდან მისი გამონახვა შეუძლებელია, ხოლო ხალხში მის შეგროვებას აქამდე ვერ ახერხებენ. ასე იკარგება ამ ძეგლების ძვირფასი სამკაულები შორეული ქვეყნების მიწაზე.

ფორტიდან დაბრუნებისას გზაზე ვუცქირეთ კობრისა და მანგუსტის ბრძოლას. მე ამ სურათს ახლოს ვერ მივეკარე, იმდენად თავზარდამცემი იყო გველის განწირული შიშინი და ქშენა, მანგუსტის უსწრაფესი შემართება. ორ წუთში მრისხანე გველი უკვე ყელგამოჭრილი ეგდო მიწაზე.

აგრიდან ოცი მილის მანძილზე მდებარეობს ფატეჰპურ-სიკრი — მკვდარი ქალაქი. იგიც აკბარის აშენებულია, დიდი მოგოლების დინასტიის მესამე იმპერატორისა, ჰუმაიუნის („ბედნიერის") შვილისა. აკბარმა ეს ქალაქი თავის შვილს აუშენა. სწორედ ამ ადგილს უთხრა მას მარჩიელმა, რომ შვილი ეყოლებოდა. შვილის — სელიმის დაბადების აღსანიშნავად მას აქ დედაქალაქის გადმოტანაც განუზრახავს, მაგრამ ამ ქალაქმა მხოლოდ თექვსმეტ წელიწადს იცოცხლა. უეცრად ქალაქს წყალი დაეკარგა და უწყლო ქალაქიც ყველამ მიატოვა. აკბარის სიკვდილის შემდეგ ამ ქალაქს „ინდოეთის მიტოვებულ დედაქალაქს" უწოდებენ.

უშესანიშნავესი არქიტექტურული ძეგლებთაა სავსე ეს ქალაქი, ბრწყინვალე მარმარილოს სასახლეები, ციხე-კოშკები, სამლოცველოები, აბანოები, გასართობები, საჯინიბოები; ყველაფერ ამაში დღეს დაფრიალებენ მწვანე თუთიყუშები და ერთმანეთს კედლიდან კედლეზე გასჭყივიან. ქვეშში დასრიალებენ მსხვილი ხვლიკები და ქალაქის მაღალ კედლებზე ქონგურებივით სხედან გრიფები. კაცმშვილი აქ არ ცხოვრობს, არის დუმილი და სრული სიცალიერე.

ქალაქის შუაგულ მოედანზე ახლაცაა ვეებერთელა რკინის პალო, რომელზედაც თურმე გაწვრთნილ სპილოს აბამდნენ; ეს სპილო ფადიშა აკბარის ბრძანებით ფეხებით ჭყლეტდა სიკვდილმისჯილ დამნაშავეს.

ჩვენ აკბარის სასახლეში შევედით, ავედით მეორე სართულზე, მსაჯულთა სხდომის დარბაზში. მე ამ ადგილზე დავჯექი, სადაც აკბარი, აღმოსავლეთის ეს მრისხანე მბრძანებელი ჯდებოდა სხდომის დროს. ინდურად მოვირთხი ფეხი, იქვე გაჩნდა გარეგან სევუნციც თავისი ფოტოაპარატით.

მარმარილოს ულამაზესი ამბონ. მართლაც რა იქნებოდა იგი, როცა აქ წყალი დიოდა! შეიხ-სელიმის საფლავი, თეთრი მავზოლეუმი, დღესაც მოქმედი სამლოცველოა; აქ ახლაც აწყვია ცოცხალი ყვავილები და რაღაც რელიგიური შესაწირავები. აქაც ნაჭარი მარმარილო, დიდი გემოვნებით წვრილად ამოჭრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი სახეებითა და ამბებით. შეიხ-სელიმის სარკოფაგი, სანდალოზის ხე სადაფით, მოჭედილი.

რამდენიმე საათი ვიხეტიალეთ მკვდარ ქალაქში. ავედით მაღალ კოშკებზე და გავხედეთ ინდოეთის გაშლილ ტრამალებს, შორეულ ტაძართა გუმბათებს.

„მკვდარი ქალაქიდან“ „გამარჯვების კარებით“ გამოვედით. ეს ალაყაფის კარები ყველაზე მაღალი კარები ყოფილა მთელს აზიაში. იგი აკბარს სამხრეთ ინდოეთზე გამარჯვების აღსანიშნავად აუგია.

აგრაში ორდღიანი მგზავრობის შემდეგ გავემგზავრეთ ისევ დელისკენ, საღაც გადაწყვეტილი გვქონდა ახალწლის შეხვედრა.

ძველი დელის გვირგვინია „წითელი ფორტი“, დიდი მოგოლების ყველაზე შესანიშნავი ციხე-სიმაგრე. ამ ფორტის დაცემით საბოლოოდ დაეცა ინდოეთის სამეფო, საბოლოოდ, ორასი წლით, დაესვა წერტილი ინდოეთის დამოუკიდებლობას და ქვეყანაში გამეფდა ინგლისის მეფის ნაცვალი. ორასი წლის შემდეგ, ინდოეთის განთავისუფლების დღეს, ეროვნული დროშა ამ ციტადელზე, „წითელ ფორტზე“ აფრიალდა და ამ დროშამ ამცნო ხალხს ქვეყნის თავდახსნის სანუკვარი ამბავი. ეს ფორტი ინდოეთის დამოუკიდებლობისა და თვითმყოფობის სიმბოლური სიმაგრეა. იგი ინდოეთის კრემლია. დიდი მოგოლების მეფობის მთელ მანძილზე „წითელი ფორტი“ არავის შემოუნგრევია, მხოლოდ უკანასკნელ დროს აუღია იგი ნადირ-შაჰს და აქედან წაუღია „ფარშავანგის ტახტი“. თვალს ახლაც ხიბლავს მარმარილოსგან ნაგები საოცნებო ჩანჩქერები, ზღაპრული შენობები. ამ ფორტის კედელზე ასეთი წარწერაა: „თუ ამ ქვეყნად არსებობს სამოთხე — იგი აქ არის, აქ არის, აქ არის“.

ახალ წელს ჩვენ საელჩოში შევხვდით. მიუხედავად იმისა, რომ ინდოელები ახალწელს პირველ იანვარს არ დღესასწაულობენ, ჩვენ ერთბაშად სამი ახალი წლის სადღეგრძელო შევსვით იმ ღამეს: დელის, მოსკოვის და თბილისისა. თამადად თვით ჩვენი ელჩი ამხანაგი პოტომკინი ავირჩიეთ, რომელსაც ერთხანს სრული დისციპლინის შეგნებით ვუსმინეთ, მერე კი სუფრაზე ცალ-ცალკე ჯგუფებმა თავისი დამოუკიდებელი რესპუბლიკები შექმნეს და მხიარულებაც დაიქსაქსა და დანაწევრდა. მერე გახურდა თავბრუდამხვევი „ცეკვები დილამდე“.

ახალწლის დილით მე ჩვენი სასტუმროს ეზოში გრილ მოლზე დავწექი გულღამა და დიდხანს ეუცქერდი ცაში მონავარდე მერცხლებს ისე, როგორც ბავშვობაში, შუა ზაფხულის ხვატიან დღეს.

მეორე დღეს ბომბეისაკენ გავფრინდით და ღამის თერთმეტ საათზე, როცა მოსკოვის დროით ცხრის ნახევარი იყო, ჩვენ ბომბეის აეროდრომზე ვისხედით.

ბომბეი დიდი ევროპული ქალაქია. ერთსართულიანი დელის შემდეგ ჩვენს თვალწინ აღიმართა ევროპულად მრავალსართულიანი დიდებული შენობები. ეს შენობები არაბეთის ზღვის სანაპიროზე უფრო გალერებსა გავს. ჩვენ ზედ ზღვისპირად ჩამოვხტით მშვენიერ ევროპულ სასტუმროში. ზღვაში დგას ინდოეთის „ფლოტი“. მე ეს სიტყვა წინწყლებში ტყუილად როდი ჩავსვი. ასევე წინწყლებში შეიძლება ჩაისვას ინდოეთის სამხედრო ძალების საომარი ტექნიკაც, მაგალითად „ტანკები“. ეს სამუზეუმო ექსპონატები, ინგლისელთა მიერ პირველი მსოფლიო ომის დროს პირველად გაკეთებული მანქანები ფუსფუსებენ ინდოეთის ჯარის სასწავლო ბანაკებში და რესპუბლიკის ჯავშან-სატანკო ნაწილები მათზე ვარჯიშობენ. დღეს ეს იარაღი უბრალო ხის ჯარასავით გეჩვენებათ. ახლა იკითხეთ თვითმფრინავები! ახლა თოფები! ერთის სიტყვით, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ვისაც რა იარაღი გამოუცვლია და ხმარებიდან, ჯარის შეიარაღებიდან ჩამოუწერია, სულ აქ გაუსაღებია. სულ ამ საწყლებს შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძენინათ. კაცმა არ იცის, რომელი შეიარაღებული მეზობლის წინააღმდეგ გამოიყენ ადგებათ იგი.

სასტუმროში შესვლისთანავე ჩავრთეთ ვენტილატორები. ეს ვეებერთელა ვენტილატორები, რომლებიც მთელ ჭერს ფარავდა და ჰელიკოპტერების პროპელერებსა ჰგავს, გეგონებათ აგერ მთელ შენობას ცაში აიფრენენო. ამათ გარეშე მართლაც დაიწოდა აქ კაცი, მით უმეტეს ზაფხულის თვეებში. სხვათა შორის, აქვე უნდა ვთქვათ, ჩვენში რომ სახლებში ცენტრალურ გათბობას ვაწყობთ, ინდოეთში ცენტრალური გაგრილების რადიატორებს ატანენენ ხოლმე კედლებში. სასტუმროში საწოლებზე ზეწრებია საბნების მაგიერ, ისიც ალბათ მხოლოდ ზამთრის თვეებში.

სამი იანვრის დილა ბომბეიში ისეთი ცხელი გათენდა, როგორც ჩვენში სამი ივნისი გათენდეს.

ქალაქზე ქარხნების სქელი, ნაცრისფერი კვამლი დგას. მე ვიწყებ ფიქრს ლექსზე, ასეთი პირველი სტრიქონებით: „ვარ ჩახრეკული, ვარ ჩამდნარი ქალაქში, ჯამში, ბომბეის ცეცხლი ეკიდება იანვრის სამში...“ ქუჩებში ჯერ კიდევ მიცვალებულებივით სუდარაში გამოხვეული ჰყრიან უსახლკარო ღამისმთევლები.

მცირე საუზმის შემდეგ ჩვენ დავტოვეთ სასტუმრო და არაბეთის ზღვისპირს მივაშურეთ სიცხისგან თავდასახსნელად. დავიქირავეთ მოტორიანი ნავი და გავცურეთ ჯუჰუნგლებისაკენ. ორი საათის ცურვის შემდეგ ჩვენ გადმოვხტით კუნძულ „ელეფანტზე“, მივადექით დიდ გამოქვაბულს კლდეში. ეს უძველესი გამოქვაბული, ინდური ძველი რელიგიური ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში, პორტუგალელებს დაუნგრევიათ მეოთხმეტე საუკუნეში, მაგრამ სალი კლდისგან ნაქანდაკარ ბევრს რასმე ვერ მორევიან და ეს დიდებული ძეგლი მაინც ზვიადად იცქირება ამ პიტალო კლდიდან.

შივა — ქვეყნის შემქმნელი ღმერთი ინდოეთისა, პარვატი — შივას მეუღლე, სპილო — განეში — შივასა და პარვატის შვილი, არწივი ვიშნუ, ბრაჰმა და სხვა ღვთაებანი ისევ ისე იცქირებიან, როგორც ათეული საუკუნეებს წინათ. როცა აქ პორტუგალელები მოვიდნენ, ამ კლდეზე, გამოქვაბულის წინ, გამოკვეთილი ყოფილა უზარმაზარი სპილო, ამის გამო დაურქმევიათ პორტუგალელებს მთელი ამ კუნძულისათვის სპილოს კუნძული — „ელეფანტი“.

შივას რვა ხელში რვა სხვადასხვა იარაღი უჭირავს; შივა ერთპიროვანი არაა, შივა არის შემოქმედი, მცველი და დამანგრეველი. დამანგრეველ შივას გვირგვინზე თავის ქალა ახატია, ხელში გველი — კობრა უჭირავს. შივა-მცველს ხელში ლოტოსის ყვავილი აქვს, თმებში ინდოეთის სამი მდინარე: განგი, ჯამნა და სარსვატი. ელეფანტის გამოქვაბულში, ისე როგორც ჩვენს ვარძიაში, შშვენიერი ცივი წყარო გამოდის. ელეფანტის კუნძულზე საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობს გათხრები და სამეცნიერო სამუშაოები.

კუნძული სავსეა მაიმუნებით. ცაში, ზედ თქვენს თავზე, მძიმე „ბომბდამშენებივით“ დაფრინავენ გრიფები, ისინი ფრთების ისეთი შრიალით ჩამოგიქროლებენ, რომ შეგაკრთობენ კიდეც და ხელში კეტს აგაღებინებენ. შევარდნები გრიფებში ისე სრიალებენ, როგორც ჩვენი ავიოგამანადგურებლები, „იაკები“.

დავრწყულდით ქოქოსის კაკლის წყლით, რომელსაც იქვე ჰყიდიან ინდოელი ბავშვები. ქოქოსის კაკლის წყალს რაღაც მარილიანი მოტკბო გემო აქვს, არც თუ ისე ცივია და მისი შესმა მაინცდამაინც დიდი ნეტარება არაა.

უკან დაბრუნებისას ჩვენი კატერი თავის ადგილზე აღარ დაგვხვდა. უკუქცეულ ზღვას იგი შორს გაეთრია.

ᲑᲝᲛᲑᲔᲘᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲒᲐᲒᲕᲘᲔᲗ ᲑᲝᲛᲑᲔᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ „ᲓᲐᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲬᲕᲐᲠᲔ ᲚᲘᲡᲐᲙᲐᲜᲔ“. ᲘᲒᲘ ᲑᲐᲦᲘ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲛᲘᲬᲧᲐᲠᲘᲚᲬᲘᲡᲐ ᲒᲐᲛᲬᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲗᲐ. ᲘᲒᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲐᲦᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲡᲙᲘᲦᲔᲠᲘᲡ ᲐᲫᲔᲑᲐᲓ ᲛᲘᲣᲦᲘᲐ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲣᲜᲘᲙᲣᲚᲘᲝᲠᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲮᲔᲘᲜᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲛ ᲑᲐᲦᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲘᲠᲘᲐ. ᲐᲡᲝᲗ ᲑᲐᲦᲘ ᲗᲣ ᲓᲐᲙᲘᲓᲣᲚᲘ ᲰᲫᲕᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲣᲜᲘᲙᲣᲚᲘᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲐᲦᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲗᲘᲫᲕᲐᲡ?

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲑᲝᲛᲑᲔᲘᲡ ᲐᲛ ᲑᲐᲦᲘᲓᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲩᲐᲡᲚ. ᲩᲕᲔᲜ ᲖᲕᲘᲐᲠᲘᲡᲗᲐᲜ ᲙᲐᲤᲔᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲪᲔᲥᲘᲗᲗ ᲥᲐᲚᲐᲥᲡ, ᲐᲠᲐᲑᲔᲗᲘᲡ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲜᲐᲮᲐᲠᲘᲡ. ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲘᲠᲝᲖᲔ, ᲘᲡᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲨᲘ, ᲜᲘᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲜ, ᲩᲐᲛᲬᲧᲠᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲬᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ. ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲜᲘᲡ, ᲛᲐᲦᲐᲚᲘᲜᲘᲡ, ᲙᲐᲤᲔ-ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲜᲔᲑᲘ. ᲞᲚᲘᲐᲥᲘᲡ ᲐᲗᲐᲡᲘᲗᲮᲘᲗ ᲛᲝᲥᲚᲐᲥᲔᲑᲘᲗ ᲑᲐᲜᲐᲛᲔ. ᲩᲐᲛᲐᲯᲐᲚᲔ ᲛᲗᲐ ᲑᲐᲦᲘᲡ ᲞᲐᲚᲛᲗᲐᲛᲘᲡ ᲮᲐᲜᲯᲚᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲒᲐᲬᲘᲓᲘᲗ ᲢᲝᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲡᲘ ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ ᲛᲘᲘᲠᲐᲜᲗᲐ, ᲗᲘᲗᲝᲥᲛᲘᲗ ᲓᲐᲩᲮᲕᲔᲢᲘᲗ ᲔᲨᲘᲜᲝᲓᲔᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲜᲘᲐᲖᲘᲗ ᲖᲔᲓ ᲒᲣᲚᲗᲘ ᲐᲯᲐᲮᲔᲑᲚᲘ ᲐᲛ ᲮᲐᲜᲯᲚᲘᲡ ᲑᲐᲡᲚᲘ ᲬᲕᲘᲠᲔᲑᲘ. ᲑᲐᲦᲘᲓᲐᲜ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲩᲘᲜᲡ ᲨᲐᲕᲘ ᲢᲧᲔ, ᲘᲡᲔᲒᲘ ᲐᲫᲐᲠᲘ „ᲓᲣᲛᲘᲚᲘᲡ ᲙᲝᲨᲘ“. ᲢᲧᲔᲖᲔ ᲜᲔᲚᲐ ᲓᲐᲐᲑᲝᲢᲔᲑᲔᲜ ᲒᲠᲘᲤᲘᲗᲐ.

„ᲓᲐᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲦᲘᲓᲐᲜ“ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲜᲘᲡᲐᲙᲔ ᲑᲝᲛᲑᲔᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲥᲣᲩᲘᲗ, „ᲡᲐᲮᲚᲝᲠᲗ ᲥᲣᲩᲘᲗ“ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲝᲗ. ᲔᲡ ᲥᲣᲩᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲛ ᲐᲛ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲘᲯᲔ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲐᲧᲐᲠᲝᲡ ᲛᲝᲜᲐᲠᲥᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲪᲮᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲝᲑᲐᲡ. ᲐᲛ ᲯᲠᲔᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲝᲠᲘᲒᲘ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲣᲩᲘᲠᲐᲕᲡ ᲡᲐᲠᲝᲡᲙᲘᲞᲝᲛᲔᲑᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ ᲨᲣᲛᲐᲠᲐᲓ ᲮᲓᲔᲑᲐ. ᲡᲐᲠᲝᲡᲙᲘᲞᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲕᲘᲪᲮᲠᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲘᲒᲜᲐᲓ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲢᲐᲠᲘ ᲔᲚᲚᲔᲓᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲧᲝᲤᲔᲑᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ, ᲘᲡᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲐᲦᲐᲠᲘᲐᲨᲘ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ. ᲔᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲐᲛᲐᲠᲬᲠᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲝᲑᲐᲐ. ᲦᲐᲛᲝᲛ ᲐᲛ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲒᲐᲒᲚᲐ ᲓᲘᲓᲘᲐᲓ ᲡᲐᲨᲘᲜᲝᲨᲘ ᲧᲝᲤᲘᲡᲐ. ᲦᲘᲛᲘᲗ ᲐᲛ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲗᲮᲔᲕᲔᲑᲘᲗ ᲛᲙᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ, ᲣᲒᲠᲝᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲕᲘᲡᲐ, ᲫᲐᲠᲪᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲒᲓᲐᲡᲗᲛᲝᲑᲘᲡᲐ. ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲑᲘ, ᲣᲛᲪᲚᲣᲠᲜᲔᲑᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐᲜ ᲐᲛ ᲡᲐᲛᲘᲜᲔᲚᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲘ.

ᲘᲛᲐᲕᲔ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲑᲝᲛᲑᲔᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲒᲤᲠᲘᲜᲓᲘᲗ. ᲜᲐᲙᲐᲣᲠᲘᲗ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲮᲜᲘᲗ ᲨᲔᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲦᲐᲛᲘᲗ ᲩᲐᲒᲠᲘᲜᲓᲘᲗ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲙᲐᲙᲐᲣᲢᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲔᲠᲗᲘᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲗᲐ ᲒᲐᲛᲬᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲝᲓ, ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲔᲠᲗᲘᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲗᲐ ᲒᲐᲛᲬᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ. ᲔᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲐᲛᲐᲠᲬᲠᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲝᲑᲐᲐ. ᲦᲐᲛᲝᲛ ᲐᲛ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲒᲐᲒᲚᲐ ᲓᲘᲓᲘᲐᲓ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲘ. ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲐᲒᲝᲒᲠᲜᲘᲐᲗ ᲐᲛᲛᲘᲡᲐᲕᲚᲣᲠᲘ ᲑᲐᲖᲐᲠᲘ, ᲗᲝᲛᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗ ᲔᲒᲖᲝᲢᲘᲗᲔᲗ.

ᲐᲛ ᲫᲕᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ, ᲩᲕᲔᲜ ᲕᲘᲪᲧᲝᲓᲘᲗ, ᲗᲝᲛᲚᲘ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲨᲘ ᲒᲪᲔᲛᲝᲗ ᲠᲐᲝᲚᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ, ᲡᲞᲔᲪᲘᲤᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲣᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲛ ᲩᲕᲔᲣᲚᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲐ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ. ᲘᲥᲜᲑ ᲔᲡ ᲑᲔᲢᲔᲚᲘᲡ ᲡᲣᲜᲘᲐ, ᲘᲥᲜᲑ ᲠᲐᲛᲘᲛᲔ ᲡᲐᲮᲔᲑᲐᲕᲘᲡ ᲡᲣᲜᲘᲐ? ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲛ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ქალაქის ქუჩებში ყოველთვის შეხვდებით ფაკირებს — ძოთაძეს გვეკლებითა და სხვა ქვეწარმავლებით.

თხვეეაში ეს სუნი უფრო საგრძნობია ქალაქთა ძველ, აზიურ ნაწილებში, სადაც მეტია სიბინძურე და დარღვეულია სანიტარიის ყოველგვარი კანონები.

კალკუტის ღორსშესანიშნავ ადგილთა და ძეგლთა დათვალიერება ჩვენ ინგლისის დედოფლის ვიქტორიასადმი, ტაჯ-მაჰალის მიბაძვით, აშენებული სასახლიდან დავიწყეთ. აქ ახლა ინდოეთის ნაციონალური მუზეუმია მოთავსებული. ეს არის მუზეუმი კოლონიალიზმის ისტორიისა ინდოეთში. აქ თქვენ ნახავთ ინგლისის მეფისნაცვალთა ძეგლებს, ქანდაკებებს, სურათებს. მუზეუმის წინ ეზოში დგას ლორდ კერზონის ვეებერთელა ძეგლი. ინგლისელ მძარცველ გენერალთა და სხვა სამხედრო პირთა შორის, ჩვენ ვიტყოდით, სრულიად ლოგიკურად მოთავსებულია დიდი ინგლისელი პოეტის რედიარდ კიპლინგის სურათიც. მუზეუმის ერთმა ინდოელმა თანამშრომელმა, რომელიც მუზეუმის ექსპონატებზე ახსნა-განმარტებას გვაძლევდა, ამ სურათზე ასე თქვა: — ეს კაცი არის პოეტი, მწერალი, რომელიც ძალიან ცუდ რასმე წერდა ჩვენი ქვეყნის შესახებ. მერე მეორე მხარეზე მიგვახედა და გვითხრა: — ეი ეს, ჩვენი სამშობლოს დიდი ქომაგი და დიდი სიამაყეაო. იმ კედელზე ეკიდა რაბინდრანათ თაგორის სურათი.

რაბინდრანათ თაგორის სახლი კალკუტაში ე. წ. მუსლიმანთა კვარტალში დგას. ამ კვარტალში, როგორც ამბობენ, ყოველდღე ხდება მუსლიმანთა და ინდოელთა შეჯახებები და დაკა-დაკა, არაშვიათად მკვლელობანიც. თაგორის სახლი ჩითპუროროდის ქუჩაზეა, ვიწრო აზიურ ქუჩაზე. სახლი კარგა მოზრდილია, ვრძელი, ძველი, თითქმის უკვე დამპალი აივნით. იგი სავსებით უპატრონოდაა მიტოვებული. მემორიალური დაფაც კი არ გააჩნია. ქვის იატაკიანი ოთახი, სადაც მომკვდარა ეს დიდი მოაზროვნე, თითქმის ცარიელია. მხოლოდ კედელში დატანებული განჯინა ჩანს და ოთახის შუაგულში რაღაც მაგიდის მსგავსი. კარ-ფანჯრებზე ყვითელი ფარდებია ჩამოკიდებული. ელექტროგაყვანილობა ძველთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველია და შიგ ალაგ-ალაგ ჩამოგლეჯილი. შესასვლელ კარებს გარეცდან ბეგები აქვს და მთელ მოაჯირზე ჰკიდია აგრეთვე ძველი და ალაგ-ალაგ დაგლეჯილი ჭილის ფარდები. სახლს ეტყობა პატრონი არავინ დაჩჩენია, ხოლო სახელმწიფოს იგი თავის მზრუნველობაში დღემდე არ აუღია. არის ეს წმიდა ადგილი. აღმოსავლეთის დიდი მომდერალის დაცლილი ბუდე ასე უპატრონოდ, უზედამხედველოდ, გულშემატკივარი ადამიანის თვალყურის გარეშე.

განგის პირად კალკუტის ცნობილი ბოტანიკური ბაღია გადაშლილი, ამ ბაღში საოცრებას წარმოადგენს „ბანიანის ტყე". მთელი ეს ტყე შედგება ერთი ხისაგან, რომელსაც ტოტებიდან დაბლა დაუშვია და მიწაში ჩაუჭვია ახალი ფესვები, ეს ფესვები ახალ ხეებად ქცეულა, თავის მხრივ ახალი ტოტები გამოუსხამთ, რომელთაც, აგრეთვე თავის მხრივ, ახალი ფესვები ჩაუშვიათ მიწაში და ასე და ამგვარად წარმოქმნილა მთელი ტყე, სადაც ამჟამად 947 ხეა. 1927 წელს ამ ხეს, ე. ი. მთავარ ხეს, დედა-ხეს თეთრი ჭიანჭველები შესევია ტანში (ეს ჭიანჭველები დიდი ზომისანი არიან და ინდოეთში თურმე მთელ ტყეებს ანადგურებენ) და რომ უბედურება სხვა ხეებსაც არ გადადებოდათ, იგი მოუჭრიათ; ასე, რომ დღეს მთელი ეს უზარმაზარი ტყე თითქოს ჰაერშია გამოკიდებული, კალკუტის ამ ცნობილ ბოტანიკურ ბაღში. მთელი ტყე ერთმანეთზე სიამის ტყუპებივითაა გადაბმული და მისი ტოტების ჩრდილოში საკანგებო სიგრილეა. მზე და ზეცა ყოველთვის დახურულია ამ დიდი, ბუნებრივი ქოლგის ქვეშ.

დავადექით გზას ბენგალისაკენ. ბენგალი ინდოეთის ის მხარეა, საიდანაც დაიწყო ინგლისელთა მასობრივი შემოსვლა ინდოეთში. აქ ჩამოყალიბდა პირველად ოსტ-ინდოეთის კომპანია, რომელმაც ამ ქვეყანაში ბრიტანეთის ლომის ბატონობა მოიტანა. სამაგიეროდ ბენგალი ცნობილია აგრეთვე თავისი რევოლუციური მოძრაობითაც. იგი ინდოეთის რევოლუციური მოძრაობის ცენტრია. ინგლისს ინდოეთში თავის ბატონობის დროს ყოველთვის ბენგალელები უშრობდნენ სისხლს.

ჩავუარეთ ბენგალის სოფლებს. ბენგალის სოფლები ინდოეთის სხვა კუთხეებთან შედარებით უფრო მდიდარი სოფლებია, ხალხიც შედარებით, ფერხორციანი და უფრო მხიარული, ვიდრე ჩვეულებრივი, ზოგჯერ ფლეგმატური ინდოელი გლეხები. შრომის პირობები კი ეტყობა აქაც ძალზე მძიმეა. წელამდე დგანან წყალში და იღებენ ბრინჯს, ძნებს აწყობენ გრძელ, წვრილ ნავებზე და ბრინჯის ნამჯებში მიცურავს ნავი. ბრინჯის ყანებში, წყალში პატარა ხელის ბადეებით თევზსაც იჭერენ. ეს წვრილი თევზი, ალბათ, უგემურია, როგორც ყველა ტბის თევზი.

აგერ გზის პირას პატარა ბიუმა, რომელიც ძლივს ჩანს წყალში, ბადე ამოსწია და თევზი ამოიყვანა. უნდა ნახოთ, როგორი გახარებულია, იცინის, ყელურტულებს, იქვე მდგომ უფროს გოგონას ეძახის. იქნებ ეს პირველი თევზობაა მისი. ჩვენ მანქანა შევაჩერეთ და მასთან სურათი გადავიღეთ.

ეზოებში უამრავი მაღალი, ლამაზი პალმა და ბანიანი სახლები, ისე როგორც ჩვენში, ქართლის სოფლებში.

კალკუტიდან 80 კილომეტრზე განგის პირას შევჩერდით. კარგა მოშიებულებმა მდინარესთან ხის ქვეშ საუზმე გავშალეთ. გარშემო ალყა შემოგვარტყეს პატარა ინდოელებმა, ჩვენზე არანაკლებ მოშიებულებმა. გავუმასპინძლდით.

ჩვენ ვზიარით „ალმასის ყურესთან". განგი აქ მეტად ვრცელია. კალკუტისაკენ მიცურავენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით დატვირთული იალქნიანი ნავები. მაგარი მკლავებით უსვამენ ნიჩბებს მზისგან შავი ნახშირივით დამწვარი ბენგალელები. შორიდან ხელს ვუქნევთ, ისინიც გვესალმებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლებში არსად სახლში არ შეგვიშვეს. ინდოეთში ისე არაა, როგორც ჩვენში, დაუკითხავად რომ მივაყენებთ ხოლმე სოფლად გლეხს უცხოელების მთელ დელეგაციას. სტუმარი ღვთისაა... აქ შეურაცხყოფილადაც გრძნობენ თავს, მათს სახლში შესვლა თუ დააპირე. რას იზამთ. ვერ ვნახეთ გლეხის ოჯახი. პატარა ბავშვები აქაც მათხოვრობენ. ეტყობა, ეს სენი მთელ ინდოეთს აქვს მოდებული. მათხოვრობა აქ ჩვეულებადაა გადაქცეული, ჩვეულება კი, როგორც ამბობენ, ადამიანის მეორე ხასიათია.

აგერ შუაგულ მტკვრში პირით ჩაემხო კაცი, წამოდგა და ხელები ცაში აღაპყრო, მერე ისევ მიწაზე დაეცა. ლოცულობს, ლოცულობს საცოდავი, თავის ღმერთს რაღაცას ევედრება. ვინ იცის ამ კაცის ღმერთი რომელია.

ლოცვა თქვენ ქალაქ ბენარესში უნდა ნახოთ, „წმიდა ქალაქში“, „წმიდა მდინარის“ განგის ნაპირას. ეს ყველაფერი ცნობილი ამბავია, მაგრამ საკუთარი თვალით ნახვა მაინც სხვა არის.

როგორც ამბობენ, ბენარესში ყოველწლიურად მილიონზე მეტი მლოცველი ჩამოდის ინდოეთის სხვადასხვა კუთხიდან და აღმოსავლეთის სხვა შორეული ქვეყნებიდან, ჩინეთიდან, იაპონიიდან, ინდონეზიიდან, ბირმიდან. ასეულ და, წარმოიდგინეთ, ათასეულ კილომეტრებზე მოდიან ისინი ფეხით, მხოლოდ ფეხით. თვეობით და წლობით უნდებიან ამ გზის გავლა. თუ ბენარესამდე მოაღწიეს და იქ გარდაიცვალნენ, გაკეთდა მათი საქმე; მათი საქმე მაშინ ცაშია გამორკვეული: საიქიოში ბედს ეწევიან. მათი სული უკვე წმიდაა, იგი უსათუოდ შეუერთდება ციურ, უზესთაეს სულს. მოდიან განგის ტალღებში განსაბანად, ცოდვათა მოსანანიებლად, ბოროტისაგან განსამიჯნავად.

გვიჯარეთ ქალაქი და მივადექით „წმიდა მდინარის“ ნაპირს. ჩავედით მლოცველებით სავსე ქვის კიბეებზე და მე მომეჩვენა, რომ მლოცველთა უმეტესობა ჯერ კიდევ ნახევრად ველური მდგომარეობაში მყოფი ტომების წარმომადგენლები არიან. ისინი, თითქმის შიშვლები, შესახედავად პირველყოფილი ადამიანებს უფრო გვანან, იქვე იძინებენ, ღია ცის ქვეშ, ყოველგვარი საწოლის გარეშე. მხოლოდ შეძლებულნი ცხოვრობენ მდინარის პირას სასტუმროებში, ბარაკებში. ინდოეთისა და აღმოსავლეთის მდიდართ კი თავისი სასახლეები და სამლოცველოები აქვთ განგის ნაპირზე. მთელ ქალაქში საშინელი სუნი ტრიალებს სიბინძურის და ანტისანიტარიისა, რომელსაც თან ერთვის დამწვარი ცხედრის სუნიც.

აგერ სავსებით შიშველი, ტალახში ამოსვრილი კაცი მოდის. ხელში ტალახი უჭირავს და შიგ თმებში იჩრის, ტანზე იცხებს. უკან მლოცველები მოსდევენ ზუზუნით. ეს „წმიდანია“, ფაკირი — „სადგუ“, ღმერთის წარმომადგენელი განგის პირას, ბენარესში. აგერ მეორე „სადგუ“ ცალკე ზის და ღრმა ფიქრებს მისცემია. მის ირგვლივ შესაწირავი დაუწყვიათ. იგი ასრულებს თავის ლოცვას.

ჩავსხედით ნავში და მდინარეში შევცურეთ. განგი აქ მეტად მშვიდია და მდორე. ოთხი ვეებერთელა კოცონის ალი ცამდე აღწევდა. ოთხი მიცვალებული იწვოდა კოცონზე. ერთს ფეხები გარეთ უჩანდა და კოცონის მსახური მონდომებულად აყრიდა ზედ შეშას, — დაუფერფლავი არ დარჩესო. წითელი და შავი სუდარით გადაფარებული რამდენიმე ცხედარი რიგში ეწყო. ნამდვილად შემზარავი სურათი იყო. იქვე ბავშვები თამაშობდნენ, იქვე საუზმობდნენ მლოცველები, იქვე ხდებოდა ყველაფერი, მოურიდებლად, უბოდიშოდ.

ბენარესი ინდოეთის ერთ-ერთი ყველაზე ძველი ქალაქია. იგი ითვლება ღმერთ შივას აკვნად. აქ ჩაისახა ოდესღაც ინდუიზმის რელიგია და ამ ქალაქსაც ამის გამო „ინდუიზმის ნექტარს“ უწოდებენ. ინდუიზმი ინდოეთში ყველაზე გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერცელებული რელიგიაა. თუმცა ამ ქვეყანაში მსოფლიოს ყველა რელიგიაც ეხვდებით: ისლამს, ბუდიზმს, ქრისტიანობას, კონფუციის მიმდევრებს და ვინ იცის კიდევ რას. ათასნაირი სექტები, რომელთა ასავალ-დასავალს ვერ გიგებ, ბევრიც ეცადო. მრავალი უბირი ინდოელი ასე მსჯელობს: ღმერთს კი არ გაუჩენია კაცი, არამედ, პირიქით, კაცმა გააჩინა ღმერთი, ამიტომაც თუ იმ კაცმა თავისთვის თვისი ღმერთი გაიჩინა, რატომ არა მაქვს მე უფლება გავიჩინო ჩემი ღმერთი?.. და ჩნდებიან და ჩნდებიან ღმერთები ინდოეთში.

ადამიანის გადმერთებაც ძალიან უყვართ ინდოეთში. მაჰათმა განდი, მაგალითად, უკვე ღმერთად ჰყავთ აღიარებული.

მეტად საინტერესოა ჯაინისტების რელიგია. ინდოეთის ქალაქებსა და სოფლებში ხშირად შეხვდებით პირახვეულ მოქალაქეებს. განა ყველას კბილი სტკივა! ესენი ჯაინისტები არიან. მათ პირი აკრული აქვთ მიტომ, რომ ბაქტერია არ გადაყლაპონ. ავადმყოფობის შიშით კი არა — ბაქტერია ცოცხალი არსებაა, ადამიანმა ცოცხალი არსება არ უნდა მოჰკლასო. ჯაინისტები მხოლოდ ბოსტნეულს და ბრინჯს ჭამენ. ამ შემთხვევაში ისინი ასე მსჯელობენ: მართალია, მცენარეც ცოცხალი არსებაა, მაგრამ იგი განვითარების ისე დაბალ საფეხურზე დგას, რომ შეიძლება შეეწიროს ისეთ განვითარებულ, მაღალ დონეზე მყოფ ორგანიზმს, როგორიცაა ადამიანის სხეული, ადამიანის ორგანიზმი. სხეული არის სულის საპყრობილე, ამიტომ ადამიანი უნდა ცდილობდეს რაც შეიძლება მალე გაათავისუფლოს სული ტყვეობისაგან. ე. ი. ჩვენებურად, ჭკუაზე მყოფი კაცის ენაზე რომ ვთქვათ — ადამიანი უნდა მოკვდეს რაც შეიძლება ადრე. იხოცებიან კიდევ ეს უბედურები, უდროოდ, უშმელობით, ათასნაირი ავადმყოფობით, რაც სხეულის დასუსტებას მოსდევს.

მალარიისა და ტუბერკულოზის შემდეგ სიკვდილიანობის ყველაზე მეტი შემთხვევები პროცენტულად ინდოეთში გველის ნაკბენზე მოდის, რადგან ინდოეთში, როგორც ცოცხალ არსებას, არც გველს კლავენ. ადამიანი სიკვდილის შემდეგ ხელახლა იბადება. თუ კაცმა ცხოვრება უცოდველად გაატარა, მეორედ ისევ ადამიანად განსხეულდება; თუ რამე შეცოდება მიუძღვის ღვთის წინაშე, შეიძლება მეორედ ძაღლად დაიბადოს, ან, ვთქვათ, ვირად, ხოლო თუ დიდი ცოდვანი აწევს კისერზე, მაშინ იგი დაიბადება გველად. ამიტომ ინდოელი რომ თავის სახლში შემძვრალ გველს დაინახავს, ასე მსჯელობს: ეს თუ ვინმე ჩემიანი არაა,— რომელსაც თავის დროზე დიდი ცოდვა ჩაუდენია, და მეორედ გველად დაბადებულა,— რატომ ჩემთან მოვიდა და არა მეზობელთან? და თუ ჩემიანია, რატომ უნდა მოვკლა? იქნებ ბაბუაა; ბაბუას ხომ არ მოკლავს, პირიქით, რძეს მიართმევს, მიუალერსებს. ბაბუა კი შვილიშვილს შხამიან კბილებს ჩაასობს ხოლმე და შვილიშვილიც კვდება, უბედური.

ინდოეთის მთავარი რელიგიის, ინდუიზმის მიმდევართ სწამთ აბსოლუტური სულის, უზენაესი სულის არსებობა. მათ სჯერათ, რომ ინდივიდუალური სულები არიან იმ ერთიანი სულის გამოვლინების სხვადასხვა ფორმები და სახეობანი. საბოლოო ანგარიშში ეს ინდივიდუალური გამოვლინებანი მაინც შეუერთდებიან, შეერწყმიან უზესთაეს სულს. მაგრამ ყველა სული როდი შეერწყმება ამ სულს. ცოდვილ სულს უმაღლესი სული არ შეიერთებს, ამიტომ ამ ქვეყნად კაცი უცოდველად უნდა ცხოვრობდეს. ჟქვენ წარმოიდგინეთ, შავი ჭირი და ინფექციური ავადმყოფობაც კი ცოდვილიანი კაცის სასჯელი ყოფილა, ამიტომ შავი ჭირით და ინფექციური ავადმყოფობით მიცვალებულ ადამიანს ინდოელები განგში დაუწვავად, ე. ი. ხორცისგან სულის გაუთავისუფლებლად ჰყრიან ხოლმე. აქედან — უდიდესი ეპიდემიები და სახალხო უბედურებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განგზე ნავებით გასეირნების შემდეგ ბენარესიდან დელში უკვე მატარებლით დავბრუნდით. რა ბუნება! რა ფერნველები, რა ცხოველები, ინდოეთი წარმოუდგენლად რომ დიდი, უზომოდ დიდი ბუნებრივი ზოოლოგიური პარკია.

მირზაპური, ალაჰაბადი, კიდევ რაღაც პური... და ღამით ისევ დელში ჩამოვედით. (პური ინდურად ქალაქს ნიშნავს, მაგრამ ფენჯაბში ჩვენებურ, ქართულ „პურს“ აგრეთვე პური ჰქვია).

როგორც ზემოთ ვთქვი, გურბაჰშ სინგჰმა თავის სოფელში დაგვპატიჟა, სიკჰების მხარეში, ფენჯაბში. ფენჯაბი ნიშნავს ხუთი (ფენჯ) მდინარის ქვეყანას, ეს მდინარეებია: სათლუჯი, ვიასი, ანუ ბიასი, ჯელამი, რავი და ჩინაბი. ფენჯაბი ინდოეთის ბეღლად ითვლება, მისი მცხოვრებლების რიცხვი 50 მილიონს აღემატება. ფენჯაბელები თითქმის ყველანი ვეგეტერიანელები არიან. ფენჯაბელთა რელიგია სიკჰიზმია; ეს რელიგია, ინდოეთის ყველა სხვა რელიგიისაგან განსხვავებით, უფრო მებრძოლი სულისკვეთებისაა. ამ რელიგიის ღმერთს ხელში ხმალიც უჭირავს, თუმცა ეს რელიგიაც არსებითად, როგორც ინდოეთის ყველა სხვა რელიგია წინააღმდეგობის გაუწევლობას ქადაგებს. განდიზმის მთელი შემართება, მისი მებრძოლი სულიც გამოიხატებოდა ინგლისელებთან თანამშრომლობაზე უარის თქმაში. არ ითანამშრომლოთ ინგლისელებთან, არ იმსახურთოთ მათს წარმოებებში, არ იყიდოთ ინგლისური საქონელი, ჩაიცვით ეროვნული ტანსაცმელი — ასეთი იყო განდის მოძღვრება. სიკჰების რელიგია, ვიმეორებთ, ცოტაოდენად განსხვავდება სხვა კულტებისაგან.

შესახედავად სიკჰები ლამაზი ხალხია, ისინი ინდოელებს არა ჰგვანან. როგორც ინდოეთში ყოფილი ამერიკელი ელჩი ჩესტერ ბოულსი ამბობს თავის წიგნში („მშვიდობის ახალი პრობლემები“, 1955 წ.), სიკჰები სავსებით ჰგვანან კავკასიელებს. ჩვენ ვიტყოდით, ქართველებს, ჩერქეზებს. ისინი ყველანი წვერულვაშს ატარებენ და თმას არასდროს არ იკრეჭენ დაბადებიდან; თეთრი ჩალმების ქვეშ ვეებერთელა თმები აქვთ ქალებივითო. სიკჰი წარმოსადეგი ვაჟკაცია, გაბრწყინებული თვალებით და თეთრი, ბრიალა კბილებით. ინდოეთის ინდუსტრიული მუშები, მანქანათა მძღოლები, მფრინავები, მოტორიზებუ მომუშავენი თითქმის სულ სიკჰები არიან. თქვენ ალბათ სურათზე გინახავთ ინდოეთის ქალაქში წვერმოშვებული ზოფერი ავტომანქანაზე, ეს სიკჰია.

გავემართეთ ფენჯაბის დედაქალაქ ამრიცარისაკენ, ეს ის ქალაქია, სადამდისაც უწია ალექსანდრე მაკედონელმა. აქ იყო მისი უზარმაზარი იმპერიის უკიდურესი საზღვარი აღმოსავლეთში. აქედან იყო გადაჭიმული იგი აზიასა და ევროპაზე. მთელ ღამეს მატარებლით მგზავრობის შემდეგ მეორე დილით ჩავედით ამრიცარაში. საღგურზე ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები შეგვხვდნენ.

ფენჯაბის საზოგადო მოღვაწემ, რაღაც საწარმოს მეპატრონემ, ამრიცარის ქალაქის თავის ძმამ, გურბაჰშ სინგჰის ნათესავმა — რაჰუ ნანდან ფჰაკიამ თავის სახლში წაგვიყვანა. ყვავილებით მორთული ეზოში აქა-იქ წვიმის გუბეები დგას. ის-ის იყო ფენჯაბში გადაიღო ძლიერმა რვადღიანმა წვიმამ, რის შესახებაც იმ დღეებში წერდნენ ინდოეთის გაზეთები. ორსართულიანი სახლი მაინცდამაინც დიდი გემოვნებით არ იყო მორთული. დიასახლისმა საუზმეზე შეგვიპატიჟა. მთელი საუზმე იყო ერბოკვერცხი და ბოსტნეული. თავად ლამაზ მამაკაცს, ნანდან ბჰაცას ცოლი მეტად უშნო ჰყავდა, ეტყობა, რაღაც ქონებრივი ინტერესები გამხდარიყო მათი შეუღლების საფუძვლად. ეზოში საამურად გალობდა გიტარა — ფენჯაბური ფრინველი.

ამრიცარი მოზრდილი ქალაქია, ნახევარ მილიონზე მეტი მცხოვრებით; ქუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩებში ინდოეთის სპეციფიური სუნი, მით უმეტეს ბაზარში, სადაც გაუწყალებ-ბელი ხმაური და ფუსფუსია. ქალაქის შუაგულში დგას ამრიცარის ცნობილი „ოქროს ტაძარი“, ირგვლივ მარმარილოს დიდი აუზებით. აუზებში წყალქვეშა ნავებივით დაგელაობენ ვეებერთელა თევზები, რომლებსაც კაცი ხელს არ ახლებს, ისინი კარგად ჩანან კრიალა წყალში. ამ ტაძრის გარშემო ბურჟუაზიას თავ-ვისთვის თეთრი სასახლეები აუშენებია, უბრალო მლოცველნი, რომლებიც აგ-რეთვე შორიდან მოდიან აქ, უბრალო ბარაკებში ცხოვრობენ. ახლა მთავრობას გადაუწყვეტია შეიძინოს ბურჟუებისგან სასახლეები და აქციოს იგი სასტუმ-როდად უბრალო მლოცველი პილიგრიმებისათვის. ტაძარი მზეზე ელექტრონი-ვით ელავს თავისი მოოქროვილი კედლებით და გუმბათებით.

გაგვხადეს ფეხზე, ჩაგვაცვეს თავიანთი წინდები და შეგვიყვანეს ტაძარში. ცენტრალურ დარბაზში ყვავილებით გაწყობილი ნოხის გარშემო ზის რამდენიმე ათეული ბრმა მემუსიკე და განუწყვეტლად, მთელი დღეღამის განმავლობაში ამ-ღერებს საკრავებზე ინდურ საეკლესიო სიმღერებს. ეს სიმღერები ამ საყდარში არ შეწყვეტილა მისი დაარსების დღიდან, ისე როგორც კალკუტაში ჯაინისტების ბრილიანტის საყდარში ერთი სინათლე არ ჩამქრალა მისი დაარსების დღიდან. ამ მრავალრიცხოვან ბრმათა შორის ერთ მოხუცს მართლაც რომ საოპერო ხმა ჰქონ-და. ნოხზე ზედ შუაგულზე დევს ხმალი. ეს ხმალი გამოხატავს სიკჰების რელი-გიის ფილოსოფიას: მრისხანე კაცს უნდა თხოვო შეწყალება და ლმობიერება, ამ-ბობს ეს მოძღვრება, ხოლო თუ მრისხანე კაცი არ გამოიჩენს ლმობიერებას, მას ხმლით უნდა მოკვეთო თავი. მაგრამ სიკჰებს მაინც სჯერათ, რომ ყოველ მრისხა-ნე კაცს შეიძლება თხოვნით მოაღებინონ მოწყალება და გამოსთხოვო ლმობიერე-ბა. „ოქროს ტაძრის“ კედლები მოჭედილია ძვირფასი თვლებით. კედლებზე აქაც მთელი ყურანია მიწერილი. მეორე ოთახში ზის კაცი ნოხზე, მორთხმულ ფეხებზე უდევს ვეებერთელა წიგნი და ოცდათოხი საათის განმავლობაში კითხულობს ამ წმიდა წიგნს. კულტის ამ მსახურმა ეს წიგნი ზეპირად იცის, იგი ფურცლავს მას წაღმა-უკუღმა, ჩვენ შემოგვაცქერის და ბუტბუტებს. თავზე ახალგაზრდა კაცი ადგას საგრილებლით ხელში და უნიავებს. წიგნის წაკითხვას ზუსტად ორი დღე და ღამე სჭირდება, 48 საათი, მერე იგი ხელახლა თავიდან იწყებს. ამ ტაძარს ძმობის, ადამიანობის და მრისხანების დათრგუნვის საერთო ღმერთის ტაძარი ეწო-დება. აქ ყველა სჯულის მლოცველი მოდის, მუსლიმანიც კი.

ტაძრის რემონტს, მის მომსახურებას, მლოცველნი უფასოდ აწარმოებენ, ეს მათ ღვთისმსახურებად მიაჩნიათ და ერთმანეთს ეჯიბრებიან ტაძრის დაგვა-და-სუფთავებაში. ტაძრის ეზოში დგას გვირგვინებით დახუნძლული ხე-ჯადოგუბა, მლოცველებს მოაქვთ და მოაქვთ ყვითელი ყვავილების გვირგვინები, ემთხვევი-ან ხეს და ჰკიდებენ ტოტებზე მათ. ადგილობრივნი ამბობენ, ეს ხე ხუთასი წლი-საა.

ფეხები დაგვისველდა ნაწვიმარ ფილაქნებზე. გვარწმუნებდნენ, თქვენ „ოქ-როს ტაძარში“ ხართ, ღმერთი გიცავთ და არ გაცივდებითო. მართლაც, ღმერთმა ერთი ნაწილი დაგვიცვა, მაგრამ ორი ჩვენგანი გამორჩა მხედველობის არიდან და მეორე დილით მაგარი სურდო შეეყარათ გარეგნის სევდნესა და ტუგელებაი სიდიბეკოფს. სიკჰების ღმერთმა არ შეიწყალა ისინი.

ჩვენმა მასპინძელმა რაჰუ ნანდან ბპაციამ მეწარმეთა კლუბში დაგვპატიჟა. აქ თავი მოიყარეს ქალაქ ამრიცარის მდიდრებმა და საზოგადოების წარმომა-დგენლებმა. გრძელი მაგიდის თავში დაჯდა მეწარმეთა კავშირის თავჯდომა-რე ეროპულად ჩაცმული კაპიტალისტი, რომელმაც მაშინვე რელიგიაზე ჩამო-გვიგდო საუბარი, რადგან ჩვენ ის-ის იყო დავბრუნდით „ოქროს ტაძრიდან“. —

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე სხვაში არაფერში ვემხრობი კომუნისტებს, ხოლო რელიგიის საკითხში: ეს კომუნისტი ვარო, — განაცხადა მან. — რელიგია სისულელეა და თავის მოტყუებულება. ჩვენ გაგიკვირდა ასეთი ათეისტური, თავისუფალი აზრის გამოთქმა ისეთ უკიდურესად რელიგიურ ქვეყანაში, როგორიც ინდოეთია.

სუფრაზე მხოლოდ ვეგეტერიანული საჭმელები მოიტანეს, ყოველგვარი სასმელის გარეშე. რამდენი არ ეამოიწყო ამხანაგმა სოფრონოვმა საუბარი გადასაკრავის შესახებ, მისი ხმა დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

სუფრაზე მოწვეული იყო ფენჯაბის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი, ინდოეთის პარლამენტის წევრი, მაღალი, ლამაზი ახალგაზეთერებული, მხიარული მამაკაცი სონ სინგჰ დიოში. იგი წლების განმავლობაში, თავისი ცხოვრების ნახევარი, მჯდარა ინგლისელთა ციხეებში. სუფრის თავში მჯდომი კაპიტალისტი სულ მისკენ იღრინებოდა: — წაიღო მოთმინება პარლამენტში თავისი ახალი და ახალი წინადადებებით გადასახადების გადიდების შესახებ მექარხნეთა და მეწარმეთა მიმართო. რას დაეძებს სხვის ქონებას, თავად არაფერი გაარნია, აი, ვინ უშლის ხელს ნაციონალური ბურჟუაზიის გაძლიერებას, ჩვენ ქვეყნის დამოუკიდებლობის ინტერესების წინააღმდეგო. სონ სინგჰ დიოში ამაზე ხარხარებდა. კაპიტალისტი კი უფრო და უფრო ბრაზდებოდა. სინგჰი იმ დღეს განსაკუთრებით კარგ ხასიათზე იყო; ნათესავივით გვეკითხებოდა ჩვენი საბჭოთა ქვეყნის ადამიანთა ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ. წამოსვლისას კაპიტალისტებმა კიბეებზეც არ ჩამოგვაცილეს, მიუხედავად იმისა, რომ მათ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობით დიდი შემოსავალი აქვთ. მაგალითად სუფრის თავზე მჯდომი ჩვენს ქვეყანასთან ჯუთით ვაჭრობს წელიწადში 18 მილიონი რუპიის რაოდენობით. სინგჰ დიოშმა მანქანებამდე მიგვაცილა და გულით გვისურვა კეთილი მგზავრობა და შემოქმედებითის მუშაობაში წარმატება.

მანქანები დაიძრა გურბაჰშ სინგჰის ნავტეჯის სოფლისკენ. ამ ველებს რომ ვუცქერი, ასე მგონია ხელახლა ვკითხულობ, „ვეფხისტყაოსანს“ — „სმენად მხეცნი მოვიდიან...“ ინდოეთში ზოგჯერ შინაურსა და გარეულ ცხოველს თუ ფრინველს ერთმანეთისგან ვერც კი გაარჩევთ.

სოფელ ჩუგავაშში გზად შეგვაჩერეს მოსახლეებმა და გაიმართა სახელდახელო მიტინგი. მიტინგს ქალი ხელმძღვანელობდა, საშველი არ მოგვეცა და ყოველ ჩვენთაგანს სიტყვა გვათქმევინა. აუარებელი შეკითხვა დაგვაყარეს, დიდხანს არ გაგვიშვეს. გაბრწყინებული თვალებით შემოგვცქეროდნენ და ყოველი ჩვენი სიტყვის დამთავრებისას ერთხმად გაბმულად გაჰკიოდნენ: „ჰინდი რუსი ბჰაი, ბჰაი...“ მერე როცა ძალზე ბევრი ხალხი შეიკრიბა, ჩვენ უხერხულობა ვიგრძენით და ცოტათი შეგვეშინდა კიდეც — ამ მიტინგის ამბავი მთავრობამდე არ მივიდეს და ინდოეთიდან უკან არ გამოგვაბრუნონ-თქო. ჩავსხედით მანქანებში და ორი საათის შემდეგ თავი ამოვყავით გურბაჰშ სინგჰის და ნავტეჯის სახლში სოფელ პრიტნაგარში („სიყვარულის ადგილი“). უკვე შეღამებული იყო და სოფელში სიჩუმე იდგა. გურბაჰშ სინგჰის სახლი გაზის ნათურებით გაეშუქებინათ (ელექტრონი აქ, რასაკვირველია, არ არის). სინგჰი მხიარული საცილით და ხელგაშლილი შემოგვეგებოდა კიბეებზე. მთელი თავისი ჯალაბი გაგვაცნო: ცოლი, შვილები, შვილიშვილები. შემოვიდნენ მეზობლები და იატაკზე იქვე დასხდნენ ფეხშიშველნი. საღამო ისევ ლექსების კითხვასა და სიმღერებში გავატარეთ. ქალებმა ისევ სევდიანი სიმღერები თქვეს. პატარა გოგონამ იმღერა „ფენჯაბმა გამოიღვიძა“. ეს ფენჯაბის ახალი მუსიკალური ფოლკლორის ნიმუში იყო.

კედელზე სრულიად უცნობი მხატვრის შესანიშნავი სურათებია: „პოეზია“,

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სიჭაბუკის მოგონება“, „სიყვარულის ლეგენდა“, „ინდოელი მუშა“, „გვიანდელი“ და“, „მოხუცი სიგჰი“, „ჯაბუკი სიგჰი“. სიყვარულის ლეგენდაში შაჰ-ჯაჯანი ჰპირდება მომაკვდავ ახალგაზრდა მეუღლეს დიდი მავზოლეუმის — ტაჯ-მაჰალის აგებას. „ინდოელი მუშა“ ძლიერი, კუნთებმაგარი მაღარიელია, ხელში დიდი წერაქვით. „ჯაბუკობის მოგონებაში“ ჩათვლემილ მოხუცს ელანდება ახალგაზრდა ქალ-ვაჟი. ის ვაჟი მისი ახალგაზრდობაა.

სავარძელში ხანშესული, თხელი, ინდურად ჩაცმული მშვიდი მამაკაცი ზის. ორივე ფეხი მოწყვეტილი აქვს, ეტყობა, პოლიომელიტით. ეს არის სობჰა სინგჰი — ფენჯაბელი განთქმული მხატვარი, ანუ არტისტი, როგორც ის თავისთავს უწოდებს, კანგრას ხეობიდან. — ჩვენს მხატვრობას მომავალი ისე არა აქვს, როგორც აწმყოო, — ამბობს იგი. — როგორც მე გამიგია, თქვენში ხელოვნებას თვით მთავრობა მფარველობს და მეცენატობს. აქ შეკვეთები ძალზე ცოტაა, აბა რომელ უგამოვნო მდიდარს სჭირდება ნამდვილი ხელოვნების ნაწარმოებიო. სობჰა სინგჰი ჩვენი ხალხოსნების მსგავსად კანგრას ხეობაში წასულა, სოფელ ენდრიტაში და იქ ეწვევა თავის უპრეტენზიო შემოქმედებითის მუშობას. იგი ისე მსჯელობს: — არაა საჭირო უკითხო ხალხს მორალი და ჭკუა ასწავლო, საჭიროა თვითონ შენ იცხოვრო ისე, რომ იყო მათთვის მაგალითიო.

მერე სობჰა სინგჰმა ინდოელი პოეტები და მუშაირა გამოაჯავრა, რომელიღაც ლექსის სტრიქონი თქვა, ტაში შემოჰკრა და შესძახა: — ვაააჰ, ვაააჰ, ვაჰ! იგი დაბეჯითებით გვარწმუნებდა, რომ ბევრ პოეტს ტაშის დამკვრელები მუშაირაზე დაქირავებული ჰყავსო. მერე სინგჰმა რომელიღაც ენაბლუ პოეტი გამოაჯავრა, ამაზე განსაკუთრებით სიცილი მე ამივარდა. როცა მხატვარმა გაიგო, რომ ჩვენი დელეგაციის შემადგენლობაშიც იყო ენადაბმული პოეტი, შერცხვა, ბავშვივით გაწითლდა და ჩვენი დაინებითი მოთხოვნის მიუხედავად ხელმეორედ აღარ გაიმეორა. თქვენი ენა მე არ მესმის და მე ვერაფერი შეგატყეეთო, მითხრა მორიდებით და მობოდიშებით.

მეორე ღილით გურბაჰშ სინგჰის ეზო გლეხებით იყო სავსე. ჩვენ აივანზე გავედით. გლეხები ჩვენს სანახავად მოსულიყვნენ, მრავალი რამ აინტერესებდათ საბჭოთა ქვეყნის შესახებ. მაგრამ დღეს, ეტყობა, მთავარი შეკითხვა ყოფილიყო: არის თუ არა საბჭოთა კავშირში ქურდობა, როგორც ეტყობა, მათ ამ საკითხზე დისკუსია ჰქონიათ. ერთნი ამ საკითხზე დადებითად პასუხობდნენ, მეორენი, ესე იგი აბსოლუტური უმრავლესობა საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ. და წარმოიდგინეთ მათი გაწბილება, როცა ჩვენ ვუპასუხეთ, რომ, სამწუხაროდ, ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის ეს მანკიერი გადანაშთი ჩვენშიც ჯერ კიდევ აქა-იქ არსებობს-თქო. ასეთი პასუხი მათ არ უნდოდათ. ინდოელი გლეხის წარმოდგენა ჩვენს ქვეყანაზე არის წარმოდგენა ბედნიერების სამყაროზე, თავისუფლებისა და თანასწორობის სამეფოზე. მართალი გითხრათ, ჩვენც ცუდ ხასიათზე დაგვაყენა ამ მწარე სინამდვილის აღიარებამ ჩვენს შორეულ მეგობრებთან, პატიოსან ინდოელ გლეხებთან, რომელთაც მეთაურობდა იქაური გლეხთა კავშირის ხელმძღვანელი ბაჰალ სინგჰი.

ყველაფერი დაწვრილებით გამოგვკითხეს კოლმეურნეობის შესახებ, მიწის განაწილების შესახებ, გლეხთა კავშირების შესახებ, იმის შესახებ, თუ რა კულტურა უფრო მეტ მოსავალს იძლევა ჩვენს ქვეყანაში, როგორ ეხმარება სახელმწიფო გლეხს და სხვა. ჩვენ გვინდა თქვენ ძლიერნი იყოთო, — ამბობდნენ ისინი. — თქვენი სიძლიერე ჩვენც მოგვიტანს მშვიდობასაო. ჩვენ მათ მოვუყვეთ ჩვენი რესპუბლიკების ხალხთა ცხოვრების შესახებ. მათ გაუკვირდათ, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს რესპუბლიკებში სხვადასხვა ენებზე ლაპარაკობენ, ჩვენს რესპუბლიკებს თავისი მთავრობები ჰყავთ, თავის გეგმები, თავისი საწარმოები აქვთ.

გურბაჰშ სინგჰისა და ნავტეჯის სოფელ პრიტნაგარიდან ამრიცარში დაბრუნებისას ადგილობრივმა მასპინძლებმა აუცილებლად ჩათვალეს გვერანა ქალაქის პარკი ჯალიან ვალა ბაღ, სადაც 1919 წელს ინგლისელ გენერალ დვაიერს დაუხვრეტია მიტინგი, რომლის დროსაც ორიათასი კაცი დაღუპულა. ამ ტრაღედიის მონაწილე ყოფილა ცნობილი ინდოელი მოღვაწე, ინდოეთში ჩვენი ერთ-ერთი მასპინძელთაგანი კიჩლუეს, საბჭოთა კავშირის მეგობარი, რომელიც არაერთხელ ყოფილა ჩვენში და სწვევია ამხანაგ სტალინსაც. ქალაქის ამ პარკს შესასვლელში აწერია „ეს მიწა გაყლენთილია ინდოელი პატრიოტების სისხლითო". შემდეგ პარკი თვითონ ხალხს, ამრიცარის მოქალაქეებს, ხელმოწერით შეგროვებული ფულით უყიდიათ მფლობელისაგან და იგი გლოვის ადგილად გამოუცხადებიათ. აქ დღეს არამც თუ გასართობები, არამედ რაიმე ცრეებაა და კედლებს ახლაც ამჩნევია ნატყვიარები, რაზედაც დღეს პატარა დაფებია მიკრული. ჩვენ ქუდებმოხდილებმა უსიტყვოდ გავიარეთ პარკი; მხოლოდ გამყოლს ხმაღა ისმოდა, რომელიც შავი წარსულის ამ ტრაღიკულ ამბავზე მოგვითხრობდა.

ამრიცარის სადგურზე, შეეფიდთ თუ არა ჩვენს სპეციალურ ვაგონში, უკან რამდენიმე ახალგაზრდა სიკჰი შემოგვყვა. ესენი ადგილობრივი კომუნისტები აღმოჩნდნენ, პარტიის რაიონული კომიტეტის მუშაკები. ათასნაირი შეკითხვა მოგვაყარეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციული მუშაობის შესახებ. გულღიად, ალალად გვეკითხებოდნენ და მოგვჩერებოდნენ თვალებში. ჩვენ ბოლოს და ბოლოს მათთან მარტონი დავრჩით და თითქოს ჩვენს ენაზე დავიწყეთ საუბარი. ამ დროს მატარებელთან ფენჯაბელთა დიდი ჯგუფი მივიდა. ეს იყო ქალაქის თავი მხლებლებითურთ. იგი შემოვიდა ჩვენს ვაგონში, ზრდილობიანად მოგვესალმა და მოგვიბოდიშა, რომ აქამდე ჩვენთან შეხვედრა ვერ მოახერხა ქალაქში არყოფნის გამო. გამოგვკითხა — როგორ მოგვეწონა ქალაქი ამრიცარი. მატარებლის წასვლის დროც დადგა და იგი დაგვემშვიდობა. გამოგვემშვიდობნენ ჩვენი კომუნისტი გამცილებლებიც, ჩუმად, ხელის მაგარი ჩამორთმევით.

ისევ დელი. ჩვენ წავიდეთ დიდი გვირგვინი მაჰათმა განდის საფლავზე — „მაჰათმა განდის, საბჭოთა ქვეყნის მწერლებისაგან". განდის საფლავი ქალაქის განაპირა ვეებერთელა მოედანზეა მოთავსებული. მოედანი შემორაგულია და რამდენიმე შესასვლელი კარები აქვს; შესასვლელიდან ვიდრე საფლავამდე გზა წითელი ქვითაა მოპირკეთებული და ორივე მხარეზე გაზონები და შადრევნები ჩასდევს.

განდი, როგორც მოგეხსენებათ, 1948 წელს მოჰკლა ინგლისელების მოსყიდულმა, რომელიღაც რელიგიური სექტის წევრმა, ფანატიკოსმა გოთსმა. ინდოეთში იმ ხანებში დიდი ხოცვა-ჟლეტა იყო ატეხილი ინდოელ და მუსლიმან მოსახლეთა შორის. (ეს მუსლიმანები ახლა უმეტესად პაკისტანში არიან გადასახლებულნი). განდი გამოდიოდა ინდოეთში მცხოვრები ხალხების მეგობრობის იდეით, იგი ქადაგებდა მათ შორის ძმობასა და შერიგებას. ინდოელები და მუსლიმანები ძმები არიანო, მოუწოდებდა იგი. ინდოელთა ნაწილი, სხვადასხვა რელიგიური სექტების წარმომადგენლები, არ იწონებდნენ განდის ამ მოძღვრებას. ჩვენ მუსლიმანთა ძმები არასდროს არ ვყოფილვართ და არც ვიქნებითო. ინგლისელებმა ხელსაყრელი დრო იშოვნეს და მოაკვლევინეს კიდეც იგი. გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის ცხედარი დასწვეს კოცონზე. იგი მთელ ქალაქზე ჩამოატარეს ჯავაჰარლალ ნერუმ, რადჰაკრიშნანმა, პრასადმა და სხვებმა. განდის მკვლელი გაასამართლეს და ჩამოახრჩეს. დღეს, როგორც აღვნიშნეთ, მაჰათმა განდი თითქმის ღმერთადაა აღიარებული ინდოეთში.

განდის საფლავიდან დაბრუნებულთ სასტუმრო „ჯანპატში“ დაგხვდა, მოსაწვევი ბარათები; ინდოეთ-საბჭოთა ქვეყნის კულტურული კავშირი ძველ დელში ტოუმპოლის კლუბში აწყობდა შეხვედრას ჩვენთან და იმ დღეებში ინდოეთის ჩამოსულ საბჭოთა მეცნიერებთან, რომელთაც რსფსრ განათლების მინისტრი ხელმძღვანელობდა. კლუბში სკამები არ იდგა და დამსწრე საზოგადოება პირდაპირ იატაკზე ისხდა ფეხმორთხმული. ვრცელი პოლიტიკური სიტყვით მოგვესალმა ქალაქ დელის მერი. მან დიდი სიამაყით ილაპარაკა საბჭოთა კავშირისა, ინდოეთისა და ჩინეთის მეგობრულ ურთიერთობაზე. სხვათა შორის, ინდოეთში საზეიმო საღამოების ოფიციალური ნაწილი და საკონცერტო განყოფილება ერთმანეთშია არეული. ასე რომ, მერის სიტყვის შემდეგ, გამოვიდა სიმებიანი ორკესტრი და შეასრულა სიმღერა „ავარა“; მერე ისევ ქალაქის მერი გამოვიდა, ახლა პატარა სიტყვით, რომელშიაც განაცხადა: საბჭოთა კავშირი ჩვენს ქვეყანას კარგად იცნობს, ჩვენს ხელოვნებაში კარგად ერკვევა, მაგრამ, მორიგებით უნდა აღვნიშნო, ჩვენს კინოსურათებში საბჭოთა მაყურებელი კარგსა და ცუდს ვერ არჩევენო. ამის მაგალითად მოიყვანა რაჯ კაპურის ფილმის „ავარას“ წარმატება საბჭოთა კავშირში. ეს ხომ ჩვენი ქვეყანა არ არის, ეს ჰოლივუდიზებული, ცუდად ასახული ინდოეთია და საბჭოეთში ამ სურათისა რა მოსწონთ, ჩვენ ვერა გაგვიგია რაო.

მოგვესალმა ცნობილი ინდოელი ჟურნალისტი და, როგორც ჩანს, დიდებული ორატორი, ჩვენი ქვეყნის მეგობარი, ჩვენში ნამგზავრი ჯან ბაღათურ სანგჰი. ინდოეთსა და საბჭოთა კავშირს ჰიმალაისა და ჰინდი-ყუშის უმაღლესი მწვერვალები ჰყოფენ, მაგრამ ჩვენს დღევანდელ მეგობრულ ურთიერთობაში ეს დიდი მწვერვალები პატარა გორაკებად ჩანანო. ჩვენი ორი თავისუფალი ქვეყანა, განდისა და ტოლსტოის ქვეყანა, სულიერად ახლობლები არიან და ჩვენ კიდევ უნდა გავაღრმავოთ ეს სიახლოვე მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველსაყოფადო. ბაღათრმავოთ ეს სიახლოვე მსოფლიოს მშვიდობის ანსამბლი, რომელმაც შეასრულა „იმპერიალისტები, წადით აზიიდან“.

ერთმა ორატორმა იქვე, იმპროვიზებულად შეთხზული თავისი მოთხრობა წაიკითხა. მოთხრობის მთავარი გმირები იყვნენ სამი ძმა: განგი, იან-ცზი და ვოლგა. როცა ამ სამმა ძმამ ერთურთს ხელი გადახვიეს, — ქვეყნად მათზე ძლიერი აღარავინ იყო.

ინდოეთ-საბჭოთა ქვეყნის კულტურულმა კავშირმა მეორე დღესაც მოაწყო ასეთი მიღება სასტუმრო „ვენგერაში“, სადაც კვლავ ვნახეთ ჩვენი ამრიტა, კვლავ მოვისმინეთ მისი ქალური ნაზი დვრინი, კვლავ დავიჭირეთ მისი ქვეშქვეშა ქვერეტა და მშვიდი ღიმილი. თვითონ კიჩლუც კი ადელვა მისი ლექსის კითხვამ.

საღამოთი ჩვენს სასტუმრო „ჯანპატში“ ქართველებმა მიმიწვიეს. ისინი ფჭილაის დიდი მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაზე მუშაობენ. ამ ქარხანას, როგორც ჩვენს მკითხველს მოეხსენება, საბჭოთა კავშირი აშენებს ინდოეთში. გახარებული შემომხვდნენ რუსთაველ გამოცდილი ინჟინერები, სპეციალისტები: იასონ გუმბერიძე მეუღლითურთ და პლატონ ჭიკაბერიძე. მათ კარგი ხანია ქართველი კაცი არ ენახათ. ჯერ კიდევ, როგორღაც, ერთი ბოთლი ქართული ღვინო შემორჩენოდათ და ჩვენებურად ვადღეგრძელეთ ჩვენი სამშობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო შორეული ინდოეთის დედაქალაქში. მე დიდად მასიამოვნა ამ ქართველ სპეციალისტებთან საუბარმა, გარდა თავიანთი სპეციალობისა, ისინი კარგად იცნობენ კულტურის საკითხებსაც.

უკანასკნელი მზიანი დილა დელში. თეთრი ნისლი დაბლა, სულ დაბლა ქალაქის ქუჩებზე იბლანდება, ისე რომ ხის წვეროები ნისლიდან მაღლა არის ამოსული. ქალაქი დელი თითქოს ბამბითაა სადღაც გასაგზავნად გულდაგულ შეფუთვნილი. ამ ნისლიდან ინდოეთის კარიბჭე ისეა ამოზიდული, როგორც თოვლიანი მთა. მხიარულად გალობენ და გასეირნიან ფრინველები. მძიმედ, მძიმედ მიფრინავენ აღმოსავლეთისაკენ, დიდი მოგოლის აკბარის ფორტისკენ „დუმილის კოშკებზე“ ცხედრებით უკვე დამძღარი გრიფები. ჩვენ ვდგავართ სასტუმრო „ჯანპატის“ გრძელ აივანზე და უკანასკნელად გადავცქერით ინდოეთის დედაქალაქს.

ჩვენს გასაცილებლად მოვიდნენ ინდოეთის მწერლები. გულიამ რუბანმა ჯიბიდან ერთი ბოთლი ვისკი ამოაძრო და სუფთად, სოდის წყალგაურეველად შესვა ჩვენი სადღეგრძელო. უცებ გრძნობები მოერია და თვალები აუცრემლიანდა.

ჩვენი მანქანები დაიძრა აეროდრომისაკენ. დღის ორ საათზე იანვრის 15-ს ჩვენ უკვე პაკისტანის თვითმფრინავში ვისხედით და ეს ძველი მანქანა უკვე ყარაჩისაკენ გასაფრენად ფუსფუსებდა.

ყარაჩში ტოკიოდან წამოსული თვითმფრინავი გველოდებოდა, სკანდინავიის იგივე საავიაციო კომპანიის მშვენიერი მანქანა.

ყარაჩი, აბადანი, შუამდინარეთი და სირია, ხმელთაშუა ზღვა, ათინა, რომი, თოვლიანი ალპები, მონბლანი, თოვლიანი შვეიცარია, დიუსელდორფი, კოპენჰაგენი, სტოკჰოლმში ღამის გათევა, რიგა, მოსკოვი.

მე შემიძლია ხვალ თბილისის აეროდრომზე დავფრინდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაღვა დადიანი

რაც გამახსენდა*)

საავანდან წაველით საბაკოს. აქ ცხოვრობდა ქსნის ერისთავი კონსტანტინე, რომელსაც ცოლად ჰყავდა ჩვენი ნათესავი, ნიკორაძის ქალი ნატალია, საუცხოო სილამაზის ქალი, ახოვანი და წარმოსადეგი. მისი ქმარი სამხედრო კაცი იყო, მაშინ უკვე სამსახურიდან გამოსული და ეწეოდა სოფლის მეურნეობას: როგორც ამბობდნენ. იყო ჰუმანური მემატონე, ლიბერალურად განწყობილი, ძმა ელიზბარ ერისთავისა, რომელიც თავის დროზე იყო აქტიური წევრი 1832 წლის შეთქმულებისა. კოტე ერისთავი, უფრო ასე ეძახდნენ კონსტანტინეს, შემდეგში, მოჩიტულზე. მინახავს ქუთაისშიაც, იყო ჩინებული მოსაუბრე, ბევრის მნახველი და ამ ნანახთა უცნო გადმომცემი, ასე რომ მასთან მიყვარდა დარჩენა და მოსმენა მისი ნელის ჰუმორით შეზავებული ნაამბობისა. მაგრამ. სამწუხაროდ, თავის დროზე არც ერთი ისინი არ ჩამიწერია, მეგონა ისედაც დავიხსომებდი. რაოდენ საკვირველია! ზოგჯერ გგონია ამას რა დამავიწყებსო, გაიხედავ და ხსოვნიდან კი გამქრალა, რაც გინდოდა, რომ გახსომებიყო. კოტე ერისთავის ნაამბობი კი ბევრი უთუოდ საყურადღებო იყო, რადგან შეეხებოდა მისი დროის ბევრ საზოგადოებრივ მოვლენას.

მაგრამ, რაც უფრო გულს ჩაჰაწდა, ეს იყო თვით მისი სასახლე. ეხლა რომ ვიგონებ, ეს იყო მართლა სასახლე, გუმბათიანი ზუშის სახურავი ჰქონდა, მრგვალსვეტიანი, ერდოზე და დიდ დარბაზში. ეს დარბაზი თითქო საპარლამენტო დარბაზად არის განკუთვნილიო, ისე იყო შემორგვალებული და კედელთან სავარძლჩამორიგებული. ზეაზე დიდი ბრლოსი ჰაღი იყო ჩამოკიდებული და მის ბროლისაგე შანდლებში ყვითელი, თითქო საეკლესიო სანთლები იყო ჩარჭობილი.

ასეთივე განმაცვიფრებელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემს ბავშვურ გონებაში ერისთვიანთ დიდმა ეკიპაჟმა. ეს იყო კარგა სრული ლანდო, რომლითაც გამოგვისტუმრეს თავაზიანმა მასპინძლებმა მამა-შვილნი რკინის გზის სადგურამდე. მაშინ ჭიათურის რკინის გზა არ იყო და ეს შეიძლება ქართლის გომი იყო. ერთის სიტყვით ეს არ მახსოვს, მხოლოდ ლანდოთი მგზავრობა კი ეტყობა ძალიან ჭკუაში დამიჯდა, რადგან თავს ისე ეგრძნობდი რბილ ბალიშებზე, რომ როგორც ვიგონებ, დიდხანს არ მინდოდა ეკიპაჟიდან გადმოსვლა.

ასეთივე კარგი მოსაგონარია ჩემთვის სოფ. ლაშე, კელაე ზემოიმერეთში ხარაგაულსა და ძირულას შორის, დგინი ღაბუაშვილის ოჯახში. პირდაპირ კლდეზე გადმოდგმული ძველი, ორსართულიანი ოდა, რომელიც გადაპყურებს მდინარე ჩხერიმელას ლამაზ ხეობას. ეს შენობა ეხლაც მოსჩანს ხარაგაულის სადგურის შემდეგ.

და აგრეთვე ქართლში სოფ. ცხრა-მუხა. ესეც აბაშიძიანთ მამული, მხოლოდ ქართლელი აბაშიძეებია. ეს სოფელი თავისი მდებარეობით ბევრს ვერას დაიქადნის, რადგან დაცემულ ეკალშია, მტკვრის პირად გაშენებული და არც გადასახელი და არც ტყე თავისებური სილამაზისა მას არ მოდგამს, მაგრამ თუ რამ კარგი მახსოვს იქაური, ეს არის თვით ჩვენი მასპინძელი, სალომე აბაშიძისა, დარბაისელი, ძველი ქართველი ქალი მეტად კეთილი და სათნო ხასიათისა. იმავ დროს მახსოვს იქაური გემრიელი, ქართული ლურჯი პური, მახობელა და... სალომეს მსახური, შავულაშა რომანიზა.

ცხრამუხაში მახსოვს კიდევ ერთი რამ. ეს ჩემი შერცხვენის ამბავია."

სალომეს სტუმრები ჰყავდა. სხვათა შორის ერთი მოხუცი თავადი, გრძელ თეთრულვაშებიანი, მუდამ წმინდად გაპარსულ სახე-პირით, ქართულ კაბაში გამოწყობილი. ცოტა ჩკაცრი სახე ჰქონდა და ვერიდებოდი. ის კი ცდილობდა ჩემს ალერსს, მაგრამ მე გავუბრაზდი. ერთხელ ნაშუადღევს დამიძახა. რომ მიეცი, მეკითხა: „შალვაკან! გშიკა პური?"

*) დასაწყისი იხ. „ცისკარი", № 2.

ვერაფერი ვერ გავიგე და ვერც ვერა ვუპასუხე-რა. თან მერიდება ამ კაცის, თან — ფრანგული ნია რომ მეკითხება და პასუხი ვერ გამიცია. ეწოთლდები, ვეკეთლდები, თან „ჰირის ოფლ“ მასხამს.

მან კითხვა გამიმეორა. მე ეს ორი სიტყვა შევრთებულად მესმის: „გშივაპური“, ფრანგული მგონია. მაშინ ფრანგი ღედამძუძე უკვე გვყავდა და ვიფიქრე — ამ ძიას უთუოდ ჰგონია, რომ ფრანგულო კარგად ვიცი და იმიტომ მომმართა ფრანგულად-მეთქი.

მამაც მაშინ იქ არ იყო და ამიტომ დასავლეთელმა ქართველმა ვერ გავიგე აღმოსავლურად ნათქვამი, სრულიად უბრალო შეკითხვა: „პური გშიანო?“

შევრცხვი „ყაზახი“.

9

ეწლა სამეგრელო. აქაც ცხენები. მთვარიან ღამეებში კიდევ უფრო ზღაპრულად გამომყურე მთები, გორები და ტეხურის მომხიბლავი ხეობა.

სოფელში ყოველთვის ახალსენაკის სადგურიდან მივდიოდით. ეს იმიტომ, რომ ჩვენ უფრო ქალაქის მცხოვრებნი ვიყავით: პირველ ხანად და შემდეგშიაც მამას სამსახურის გამო და აგრეთვე ჩვენი აღზრდის გამო. სოფელში, საერთოდ, ერთი-ორი ზამთრის გარდა ხალად ჩავდიოდით, ისიც უფრო ზაფხულობით, ანდა რაიმე საოჯახო დალხინებისა თუ დამწუხრების გამო (ტირილი, ქორწილი).

ახალსენაკში ჩვენი სოფლიდან მუდამ შემოგვეგებებოდნენ ხოლმე ჩვენი ოჯახის ერთგულები, მოკეთეები და აგრეთვე მომსახურეები.

არსებობს ერთი ფოტოგრაფიული სურათი, ანუ უკეთ, არსებობდა. მე აღარა მაქვს. ამ სურათზე ვადადებულია ჩვენი ერთ-ერთი ჩამოსვლა ახალსენაკში, სადაც გადაღებულნი ვართ, როგორც ჩამოსულები, ისე დამხვდურებიც. კარგა დიდი ჯგუფია და ამ ჯგუფში იმყოფებიან მამას და ბებიას დაზრდილები, ნათლულები, მე და ჩემი ღის ძიძები და მორდღები და საერთოდ ჩვენი ოჯახის ერთგული და საყვარელი ხალხი.

ჩამოვფილი ბარეგ. მეთხვეულისათვის ეს სახელები ბევრის არაფრის მოქმელია, ნაგრამ ჩემს გულს კი გაახარებს მათი დასახელება და მათ ვინაობის ახმაურება კი ქაღალდზე ჩემი ხელით ჩემთვის ერთ კოხტა პოემის დაწერას უდრის.

აი როგორ ეიყავით სურათზე წარმოდგენილნი: შუაში მამა და ბებიაჩემი, მარიან აპაშიძის ქალი. იქით-აქეთ მამას მამიდა ნინო ფაღავასი და მისი ქალიშვილი ნატალია. ესენი ყველანი ხხედან. მამა კი ირგვლივ თავს აღგანან: მოედღეში მაქსიმე გოგიხავა თაკის მეუღლით დარიათი და თეედორე როგავა აგრეთვე თავის მეუღლით. მამ შემდეგ მურზაყან ბარკალია თავისი ღამაზი ცოლით ბუდღეათი. ესენი ჩემი ღის მაშოს გამზრდელებია, ძიძა და მორდუ. აქვე არიან აგრეთვე **ანა** ნაკლეს ლამაზი ჩემი ძიძა კატია ადამიას ქალი და გვერდით უდგას ჩემი მორდუ, ნიკოლოზ მზარელუა. ესეც მწყაზარი სახის და მოცინარე თვალების პატრონია. აქვეა თავის დროზე სამეგრელოში კარგა ცნობილი, განსაკუთრებით სენაკის მაშინდელ მაზრაში, სტეფანე ჯინორია. ყირიმის ომის **მონაწილე, სარდალი** პეტრე ხეციას (მხეიძის) ერთგვარი ადიუტანტები და განძეგმელ უტუ მიქავას **ოჯახყვნის** ერთ-ერთი თანამგრძნობი და ხელის შემწყობი. მამ მამაჩემთან აერთებს მისი მწუხგნობრობა და ერთგვარი მიდრეკილება სიბრძნისმეტყველებისადმი. მე ვედალობ ჩემს რომან „ურთუმში“ **მოცსახო ამ საყურადღებო** პიროვნების პორტრეტი.

კიდევ აერიან სურათის ჯგუფში ჩვენი ოჯახის ხუროთმოძღვანი, ხელობით ჩინებული დურგალი, სოფ. რეგანდან ჩვენთან შემოკედლებული, ბებიას ნათლული დიმიტრი გველესიანი და მამას უერთგულესნი ტატუია და ლაზარე რატიანი, ეს შემდეგში მამას მარჯვენა ხელი, მოურაკი და პირადი მდივანი.

ყველი ამათ წინ ვდგავართ პაწიები — მე და მაშო.

ჩენეზე წინ კიდევ ფეხმოკეცილი, ფარდაგზეა მჯდარი კვლავ ბებიას ნათლული სოფიო განგიას ქალი.

მაღელი ეს სურათი გადაღებულია ერთ-ერთ სენაკელ ხეციას (მხეიძის) ეზოში.

ვაკეების უმრავლესობას აცვია ჩოხა-ახალუნი, მხოლოდ იარაღი, გარდა მორდუებისა, არც ერთს არ აკრავს. ეს სტილია მამას ოჯახის. მამა თვითონ არავითარ იარაღს არა ხმარობდა, რადგან მუდამ ევროპიულ ტანისამოსში იყო ვამოწყობილი, არც ინახავდა სახლში და უთუოდ ამის გამო მისი ერთგული ხალხიც არ ატარებდა. მოედღეები ხომ ანაფორებით იყვნენ და არც ჯვრები ჰქონდათ გულ-მკერდზე ჩამოკიდებული. ჯვარი შემდეგში დაკკიდა ჩვენებურ მეედღეებსაც რუსეთის მეფემ.

ქალები კი თითქმის ყველა მეგრულ ყაიდაზე იყვნენ გამოწყობილი: სრული ქეედა კაბა, პატარა გულისპირიანი ჯუბა, წელზე კიდევ ორი ციწრო სარტყელი ჩამოფრიალებული და თავზეც

ᲐᲠᲩᲔᲨᲘᲗᲘᲡ ᲑᲐᲦᲘᲡᲬᲘᲜᲔᲠᲘ, რომლის, ᲬᲘᲗᲔᲚᲘᲪᲘ ᲧᲘᲠᲩᲘᲗ ᲣᲙᲐᲜ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲓᲐᲒᲔᲦᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲥ ᲙᲘᲠᲩᲘᲗᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲐᲜ ᲘᲐᲪᲮᲝᲜᲘᲡ ᲬᲘᲚᲐᲛᲓᲔ ᲩᲐᲛᲝᲜᲗᲕᲘᲚᲘᲗ.

ᲛᲘ ᲞᲘᲠᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲐᲮᲚ, ᲒᲐᲓᲐᲔᲦᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, ᲓᲘᲓᲘᲡ ᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲐ ᲛᲝᲛᲘᲓᲘᲓᲐ.

ᲛᲐᲛᲐᲛᲓ ᲓᲐ ᲩᲘᲚᲘ ᲒᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲔᲦᲘᲡᲬᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲒᲕᲘᲪᲐ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲘᲡᲘ ᲓᲐᲓᲒᲐᲛᲘᲧᲝᲡ.

ᲐᲯᲘ ᲗᲮᲘᲗᲐᲜᲐᲕᲘᲡ ᲛᲐᲫᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲛᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲗᲝᲜᲓᲘᲗ ᲒᲐᲠᲩᲘᲠᲓᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲥᲐᲪ ᲣᲗᲣᲗᲠᲔ ᲣᲜᲓᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲛᲐ ᲒᲐᲜᲘᲗᲠᲘᲜᲐᲕᲓᲐ ᲨᲔᲕᲘᲩᲘᲜᲔᲓᲘᲗ. ᲛᲐᲛᲘᲜ ᲤᲝᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ ᲓᲘᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲜᲓᲔᲑᲓᲐ ᲭᲘᲠᲩᲘᲗᲡ ᲓᲐ ᲝᲜᲘᲪᲘᲗᲠᲘᲗ ᲛᲝᲠᲩᲐᲗᲘᲡ. ᲐᲮᲚ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲔᲦᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲡᲣᲚᲘᲡᲐᲛ ᲓᲐ ᲣᲗᲣᲗᲠᲔ ᲐᲥᲐᲪ ᲐᲚᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ.

ᲛᲘ ᲒᲘ ᲒᲐᲒᲘᲛᲔᲦᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲪᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲕᲣᲬᲧᲔᲑᲓᲐ ᲛᲐᲛᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲗ ᲗᲣᲠᲛᲘᲗ ᲩᲘᲚᲘᲡ-ᲗᲐᲜ. ᲤᲝᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲜᲓᲘᲗ ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲚᲘᲠᲔᲑᲓᲐ ᲛᲐᲛᲐᲛᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲒᲐᲜᲬᲐᲒᲠᲔᲑᲐᲨᲘ. ᲛᲘ ᲒᲘ ᲗᲣᲠᲛᲘᲗ ᲩᲘᲚᲘᲡᲐ ᲫᲘᲫᲐ — ᲨᲔᲛᲝᲒᲠᲩᲘᲚᲘᲐ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ: „ᲩᲙᲝᲛᲘ, ᲩᲙᲝᲛᲘ, ᲩᲙᲐᲚᲔᲑᲘ!“ (ᲩᲐᲛᲔ, ᲩᲐᲛᲔ, ᲨᲔᲛᲝᲒᲕᲔᲚᲘᲗ) ᲓᲐ ᲗᲘᲗᲘ ᲛᲘᲠᲩᲘ ᲛᲔᲦᲘᲡᲬᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲔᲠᲬᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲔᲠᲬᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲬᲧᲝ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲫᲚᲘ ᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲘ.

ᲯᲔᲠ ᲔᲠᲗᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲛᲘᲐᲓᲝᲛ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲘᲡ ᲙᲘ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲓᲐ ᲛᲝᲒᲕᲘᲪᲐᲗ ᲠᲘᲗᲘᲛᲘ ᲒᲖᲘᲗ ᲐᲚᲐᲖᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲫᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲖᲔᲠᲖᲔ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘᲗᲐᲜ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲘ, ᲒᲐᲛᲝᲛᲭᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲚᲔᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲩᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲡᲐᲮᲡᲐᲪᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲔᲡ ᲞᲘᲠᲝᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲪᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲨᲔᲣᲞᲧᲠᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲒᲘᲜᲐᲮᲐᲕᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲔᲡ ᲞᲘᲠᲝᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲚᲐᲖᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲫᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲐᲯᲐᲠᲔᲑᲓᲐᲗ ᲐᲡᲐᲮᲡᲐᲪᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲔᲡ ᲞᲘᲠᲝᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲒᲘᲜᲐᲮᲐᲕᲓᲐ ᲩᲘᲚᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲙᲒᲘᲪᲐᲛᲔᲓᲐ. ᲐᲛᲘᲢᲛᲝᲛᲪ ᲕᲔᲠ ᲒᲔᲣᲪᲘᲜ ᲛᲐᲗ. ᲐᲛ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲐᲚᲐᲖᲘᲡ ᲛᲔᲫᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲐᲯᲐᲠᲔᲑᲓᲐᲗ ᲩᲘᲚᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲙᲒᲘᲪᲐᲛᲔᲓᲐ ᲩᲘᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲫᲚᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ.

10

ᲒᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲛᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲮᲚ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐᲜ ᲐᲠ ᲕᲘᲒᲘᲠᲔᲓᲘ ᲪᲝᲢᲐ ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲐᲓ. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲫᲒᲠᲔᲚᲘ ᲛᲐᲫᲚᲘᲜᲘ ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲣᲚᲘ.

ᲩᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔᲮᲘᲗᲚᲘ ᲛᲔᲦᲘᲡᲬᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲩᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲨᲝᲒᲘᲡᲐᲛᲔ ᲩᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲝᲛᲯᲔᲚᲔ, ᲩᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲯᲔᲚᲔ, ᲩᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲩᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲩᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲨᲕᲔᲚᲔᲑᲐᲨᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲫᲚᲘ ᲐᲠᲪᲐ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲙᲒᲘᲪᲐᲛᲔᲓᲐ.

ᲯᲔᲠ ᲔᲠᲗᲘ, ᲠᲝᲛ ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲛᲘᲐᲓᲝᲛ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲘᲡ ᲙᲘ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲓᲐ ᲛᲝᲒᲕᲘᲪᲐᲗ ᲠᲘᲗᲘᲛᲘ ᲒᲖᲘᲗ ᲐᲚᲐᲖᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲫᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲖᲔᲠᲖᲔ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘᲗᲐᲜ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲘ, ᲒᲐᲛᲝᲛᲭᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲚᲔᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲩᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲡᲐᲮᲡᲐᲪᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲔᲡ ᲞᲘᲠᲝᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲒᲘᲜᲐᲮᲐᲕᲓᲐ ᲩᲘᲚᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲙᲒᲘᲪᲐᲛᲔᲓᲐ. ᲐᲛᲘᲢᲛᲝᲛᲪ ᲕᲔᲠ ᲒᲔᲣᲪᲘᲜ ᲛᲐᲗ. ᲐᲛ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲐᲚᲐᲖᲘᲡ ᲛᲔᲫᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲐᲯᲐᲠᲔᲑᲓᲐᲗ ᲩᲘᲚᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲙᲒᲘᲪᲐᲛᲔᲓᲐ. ᲐᲛᲘᲢᲛᲝᲛᲪ ᲔᲠᲗᲔᲓᲠᲝᲛᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲘᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲫᲚᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ.

ᲐᲮᲚᲐᲛᲓᲔ ᲐᲠ ᲕᲘᲬᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲐᲫᲚᲘᲜᲘ ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲔᲠᲗᲐᲜᲐᲓ ᲘᲨᲠᲔᲑᲓᲐᲛᲔᲓᲐ ᲗᲣᲠᲛᲘᲗ ᲩᲘᲚᲘᲡ ᲨᲝᲯᲐᲮᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘᲜ „ᲡᲣᲚᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲗ-ᲒᲐᲜᲘᲗ“. ᲑᲝᲚᲝᲕᲚᲘ ᲩᲐᲛ ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲗᲝᲯᲔᲚᲘᲩᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲒᲘᲜᲐᲮᲐᲕᲓᲐ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲩᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲩᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲨᲕᲔᲚᲔᲑᲐᲨᲘ. ᲐᲛᲘᲢᲛᲝᲛᲪ ᲔᲠᲘᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐᲗ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲩᲘᲚᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲛᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲛᲐᲩᲘᲜᲔᲑᲓᲐ. ᲐᲛᲘᲢᲛᲝᲛᲪ ᲔᲠᲘᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐᲗ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲓᲐᲪᲘᲝᲡᲬᲘᲚᲘᲡᲔᲛᲓᲔ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲚᲔᲡᲗᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲒᲕᲘᲪᲐᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲛᲣᲓᲐᲛᲓᲔ ᲐᲛᲐᲩᲘᲜᲔᲑᲓᲐ. ᲐᲛᲘᲢᲛᲝᲛᲪ ᲐᲠᲘᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐᲗ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲓᲐᲪᲘᲝᲡᲬᲘᲚᲘᲡᲔᲛᲓᲔ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲚᲔᲡᲗᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲒᲕᲘᲪᲐᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲛᲣᲓᲐᲛᲓᲔ ᲐᲛᲐᲩᲘᲜᲔᲑᲓᲐ. ᲐᲛᲘᲢᲛᲝᲛᲪ ᲔᲠᲘᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐᲗ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲓᲐᲪᲘᲝᲡᲬᲘᲚᲘᲡᲔᲛᲓᲔ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲚᲔᲡᲗᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲒᲕᲘᲪᲐᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲛᲣᲓᲐᲛᲓᲔ ᲐᲛᲐᲩᲘᲜᲔᲑᲓᲐ. ᲐᲛᲘᲢᲛᲝᲛᲪ ᲔᲠᲘᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲓᲐᲪᲘᲝᲡᲬᲘᲚᲘᲡᲔᲛᲓᲔ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲚᲔᲡᲗᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲒᲕᲘᲪᲐᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲛᲣᲓᲐᲛᲓᲔ ᲐᲛᲐᲩᲘᲜᲔᲑᲓᲐ. ᲐᲛᲘᲢᲛᲝᲛᲪ ᲔᲠᲘᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲓᲐᲪᲘᲝᲡᲬᲘᲚᲘᲡᲔᲛᲓᲔ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲚᲔᲡᲗᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲒᲕᲘᲪᲐᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲛᲣᲓᲐᲛᲓᲔ ᲐᲛᲐᲩᲘᲜᲔᲑᲓᲐ. ᲐᲛᲘᲛᲗᲛᲝᲛᲪ ᲔᲠᲘᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲓᲐᲪᲘᲝᲡᲬᲘᲚᲘᲡᲔᲛᲓᲔ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲚᲔᲡᲗᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲒᲕᲘᲪᲐᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲛᲣᲓᲐᲛᲓᲔ ᲐᲛᲐᲩᲘᲜᲔᲑᲓᲐ.

ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲓᲘᲓᲔᲓ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲑᲣᲚᲘᲐ ᲘᲧᲝ ᲛᲐᲫᲚᲘᲜᲘ, ᲠᲝᲓᲘᲡᲐᲓᲐᲪ ᲓᲐᲛᲐᲛ ᲐᲠᲘᲡᲚᲝᲕᲘᲐᲪ ᲒᲐᲘᲪᲐᲚᲔᲗᲘᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲑᲐᲨᲘ ᲗᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒᲘᲡ. ᲐᲡᲘᲗᲝᲛ ᲒᲘᲒᲛᲝᲠᲩᲔᲑᲐᲓ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲐᲖᲠᲘᲩᲔᲑᲐᲓ ᲓᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲘ ᲬᲘᲚᲐᲛᲓᲔ ᲛᲐᲒᲐᲠᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲫᲚᲘᲜᲘ ᲡᲣᲚ ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲐᲛᲓᲔ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაკსიმე ამაყობდა, რომ ის გაბრიელ ეპისკოპოსის ნაკურთხი იყო. ცნობილია — გაბრიელი მღვდლად ისე არავის აკურთხებდა, რომ არ გამოეცადნა და მისი სათანადო მომზადება არ შეეტ მოწმებინა. მღვდლობა კი, მისივე სიტყვით, მიტომ ჰქონდა მაკსიმეს თურმე აუჩეჩული, რომ ეს ხალხის წმინდა სამსახურად მიაჩნდა და ამაზე ხშირად ჰქონიათ საუბარი მაკსიმესა და მამაჩარმს. თან ნაოლოვლნდნენ, რომ მღვდლები იქცევნ „ჩინოვნიკებად“ და მეფის მთავრობის აგენტებად, რომ მოწოდების გამო და ხალხის სამსახურისათვის კი არ მიდიოდნენ მღვდლად, არამედ ანგარებისა და კეთილმოწყობის მიზნით და მღვდლადაც მომზადების შეფარდებით კი აღარ აკურთხებდნენ, არამედ ქრთამის გაღებისა და სხვადასხვა ხასიათის შეძღვნათა გამო.

ასეთი მახსოვს მაკსიმე გოგინაკა საზოგადოდ და მამასთან. მაგრამ მივიდეთ ამ კაცთან კიდევ უფრო ახლოს, როგორი იყო ის კერძო ცხოვრებაში? ამის შესახებ ამ საყურადღებო ადამიანის ცხოვრებიდან რამდენიმე შტრიხი გადმმყავი მისმა სიძემ, ჩვენს უნივერსიტეტში მომუშავე მეცნიერმა სოკრატ ბინიტარაშვილმა:

ზაფხულში, სმინდღის ყანის გახურეზული თოხნის დროს, მღვდელი მაკსიმე დილის გარიჟრაჟზე ჩადის თავის ყანაში და სანამ მზე ამოწვერავს, პერანგ და ქვედა საცვლის ამარა დილის სიგრილეში თოხნის. ისეთი მარდი მუშაა, რომ მზის ამოსვლამდე უკვე ნახევარი ყანა გათოხნილი აქვს.

შემდეგ მოდის თავის ეზოში და იქ, სადაც მსხლისა და ვაშლის ხეებს, ერთიმეორეზე გადაკეზილნი, ერთვევარ თაღის ქვეშ მშვენიერი ჩრდილი შეუქმნია, ეძახის ნოაამსახურე გოგოს, გააშლევინებს ხალიჩას და ნებიერად გადაგორდება. თან ეტყვის ავიდეს ხეზე და ხილი ჩამოუფერტოს. გოგო ადის, მწიფე ხილი ცვივა, მაკსიმეც სიამოვნებით შეექცევა უბიზეო, ცვრით დანამული ხილს.

ხშირად ეუბნებიან შინაურები: „ბატონო, მირთვი რამე, სამზარეულოში დამზადებული ნაჭელოვნები“, მაგრამ მაკსიმე იმ აზრისაა, რომ თვით ბუნების მიერ უშუალოდ მიწოდებული ნაყოფს ვერაფერი ადამიანის მიერ დამზადებული ვერ შეედრება.

შემდეგ, როდესაც ოჯახი დილის საუზმეს მიუჯდება, მაკსიმეც მიდის მათთან, მაგრამ მხოლოდ ბოლლინწოს [1] შეექცევა და სხვა რამეს კი არ ეკარება. ამის შემდეგ იძინებს ცოტა ხნით ჩრდილში. საღილობამდე კი წამოდგება, შედის თავის ოთახში და აქ კი ნუ გაეკარებით: შემოუწყვია წიგნები, სასულიერო თუ ისტორიული ხასიათისა და შიგ ჩაღრმავებულა.

მაკსიმე დიდი ნაკოფხი კაცია. უფრო ქართულში. კითხულობს საერო წიგნებსაც და ძალიან უყვარს ილია ჭავჭავაძე. განსაკუთრებით მისი „გლახის ნაამბობი“, სადაც იდეალური მღვდელია გამოყვანილი. ისე უფრო ძლიერია საეკლესიო ლიტერატურაში. მშვენივრად იცის ქრისტიანობის ისტორია, კათოლიციზმი, გრიგორიანობა, მონოფიზიტობა და სხვა წმეალებლური მოძღვრებანი. ის ამეების კარგი ცოდნით არის აღჭურვილი, მაშინ, როდესაც სამეგრელოში სხვა მღვდლებმა ხარისხით დაწინაურებულებმა (ბლალოჩინებმა, დეკანოზებმა და სხვ.) თვით სემინარიელებმაც კი ასეთების ნაკლებ იციან.

იმ დროს, როდესაც მაკსიმე წიგნებშია ჩაფლული, სადილადაც არ გამოდის სხვებთან. იქვე უნდა მიეტანონ ცოტა რამ, ბევრი არა უნდა რა. საღამოთი კი, მზე გადაიხრება თუ არა, მაკსიმე კვლავ გაკრავს. ის ისევ ყანაშია და ბინდბუნდისას, როდესაც შინ დაბრუნდება, ყანის მეორე ნახევარიც უკვე გათოხნილია.

და ასე სულ. უბრალო, მომშინრუ გლეხივით თაკს დასტრიალებს თავის მეურნეობას ყოველ-ღღიურად და შრომაში ატარებს თავის ფუთისოფელს.

ისე კი სრულიად არ არის სხვა მღვდლებივით ანგარი, სულსავდი და გაუმაძღარი, მარტო მოხეკეაზე რომ იყვნენ გადაგებული. რასაც ბისცემენ მრევლში, მითი ემაყოფილდ.ბა, ღარიბებს ხომ სრულიად არაფერს არ ითვლეს და ეს ოწმევეს საყვედურებს, მაგრამ ის ამას არ ეპუება. დავრდომილსა და ავადმყოფს თვითონ ეწევა ხოლმე. ამიტომაც თავის ღღეში არ გამდიდრებულა, არც ჩასუქებულა სხვებივით. იყო ასკეტივით ერთი გამხდარი კაცი და სარჩოც იმდენი ჰქონდა, ისიც თავის შრომით შეძენილი, რამდენიც მთლად ულუმპაუროდ არ სტოვებდა ოჯახსა და თვითონ მას.

11

როგორაც ვთქვი, სამეგრელოში ახალსენაკს (ღღეინდელი ცხაკაია) ჩავდიოდით რკინის გზით. იქ ჩამოვხტებოდით ვინმე ლაბახეას სასტუმროში. ეს ერთი დაბალი ერთსართულიანი სახლი იყო და.იმ დროს მგონი ერთადერთიც მთელს დაბაში. მაშინ ახალი სენაკი სამაზრო წერტი იყო, მაგ-

[1] ბოლლინწო — ღვინოში ჩაწყებული პური (ავტ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ დაბად ითვლებოდა, ქალაქად ეხლა ითვლება ოაკი, 900-იანებში, თორემ წინათ ნაგებობანი და ეუნებით ბეგრს არას წარმოადგენდა. ქუჩაც მხოლოდ ერთი ბრძელი ქუჩა იყო, დაბის შუაგულ და პატარა შესახვევები უფრო რკინის გზის სადგურისაკენ იყვნენ გაპარულნი. რკინის გზის სადგური მაშინ ქალაქის განაპირად იყო მოთავსებული და მის გადაღმა ქალაქი აღარ იყო, არამედ ცხოვრობდნენ შეძლებული თავადი მხეიტები თავიანთი მოხდენილი კარ-მიდამოთი განმარტოებულად. მშვენიერი და ფართო ეზოები ჭადრისა თუ ცაცხვის ხის ხეივნარით, ხეხილითა შემკული და შიგ ლამაზი, იმერულ ყაიდაზე აგებული ოდებით.

მხეიტები საერთოდ სამეგრელოში ერთი წარჩინებულ გვართაგანი იყო და ერთ დროს ატარებდნენ თავადის ხარისხს. ამ გვარის წევრები სამეგრელოს ორივე მაზრაში — ზუგდიდსა და სენაკის მაზრაში ცხოვრობენენ და ორივეგან შეძლებენ მეპატრონეებად ითვლებოდნენ. ზუგდიდის მაზრაში ყველაზე უფრო განთქმული იყო პეტრე მხეიტე, ყირიმის ომის გმირი, რუსეთის არმიის პოლკოვნიკის ხარისხით. დაჯილდოებული და გარდა ესეთი წარჩინებული მდგომარეობისა, საერთოდ სამეგრელოში ყველასაგან პატივცემული მისი პირადი ღირსებების გამო. ზრდილი, გონიერი, გამჭრიახი და როგორც მეპატრნე თურმე არც თუ ისეთი სასტიკი, როგორც ეს მოსალოდნელი იყო.

ის ჩვენი ბერთემელი დადიანების მახლობელი ნათესავი იყო. ცოლად ჰყავდა მამიჩეშის მანდილიდან ქალი (სინლუტენტ), თავის დროზე მოწმისავე ქალად ცნობილი, თავისი მწუხვნობრობით და ხელსაქნარით ცნობილი მთელს იმ არე-მარეზე და დიდად მიჩნეული პიროვნება. ცნობილი იყო აგრეთვე მისი დიდი მეგობრობა ჩემს ბებიასთან, მარიამ აბაშიძის ქალთან, რომლის სულიერი ავალ-დიდება, შეძლებისამებრ, მე აწერილი მაქვს ჩემი „ნიკო დადიანის სილუეტში". ასე რომ, საერთოდ, პეტრე მხეიტის ოჯახთან ჩვენი ოჯახები უფრო დაახლოებულები იყო, ხშირად დადიოდნენ ერთიმეორეში და კარგი ნათესაური დამოკიდებულებაც ქქონდათ.

სენაკელ მხეიტეებთან კი ნაკლები ურთიერთობა ჰქონდათ ბერთემელ დადიანებს. მართალია, ლიმბერი და ბესარიონ მხეიტების დედაც დადიანის ქალის შვილები იყვნენ, მაგრამ ის ჯოლეველი დადიანების სახლთა შვილი იყო და ნათესაობითაც შორს იყვნენ ჩვენგან. ასე რომ, მე რომ წამოვიჩიტე, შემდეგ ვიცნობი ხსენებული ორ პიროვნებას და სხვა ბიძაშვილებსაც, მაგრამ დაახლოება მაინც შემთხვევას არ მოუტანია. ვიცოდი კი, რომ მათი ოჯახი იყო დიდად სტუმართმოყვარე და ხსენებულ ორ ძმას სიკვდილამდე ეჭირათ მშობელი დროისადგის თვალსაჩინო თანამდებობა. ერთი, ლიმბერი, ჩემსმამას იყო თითქმის უცველელი წინამძღოლი სენაკის თავადაზნაურობისა და მეორე, ბესარიონი, მომრიგებელი შუამავალი. იმავ დროს ორივ რუსის არმიის ნასწავლი ოფიცრები იყვნენ. საზოგადოებაშიაც დიდი გავლენა ჰქონდათ და უმეტეს წილად საზოგადოებრივი საკითხები სენაკის მაზრაში მათი გავლენით გადაიჭრებოდა ხოლმე.

აქვე უნდა ითქვას, რომ მეგრელი მხეიტეებიც, ისე როგორც იმერეთის მხეიტეები, თავის თავს ჩვენს ისტორიაში ცნობილ გმირებსა, სამშობლოსათვის რომ ეწამნენ მურვან-ყურუ დრის, დავით და კონსტანტინეს ჩამომავალად თვლიდნენ და ამითი თავი მოსწონდათ კიდეც.

სენაკში მახსოვს კიდევ გაცნობა ერთი უთუოდ საყურადღებო პიროვნებისა. ეს იყო ნესტორ ახლეულიანი, ერთ დროს სენაკში სასამართლოს ბოქაულად ნამყოფი. მამა ჩაგიდოდა სენაკში თუ არა, ის, მაშინვე გაჩნდებოდა მასთან და იყო მათი დაუსრულებელი ბაასი და ხშირად კამათიც. ნესტორი განათლებული კაცი იყო და ცოტა ნიღლილისტური, მაგრამ მაინც განსაკუთრებული შეხედულება ჰქონდა მაშინდელ ქართულ საქმეებზე: ბანაზზე, რომელიც იმ დროს ჩვენში თითქო „ზემსტვოს" მაგიერობას ეწეოდა, პრესაზე, თეატრზე და სხვ. უფრო ხშირად მცდარი იყო მისი აზრი ამა თუ ის საკაზნე, მაგრამ ბუნებით ნიჭიერი კაცი იყო, მახვილი ენის პატრონი და ცოტა ხუსტი აზროვნების პატრონს ადვილად აიყოლიებდა.

ბავშვობისას მე ყოველთვის მიხაროდა მასთან შეხვედრა, რადგან არსებითად ბუნებით კეთილი კაცი იყო, ახალგაზრდობის მოყვარული და, როდესაც მარტო ვრჩებოდით, დიდად მართობდა და შემიქცევდა თავისი საყურადღებო საუბრით. მხოლოდ შემდეგში, ჩემი დაკვაკაცებისას, შევამჩნიე, რომ მე არავითარ მაცდურ აზრს არ მინერგავდა. ბოლოს ის თბილისში გადმოსახლდა, ჩაერია იქაურ ინტელიგენციაში, მაგრამ მათ საქმიანობას სიტყვიერად მუდამ ერიკაში უდგა და თითქო განზე იყო გამდგარი.

ბოლოს დაეჩაწმენდი, რომ ბუნებით შემკული კაცი, მომზადებულიც. მაშინდელი ღუნჩური დროის გამო, გზას იყო აცდენილი და, უთუოდ თავისი რბილი ხასიათის გამო, თავისი თავი ვერ გამოეკვლენინა საზოგადო ცხოვრებისათვის, როდესაც ამის შესაძლებლობა ჰქონდა. არც თუ პრაქტიკულად იყო ძლიერი. ცოლთან არ იყო გაყრილი, მაგრამ მაინც განსაკუთრებით თბილისში, უოჯახოდ ცხოვრობდა. იყო შეყუჟული სადღაც ძალიან იაფფასიან სასტუმროს №-ში და ღილით რომ გამოვიდოდა გოლოვინის პროსპექტზე (ეხლანდელი რუსთაველი) დაწოლილ, ძილის დრომდე თითქმის შინ არ შედიოდა. არსად არ მსახურობდა, იგი სამდვილი „ბულვარდიე" ბომემერის მიდრეკილების პატრონი. თუმცა მოწონაუ ინტელიგენციაშიც ხშირად ტრიალებდა და აქ ინტელიგენციას ერთგვარად უყვარდა კიდეც. ოღონდ ნანობდნენ, რომ ამ კაცმა, რომელიც ერი დროს თავის

დარაბში კარგ იმედებს იძლეოდა — (აგრონომი იყო უმაღლესი განათლებით. ერთ [illegible] თბილისის ახლოს, კიკეთში საუცხოო სანიმუშო ფერმაც კი გააჩინა და მეცველეობის საქმე [illegible] მუშნდაც კი დააყენა თურმე) — შემდეგში ბოლო ვერ მიაყოლა ამ სამუშაოს და... არრია ბოპემობა, თუ უნებლიედ გასდა ესეთი უსაქმური... თუმცა ბოლოს და ბოლოს რითი ცხოვრობდა ეს ადამიანი, რა სახსარი გააჩნდა საცხოვრებლად? თბილისში ის ეწეოდა ესრეთწოდებულ კომისიონერობას: თუ ვისმე სახლი ჰქონდა გასაყიდი ქალაქში, რაიმე მამული სოფელად, ან ბანაკში დასაგირავებელი, ან რაიმე ძვირფასი ნივთები, ამგვარებში ის მუდამ შუამავალი იყო და ამისათვის, როგორც მაშინ ეძახდნენ ერთგვარ „ტურტაკს", გასამრჯელოს ღებულობდა. ერთ დროს სამეგრელოში სიმინდის აღება-მიცემობის საზოგადოების დაარსებაც მოინდომა, მთავრობას საზოგადოების წესდებაც კი დაამტკიცებინა, მაგრამ საქმემ ოროორად ვერ იბერა.

ერთი სიტყვით, საზოგადოდ ხელმოცარული კაცი იყო.

სენაკში ეი ჩემი ბაბუშვილის სხვა ისე გარკვევით არ მახსოვს, მაუხედავად იმისა, რომ მამა ჩავიდოდა თუ არა სენაკში, „ცა და ქვეყნის" ხალხი ეხია.

სენაკიდან მივდიოდით უმეტეს წილად პირდაპირ ბერთვში, პირველ ხანებში ცხენებით და შემდეგში უკვე ეტლითი. მივდიოდით ბერთვში, მაგრამ მამას ჩემი ბაბუშვილისას საკუთარი სახლი არა ჰქონდა. მის ყმაწვილობისას ცეცხლს გაენადგურებინა მამაპაპეული სახლი და ამიტომ ჩვენც რომელიმე ბიძის სახლს შევეხიზნებოდით ხოლმე მთელის ზაფხულობით. ზამთარს კი ვატარებდით ქალაქებში — ქუთაისში ან თბილისში.

და აი ბერთვში!

მე როგორც ნათქვამი მაქვს, ბევრს ჩემს ნაწერში და როგორც ჩემს ბიოგრაფიებში წერია, ამ სოფელში არა ვარ დაბადებული, არამედ იმერეთში, ქ. ზესტაფოს, მაგრამ ამ სოფლის სიყვარული დღეიდღეს დღემდეც მიღვივის გულში.

ცხადია! ბაბუშვილია და ყრმობის წლები უმეტეს წილად ამ სოფელში მაქვს გატარებული და, რაც ბაბუშვილას „სულს დაარნდვნის" ის საბოლოოდ განუყრელია ადამიანისათვის.

სენაკიდან ბერთვში რომ მივდიოდით, ისეთი ბუნებით შემკული არეშარე უნდა გაგვეკონა, რომ...

განა ეყოფა ჩემს კალამს იმდენი პოეტური ძალა, რომ აეწერო ამ ედემის, საერთოდ ჩვენი ქვეყნის, და კერძოდ, სამეგრელოს და მისი ბერთვშის სიმშვენიერე და მომბიბველლობა?

მე ყოველთვის, ჩემს მხატვრულ ნაწარმოებშია, ძალიან ვეფერხი ხოლმე ბუნების აღწერას. ამაზე ზოგი მისაყვედურებს კიდეც. მაგრამ თუ მაინდაამაინც ზოგჯერ ბუნების აღწერას ვცდილობ, უფრო მაშინ, როდესაც მინდა რომელიმე ჩემი მოქმედი პირის განცდა გადმოვცე, მისი სულიერი გაწყმობილება, თუ ის (ჩემი მოქმედი პირი) ამა თუ იმ ბუნებით როგორ აღიქვამს ხოლმე მის მიერ ხილულ ბუნებას, ან მის მოვლენებს.

ამაზე მე ერთი ახირებული თეორიაც კი მაქვს ჩემებურად შედგენილი (იხ. ცალკე წერილი „ჩემი შენიშვნების" სათაურით მწერალ პარმენ ლორიას შესახებ).

პირადად მე კი ბუნების აღწერას იმიტომ ვერ ვახარხებ, რომ ეტყოფა ცუდი პოეტი ვარ. თუმცა... სინამდვილეში ჩემზე ბუნებას დიდი გავლენა აქვს და მისი სიტურფით თუ ლამაზი უცნაურობით დიდად მოხიბლული ვარ ხოლმე. თან მგონია, რომ ძალიან დიდის სინაზითაც ეგრძნობ მის სიმშვენიერეს თუ გრანდიოზულობას, მხოლოდ ამის გადმოცემის უნარი არ შემწევს.

ეტყოფა გგაგარ იმ მწყემსს, აღფოს ლოდე რომ ამბობს: დიდი მოშეერალი იყო, მხოლოდ არაკის მისი სიმღერა არასოდეს არ გაუგონიაო.

თუმცა ამ დიდი ფრანგი მწერლის დამოწმება რად გვინდა! განა ქართველებს არა გვაქვს ანდაზა: „ამირაკ გულში მღეროდა, ყრმანო, ბანი მითხარითო!"

12

ახალსენაკიდან ბერთემამდე სულ აღმოსავლეთისაკენ უნდა იაროთ ნოქალაქიის (ნაქალაქვი) „გოჭკადილამდე" (ბაჭვილი). აქ ხიდია მდ. ტეხურზე ვადეპული და ამას ეძახიან გაქეცილს.

აქ ერთი გზა კვლავ პირდაპირ მიდის, ხიდგაღმა მარტგილისაკენ (დღეიდღეი გეგეშკორი), ლეპარდამდე, სადაც სამეურნეოო წყლები ამოჩუზჩუხებს, და მეორნ თვით ასხამდე. ასხი ერთ ჩინებულ მთას ჰქვიან ამ არეშარეზე, სადაც ზაფხულობით საძოვარზე ცხენებსა და ხეხეა საკონლეს მიერეკვებიან ადგილობრივი მეგრელები.

მეორე გზა კი გოჭკადილთან ჩრდილოეთისაკენ უხვევენ და მიემართება სულ ბანქმოსულ ხალინინ და კურზუმდე, საერთოდ კვლავ ტყეებით დაბურულ მთიან ადგილებისაკენ. ამ კუთხეს ნაწილობრივ უწოდებენ „ლაკადას" და სალიპარტიანოს. ლაკადა-ეტყოფა მთიულეთს ნიშნავს საერთოდ და სალიპარტიანო კი იმიტომ, რომ ეს არეშარე ერთ დროს ეკუთვნოდა თურმე ლიპარტიანებს, რომლებიც განსაზღვრულ დროში სამეგრელოს მთავრებად ითვლებოდნენ, და რატომღაც აქაურ მოსახლეებს ეხლაც თავი მოსწონთ, რომ ამ კუთხიდან არიან. მართლაც ერჩევიან სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბლოვში მცხოვრეს მეგრელეზიდან ტანადობით, იერით, სიდარბაისლეთ. აქაური მეგრელები ერთ სიწმინდეს ხომ განთქმულია, როგორც საერთოდ სენაკისა და ზუგდიდის ყოფილ ნაზარათა მპყრობელთისა: ჩხოორწყუ. მოიდანაენ, ხაბეშე და სხვ.

და ეი, თქვენ გაუზვიეთ გოკუკადილიან ჩრდილოეთისაკენ, რომ ბერთემს ჩაალწიოთ და შეუდექით დედამოკას ბზატკეცილს. მაგრამ მე ჯერ ის არ მითქვამს, თუ ხსენებულ ხიდამდე რა გზა ვამოიარეთ.

გზა ესეთია:

სენაკიდან გამოხვალთ თუ არა, მაშინვე მოხვდებით მშვენიერ სანანაობის სოფ ᲨᲔᲠᲔᲤᲘ. ჩრდილოეთით ᲒᲝᲠᲒᲘᲛᲝᲮᲕᲓᲔᲗᲔᲜ სოფელი, ᲥᲕᲘᲠᲘ გზატკეცილის მარჯვენა მხარეფართო, დაცემული ᲭᲐᲚᲐ მდ. ტეხურამდე, რომელიც სოფელზე კარგა დიდი მანძილითაა ᲐᲠᲘᲡ დაშორებული. ᲨᲔᲠᲔᲤᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲗᲐ კი ᲥᲕᲐᲨᲘᲮᲘᲠᲐ თავის კარგა მოზრდილი ძველებური ციხის ნანგრევით. ამ ციხეს ᲨᲝᲠᲐᲕᲘᲗ ᲨᲔᲠᲔᲤᲘ ციხესაც ეძახიან, მაგრამ სინამდვილეში ის ᲥᲕᲐᲨᲘᲮᲘᲠᲐ, რადგან „ᲫᲣᲐᲗ ᲝᲮᲘᲠᲔᲣᲗ“ მეგრულად ნიშნავს ᲥᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ, სადაც ერთ ᲩᲠᲘᲡ ᲣᲪᲮᲝᲒᲠᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲗᲘ მთავრებს და ამ დროს, როდესაც ირგვლივ წწნელით მოწნეულ ფაცხაში ცხოვრობდნენ მოსახლეები, მთავრებს ᲥᲕᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲗᲝᲡᲗᲔᲡ ციხეე. ციხე მათი თავდასაცავი სიმაგრეკეი იყო და იმავე დროს დასასწავლ პირთა საპაკიმროეგ.

ᲐᲠᲡᲚᲝᲑᲘᲡᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲛᲪᲔᲑᲐ, რომ ᲔᲠᲗ ᲓᲠᲝᲡᲐ, როდესაც ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲪᲒᲝ ᲓᲐᲠᲘᲜᲚᲐᲪᲣᲑᲔᲑᲘᲡ იყო რამდენიმე კუთხედ — ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, და სხვ. ყველა ᲐᲛᲘᲗᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲛᲘᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲜ ომი ᲰᲭᲘᲜᲔᲓᲐᲜ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ გაჩაღებული და ᲮᲐᲜ ᲔᲠᲗᲘᲡ კუთხე მიემძალებოდა მეორეს, ᲮᲐᲜ მეორეკ. ᲔᲠᲗ ᲐᲡᲔᲗ ომის დროს მეგრელებს დაუძლეციათ იმერლები, მათი მეფე ხელში ტყვედ ᲩᲐᲒᲐᲠᲓᲜᲐᲜ და ᲡᲬᲠᲘᲡᲔ აქ, ᲥᲕᲐᲨᲘᲮᲘᲠᲘᲡ ციხეში ᲩᲣᲛᲬᲧᲕᲔᲓᲘᲐᲜ. ეს მეფე მგონი მომკედარა კიდეც ტყვეობის დროს ᲥᲕᲐᲨᲘᲮᲘᲠᲘᲗ. ამ ომᲘᲡᲐᲜ ეი დიდხანს თავს იᲬᲘᲜᲔᲑᲓᲜᲔᲑ ᲩᲘᲛᲘ ᲨᲐᲒᲗᲜᲘᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲧᲠᲘᲛᲝᲜᲘᲡ დროს ᲮᲐᲜᲓᲐᲨᲗᲔᲚᲘ მეგრელი აზნაურები.

ᲐᲛ ᲐᲛᲔᲜᲘᲡ გადმოცემა ᲐᲠᲡᲚᲝᲑᲗᲐᲜᲐ ᲩᲘᲛ დროს, მხოლოდ თუ ᲐᲛᲐᲖᲔ ᲥᲕᲐᲨᲘᲮᲘᲠᲘᲡ ციხეში რამდენი უსამართლოდ დასჯილი გლეხი ᲐᲛ თავრის ᲣᲠᲘᲗ თავადი ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲘᲡ დაღუბულა: თვალები დაუთხრიათ, ᲐᲛ თავი მოუკვეთიათ, ᲐᲛ ᲮᲣᲜᲯᲘᲡᲖᲔ დაუსვამთ და ᲣᲛᲘᲚ-ᲣᲚᲘᲛᲔᲜ, სრულიად უᲠᲐᲢᲠᲝᲜᲘ ციხეში ᲩᲐᲬᲣᲚᲐᲜᲐᲗ—ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲜᲐᲠᲘ ᲐᲛᲘᲜᲝᲗ ᲓᲐ ᲩᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲢᲠᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲮᲛᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲯᲘᲗᲐᲜ ᲐᲡᲘᲗᲘ ᲛᲝᲛᲙᲚᲔᲑᲘᲗᲘ. ᲐᲠᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲖᲘᲐᲠᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲐᲢᲠᲐᲜᲔᲑᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲣᲩᲘᲓᲘᲚᲘ ᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲜᲐ ᲓᲐ „ᲛᲝᲛᲔᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ“ ᲛᲔᲜᲘᲗ ᲗᲣ ᲛᲔᲠᲘᲜᲝᲡ ᲔᲠᲗᲘᲡᲔᲚᲘ ᲓᲐᲣᲪᲮᲝᲒᲠᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗᲐᲜ, ᲐᲜ „ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲘᲜᲚᲘᲪᲘ“ ᲮᲣᲪᲔᲑᲘᲡ.

ᲥᲕᲐᲨᲘᲮᲘᲠᲘᲡ ᲡᲮᲕᲘᲗᲝᲜᲘ ᲔᲠᲗᲐᲜᲐᲒᲐᲠᲘ ᲐᲮᲚᲐᲛᲓᲔ ᲙᲘᲓᲔᲒᲘ ᲓᲐᲓᲝᲜᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲝᲛᲐᲛᲝᲛᲖᲔᲚᲘᲐ.

ᲮᲚᲝᲛ ᲥᲕᲐᲨᲘᲮᲘᲠᲘᲗ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲡᲘᲓᲒᲔᲑᲘᲗ, თქვენ მოხვდებით ᲞᲐᲢᲠᲐᲜ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲘᲯᲐᲖᲔ ᲐᲚᲐᲯᲐᲖᲔ. ეს არის ძველი სენაკი. ᲬᲘᲜᲐᲛ სენაკი ᲔᲠᲗᲘ ყოფილა ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡᲗᲐᲜ და ეს სენაკი იყო კიდეც ᲡᲐᲑᲐᲭᲝᲡ და ᲡᲐᲒᲐᲪᲐᲠᲗ ადგილი ამ ᲐᲠᲘᲛᲐᲠᲯᲔᲑᲘ. ᲐᲛ მოდიოდნენ იმერლები, მოᲭᲘᲜᲔᲓᲐᲜ ღვინო, ᲩᲘᲛᲔᲓᲜᲔᲑᲘ და ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲧᲘᲓᲕᲔᲚᲘᲡ ᲮᲐᲠᲗᲚᲘ, ᲫᲠᲝᲮᲑᲘᲗ, ᲬᲝᲛᲣᲠᲘ ᲪᲮᲔᲚᲘᲗᲐᲜᲐ. ᲛᲝᲓᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲑᲠᲔᲓᲜᲔᲑᲘᲗ ᲐᲮᲠᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲐᲮᲠᲘᲜᲔᲑᲘᲗ, ᲡᲘᲛᲘᲜᲔᲑᲘ და სხვ. თვითონ მოსახლეობა ᲐᲒᲠᲝᲜᲗᲘᲡ ᲐᲧᲠᲝᲑᲓᲐ ᲨᲘᲜᲐ ᲛᲝᲩᲘᲡᲝᲜᲔᲑᲘ ᲮᲐᲠᲑᲝ ᲨᲐᲚᲘᲗᲐ, ᲞᲐᲭᲘᲜᲯᲘᲗᲐ და სხვ. ᲔᲠᲗᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲐᲮ ᲓᲠᲝᲛᲔ ᲒᲐᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲔᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲨᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲣᲚᲘᲐᲡ ᲐᲠᲐ ᲰᲭᲘᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲠᲬᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲪᲔᲚᲘᲐ ᲐᲠᲪᲔᲚᲘᲐ ᲛᲘᲖᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ სხვა დიდი სახელით მოინათლა თავი და ერთი მისი ღირსეული შვილის, მიხა ცანავის სახელი დაირქვა.

ეხლა ყველანაი ასე ახსენებენ კიდეც. ერთხელ მოსკოვში ყოფნის დროს დამშირდა ტელეგრამა-მის გამოგზავნა და მარტო „ცხაკაია" დავაწერე, მაგრამ ფოსტის თანამშრომელმა გამოსწორა და დამაწერინა — „მიხაცხაკაია" ერთად.

რა იცოდა იმ თანამშრომელმა, რომელსაც მიხა ცხაკაია ერთ სიტყვად აქვს მიჩნეული და ადგილის უბრალო სახელწოდება ჰგონია, რომ მიხა ცხაკაია რეკოლეციონერი და ბოლშეკიკია და მით უფრო ის სულ არ იცის, რომ ეს მიხა ჩემი ყრმობისა და სიჭაბუკის მეგობარია. მაგრამ ამაზე შემდეგ. აქ კი, ფოსტის თანამშრომელთან, მეყო იმდენი თავდაჭერა, რომ ტრაბახი არ დამიწყია.

13

ძველსენაკიდან გახვალთ თუ არა, იწყება სორტა. აქედან იწყება უნაყოფიერესი მიწა-წყალი სულ მარტვილამდე ფართოდ გაშლილი ჭალებისა.

სორტა ისტორიულად იმით არის შესანიშნავი, რომ ერთ დროს აქ დაბანაკდა თავისი ამხანაგებით საქვეყნოდ ცნობილი ავბორი უტუ მიქავა. და აქედან იყო, რომ სამმა მეთაურმა — უტუ მიქავამ, უტუ თოდუამ (იგივე „მართალი თოდეა") და კოჩა თოდუამ ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება და რამდენნიმე თვის განმავლობაში განაგებდნენ მთელ სამეგრელოს ბედ-იღბალს.

აქიდანვე იყო, რომ ქვაშხიორში მყოფ მაშინდელ სამეგრელოს ფედოფად ეკატერინეკისან მოლაპარაკება გამართეს წელგამართულებმა. მართალია, ამის შემდეგ ფედოფალი რუსეთს გაიქცა და შემდეგ რუსის ჯარის შემწეობით მოაქვრეს აჯანყება და თავადაზნაურობაშიც შემდეგში გლეხთა ლაშქარს დაცინით „უტუს ჯარი" უწოდეს, მაგრამ სამეგრელოს ქვედა ფენის მგრძელ სულში ამ მოძრაობამ წარუშლელი კვალი დატოვა და ხალხის შეურიგებელ სულს ტირანების დამხობამდე ქედი არ დაადრეკინა.

სორტას შემდეგ მოსდევს კოტიანეთი და ბოლოს გამოღმა ნაწილი ნოქალაქისა (ნაქალაქევი) „გოშკადილამდე". აგრეთვე მთაგორიანი და კოხტა სოფლები, მეგრული ოდებით დამშვენებული გზატკეცილის პირზე გადაკოინდრებულ ეზოებიანი, ისეთი ფაქიზი და თითქო ისეთი გამოწმენდილი, ენა რომ დაავწო ოქაურ ბიწსა, არავითარი ბუქსეი არ აკვეკვნა.

ეს ხომ განთქმულია, რომ დაბლობ სამეგრელოში, ისე როგორც ქვემო-იმერეთშიც ეზოები მეტად სანუკვარად გამოიყურებიან. ოღის ან თუნდა ჯარგვალის, ან პიტაპიკიერიან აშენებული ეზოხის წინ, ეზოს შუაგულში საჩრდილობლად დარგული აქვთ რომელიმე დიდი — მუხა, ცაცხვი, ლეღვი ან წიფელა, თუნდაც თხმელა, და შინ რომ შებრძანდები და ღამესაც გაათევ, ისეთ წმინდა ქვეშაგებში — აბრეშუმის პირით შეკერილ საბნით თავის გაქათქათებული ზეწრებით და საურგანთ მოგერმეკეთ, რომ, როგორც იტყვიან, „თეალი ზედ დაგრჩებათ". რაც უნდა ღარიბი იყოს მეგრელი, ქვეშაგებს მეტად ფაქიზად ინახავს.

და ან მიეკედინ „გოშკადილთან".

როგორც ზემოთაც ვთქვი, აქ გზატკეცილი ორად იყოფა. მდინარე ტეხურის პირას, სადაც ზიდია გადებული, ჩემსობას, ხიდამდე ერთი ორიოდე სამიკიტნო იყო ჩამოდგმული და ხიდს გაღმა კი მოსჩანდა ქველი, მგონი მეცხრე თუ მეათე საუუნეში აგებული კარგა მოზრდილი, შესამჩნევი გეგმით აგებული ეკლესია. მას ორმოცის ეკლესიის ეძახიან, რადგან ტბორისგან განაშენები, ეკლესიის მიერ წმინდანებად ჩარიცხული ორმოცი გმირია შიგ დამარხული. მაო სადლაეს ეკლესიის ქვედა სართულში ეხლაც უჩვენებენ. ამ მოწამეებს არაბების შემოსევის, მურვან-ყრუს დროს ნაიწერენ.

ამ ეკლესიიდან იწყება დიდი ცახის გალავანი, რომელიც გარს ევლება იქვე ამართულ კარგა მაღალ მთას, რომლის წვეროკანზეც კარგა მოზრდილი ციხეა წამოდგმული. აი, ამ ადგილს ჰქვიან ნაქალაქევი, ანუ მეგრულად ნოქალაქი. და შემდეგ ეს სახელი გადაიდგა მთელ ეხლანდელ სოფელსაც და ამ მთის ძირს მდებარე სამკურნალო წყლებს. ეტყობა აქ ოდესღაც ძველებური ყაღიის ქალაქი იყო გაშენებული, რადგან იმ დროს ქალაქები თვითონ წარმოადგენდნენ ერთგვარ ციხე-სიმაგრეს და ბურჯადაც ერთი დიდი, ჯარის, მეომართა შესანახი და მოსახელეობის თავშესაფარი ნაგებობაც ჰქონდათ, როგორც აქ მთის წვერზე წამოდგმული ციხე-ბურჯი, რომელიც ირეგლევ. ოთხიე მხრივ გადაპყურებს სამეგრელოს აქაურ კარგა დიდ ნაწილს და თვალი მიიწვდება ამერეთისა და გურიის საზღვრებამდე. კარგ ამინდში კი, ფოთისაკენ შაკი ზღვაც ადვილი დასანახია. ამბობენ, ამ მთის პირდაპირ კლღეზე ახლაც ინახება სახლ-მაღალო რკინის ღუზაო. მაგრამ ეს ღუზა, რასაკვირველია, არ ეკუთვნის არც ამ ორმოცის ეკლესიის და არც ცინ ხის აგების დროს. ის უფრო სხვა დროისაა, თუნდაც წარმოვიდგინოთ პირველი საუცხოო სილაკმაზის და ხასიათის ქალის მედალი, რომლის მამას ბერძნული გამოთქმით ოტტესს და ჩვენებურად ოტიას ოქროს მატალოვანი ვერძი ჰქონდა თავის სასაღლის კარზე ჩამოკიდებული და რომლის მოსატაცებლად ბერძენი არგონავტებიც კი ჩამოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში და მაშინდელ კოლხიდას

მარტო ოქრო კი არ წაართვეს, არამედ მათმა ერთმა საუცხოო ᲯᲐᲮᲣᲛᲐ იაზონმა მედეაც კი ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲘᲠᲗᲕᲘᲗ

ფეხმძიმე ქალის გამომსახველია. ქართულში ფეხმძიმეს ორსულ ქალს ეუწოდებთ ხომ? მეგრელში „ფეხმძიმეს“ სიტყვა „ფეხი“ მოშორებული აქვს, მხოლოდ „მძიმეს“ „დედას“ უმატებს მეგრელი და ამით ორსულ ქალს წარმოიდგენს. საკვირველი კია, ქორწილის დროს ფეხის შესახებ მეგრული კიდეც მღერის: „კუჩხი ბედნიერი“ თუ „კუჩხა ბედნიერი“. აქ კი **კუჩხზე, ფეხზე სრულებით** არ არის ლაპარაკი. ორსულს კიდევ თავის სახელი აქვს მეგრულში: „უხენო“, მაგრამ ამის გარკვევა შორს წაგვიყვანს!

დედა-მოკას სახელწოდების გარშემო კი არსებობს ასეთი ლეგენდა:

მურვან-ყოუს დროს, როდესაც მერმეროე გარს ადგა ქუჯის ციხეს და აღებული არა ჰქონდა, ჩრდილოეთის მხრიდან მცხოვრებლებს ეტყობა ციხეში მსვლელობა შეწყვეტილი არა ჰქონდათ და აი ერთ დღეს, სწორედ ჩრდილოეთის მხრიდან, რომელღაც სოფლიდან, შეიძლება ბერთამიდანაც, ციხისაკენ მიდიოდა ერთი ორსული, ფეხმძიმე ქალი. ეს დაინახეს თურმე იმ არემარეზე მოთარეშე არაბმა ჯარისკაცებმა და ქალს დაედევნენ. ქალმაც შეამჩნია მდევრები და ფეხს გაუჩქარა, მაგრამ აკი მდ. ტეხურს მიადგა. ახლა რა ქნას? „წინ წყალი, უკან მეწყვერიო“, რომ იტყვიან, ესეთი მდგომარეობაში ჩავარდა და უკვე სასოწარკვეთილმა ქუჯის ციხეს მიაპყრო თვალი. ციხეში წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაც იყო თურმე და სწორედ ამ წმიდა გიორგის შეთხოვა შველაო.

ლეგენდა ამბობს, რომ სწორედ ამ ქალის ვედრების დროს მოისმა საშინელი ბუქა-ქუხილი, შეირყა დედამიწა და ტეხურის ორივე მხრიდან კლდეებს მოსწყდა უზარმაზარი ქვები. ამ ქვებმა კი ისე დაავიწროვა ტეხურის კალაპოტი, რომ ქალმა თავისუფლად გადადგა ფეხი და მეორე მხარეზე გადავიდა, ხოლო როდესაც მდევრებმაც მიაღწიეს ამ ადგილს, დავიწროებულმა მდინარის კალაპოტმა კლავე იმდენზე გაიწია, რომ ადამიანი იქ ვეღარ გადაამბულებდა.

ამ ამბის შემდეგ დაერქვა ამ ადგილს დედა-მოკა და შემდეგ მთელ კლდოვან გზატკეცილსაც.

მამაჩემს უნდოდა ამ ლეგენდის შინაარსზე დაეწერა პოემა. დაიწყო კიდეც, მაგრამ, როგორც სხვა ბევრი საგულისხმო ნამუშევარი, ესეც დაუწერელი დარჩა.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ გვეტაძე

დადებითი გმირის ცნების დაზუსტებისათვის

დადებითი გმირი ყოველთვის იყო, არის და იქნება ლიტერატურის, და, მაშასადამე, ლიტერატურული კრიტიკის, ყურადღების ცენტრში. მას განსაკუთრებული ადგილი ეთმობა საბჭოთა ლიტერატურაში, რომელიც მოწოდებულია მხატვრულად ასახოს ნათელი მიზნით შთაგონებული საბჭოთა ხალხის შინაარსიანი ცხოვრება. ამდენად, არ არის გასაკვირი ის ყურადღება, რასაც საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკა იჩენს დადებითი გმირის მიმართ.

დადებითი გმირის პრობლემის დიდი **მნიშვნელობა** ლიტერატურისათვის განისაზღვრება ამ უკანასკნელის სპეციალური **საგნითა და საზოგადოებრივი** ფუნქციებით. ის გარემოება, რომ ლიტერატურის საგანი ადამიანია თავისი დამოკიდებულებებით გარესამყაროსთან და საზოგადოებასთან, მოქმედების, ინტერესების გრძნობების ერთობლიობით, და რომ მშვენიერება, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ხელოვნება, ლიტერატურაში დაკავშირებულია დადებითი იდეალის გამოსახვასთან, განსაზღვრავს ლიტერატურისათვის დადებითი გმირის სახეების სასიცოცხლო მნიშვნელობას.

ლიტერატურის ყურადღების ცენტრში, მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ყოველთვის იდგა და დგას ადამიანის ცხოვრება მთელი მისი სირთულითა და მრავალფეროვნებით.

მართალია, ლიტერატურაში ცხოვრების ყოველი მხარე აისახება, ისიც მართალია, რომ ლიტერატურა პრაქტიკულია ყოველივე ახლისა და მზარდისა, თვით მშენებლობისა თუ წარმოების პროცესების ახალი მეთოდებისაც კი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ადამიანი მაინც რჩება მისთვის იმ „ფოკუსად", რომელშიაც ერთიანდება და ტყდება ყოველი ასასახავი მოვლენა, და, რამდენადაც სუსტდება მწერლის ყურადღება ამ „ფოკუსის" მიმართ, იმდენად კარგავს ფასს მისი ნაწარმოები თუ შემოქმედება მთლიანად.

სამართლიანად აღნიშნავს ერენბურგი, რომ მეტალურგიული წარმოების პროცესების ან თანამედროვე მშენებლობის მეთოდების გასაგებად, მკითხველი ამ დარგის სპეციალისტებს უფრო მიმართავს, ვიდრე მწერალს, მაგრამ არის დარგი, რომელშიც მწერალი ვალდებულია უკეთ ერკვეოდეს, ვიდრე მისი თანამედროვენი — ესაა ადამიანის შინაგანი სამყარო [1].

ეჭვს გარეშეა, ადამიანის სულიერი სამყაროს გაგება და ახსნა შეუძლებელია იმ უცილობელი ფაქტის გაუთვალისწინებლად, რომ ადამიანი საზოგადოების წევრია და მთელი მისი განცდები, სიხარული, მწუხარება, წარმატება თუ წარუმატებლობა, მისი ბედი თუ უბედობა, ძირითადად ხასიათი და ფსიქიკა პირდაპირ კავშირშია და შეპირობებულია მისი საზოგადოებრივი მდგომარეობით, მისი შრომითი, საზოგადოებრივი თუ ოჯახური ცხოვრებით. ამიტომ არის, რომ გმირის ხასიათის გახსნის მიზნით მწერალი მას აყენებს სხვადასხვა მდგომარეობაში, სადაც ვლინდება მისი დამოკიდებულება შრომასთან, საზოგადოებასთან, მოკალაქეობრივ მოვალეობასთან, ახლობელ ადამიანებთან, ზაერეთვე წარმოსახება გმირის სულიერი სამყარო, მისი აზრთა მსვლელობა თუ სულიერი განცდები.

ლიტერატურის საგნად ადამიანის ცხოვრების აღიარება სრულებითაც არ აღარიბებს მას, არ გულისხმობს მისი ინტერესების შემოფარგლას ვიწრო ჩარჩოებით, პირიქით — ცხოვრება მთელი თავისი სისრულით იჩატება მასში, რადგან ყველაფერი ბუნებასა და საზოგადოებაში დაკავშირებულია ადამიანთან, შედის მისი ინტერესების სფეროში, გაფლენს ახდენს მასზე და თვით განიცდის მის გავლენას. ლიტერატურის „ადამიანის გულის ისტორიად" აღიარებამ არ შეუშალა ხელი ბალზაკს ისე ფართოდ და ღრმად ეასახა თანამედროვე ცხოვრება, რომ, როგორც ენგელ-

[1] ჟურნალი „ზნამია", № 1, 1953 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა აღნიშნავდა, მისი შემოქმედებიდან მან ეკონომიკის თვალსაზრისითაც კი მეტი გაიგო, ვიდრე მწერლის თანამედროვე ეკონომისტების შრომებიდან. დიდ შეცდომას დაეუშვებთ, თუ ენგელსის ამ გამონათქვამს ყალბად განვაზოგადებთ და დავასკვნით, რომ მხატვრული ნაწარმოები თავისი მეცნიერული ღირებულებით არ უნდა ჩამოუვარდებოდეს ამა თუ იმ დარგის სპეციალისტთა შრომებს. ეს სიტყვები მხოლოდ იმაზე მიუთითებენ, რომ დადმანის ხასიათის გახსნა იწვევს მწერლისდროინდელი ცხოვრების ღრმასა და მრავალმხრივ ასახვას და რომ ბალზაკმა თავისი ეპოქის წყალობით ბრწყინვალედ შეძლო ეს.

ამიტომ, როდესაც ამბობენ, რომ ლიტერატურა ასახავს ცხოვრებას მთელი მისი სირთულითა და მრავალფეროვნებით, და ხაზს უსვამენ მის შემეცნებითს ფუნქციას — ეს სწორი და გასაგებია. მაგრამ, ცხადია, ეს უეცლილები ეუშვებიტალება არ გამორიცხავს იმას, რომ ლიტერატურატალურის თავისი სპეციფიური საგანი აქვს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე კიდევ შეეხებიმთ ხოლმე დებულებას, რომლის თანახმად ლიტერატურას და მეცნიერებას აქვს ერთი საგანი — რეალური სინამდვილე, და ისინი მხოლოდ ასახვის ფორმით განსხვავდებიან.

ზოგადი და ფართო განსაზღვრა, რომ ლიტერატურის საგანი ობიექტური რეალობა, კამათს არ გამოიწვევდა (მით უმეტეს, რომ მან დიდი სამსახური გაუწია ლიტერატურას რეალიზმის დამკვიდრებაში), ზოგიერთი მას რომ უნივერსალურ განსაზღვრად არ მიიჩნევდეს და არ გამოდიოდეს სპეციალური საგნის დაზუსტების წინააღმდეგ. ამ შეხედვებში კი ეს აზრი იქცევა მცდარ თვრიელ საფუძვლად, რომელსაც შეიძლება დაეყრნოს ისეთი მახნაკი მოგვესვიკ კი, როგორიცაა, მაგალითად, ბერკეტაზიული „საწარმოო ლიტერატურა". ამიტომ არის აუცილებელი ლიტერატურის საგნის დაზუსტება, ხოლო ასეთ საგნად უფიაოდ წარმოგვიდგება ადამიანი, ოღონდ არა მისი რომელიმე ცალკეული მხრით, რომლითაც დაინტერესებენთა ცალკეული მეცნიერება (მაგალითად, ფსიქოლოგია, ფიზიოლოგია და სხვა), არამედ ადამიანი მის მთლიანობაში, მოქმედების, გრძნობების, განცდების, აზროვნების ერთობლიობაში. ადამიანის ლიტერატურის საგნად აღიარება ნათელს ჰფენს აგრეთვე დადებითი გმირის მნიშვნელობასაც; მაგრამ ეს უკანასკნელი მთელი სისრულით წარმოგვიდგება ლიტერატურის საზოგადოებრივი ფუნქციებისა და სხვა სპეციალური ნიშნების გათვალისწინების შემდეგ.

ლიტერატურას მეცნიერებისაგან განასხვავებს არა მარტო ასახვის ფორმა, არამარტო მისი სპეციფიური საგანი, საკუთარი ობიექტი ასახვისა, არამედ მისი მისწრაფებაც მშვენიერისაკენ. იგი გულგრილი არ არის ასასახავი სინამდვილისადმი და თავის ყურადღებას მიმართავს მშვენიერის დამკვიდრებისათვის ბრძოლისაკენ. პროგრესულ ხელოვნებასა და ლიტერატურაში მშვენიერი მეტადრდაა დაკავშირებული მოწინავე საზოგადოებრივ იდეალთან. ამით არის სწორად განსაზღვრული ლიტერატურის ღიმზრდელობითი ფუნქცია, განპირობებულია მისი უდიდესი ზემოქმედების ძალა. თქმა არ უნდა, ისევე, როგორც იცვლებოდა და ვითარდებოდა საზოგადოებრივი იდეალი სხვადასხვა ეპოქაში, იცვლებოდა და ვითარდებოდა აგრეთვე ესთეტიკური იდეალიც. ასევე უდავოა, რომ მშვენიერის გაგებაში მწერლის, მხატვრებსა თუ ფილოსოფოსებს ორ პანაკად ყოფდა მათი კლასობრივი და პარტიული შეგნება. ესთეტიკური იდეალი ყოველი ეპოქის პროგრესული ლიტერატურისა უშუალოდაა დაკავშირებული თავისი ეპოქის პროგრესულ საზოგადოებრივ იდეალთან. მიუხედავად მშვენიერის, როგორც ძირითადი ესთეტიკური კატეგორიის მთელი პრობლემატურობისა, მიუხედავად ამ სფეროში არსებული აზრთა სხვადასხვაობისა, უდავოა, რომ მშვენიერის გარეშე არ არსებობს ხელოვნება და ლიტერატურა, და რომ იგი გამოხატულებას პოულობს დადებით იდეალში. ლიტერატურის შეუნელებელი სწრაფვა დადებითი იდეალის დამკვიდრებისაკენ თავის მხრივ განაპირობებს მისთვის დადებითი გმირის პრობლემის დიდმნიშვნელოვნებას.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა უფრო ზუსტად გაიჩეკვეს დადებითი გმირის როლი ესთეტიკური იდეალის დამკვიდრების საქმეში. აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ დადებითი გმირი არ არის ერთადერთი გამოხატველი ესთეტიკური იდეალისა. მშვენიერი ხელოვნებასა და ლიტერატურაში, ერთის მხრივ, და მშვენიერი ცხოვრებაში, მეორე მხრივ, შორს არის ოგივეობისაგან. მშვენიერისაკენ სწრაფვა არ აიძულებს ლიტერატურას ყურადღება გაამახვილოს მხოლოდ მშვენიერზე ცხოვრებაში. ლიტერატურაში როგორც მახინჯი და უზნეო, ისე ლამაზი და ამაღლებული აღიქვება როგორც მშვენიერი, რადგან ესთეტიკური გრძნობისათვის „ზარდამეცმი ბოროტებაც ისეთივე მშვენიერებაა, როგორც გულწარმტაცი კეთილი, იმიტომ, რომ ხელოვნება თვით ბოროტს აბორტებს კეთილისათვის და კეთილი ხომ კეთილია" [1]. ამდენად, ლიტერატურა და ხელოვნება არ იფარგლება დადებითის ასახვით, დადებითი სახეების შექმნით. მაგ მხატვრულ ტილოებზე გადაჰქვთ ცხოვრების მახინჯი, ზიზღის აღმძვრელი სურათებიც, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მწერლისა თუ ხელოვანისათვის მთავარია იმ დადებითი იდეალის ჩვენება და განმტკიცება, რომლის პოზიციიდანაც გვიხატავს იგი უარსაყოფელ სურათებს. დადებითი გმირის სა-

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზ. ათ ტომად, ტ. მე-3; გვ. 119, 1953 წ.

ხეებთან ერთად ლიტერატურა ხატავს პროგრესული კაცობრობისთვის სრულიად უცნო თვისებების მატარებელ გმირებსაც, მაგრამ „განა ყველაფერი, ბიელი და უსინდისო ადამიანის სულის ყოველ კუნჭულამდე, არ გვიხატავს უკვე სპეტაკი ადამიანის სახეს?“ [1].

მშვენიერი ლიტერატურასა და ხელოვნებაში ისახება არა მარტო დადებითი, ანდა საერთოდ მხატვრული სახეების მეშვეობით, არამედ მათი სპეციფიკური შინაარსით, რომელიც, გარდა ობიექტური სინამდვილის სურათებისა, მოიცავს მწერლის დამოკიდებულებას ასახული მოვლენებისა და ფაქტებისადმი, — ერთი სიტყვით, ესთეტიკურ იდეალს ემსახურება მხატვრული ნაწარმოები მთლიანად, და არა მარტო მისი ცალკეული გმირები. მაგრამ ყოველივე ეს არ გვარამთქვეს უფლებას ვაღიაროთ ის უცილობელი ფაქტი, რომ ლიტერატურულ ნაწარმოებში იდეალის ყველაზე უფრო პოზიციური მატარებელია დადებითი გმირი და ლიტერატურა თავისი ისტორიული განვითარების ყველა ეტაპზე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მას.

დადებითი გმირის სახის შექმნა მნიშვნელოვან პრობლემად რჩებოდა ლიტერატურის განვითარების ყოველ ეტაპზე. დღეისათვის უკვე უცდგდებულია ვულგარიზატორული შეცდომა, რომელიც დადებითი გმირის პრობლემას მხოლოდ საბჭოთა ლიტერატურას უკავშირებდა და მით გარდეკალ ზეგარს დებდა ადრინდელსა და საბჭოთა ლიტერატურას შორის; განსაკუთრებით უგულებელყოფდა იგი კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურის დამსახურებას დადებითი გმირის სახის შექმნის საქმეში. ლიტერატურული გმირის დადებითობის გაგებისას აუცილებლად უნდა გამოვიდეთ ისტორიული და დიალექტიკური თვალსაზრისიდან. ასეთი მიდგომა ლიტერატურული მეკვლიერობისადმი, საერთოდ, და ლიტერატურული გმირისადმი, კერძოდ, იძლევა გასაღებს როგორც ლიტერატურის აღმზრდელობითი უფუნქციის გასარკვევად მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ასევე ლიტერატურული გმირის დადებითობის გასარკვევად საზოგადოების განვითარების ყოველი კონკრეტული პერიოდისთვის. ამისმა დავიწყებამ მიიყვანა ბურგინი იმ მცდარ აზრებამდე, რომლებიც „პრავდის“ მიერ შეფასებული იქნა, როგორც „ანტიპარტიულ შეხედულებათა რეციდივები“ [2].

ბურგინის სიასასუხოდ დაწერილ სტატიაში [3] პროფ. ვ. ტიმოფეევი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ დადებითი გმირის პრობლემა „ვასდებულ, [illegible] ლოგნების განვითარების ყველ პერიოდში [illegible] გამნაკლისად მიიჩნევდა მხოლოდ თანამედროვე რეალიეულ ხელოვნებასა და ლიტერატურას; თითქოს მათთვის დამახასიათებელი სწორად დადებით გმირის უყოლობა იყოს. ეს უკანასკნელი აზრი დაზუსტებას მოითხოვს. მასში არ არის გათვალისწინებული ლიტერატურის კლასობრივი არსი. თქმა არ უნდა, პროგრესული კაცობრობის თვალსაზრისით თანამედროვე რეალიეულ ბურჟუაზიულ ლიტერატურას დადებითი გმირები არა ჰყავს, რადგან იგი ხატავს ისეთ ადამიანთა სახეებს, რომლებიც უპირისპირდებიან საზოგადოებას, ცოცხლობენ მხოლოდ ვიწრო-პირადული ინტერესებით, თავიანთი ეგოისტური ზრახვების ასრულებას მსხვერპლად სწირავენ ყოველივე წმიდასა და ჰუმანიურს, მზად არიან მატერიალური სიკეთის მოსაპოვებლად უსაშინელესი ბორტაქტოქედებანი ჩაიდინონ. თანამედროვე რეალიეული ლიტერატურა, რომელიც ბურჟუაზიის სოციალურ დაკვეთას ასრულებს, ცდილობს ჩამოაყალიბოს ხალხის გულისცემა სოციალური და ნაციონალური განთავისუფლებისათვის, კაცობრობის პროგრესისათვის ბრძოლას. ამატომაც მის დადებით გმირებად სულმდაბალი ეგოისტები გვეგულებიან.

რეალიეული ლიტერატურა, თანამედროვე კაპიტალიზმის მტაცებლური ხასიათი რომ გამჟღავნოს, ცდილობს მიბაძვისა და აღტაცების საგნად აქციოს იმ გმირების მოქმედება, რომელნიც ბნელი გზებით იხვევენ სიმდიდრეს. ასეთი ტიპის გმირია, მაგალითად, რაფაელ ლორდი სამეულ ზერმანის პიესიდან „მეტეორი“. ეს ლიტერატურა ამპრალებს ბურჟუაზიული სახელმწიფოების კოლონიურ პოლიტიკას და იმ ზენიდან ბრძოლას, რომელსაც კაპიტალისტური სახელმწიფოები სოციალიზმის გზაზე დამდგარ ქვეყნებში ეწევიან დამხობილი წყობილების აღსადგენად. იგი რომანტიული შარავანდედით მოსავს იმ გმირებს, რომლებიც ეროვნულ მოძრაობას ახშობენ, ანდა ძარგმანმთავრულ საქმიანობას მისდევენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. ამ სახის ლიტერატურული წარმოშობის მაგალითია რეალიეული მწერლის ჰ. ფრენკის რომანი „სახელმწიფოთა რიგი საქმე“; მასში დადებით გმირებად გამოყვანილი არიან უნგრეთში მყოფი ამერიკელი მისიის დიპლომატები, რომლებიც ჯაბშეშურ მუშაობას ეწევიან.

პროგრესული კაცობრობის თვალში არ შეიძლება ზიზღის არ იწვევდეს რეალიეული ამერიკელი ლიტერატურა და განსაკუთრებით მისი „დადებითი“ გმირები. მაგრამ თავის მხრივ იგივე გმირები ექსპლოატატორთა კლასის თვალსაზ-

[1] ნ. გოგოლი, თხზ. ტ. მე-4, გვ. 231, 1949 წ.
[2] იხ. „პრავდა“, 28/XII, 1951 წ.
[3] „საბჭოთა ლიტერატურის დადებითი გმირის შესახებ“, ჟურნ. „ნოვი მირ“, № 1, 1952 წ.

რისთვ ნამდვილად დადებითნი არიან. ამრიგად არ შეიძლება იმის მტკიცება, თითქოს ბურჟუაზიული ლიტერატურა თავისი კლასობრივი პოზიციებიდან არ ქმნიდეს დადებითს სახეებს.

ზემოთთქმული ხელს არ გვიშლის ვაღიაროთ, რომ, არსებითად, კაცობრიობის წინსვლითი მოძრაობის თვალსაზრისით, ბურჟუაზიული ლიტერატურა წინააღმდეგობაშია როგორც ესთეტიკურ იდეასთან, საერთოდ, ასევე დადებითი გმირის სახესთან, კერძოდ. ჩვენ ვერ მივიჩნევთ დადებითად მის გმირებს, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო ეპოქის ნამდვილ გმირებთან.

აქ უკვე მთელი სერიოზულობით ისმის დადებითი გმირის განსაზღვრის საკითხი.

ყველაზე უფრო გვერდეცლებული განსაზღვრით, გმირის დადებითობა უკავშირდება მის აქტიურ პოზიციას ეპოქის პროგრესული ტენდენციის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში. ასეთმა განსაზღვრამ საერთო აღიარება ჰპოვა და, ვინც კი ამ საკითხს შეეხება, სხვადასხვა ვარიანტით იმეორებს მას. ამ განსაზღვრას არ შეიძლება არ დაეთანხმოთ. დადებითი გმირის ეს განსაზღვრა მოიცავს მსოფლიო ლიტერატურის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანსა და მონუმენტურ მხატვრულ სახეებს.

საბჭოთა ლიტერატურის უსაყვარულესი და ყველაზე მტკიცე პოპულარული გმირები, მაგალითად, კორჩაგინი, ლეგინსონი, დავიდოვი, ხაზარაძე, რომლებიც რევოლუციის ეპოქის მებრძოლ გმირებს ანდა სოციალიზმის მშენებლობის აქტიურ ორგანიზატორებს წარმოადგენენ, ან სამამული ომის ეპოქის ლიტერატურის გმირები — ფორტაპეკი, ბერესნევი, ახალგაზრდა გვარდიელები, ბათუ ქარდუა ცხადყოფენ დადებითი გმირის ასეთი განსაზღვრის სისწორეს.

მაგრამ, ამასთან ერთად დადებითი გმირის ასეთი განსაზღვრა აშკარად არაა ამომწურავი და მას გვერდობა სჭირდება. თუ დადებითად მხოლოდ იმ გმირებს ჩავთვლით, რომლებიც ეპოქის წამყვან ტენდენციებს გამოხატავენ და პროგრესისათვის აქტიური მებრძოლები არიან, მაშინ ბევი რიგი ლიტერატურული გმირები, რომლებიც აშკარად არ არიან უარყოფითები, ვერც დადებითის კატეგორიაში მოხვდებიან. ასე, მაგალითად, რუსი ქალის მომხიბვლელი სახე — ტატიანა ლარინა, ანდა ტატეგენეისა და ნეკრასოვის ლეგენდა სახეები, ლევ ტოლსტოის ბევრი გმირი, ამგვარი განსაზღვრით არ ჩაითვლებიან დადებითად, რადგან ძნელია მათი მიჩნევა ეპოქის მოწინავე ტენდენციის განმასახიერებლებად, მით უმეტეს შეეძლებელია მათი დაკავშირება პროგრესისათვის ბრძოლასთან. ასეთი განსაზღვრის შეზღუდულობას აღასტურებს.

ლევინსონის, კლიჩკოვის, დავიდოვის, ხაზარაძის გვერდით საბჭოთა ლიტერატურამ შექმნა მთელი რიგი მხატვრულად არანაკლებ [illegible] სახეები, რომელთა მიკუთვნება დადებითი [illegible] კატეგორიისადმი შედარებით რთული საქმეა, თუ ზემოთ ჩამოთვლილ სახეებში ლიტერატურა ხატავდა რევოლუციისა და ახალი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის არა უბრალო, რიგითს მონაწილეებს, არამედ მის აქტიურ შემოქმედებს, რომლებიც მზად არიან დაუფიქრებლად შესწირონ თავი სახალხო საქმეს, იგივე ლიტერატურამ შექმნა ის ადამიანია მხატვრული სახეები, რომელთათვისაც ახალი ცხოვრების მიღება დაკავშირებული იყო უდიდეს შინაგან განცდებთან, ზოგჯერ კი შეგნებისა და ფსიქიკის საფუძვლიან ცვლასთან. ლეგენდის სოციალისტურ გზაზე გადასული ლიტერატურაში გვეხებაცა არა მარტო დავიდოვისა და ხაზარაძის, კოლექტივიზაციის განხორციელებისათვის ამ აქტიურ მებრძოლთა, ცხოვრების მაგალითზე. ამავე რთულ პროცესს სხვა კუთხიდან გვიჩვენებენ კონდრატ მიიდანიკოვი და ასლან მარგველაქე, პატიოსანი შშრომელი ლეგენდი, რომელნიც ძნელად ელეფიან კერძო საკუთრებას. მიუხედავად ამისა, რომ მიიდანიკოვსა და მარგველაქეს სრულიად განსხვავებული როლი ენიჭებათ კოლექტივიზაციის საქმეში, ვიდრე დავიდოვსა და ხაზარაძეს, ეჭვი არ არის, ისინიც სოციალისტური სოფლის დადებითი ადამიანები არიან.

ამგვარად, კლასიკური თუ თანამედროვე ლიტერატურა ითვლის ისეთ გმირებს, რომლებიც განასახიერებენ ხალხისათვის დამახასიათებელ საუკეთესო თვისებებს, როგორიცაა პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, უნარი ფაქიზი და წმინდა სიყვარულისა და სხვ. მაგრამ დადებითი გმირის დაკავშირება მხოლოდ პროგრესული ტენდენციისთვის ბრძოლასთან მათ განზე რიყავს. როდესაც დადებითი გმირის სახეზე იწყება საუბარი, მათ ზშირად იგიჟეგენენ. ეს უხერხულობა საკმარისად შესამჩნევია და ზოგიერთი კრიტიკოსი მის თავიდან აცილებას დადებითი გმირების რამდენიმე კატეგორიად დაყოფის გზით სცდილობს. ერთნი ჰყოფენ მათ უბრალოდ დადებითებად, სრულ დადებითებად, მიახლოებით იდეალურებად და იდეალურებად; მეორენი — დადებით პერსონაჟებად და დადებით გმირებად. ზოგი იქამდეც კი მივიდა, რომ „მაღალი რანგის დადებითი გმირის“ ცნების შემოტანაც განიზრახა. ყოველი მსგავსი ცდა დადებითი გმირის ცნების ხელოვნური დიფერენცირებისა ფუჭვი და უსარგებლო. სრულიად [illegible]ემიტია ლიტერატურული გმირების საყოველთაოდ აღიარებული დაყოფის — დადებითად და უარყოფითებად — გართულების ცდა. იგი აშკარად თუ შენიღბულად, ნებით თუ უნებლიეთ მიმართულია ლიტერატურული გმირების „მაღალ“ და „დაბალ“ რანგებად დაყოფისაკენ, რაც შეუთავსებელია მხატვრულ შემოქმედებასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ყველაფერი ერთიანელ კიდეე მოწმობს იმას, რომ საჭიროა უფრო ფართო განსაზღვრა დადებითი გმირის ცნებისა. რა თქმა უნდა, ეს ძალზე ძნელი საქმეა, რადგან არ შეიძლება არსებობდეს ერთი საზომი, რაგინდ მოქნილი იყოს იგი, რომელიც თანაბარი სიზუსტით გამოდგეს ისეთი რთული და უსაზღვრო მრავალფეროვანი მოვლენის მხატვრული განსახიერებისათვის, როგორიც დადებითი ადამიანის სულიერი სამყაროა. მაგრამ ის, რომ ლიტერატურული მოვლენები ძნელად ექვემდებარებიან ზუსტ ფორმულირებებს, სრულებითაც არ ნიშნავს ხელის აღებას მათს ძიებაზე. ყოველივე ზემოთთქმულის შემდეგ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჩვენ დადებითი გმირის ცნებაში ვგულისხმობთ პროგრესული ლიტერატურის იმ მხატვრულ სახეებს, რომლებიც წარმოადგენენ ტიპიურ, განზოგადებულ განსახიერებას როგორც ეპოქის მოწინავე ტენდენციების, ასევე ხალხის თეორის საუკეთესო თვისებების, ჩვევებისა და ხასიათის მატარებელი ადამიანებისა. ასეთი ფართო განსაზღვრაც კი არ გამოდგება იმ კრიტიკოსის ხელში, რომელიც მას პროგრესულს სარეცხად იქცევს გმირის დადებითობის გარკვევისას. ყოველი ლიტერატურული ფორმელა, რომელიც კრიტიკოსის ხელში მკედარ დოგმად იქცევა და არა ამოსაალ საფუძვლად მხატვრული ანალიზისათვის, ადვილ შესაძლებელია იქცეს მცდარ დასკვნების წარმოშობის პირობად. როდესაც კრიტიკოსი თავის მოვალეობად მიიჩნევს არა საფუძვლიან მხატვრულ ანალიზს, არამედ დადებითი გმირის ზზა იარლიყის მიკერბას ლიტერატურული სახისადმი, მაშინ ხშირად გმირი არ თავსდება არე დადებითისა და არც უარყოფითის სქემაში, და რჩება რაღაც „შუალედურ“ მდგომარეობაში; მაშინ, როდესაც მხატვრული ანალიზი, სახის განხილვა მის განვითარებაში ყოველთვის იძლევა მისი დადებითობის თუ უარყოფითობის გარკვევის საშუალებას.

ა. ტოლსტოის ტრილოგიის გმირები საშინელი გრძნობით შეხდნენ რევოლუციას. ისინი მოქმედების დასაწყისში წარმოგვიდგენიან თავგზააბნეულ ინტელიგენტებად, რომლებსაც ძველი საზოგადოების მიერ ჩანერგილი ეგოიზმტარი გრძნობა რევოლუციის ეპოქაშიც მხლოდ პირად ბედზე აფიქრებს და ადარდებს. ეპოქის გრანდიოზული მოვლენების გავლენის შედეგად ისინი ჩკოთხვლის თვალწინ ჰპოვებენ ცხოვრების მიზნის და ვიწრო-ოჯახური ინტერესების უკეთესებით გამოდინან ხალხის სამსახურის ფართო გზაზე. და ვეუოთ მერე, რომ იმ დროს, როცა ტელეგინი, როშჩინი, კატია და დაშა სულიერი გარდაქმნის მტკივნეული პროცესში ბრიან, ლევინსნის და კლიჩკოს უკვე მასების წინაშ-ძღოლებად ვხედავთ! განა ეს საფუძველზე ნაფიქრ ლეგს ბული ავეიაროთ პირველ გმირებზე და ნაკლებ განვიცადოთ მათი ბედი? ტოლსტოის ტრილოგიის გმირების დადებითობისა თუ უარყოფითობის განსასაზღვრავად მთავარია არა მათი შეცდომები (ზოგჯერ დანაშაულებრივ მოქმედებაშიც რომ გადაზრდებიან ხოლმე), რომლებსაც ისინი უშვებენ ცხოვრების ეშვშარტი გზის ძიებაში, არამედ შედეგი კი ძიებისა, რომელსაც ისინი რევოლუციის მეგრძოლთა რიგებში მიაკვეს.

ამ მხრივ ძალზე საინტერესოა ვვადი ბიგვის სახეე. იგი სამართლიანადაა მიჩნეული ქართული საბჭოთა პროზის ერთ-ერთ საუკეთესო სახედ. რადგან კოლეკტიური შრომის ფერხულში ვვადის ჩაბმა და მისი შეგნებისა და ფსიქიკის გარდაქმნა მწერალს მიერ დიდი მხატვრული დამაჯერებლობით არის ნაჩვენები. მაგრამ რიცა ქართული პროზის დადებით გმირზე იწყება საუბარი, ვვადის არავინ ისსენიებს. კონკრეტულად ქიაჩეოს ამ რომანის ანალიზის დროსაც დადებით გმირებად ისსენიებენ ვვრას, ნაიას, მარიამს, ვვადიზე კი სდუმნ.

მართალია ვვრას, ნაიასა და მარიამის სახეთა გამოძერწვა ქიაჩეოს დიდი გამორკვევაა, მაგრამ მწერლის ყურადღების ცენტრში ძირითადად ვვადი ბიგვაა და მის შეფასებას გაცილებით უფრო საინტერესო და უპირატესი მნიშვნელობა აქვს. რასაკვირველია, ვვადის დადებითობის გადაწყვეტა შედარებით უფრო რთული საქმეა, ვიდრე, ვთქვათ, ვვრასი ან ნაიასი, ამიტომაც არ ჩნევენ ხოლმე ვვერდის აფლას. რუსმა კრიტიკამა ა. ვრეშკინმა უფრო გარკვეულად განაცხადა, რომ „ვვადი არ არის დადებითი გმირი, მაგრამ არც მისი უარყოფითებში ჩარიცხვა გაარკვევდა საკითხს“ [1].

მწერალი დიდი სიყვარულითა და განსაკეთებრებელი ოემორით ხატავს ნაკარქეტის შორეული შთამომავლის — ვვადის ბედურად დამადების სურათებს. მაშინაც კი, როდესაც ულნარა ვვადის დასაძრახ მხარეებს ამხელს, მწერალი ბავშვურს, რომ ვვადი სულის სიღრმეში ზენიდა ბუნების მატარებელია. განსაკუთრებულ სიტყვიდით ჩანს ეს მის დამოკიდებულებაში მცირეწლოვანთა შეიღებისადმი. მწერალი თამამად გვიჩვენის თავისი გმირის სულიერ სამყაროს მისი ხასიათისა და ფსიქიკის გარდაქმნის გადამწყვეტ მომენტში და გვიჩვენებს მშრომელი ხალხის პოზიციებზე მისი გადასვლის პროცესს. ვვადის მიერ ძველი ცხოვრებისაგან მიღებული მაგნე ჩვევების უკუგდება, მისი ჩაბმა ახალ სოციალისტურ შრომის ცხოვრებაში, განვითარების პერსპექტივა, რომლითაც მტკიცედ ეკვეშვება საბჭოთა საზოგადოების ზრდას, სრულ უფლებას გვაძლევს მივიჩნიოთ იგი დადებით ტიპად. რა-

[1] ეურნალი „ზვეზდა“, № 5, 1941 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც ერთ-ერთი მაღალმხატვრული სახე მთელ საბჭოთა ლიტერატურაში, გვადი თამამად უნდა იხსენიებოდეს ქართული საბჭოთა პროზის მიერ შექმნილი დადებითი გმირების საუკეთესო სახეთა შორის. ასე რომ ლიტერატურული გმირის დადებითობისა თუ უარყოფითობის განსასაზღვრავად აუცილებელია მისი განვითარების პერსპექტივა იქნას გათვალისწინებული.

საბჭოთა ლიტერატურაში არის ისეთი სახეები, რომელთა დადებითობისა და უარყოფითობის გარკვეცა კიდევ უფრო მეტ სირთულეს წარმოადგენს და მათი განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებაც ვერ გადაჭრის სწორად საკითხს. ასეთია მ ი ნ ი ტ ო ვ ი ა ენა გმირი, რომლის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს გრიგორი მელეხოვი "ოლოხოვის „წყნარი დონიდან“. მელეხოვის რთული ბუნება და საშინლად აწეწილი ცხოვრება, სავსე საბედისწერო შეცდომებით, ანთუულებდა მისი დადებითობის თუ უარყოფითობის საკითხის გადაწყვეტას. აღლიანინ კრიტიკოსები კმაყოფილდებოდნენ იმ ეპიმპრიტების აღიარებით, რომ მელეხოვი ძნელად ეკვემდებარება ლიტერატურულ სქემებს. ჩვენთვის სანტერესო საკითხს ისინი მხოლოდ სვამდნენ, მაგრამ გადაჭრილი პასუხისაგან თავს იკავებდნენ. თუ გიმსალეულთა გმირის ბიოგრაფიის მიხედვით, გვიხსენებთ მხოლოდ "შიველ ფაქტებს (როგორ იბრძოდა იგი ახალი ცხოვრების წინააღმდეგ, რა პოზიცია ეკავა რევოლუციური მასის ბრძოლაში კონტრრევოლუციასთან, როგორი იყო მისი დანგრეული ცხოვრების ბოლო), თითქოს სრული საფუძველი გვექნება ამისა, რომ მელეხოვი უარყოფილ გმირად ვცნოთ. სწორედ ასე იქცევა ოლოხოვის შემოქმედების მკვლევართა დიდი ნაწილი. მაგრამ მწერალს გმირის ბიოგრაფია სპირდება მისი შინაგანი სამყაროს გასახსნელად. მას იმდენად არ აინტერესებს მოქმედება გმირისა, რამდენადაც ამ მოქმედების ახსნა გმირის ფსიქიკით. იგი დაინტერესებულია ამ გარეშე და შინაგანი ძალებით, რომლებიც უტიფგებენ გმირს გარკვეული მოქმედებისაკენ.

ᲨᲔᲚᲝᲮᲝᲕᲐ რომანის გამოქვეყნების პირველ ხანებში სწორედ იმით დაიმსახურა გულფიცები „პატრიოტი“ კრიტიკოსების რისხვა, რომ, უკანასკნელთაგან განსხვავებით, მან მელეხოვში დაინახა არა მარტო შეცდომებით სავსე ცხოვრების გზა, არამედ შმგენერი სულის ადამიანიც, საუკეთესო თვისებებით აღუურელი კაზაკი, შეიყვარო თავისი გმირი და გულწრფელი სევდით მოგვითხრო მისი ტრაგიკული ბედის შესახებ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩვენ მელეხოვში დავინახავთ არა მარტო სოციალური და ფოდებრივი მდგომარეობის მაგნე გავლენისაგან ერთგვარად შეზზუდულ ადამიანს, არამედ დიდი სიმპართლისა და გულწრფელობის, კაცთმოყვარე ადამიანსაც, ნათელი გზადება, თუ რატომ უყვარს მკითხველს იგი ასე ძალიან, რატომ ღელავს მისი ბედით ღრმად დაინტერესებული, რატომ მიაქვს ასე ახლო გულთან მისი დდღეცვა.

„ბეთჰოვენის ცხოვრების“ წინასიტყვაობაში რომენ როლანი წერდა: „მე გმირებს ვეუწოდებ იმათ კი არა, ვინც იმარჯვებდა აზრით ან ძალით. მე გმირებს ვეუწოდებ მხოლოდ მათ, ვინც ძლიერი იყო გულით“. ეს ᲗᲔᲛᲘᲠᲘᲜᲘ აღიარებაა. თუ ისტორიკოსს აინტერესებს მხოლოდ აზრი და მოქმედება პიროვნებისა, მწერალს იზიდავს ადამიანის გული, მისი სულიერი სამყარო. დიდი და ძლიერი გულის პატრონი მელეხოვიც, რომლის მთელი ტრაგიზმი სწორედ ის არის, რომ მან ვერ შესძლო (და არა განზრახ არ მოინდომა) გარკვეულიყო ძველ სამყაროს ნგრევისა და ახლის დამადების მშფოთვარე ეპოქაში.

მელეხოვი უკეთეს, სრულიად სპარისპირო, ხვედრს იმსახურებს, მისი ინტერესები არ ემიჯნება ხალხის ინტერესებს, როგორც ეს შიველი ფაქტებიდან შეიძლება მოგვეჩვენოს. მელეხოვის სულიერი სილამაზე, რაც სიმართლის შეუნელებელ ძიებაში ვლინდება, და მისი ღრმა ჰუმანიზმი უფლებას არ გვაძლევს ეჭვი შეეიტანოთ მის დადებითობაში.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან აშკარაა, თუ რამდენად რთული დადებითი გმირის პრობლემა და რამდენად ძნელია მისი ზუსტი ფორმულირება. ამდენად ჩვენ მიერ მოცემული განსაზღვრაც შეიძლება მივიღოთ მხოლოდ როგორც ამოსავალი საფუძველი, რომელიც დამატებით მოითხოვს თვითეული სახის გულმოდგინე მხატვრულ ანალიზს მისი დადებითობის თუ უარყოფითობის საბოლოოდ გარკვევის მიზნით.

გარდა ზოგადი განსაზღვრისა, ყოველი ეპოქა აყენებს თავის კონკრეტულ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღებაც ნათელს ხეკის როგორც ადამიანის, ისე მისივე მხატვრული სახის დადებითობასაც. ბუნებრივია, საბჭოთა ლიტერატურის გმირის დადებითობა ძირითადად განსაზღვრება იმით, თუ რამდენად პოულობს მასში მხატვრულ განსახიერებას კომეონისმის შმგენელი საბჭოთა ადამიანი. საბჭოთა ლიტერატურა განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობს დადებითი გმირის სახის შექმნას. ეს ამოცანა ყველაზე უფრო სასატიო ჩვენი ლიტერატურისათვის. პრინციპულად სწორი კრიტიკა იმ ვულგარიზატორული თეორიისა, რომელიც საბჭოთა ლიტერატურას დადებითი გმირის პრობლემის სიახლით უპირისპირებდა კლასიკურ ლიტერატურას, არ გამორიცხავს იმ უეცილებელ ფაქტს, რომ საბჭოთა ლიტერატურა მართლაც გამოიჩრეკვა დადებითი სახეების შექმნისაკენ განსაკუთრებით ძლიერი მისწრაფებით. ეს სავსებით ბუნებრივია. ის გარეშეშია, რომ მშვენერი ხელოვნებისა და ლიტერატურაში არ არის პირდაპირ დამოკიდებული მშვენერზე ცხოვრებაში, და რომ ესთეტიკურ იდეალს ემსჯურება ცხოვრების მახინჯი მხარეების ასახვაც.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

არ უარყოფს ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის არსებული საზოგადოებრივი ფორმაციის მნიშვნელობას. საბჭოთა ეპოქა, რომელმაც ახალი ერა დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც ხასიათდება მასობრივი გმირობით, ხალხის მაღალი შეგნებულობით, ნათელი სოციალისტური იდეალით, ეჭვი არ არის, უმდიდრეს მასალას და ამასთანავე ძლიერ სტიმულს აძლევს ლიტერატურას დადებითი გმირის სახეების შესაქმნელად. ამიტომაც ითვლის საბჭოთა ლიტერატურა მრავალ დადებით გმირს, რომლებშიც მეტნაკლები მხატვრული ძალით, თუმცა ბევრი ბარი გულმოდგინეობით, არის გახსნილი საბჭოთა ადამიანების ხასიათი. კომუნისტური პარტია, საბჭოთა ლიტერატურის უერთგულესი მეგობარი და დამრიგებელი, ყოველთვის აძლევდა მას ორიენტაციას დადებითი სახეების შექმნისაკენ. ჭარუულმა საბჭოთა ლიტერატურამ, რომელიც ყოველთვის იყო ერთ-ერთი საუკეთესო ნაწილი ერთიანი საბჭოთა ლიტერატურისა, საკმაოდ მდიდარი გამოცდილება შეიძინა დადებითი გმირის სახეების შექმნის საქმეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ხუსაშვილი

ვაჟკაცური შემართების პოეზია

კავკასიონის ლანდშაფტი მრავალსახეული წლების მანძილზე ყოფილა ქართველ პოეტთა შთაგონების საგანი. საქართველოში დარიალით შემოსული რუს და უცხოელ პოეტებსაც უანაური ცეცხლით აღანთებდა შეუბღალავი მშვენიერება ზვიადი მთებისა, აქაფებული ჩანჩქერებისა და შუალშეთეთრებული მწვერვალებისა, სადაც უძველეს ადამიანთა ფანტაზიით შექმნილი პრომეთეოსი აწყვეტას ლამობდა. კავკასიონის მღელვარე ბუნება ამღერებდა საუკუნეების მანძილზე მწყემსის სალამურს და გუთნისდედის ხელით გაჯორკილ ფანდურს, მთების უბეში დარწყული სიოცხლე ფიცს სიმღერებად იღერებოდა ხალხური პოეზიის საუნჯეში. აქ ბუნება უნებურად ამღერებდა ადამიანს და თავისი მრავალფეროვანი მშვენიერებით ახლებურ სახეს იღებდა პოეზიის სარკეში.

ჩვენმა დრომ თავისი კვალი დაიჩნია მთის და მთიელთა ყოფა-ცხოვრებას, ახალი ცხოვრების ერიამელი შეიჭრა მარადთოვლიან მთების საძეფეში, განახლების ზმებმა გამოაღვიძა მთიელთა პატრიარქალური მყუდროება, სვანურ კოშკებში და ხევსურულ ქოხმახებში შეიჭრა და ახალი დროის სინათლე შეიტანა. ლაღუმების ზმამ დაარღვია ეუღრანი ხეობების დუმილი. ყინულოვანმა მწვერვალებმა პირველად იხილეს თოკებით ერთმანეთს გადაბმული, ჯიუტი და ძარღვმაგარი ადამიანები — საუკუნის უანაური სტუმრები. მონადირე სვანს თუ მეცხვარე ფშაველს პირველად მისწვდა თვითმფრინავის მოტორის გუგუნი. მთაში დაიწყო ახალი ცხოვრების აკვანი და, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც იგი თავის მომღერლებს ელოდა.

ერთ-ერთი ამ მომღერალთაგანია რევაზ მარგიანი.

ამ პოეტის ფრთიანი სიტყვაც ახალი ცხოვრების გარიჟრაგზე დაიბადა სვანეთის მთებში. იქ გატარებული ბავშვობის შთაბეჭდილებებმა და შემდეგ მთების ვიწროებიდან ცხოვრების შარაგზაზე გამოსული ჭაბუკის განცდებმა განსაზღვრეს რევაზ მარგიანის ინტონაცია. ბუნებრივია ისიც, რომ პოეტის ლირიკულ სურათებში მთის მრავალფეროვანი პეიზაჟები გამოიხატა, მღელვარე ტემპერამენტით, ეელური შშვენიერებითა და სიამაყით აღიბეჭდა ისინი. „მთანი მაღალნი“ სიმპოლურ გამოხატულებად იქცნენ რ. მარგიანის ლირიკული გმირისა, რომლის ბუნებას, ხასიათს იმოავითვე დაეტყო სიმტკიცე, ვაჟკაცური ალტკინება და დაუდგენარი სწრაფვა, ადამიანური სიკეთის, ქვეყნის კეთილდღეობის მოსახვეჭად შემართება. პირველსავე ლექსებში გამოიხატა ქალამნიანი გლეხი ბიეის, ახალი გზებისა და ახალი მხარეებისკენ ლტოლვით გულანთებული ადამიანის განცდები. „მთანი მაღალნი“, რომელშიც სვანეთზე დაწერილი ლექსები ერთ თემატურ რკალშია გაერთიანებული, გელია რევაზ მარგიანის პოეზიისა. აქ იწყება პოეზიაში ცხოვრება კაცისა, რომელსაც თვალწინ უდგას ვეფა-ფშაველს ლანდი:

„მსურს დამილოცოს ვეფამ ქმანი
და გამიმართოს სვან კაცს ჯუნარი“.

აქ ილვიძებენ გვალდას მთასთან განცდილი სიპაუკის მოგონებანი, ბუნების ჯადოქრულ ფერთა პირველი შეგრძნება და ფიცხი სიყვარულისგან ქოქუნაწოვი პირველი სტრიქონები („გახსოვს, მწვანე გვალდას მთაო“); აქ, მშობლიური მეელეხის, მისი ჯაგნარების, ბალახბალახის, ქვიანი შუკების, ძველი ბოგირებისა და ხის ლოგინის გახსენებაში ჩანს თავისი კეთხის მოტრფიალე ადამიანი. „ჩემი მეელეხი ისე მაყლია, როგორც ოდესღაც სვანეთის მარილი“ — წერს პოეტი და მშობლიური სოფლის ეს სიყვარული ზოგადდება სამშობლოს ერთგულების მაღალ გრძნობაშიაღრეული სიპაუკეში შეეზარდა იგი ყინულიან მთებს, ადიშესა და მეელეხის მდგომოებს, სად „გადაშლილან, ვით ეელოფები, მართალ ეელოფის ხელა ყანები“; აქ შეეგრძენი მას ძველი ცხოვრების სიდუხჭირე, ჩამქექეული წარსული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც „ᲪᲘᲠᲘᲗᲐ ᲣᲨᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ“ („სოფელი ადიშში“); აქვე სმენია სვანი ქალის გოდება დაკარგულ მირანგულაზე („მირანგულა“); სამარკასავით დამუჭვდებული ციხე-კოშკებთან გახშირებული ძველი ვარამი, უგზოობისა და უმარილობის სევდა, საკიბეველსა და საარწივეებს გაკიდებული სვანი კაცის ტრაღიკული ყოფის ხმები — ბალადებსა და თქმულებებში გაცოცხლებული. სისხლიანი ფეოდალის დევთიგერის ნასახლართან მსმა თვალწინ დადგომია ბნელი წარსული, სმენია გაყიდულ ცირას შორეული კვნილი და გულმორთული თავდისადმი გაგზავნილი წყეული ბეჩავი ხალხისა („დევთიგერის ნასახლარი“). მას ახალი დროის სიხარული და ყიეფნაც განუცდია, სვანის გაუვარტლულ შერქვეშ ელექტრონათურების შუქს შესწრებია და, ბედნიერებას დაწფაებულს, გულით უნატრია უბრალო გლეხკაცის საწადელი:

„მთის კალთაზე სახლი მედგას,
ხეც ხარობდეს ათიოდე,
ინსეფიად, განუწყვეტლად
ცაში კვამლი ადიოდეს“.

ვეკაკაცური ხმა, რომელიც ისმის რევაზ მარგიანის ლექსებში, საერთოდ დამკვიდრდა ქართულ პოეზიაში, როგორც ყველაზე შესატკივლი ქართველი კაცის ხასიათისათვის.

ყოფილა შემთხვევა, როდესაც ეს ვეკაკაცური კილო სიმღერისა მაღალფარდოვანებად ქცეულა და მრავალი პოეტის ლექსში ყალბი ნოტი ვარეულა; ოდესმე და გინსაკეფრებელ ბუნებასაც თავისი ფერადოვნება დაკარგვია და უბრალო ეგზოტიკად ქცეულა. რევაზ მარგიანის ლექსებში არ იგრძნობა ამღერების ეს სიყალბე და ეგზოტიკურობა სწორედ იმიტომ, რომ მთიელი კაცის ხასიათი, ტემპერამენტი და სვანეთის ბუნება მის ბიოგრაფიაში ორგანულადაა შესული. თავისი კუთხის ცხოვრება პოეტისთვის ქცეულა რაღაც ძალზე მახლობლად და ძვირფასად, ქცეულა მისი კაცობის სინდის-ნამუსად. ამ შინაგან სიმარილეშია რ. მარგიანის ლექსების ცხოველმყოფელი ძალა. მის ლექსებში ბუნება დანახულია, როგორც ადამიანის ზნეობრივი ამაღლებისა და საცოცხლის სიხარულის მომნიეველი რამ, გარდა ამისა, თავისი მოძძოობებით პოეზიაში გაცოცხლებული ბუნება ენათესავება ლირიკული გმირის ხასიათს. კაცისა და ბუნების ეს ნათესაობა თავისებურადაა გამოხატული. უშშისა და შხელდის გულზეიადობა, დაკიდულ ბილიკებზე წამოწეული ჭექა-ქუხლი, უეცარი გამოდარება თუ გაავდრება თავისი განსაცვიფრებელი ხმიანობით სიცოცხლის ძალთა მოზღვავებას გამოხატავენ რ. მარგიანის ლექსებში. ბუნება თავისი უცნაური კონტრასტებით აქ დანახულია, როგორც აკვანი ვეკაკაობისა და სიცოცხლის წრეგადასული სიყვარულისა. და ამ ბუნებას მხოლოდ ისეთი ვეკაკაცები თუ შეეფერება, უშმას რომ შესცქიდებიან ავდარში „ვარსკვლავებისგან დამშვარ ხეებს“ („ᲨᲮᲔᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲣᲨᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲠᲘᲑᲣᲚᲘ“). ამ ბუნების ფონზე ადამიანი ამაღლებული ჩანს, როგორც ბედნიერებისა და სიკეთის შემოქმედი. ლატფარის გადასასვლელთან წამოწეული ავდრის ფერწერულ სურათში გამეფებენებულია რ. მარგიანის ლირიკული გმირის მთელი ბუნება. მეხთა კვეთებაში, როდესაც

„ზედ შუაგულზე დაჰკრა ურჯულომ
და ფიქვმაც ცეცხლის ჩინჩხლი დაჰყარა,
ის მაინც იდგა მკერდგარეჯული,
მეხმა კი — ᲙᲔᲚᲘᲡᲒᲚᲘᲡ ᲩᲘᲜᲩᲮᲚᲘᲡ“, —

ჩანს ადამიანი უშიშარი და გაუტეხელი.

ნამეხარი ფიქვი, რომელიც „კვლავ მზეს და ვარსკვლავს ესაუბრებაᲗ“, აქ სიმბოლოა უტეხელი ვეკაკაცობისა („მე დაჭრილი ვარ შენი მეხისგან“).

სიცოცხლისა და მამეული ამ სიყვარულმა ატარა პოეტი ფრონტის კვამლში სვანური თულითი და ანთებული გულით. მან დაინახა აზოვის ტალღების ტორტმანი და გარინდებული სივაში, იგრძნო საშშობლოს ჭრილობა საკუთარ გულზე და შორიდან მოსული სამკუთხა ბარათის უსაზღვრო სითბო, მშობლიური მთებიდან მოყოლილი სურნელება. შორეულ სივრცეებშიც გაჰკეთ მას მთების სიყვარული და შეუფრეკლობა. ᲔᲐᲓ, ᲠᲣᲗ ᲞᲝᲔᲢ ᲛᲘᲰᲔᲘᲚ ᲚᲣᲪᲘᲜᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲓᲘᲡᲣᲚᲘᲚᲘᲗ ᲞᲝᲔᲢ ᲠᲐᲡᲣᲪᲔ ᲒᲐᲛᲨᲝᲗᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲠᲔᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲔᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲔᲜ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ამ ფრონტულ ლექსებში ლირიკული გმირის ცხოვრება აღბეჭდილია სამშობლოზე ფიქრებით, თავგანწირვით და, ამავე დროს, სიცოცხლის უსაზღვრო სიყვარულით. ფრონტის გზაზე, სადმე არაბატის ისართან ნახული პატარა ია, რომელსაც ჯარისკაცმა მასრა დაუდგა ვაზად („ია"), აქ სიმბოლოა სიცოცხლის გადარჩენისა და ჩვენი ქვეყნის მეომრის უწმინდესი მიზნისა. ომის მრისხანე დღეებში შორეული ტიბეტიდან აფრენილ თოლიას იგი საჭირველს მთებთან სალამს აბარებ („გფფრინდი, ჩემო თეთრო თოლია").

რა თქმა უნდა, ყოველივე ამას პოეტი ერთნაირი ძალით ვერ გამოხატავდა, მაგრამ მის ლექსებს თან ახლდა შინაგანი სამართლის მაღლი, რაც ჩვენრდნილ, ცრუ სტრიქონებზე თვალს აარიდებინებს ხალმე მკითხველს.

რ. მარგიანი არაა ლექსის გარეგნული ფორმის ნოვატორი, მაგრამ ხშირად მოხდენილად იყენებს ხალხური პოეზიის ინტონაციებს და ეს ძალუძს ორიგინალობის ელფერს მის მრავალ ლექსს. ის ზშირად მიმართავს შაირის ფორმას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რაიმე ხალხური სიუჟეტზე აგებს ლირიკულ ლექსს. უფრო მეტიც: იგი ზშირად ქმნის მოხდენილ ალიტერაციებს და სიმღერის კილოთი, რიტმოლუნგით აღწევს კოლორიტულობას:

„შავდალალვ, ის თავშალი გშვენოდა,
მოშრიალე აბრეშუნი გიშვრა.
შენს აულში ხმა მომესმა ზემოდან,
მოიქუფრა, ნისლიც წამოიშველა,
შაი, შაი, შამორარა შაირა"

(„მარახი").

ან: „შორიდან ხმა შემომესმა:
— ნუ მელოდიენო.
დიო, დიო, თაფლისთვალვ,
თეთრო ქალო, დიო" („დიო").

რ. მარგიანის პოეტურ ამღერებას ყოველთვის ცოცხალი შთაბეჭდილება, ყოფა-ცხოვრების კონკრეტული აღქმა ასაზრდოებს და ეს შინაგანი ემოციით ითბობს მის სტრიქონებს. ამ აღალმარცლობით სიმღერაში იგი ჩვენი პოეზიის საუკეთესო ოსტატებს ენათესავება კიდეც:

„ლალი ბუნების ფანჯარას ვაღებ
და ქვეყნის გულში ბავშვივით ვმღერი"...
. . . . . .
„და მეც, ბუნების წიაღში მდგარი,
ვრჩები ცისა და ვენახების შოირს".

(„დილა")

მთის პეიზაჟის გამოხატვაშიც რ. მარგიანი ტრადიციულია, მაგრამ მის მიერ დახატულ სურათებს ახასიათებს ორიგინალური ფერადოვნება. ზუნება პოეტის ზარმოსახვაშიც განსულერებულია და ადამიანური ნიშნების მატარებელი:

„მთანი მაღალნი და დათოვლილნი.
დამდგარან, როგორც მურზაყანები".

. . . . . .

„...მე ვგრძნობ, თუ როგორ უფეთქავთ გული
და ახლოს აღწევს ხმა სიფეთქელის,
თუ როგორ ისმის უცხო გუგუნი
და სამყოფელი მოჩანს ბეთქენილ".

(„მთებში")

მთის ბუნების სიმკაცრესა და სიმძიმეს თითქოს თავისი კვალი დაუჩნევია რ. მარგიანის პოეტური მეტყველებისთვისაც. მისი ლექსი თითქოს ტლანქია და მოუხეშავი, არ ახასიათებს მელოდიის სიმსუბუქე, შედარებებისა და სახეების ჰარმონიულობა. თუ იგი ზოგჯერ ლოდივით მძიმეა, სამაგიეროდ, ზოგჯერ დგარიებული ლოდის ენერგიაც აქვს. მას ზოგჯერ პოეტური სმენაც უმტკუნებს ხალმე, „დავიღლები" და „დავიწყებს". გაუფრთმავს ერთმანეთს, თითქოს ნაკუწებ გრძნობს სიტყვას, როგორც ფერს, როგორც ბუსიკალურ ნოტს. თუ ზოგ ლექსში ეს აშკარად არ გსიამოვნებთ, ზოგს უხდება კიდეც. თავისებური პაუზები, თითქოს საგანგებოდ დატოვებული ცარიელი ადგილები ლექსში მაინც უხდება რ. მარგიანის პოეზიის საერთო ლირიკულ ყღერადობას.

ამასთანავე რ. მარგიანის ლექსებში საგრძნობია ერთგვარი ჩრდილოვანი მხარეც. ეს როდი შეეხება მარტოოდენ ცალკეულ სტრიქონებს ან თუნდაც რამდენიმე სუსტ ლექს. ცნობილია, რომ ორიგინალური ერთთანი ინტონაცია არ გამორიცხავს მრავალნაირ ტონს, მაყოლულ და მინორულ ხმოვანებას. პირიქით, ნამდვილი პოეზია ყოველთვის მრავალმხრივი ტონალობის შემცველია. ეს კი დამოკიდებულია არა მარტო რიტმულ ცვლილებებაზე ლექსში, არამედ თვმებისა და ბგერწყობილებების ნაირობაზე. რ. მარგიანის პოეზიაში არის საშუშრობა ერთგვარი მონოტონურობისა, რასაც უმთავრესად იწვევს ხოლმე მონათესავეგვ ბგერწყობილებების „დაკანონება". მისი ლექსების უმეტესობას რაიმე მოვლენით ან პეიზაჟით აღფრთოვანებეზ უდევს საფუძველი. აქედან მოდის მისი პოეზიის საერთო ოპტიმისტური პათოსიი. მაგრამ სწორედ ეს ქმნის თანაბარ მაკოლოვ ხმიანობას. პოეტი კი უფრო მრავალფეროვანი ორკესტრის დირიჟორს უნდა ჰგავდეს, ვიდრე ერთსა და იმავე საკრავებზე დამკვრელ სოლისტს. კი, მაგრამ რატომ მოხდა ასე? რატომ იგრძნობა რ. მარგიანის პოეზიაში მონათესავე განწყობილებანი? რატომაა, რომ შეეძლება პოეტის ზოგიერთი ლექსი ერთმანეთის მიყოლებით წაიკითხოთ და ერთ ლექსად აღიქვათ იგი? ვფიქრობ, ეს აიხსნება სინამდვილის ნაკუწებ დრამატიული აღქმით. პოეტი თითქოს განგებ მორიდები ცხოვრების წინააღმდეგობებს, თავისი პირადი ტკივილებისგანაც მხოლოდ ცოტა რამ გაუმჟღავნებია მკითხველისათვის.

დრამატიზმი არ უნდა გაეგოთ რაღაც ახირებული ან ადამიანური გრძნობების უკუფენად პოეზიაში. ღმერთმა დაგვიფაროს ყოველგვარი პოზიორული სვედიანობისაგან დღევანდელი პოეტის ლექსებში! მაგრამ არანაკლებ საზიანოა პოეზიაში ლირიკული გმირის ერთგვარი თვითკმაყოფილური განწყობილებანი. ეს საყვედური ნაწილობრივ რ. მარგიანსაც შეეხება.

მარგიანის ლირიკული გმირის ცხოვრება არ არის სწორხაზობრივი ბოლომდე, იაკარდით მოფენილი. მას არაერთგზის შეხვედრია ცხოვრების წინააღმდეგობანი, მაგრამ ეს უმთავრესად ტრადიციულად მოჩანს მის პოეზიაში: ან ბუნების ბრმა სტიქიასთან შეჯახების, ანდა სიყვარულში დროებითი უბედობის სახით.

რ. მარგიანი არ ეკუთვნის იმ პოეტთა რიცხვს, რომელთაც ბოქავთ ეთნოგრაფიული თავისებურებანი ამა თუ იმ კუთხისა. მთის შვილის ხასიათი მას ხელს როდი უშლის აღფრთოვანდეს ორბელში ნახული რთველით, ატენის ბუნების უჩვეული სილამაზით, ხვამლის მთით ან ოდიშური მასპინძლობით („რთველი ორბელში“, „ხვამლის მთაო“, „ოდა-მასპინძელი“). უფრო მეტიც: მისი შთაგონებისთვის მრავალი რამ [illegible] ვება საქართველოს გარეთაც, ყირიმში [illegible] ეს, აზერბაიჯანში თუ სხვაგან, ჩვენი ქვეყნის უსაზღვრო სივრცეებში.

რ. მარგიანის პოეტური სამყარო ჯერ კიდევ ზრდისა და გაფართოების პროცესშია და ნაადრევიც იქნება ყველაფერში სრულყოფა მოგთხოვოთ პოეტს. მთავარი ისაა, რომ პოეტის შთაგონებას არ აკლდება ის ცეცხლი, რომელიც ასე საოცრად ათბობს ჭეშმარიტ პოეზიას. ცხოვრების სიყვარულმა განსაზღვრა პოეტის უკანასკნელი ლექსები მშვიდობაზე, ნაომარი ჯარისკაცის განწყობილება უბრალოდ, ხალხურად გამოხატა მან ამ ციკლის სათაურში — „აქა მშვიდობა“.

ხალხის ცხოვრებასთან სიახლოვე ჩანს რ. მარგიანის ლექსების გარეგნულ ფორმაში, მისი აღერების კილოსა და განწყობილებებში. ესაა არსებითი ამ თავისებური მწერლის შემოქმედებაში. ახლა უკვე დაგეკკაცებული, დიდ ცხოვრებასთან მისული პოეტი უფრო მრავალმხრივ აღიქვამს გარემოს და პოეზიის ახალ სიმაღლეებს მთამსვლელს უჯიათობით ეტანება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯუმბერ ჭუმბურიძე

„სალაყბო ფურცლების“ ავტორის გარშემო

ქართული ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის ისტორიაში საკმაოდ ცნობილია მნიშვნელობა ე. წ. „სალაყბო ფურცლებისა“, რომლებიც ჟურნალ „ცისკარში“ 1857 წლის ნოემბრიდან იბეჭდებოდა მ ო ლ ა ყ ბ ი ს ხელმოწერით. მაგრამ „სალაყბო ფურცლების“ ავტორობის საკითხი თითქმის ყოველთვის საღაო იყო და იგი დღესაც არაა გადაწყვეტილი.

მკვლევართა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ „ცისკრის“ 1857 წლის მეთოთხმეტე, მეთორმეტე და 1858 წლის პირველ ნომრებში მოთავსებული სტატიების ავტორი მიხეილ თუმანიშვილია, ხოლო მომდევნო ხანის „სალაყბო ფურცლებისა“ — ივანე კერესელიძე და ჟურნალის ზოგიერთი სხვა თანამშრომელი. ამ შეხედულებამ თავი იჩინა გასული საუკუნის 60-იან წლებშიც, ხოლო მტკიცედ დამკვიდრდა 80-იან წლებში.

მაგრამ ჯერაც რამდენად საღაო და შეუსწავლელია საკითხი, ამას მოწმობს ალექსანდრე კალანდაძის ახლახან გამოსული წიგნი „მასალები ივანე კერესელიძის ლიტერატურული მოღვაწეობისათვის“ (საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმის გამოცემა, თბილისი, 1956 წ.). ამ წიგნის ავტორი არ იზიარებს ტრადიციულ შეხედულებას და ამტკიცებს, რომ „სალაყბო ფურცლების“ ავტორი ს ა ე რ თ ო დ ი. კერესელიძეა, მას ეკუთვნის ყველა სტატია, ვარდა ერთისა, რომელიც დაბეჭდილია 1855 წლის „ცისკრის“ პირველ ნომერში. სწორედ ამ უკანასკნელის ავტორად თვლის მ. თუმანიშვილს ა. კალანდაძე.

ასე რომ, ქართული პუბლიცისტიკის, კერძოდ, ქართული ფელეტონის დამწყებად ჩვენი ჟურნალისტიკის ისტორიაში ა. კალანდაძე თვლის ი. კერესელიძეს.

უნდა აღინიშნოს, რომ წიგნის ავტორს ძალიან გულდასმით შეუსწავლია მაშინდელი ქართული ბრსა, კერძოდ კი ჟურნალი „ცისკარი“, რათა ტრადიციული შეხედულება დაერღვია და „სალაყბო ფურცლებს“ ნამდვილი ავტორი გამოერკვია.

მაგრამ ჩვენ ვერ დაგვარწმუნა ა. კალანდაძის მტკიცებამ, რომ პირველი ორი „სალაყბო ფურცლის“ ავტორი მ. თუმანიშვილი არ არის და რომ მას მხოლოდ მესამე ფელეტონი ეკუთვნის.

რა საბუთები გააჩინა მ ა ზრის დასასაბუთებლად წიგნის ავტორს?

უპირველეს ყოვლისა. ა. კალანდაძე ამტკიცებს, გიბრიელ სულხანიშვილის ცნობილი პასუხი, რომელიც „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა 1863 წელს, და რომელიც ქართველ მკვლევართა მიერ ერთ-ერთ პირველ წყაროდაა მიჩნეული საკითხის გასარკვევად, „ტუნდენციურია“, ყურმოკრული ცნობებზეა დამყარებული და მას არავითარი მნიშვნელობა არ აქვსო.

ნაკითხავია, მართლაც ასეთია საქმის ვითარება და გ. სულხანიშვილის კატეგორიულ განცხადებას არავითარი საფუძველი არა აქვს?

როგორც ცნობილია, ი. ჭავჭავაძე პეტერბურგიდან გ. სულხანიშვილს გამოუგზავნა წერილი, რომელშიც პირველ „სალაყბო ფურცლებს“ აქებდა (ილიამ შეცდომით თავისი დიდოსტატი მიიჩნია ამ სტატიების ავტორად). გ. სულხანიშვილმა წერილი „ცისკრის“ რედაქტორს გადასცა, როდესაც „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეს“ შორის პოლემიკა გამწვავდა, „ცისკრის“ რედაქციამ ილიაზს ეს წერილი გამოაქვეყნა იმის დასადასტურებლად, რომ „საქართველოს მოამბის“ რედაქტორს მყარი თვალსაზრისი არა აქვს — წინათ იგი აქებდა „სალაყბო ფურცლებს“, ავტორს, ახლა კი მისივე ჟურნალი ამაკვლეს.

ანგარიში უნდა გავწიოთ იმ გარემოებას, რომ, რაკი ილიამ გ. სულხანიშვილი შეცდომით, მაგრამ მაინც მიიჩნია „სალაყბო ფურცლების“ ავტორად, ჩანს, ეს უკანასკნელი მთლად „შემთხვევითი პირი“ არ ყოფილა და მას ლიტერატურულ წრეებთან გარკვეული კავშირი ჰქონია. თანაც აღსანიშნავი ის ფაქტი, რომ, რაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. სულხანიშვილმა ილოის წერილი ი. კერესელიძეს გადასცა, შეუძლებელი მის რიგიც ცნობა არ მიეღო ამ საინტერესო საკითხზე „ცისკრის“ რედაქტორისაგან. მით უმეტეს, იმხანად, ასეთი სასიამოვნო ბარათის შემდეგ, ი. კერესელიძეს მაინცადამაინც დასამაღი არაფერი ექნებოდა გ. სულხანიშვილისაგან. ამიტომ წერს ეს უკანასკნელი „ცისკრის“ რედაქტორს ასე დაბეჯითებით: „ოქვენ ძალიან კარგად იცი ო, რომ მოლაყბის სახელით ბევრი სხვადასხვა კაცი ჰსწერდა თქვენს ცისკარში. ისიც კარგად იცი ო, რომ პირველი ორი სტატია, ერთი, მგონია, 1857 წლის დეკემბრისა და მეორე 1856 წლის იანვრის ცისკარში მოლაყბის მიხედვით რომ დაიბეჭდა, ასეთი კარგნი იყვნენ, რომ მრავალნი მიმბაძავი გიიჩინეს... მაგ დრომდინ, იმ ორ სტატიის დამწერს გარდა, სხვა არავინ იყო მოლაყბე“ (ხაზი ჩვენია).

მაგრამ კ. კალანდაძე მის მიერ ამ ყბადაღებულ წერილსაც თავის სასარგებლოდ იყენებს და ამტკიცებს, მ. თუმანიშვილს მხოლოდ 1858 წლის იანვრის „ცისკარში“ მოთავსებული წერილი ეკუთვნისო. იგი რამდენჯერმე აცხადებს, გაბრიელ სულხანიშვილი „პირველ მოლაყბეს“ გადაუვლია მხოლოდ ერთი „სალაყბო ფურცლის“ (1853 წლის იანვრის) ავტორად თვლისო. სინამდვილეში კი გ. სულხანიშვილი კატეგორიულად ამბობს, „პირველ მოლაყბეს“ ორი სტატია ეკუთვნისო. შეცდომაში შეიყვანეს სიტყვებმა: „ერთი, მგონია“. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს „მგონია“ სტატიების რიცხვს კი არ ეკუთვნის, არამედ თარიღს: გ. სულხანიშვილს ზუსტად ალარ ახსოვს სტატიის დაბეჭდვის თვე — ერთი, მგონი, 1857 წლის დეკემბრის თვეში დაიბეჭდაო.

შემდეგ ზიგნის ავტორი ეხება 1863 წლის „ცისკრის“ ნოემბრის ნომერში დაბეჭდილ მოლაყბის (ეს, მართლაც, ი. კერესელიძეა) პასუხს გ. სულხანიშვილისადმი და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ისეთ ადგილებს ამ სტატიიდან, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ მოლაყბე „ერთპიროვანია“ და არა „მრავალპიროვანი“.

შეიძლება თუ არა, რომ მოლაყბის ეს განცხადება ეუქვეთუნნელად მივიჩნიოთ? ჩვენ გვგონია — არა. მოლაყბის სიტყვები, რომ იგი „ერთპიროვანია“, ე. ი. რომ „სალაყბო ფურცლებს“ მხოლოდ ერთი კაცი წერს, როგორღა უდგება თვით მკვლევრის მტკიცებას, რომ 1858 წ. იანვრის „ცისკარში“ მოთავსებული „სალაყბო ფურცელ“ ნამდვილად მ. თუმანიშვილისაა? რა თქმა უნდა, საქმეს ვერ შველის ა. კალანდაძის განცხადება, რომ „იგ. კერესელიძეს შეეძლო მიხ. თუმანიშვილის ერთადერთი „ფურცელი“ ამ განცხადების დროს ანგარიშში არ ჩაეგდო“ და რომ „... თვითონ მას (ე. ი. თუმანიშვილს, — ჯ. ჭ.) მოუხდა ერთხელ ნათხოვი ცხენით მოდგანზე გამობძძანება“.

ფრიად ნიშანდობლიგია, რომ ი. კერესელიძეს გ. სულხანიშვილისა და „საკართველოს“ მოამბის მიმართ პირდაპირ პასუხს მოვრიდა. საქმე აქ ეხებოდა „საკართველოს მოამბისა“ და მისი რედაქტორის დისკრედიტაციას, რაც ეგოდენ სურდა „ცისკარს“. ი. კერესელიძეს, როგორც რედაქტორს, პირდაპირ, თუნდაც პირიფეშის დაუსაბუღებად, კატეგორიულად შეეძლო განეცხადებინა, რომ „სალაყბო ფურცელ“ ყოველთვის ერთი კაცი წერდა და, რომ ამიტომ ი. ჭაკვეთაძე მართლაც არა სდგას ერთს ზზრნდ“. სინამდვილეში კი ი. კერესელიძემ არჩია ფელტონური ხერხებით ეპასუხნა მოწინააღმდეგეებისათვის და გადაკერით ელაპარაკნა მოლაყბის „ერთპიროვნებაზე“.

საკროოდ, უნდა თქვას, რომ ზიგნის ავტორი ყოველთვის მეტმესტად ენდობა ყოველგვარ პოლემიკურ განცხადებას, ფელეტონურ ხერხს. ა. კალანდაძე არ ითვალისწინებს, რომ მას საქმე აქვს პოლემიკურ-პუბლიცისტური ხასიათის წერილებთან და, როგორც შემდეგაც ენახავთ, იგი ცდილობს ყოველგვარ გადაკრულ ფრაზაში ანდა ფელეტონურ მანერაში უთუოდ ფაქტის პირდაპირი დადასტურება და ჭეშმარიტება დაინახოს.

შემდეგ ა. კალანდაძე დაბეჯითებით ამტკიცებს, მ. თუმანიშვილი არ შეიძლებოდა ყოფილიყო „სალაყბო ფურცლების“ დამწერები, რადგან მას 1858 წლის იანვარამდე საერთო არავითარი კავშირი არ ჰქონდა ჟურნალთან და არავითარი მონაწილეობა არ მიუღია „ცისკრის“ განახლებამი.

მკვლევრის ეს კატეგორიული განცხადება სინამდვილეში ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. უნდა გავიხსენოთ, რომ მ. თუმანიშვილი ყოველთვის დაინტერესებული იყო საჟურნალო საქმით:

გ. ერისთავის „ცისკრის“ დახურვის შემდეგ, მ. თუმანიშვილს 1854 წ. გადაუწყვეტია თვითონ გამოეცა საკუთარი ჟურნალი „საკართველოს ჟურნალის“ სახელწოდებით (ამ ჟურნალის ფირთო პროგრამამ ჩვენამდე მოაღწია). მაგრამ, რაც მთავარია, მ. თუმანიშვილი ძალიან ახლო იყო თვით „ცისკრის“ საქმიანობასთან. ჩვენთვის ცნობილია, რომ ბინაზე ივრიბებოდნენ გ. ერისთავი, ილი ი. კერესელიძის „ცისკრის“ თანამშრომლები. ხოლო ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ საკუთრივ ი. კერესელიძის მიერ „ცისკრის“ განახლების საქმეში მ. თუმანიშვილს უახლოესი მონაწილეობა მიუღია. როგორც ირკვევა, იგი უშუალოდ მონაწილეობდა რედაქციის მოსამზადებელ საქმიანობაში 1856 წლის მანძილზე, რათა 1857 წლიდან „ცისკარი“ გამოსულიყო. ეი, ცნობილი ისტორიკოსის დიმიტრი ბაკრაძის წერილი მ. თუმანიშვილისადმი — გორიდან, 1856 წ. 22 ნოემბერს, ე. ი. „ცისკრის“ გამოცემის ხანაში:

„ენიაზო მიხეილ

გიგაზიანთან ჩემ სტატიას ისტორიის წყაროებზედ. მვონია, რომ ეს უნდა დაიბეჭდოს პირველს წიგნში. ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან. არ გიკი კორრექტორი ვინ არის, და კარგი იქნება უბრძანოთ, რომ ყური უგდოს დაბეჭდვის დროს ცალიერება არაფერი მოახდინონ — საცა ტოჩკა თუ სხვა რამ ზნაკები; თორემ აზრები სულ აირევა, რადგანაც ფრაზები მოკლეებია ამ სტატიაში. ეს სტატია შევსწერე უ. ბროსსეს და ერთი ეგზემპლარი გავუგზავნე იმსა. თუ ცოცხალი ვიქნები და თავისეულად დრო მექნება, მეორე სტატია იქნება ცისკრისათვის „თამარ მეფეს“. ჩემს ნაცნობებს მოკითხვას მოვახსენებ. თქვენი უმორჩილესი მონა დ. ბაკრაძე“. (ხაზი ჩვენია — ჯ. ჭ.).

ჩვენ გვგონია, ეს წერილი კომენტარს იღარ საჭიროებს და ცხადდაფოს, რომ ა. კალანდაძის მტკიცება — მ. თუმანიშვილს არავითარი მონაწილეობა არ მიეღია „ცისკრის“ განახლებაშია — გაუგებრობის შედეგია.

შემდეგი საბუთი ა. კალანდაძის მტკიცებისათვის არის „ცისკრის“ რედაქციის განცხადება 1858 წლის პირველ ნომერში, სადაც ი. კერესელიძე სიხარულით აუწყა მკითხველებს მ. თუმანიშვილის გამოჩენა ჟურნალში და, მაშასადამე, მ. თუმანიშვილმა „ცისკარში“ სწორედ ამ დროიდან დაიწყო თანამშრომლობაო.

ამ განცხადებაში რედაქცია პირდაპირ მიუთითებს ჟურნალის „სხვადასხვა ამბავის“ განყოფილებაში მოთავსებულ სამ სტატიაზე, ესენია: „ანჭი კეთილშობილთა და მოქალაქეთა ტფილისში“, „გაგზავნა კეთილშობილთ ყმაწვილთ კაცთა პეტერბურღში“ და „გამოფენა ბუნებისა და ხელთა ნაწარმოევეს ნიმუშებისა ტფილისში“ (პირველ ორ სტატიას მიწერილი აქვს ინიციალი თ, ხოლო მესამეს — თთ). მაშასადამე, რედაქცია აღნიშნავს, რომ ამდაგვარი ხასიათის სტატიების ბეჭდვა ავტორსა (ე. ი. მ. თუმანიშვილმა) პირველად დაიწყო „ცისკარში“ და რომ ამას იქითაც აღგვითქვა თანამშრომლობაო. რედაქცია იმედოვნებს, რომ ეს სტატიები „შენიშნულ იქნებიან ყველასაგან და მიიზიდევენ საზოგადო ყურადღებას“. ამ შემთხვევაში რედაქცია გვერდს უვლის ამავე განყოფილებაში დაბეჭდილ „სალაყბო ფურცელს“ და ეს სიტყვები გასაგებია: „სალაყბო ფურცელი“ პირველად არ იბეჭდება „ცისკარში“ და უკვე დიდი ხანია „შენიშნული იყო ყველასაგან“. ბუნებრივია, რედაქცია ვერ მიუთითებდა იმაზე, რომ „სალაყბო ფურცლებიც“ ამავე ავტორისაო, რადგან აღნიშნული სამი სტატია ადვილად გასაშიფრავი ინიციალებით იყო წარმოდგენილი (თ — თუმანიშვილი, თთ — თავადი თუმანიშვილი). რედაქცია, პირიქით, მალავს, რომ იანგრისაკენ „სალაყბო“ მოთავსებული „სალაყბო ფურცელიც“ (და, მაშასადამე, საერთოდ, სხვებიც) იმავე ავტორისაა და ხაზგასმით მიუთითებს, მას მხოლოდ „მშვენივრად შედგენილ“ „ტფილისში შემოკლებული სტატიები“ ეკუთვნიან. როგორც ამ სტატიების ავტორმა, მ. თუმანიშვილმა, მართლაც, პირველად დაიწყო „ცისკარში“ ბეჭდვა 1858 წლის იანვრიდან. რედაქციის ეს განცხადება სავსებით ბუნებრივია. გასაგებია, იგი ვერ მიუთითებდა, რომ ეს წერილი იმრიგ თანამშრომლობდა „ცისკარში“, როგორც „სალაყბო ფურცლების“ ავტორი.

ასე რომ, ჩვენ გვგონია, რედაქციის ზემოაღნიშნული განცხადება არ გამოდგება იმის დასამტკიცებლად, რომ მ. თუმანიშვილმა „ცისკარში“ თანამშრომლობა მხოლოდ 1858 წლის იანვრიდან დაიწყო.

შემდეგ ა. კალანდაძე ეხება მიხ. თუმანიშვილის ვაჟის — გიორგი თუმანიშვილის მიერ მოწოდებულ ცნობებს და ყოველნაირად ცდილობს მათ გამიბარუებას, რამდენადაც ისინი „ტენდენციურაია“. ჩვენთვის გაუგებარია, თუ რატომაა ეს ცნობები ტენდენციური. საერთოდ ა. კალანდაძის დასახელებული ნაშრომის უეცელი ნაკლი ის არის, რომ ავტორი მისთვის არახელსაყრელ ცნობებს ან „ყურმოკრეულად“, ანდა „ტენდენციურად“ მიიჩნევს. სინამდვილეში კი, გ. თუმანიშვილს მიერ მოწოდებული ცნობები ფრიად ანგარიშგასაწევია და მათ პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება.

გ. თუმანიშვილმა 1881 წელს გამოსცა თავისი მამის — მ. თუმანიშვილის „რჩეული თხზულებანი“, რომელსაც მკირე წინასიტყვაობა წაუმძღვარა. ამ წინასიტყვაობაში იგი შემდეგ საინტერესო ცნობას ვკითხულობთ: „ჩვენ აქ არ ვბეჭდავთ ყველი იმის თხზულებას, რაფ�ან ამათში ზოგიერთი არ არის შემოქმედებული და ზოგსაც თვით დამწერი აძლევდა მხოლოდ დროებით მნიშვნელობას. აქ ვბეჭდავთ... პირველ სამს „სალაყბო ფურცელს“, 1857 და 1858 წლის „ცისკრიდან“. ეს პირველი ფელეტონია ქართულ ენაზე: თავისუფლის ბევრი ილაპარაკა საზოგადოდა და ეზლაც, გვგონია, უყურადღებით არ დარჩეს, რადგან შეეხება ჩვენ საუკეთო ყელგრილობას საერთო საქმეებში... შემდეგ „სალაყბო ფურცლებს“ სწერდნენ „ცისკრის“ რედაქტორი და იმის თანამშრომლები“.

როგორც ვხედავთ, გ. თუმანიშვილმა პირდაპირ, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, გადაჭრა პირველი სამი „სალაყბო ფურცლის“ ავტორის საკითხი. შეიძლება თუ არა ექვი შეეტანოთ ამ ცნობების სისწორეში? რა თქმა უნდა, არა. ჯერ ერთი, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ გ. თუმანიშვილი გარკვევით შენიშნავს: „ჩვენ აქ არ ვბეჭდავთ ყველი იმის თხზულებას, რაფან ამათში ზოგიერთი არ არის შეე მუშავებული და ზოგსაც **თვით დამწერი აძლევდა მხოლოდ დროებით მნიშვნელობას**“ (ხაზი ჩვენია). როგორც ვხედავთ, გ. თუმანიშვილი კარგად იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმირებული თვით მ. თუმანიშვილისგან ამ უკანასკნელის ნაწერების შესახებ. საერთოდ კი, ზუსტად ცნობილია, რომ მაჰა-შვილს ძალზე გულისხმიერი, ახლო ურთიერთობა ჰქონდათ და გ. თუმანიშვილი ყოველთვის იყო მამის ლიტერატურული საქმიანობის კურსში (საერთოდ, ტრადიციული აზრი, რომ პირველი „სალაყბო ფურცლები" მ. თუმანიშვილს ეკუთვნის, მტკიცედ იყო დამკვიდრებული თუმანიშვილთა ოჯახში).

მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი მეორე გარემოება: „ᲨᲔ. თუმანიშვილის „რჩეული თხზულებანი", რომელშიც მოთავსებული იყო პირველი სამი „სალაყბო ფურცელი", გამოვიდა ი. კერესელიძის სიცოცხლეში (ი. კერესელიძე გარდაიცვალა 1892 წ.). ი. კერესელიძე მაშინ ჯერ კიდევ ინტერსიფ საკურნალო და ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდა. სხვა რომ არა იყოს რა, საკვირველი იქნებოდა ისეთ საჩოთხრო საკითხში, როგორიცაა ავტორობის საკითხი, გ. თუმანიშვილს კონსულტაცია არ მიეღო „ცისკრის" ყოფილი რედაქტორისაგან, მით უმეტეს, გ. თუმანიშვილი გარკვევით აცხადებს, შემდეგ „სალაყბო ფურცლებს" სწერდნენ „ცისკრის" რედაქტორი და მისი თანაშრომლებიო, ხოლო თუ გ. თუმანიშვილი (ცდება, ან შეგნებულად ტენდენციურად ფდგება საკითხს (?), მაშინ მით უფრო საკვირველია, თუ რატომ არ გამოუხმაურა ი. კერესელიძე ამ ფაქტს? რატომ არ ამხილა მან გ. თუმანიშვილი, და თუ საკუთარი თავის დასახელება არ უნდოდა (?), ყოველ შემთხვევაში, რატომ არ აღნიშნა, რომ მის. თუმანიშვილი, როგორც ავტორი, არაფერ შუაში იყო?")

ზედმეტი არ იქნება გავითვალისწინოთ, რომ თვით გ. თუმანიშვილი წარსულის ლიტერატურული ფაქტების მეტად ფრთხილი და სინდისიერი მკვლევარი იყო. მის. თუმანიშვილის ლიტერატურული საქმიანობის დახასიათებისას გ. თუმანიშვილი არც ერთხელ არ ცდება. იგი ზედმიწევნით ზუსტად აღნიშნავს თავისი მამის მოღვაწეობას ვაზეთ „ეკეკლესიაზ" და სხვა პერიოდულ გამოცემებში. ამ ფაქტს უდავოდ ანგარიში უნდა გაეწიოს. ამიტომ შეეძლებელია არ ვენდოთ გ. თუმანიშვილის შემდეგ განცხადებასაც იმავე წინასიტყვაობაში: „ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲣᲬᲧᲔᲑᲚᲔᲑᲐ (იგულისხმება მ. თუმანიშვილი, — ჯ. ჭ.) 1857 წელს და განახლებულ „ცისკრის" სწერდა „სალაყბო ფურცელს", პეტდადგდა თავის ძველ ლეტსებს და სთარგმნიდა თავის დროის მოთხრობებს, მაგრამ ეს შრომა მხოლოდ ოთხ თვეს განგრძელდა" (ხაზი ჩვენია. ამ ცნობებს გ. თუმანიშვილი დაბეჯითებით იმეორებს სხვა ნაწარმოებშიც). ეს, მართლაც, ასე იყო: 1857 წლის „ცისკრის" ნომბრისა და დეკემბრის ნომრებში მ. თუმანიშვილმა მოათავსა „სალაყბო ფურცლები", 1858 წლის „ცისკრის" იანვრის ნომრიში კვლავ „სალაყბო ფურცელი" და სამი სტატია, ხოლო თებერვლის ნომერში რამდენიმე ლექსი და თარგმანი პ. კამენსკაიასა და ოხრობისა — „ᲐᲮᲚᲐᲠᲘᲡᲣᲚᲘ ᲙᲕᲔᲧᲜᲘᲗ". ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ გვინდა დავსძინოთ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ფრიად „ანგარიშგასაწევია ი. მეუნარგიას ცნობები, რადგან ი. მეუნარგია საკმაოდ დაახლოებული იყო ი. კერესელიძესთან. ი. მეუნარგიას ვიორგი ერისთავის ბიოგრაფიის წერის პერიოდში (1883 — 1884) უთხოვია ი. კერესელიძისთვის მოგონებების დაწერა გ. ერისთავის თეატრზე: „ᲗᲐ. ᲙᲔᲠᲔᲡᲔᲚᲘᲫᲔ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲘᲛᲝᲥᲛᲔᲓᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ, რაც ახსოვდა ამ დროის შესახებ, წერს ახალ ტრუპაზე და საზოგადოდ თეატრზე და მის დირექტორზე" და ა. შ. (ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, II, 1944, ს. ცაიშვილის რედაქციით, გვ. 28). შეუძლებელია 1883-84 წლებში ი. მეუნარჯიას ყურადღება არ მიექცია იმ ფაქტისთვის, რომ 1881 წელს გამოცემულ მ. თუმანიშვილის „რჩეულ თხზულებანში" შეტანილი იყო პირველი სამი „სალაყბო ფურცელი" (მით უმეტეს, რომ თვით ი. მეუნარგია იმხანად იმავე საკითხებზე მუშაობდა) და გარკვეული ცნობები არ მიეღო ი. კერესელიძისაგან. მით უფრო საყურადღებოა, რომ იმავე გ. ერისთავის ბიოგრაფიაში ი. მეუნარგიას მოაქვს ციტატი 1857 წლის დეკემბრის „ცისკარში" დაბეჭდილი „სალაყბო ფურცლიდან" ხ სრულიად კატეგორიულად ავტორად მ. თუმანიშვილის ასახელებს: „რომ ვერ გაეწყო თავისი გრძნობა ჩვენზედაო, ამბობს მხედელ თუმანიშვილი პოეტზე, გიორგი ერისთავმა დაანება თავი ტკურნალსაც, თეატრსაც და თითქო ასე გვითხოო გულამოსოხვრით „როგორც გიწერავთ, ისე სწერეთო..." (ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, II, გვ. 41).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ა. კალანდაძე გადაკვრბებულ მნიშვნელობას ანიჭებს „სალაყბო ფურცლებში" წარმოდგენილ ფელეტონურ ხერხებსა და ანეკდოტს. მითზე დაყრდნობით მკვლევარი, მაგალითად, ამტკიცებს, რომ „1857 წ. დეკემბრის „სალაყბო ფურცელი" წარმოადგენს ივანე კერესელიძის ინენის ᲩᲐᲠᲔᲚᲘᲡ. ეს ფურცელი იწყება სიტყვებით:... „ცისკრის" წარსულის ნომერში სად დავსდეკით?... ჩვენი თვის უბედურების მიზეზი ჩვენ ვართო". (დასახელებული წიგნი, გვ. 43).

ასე რომ გვაყვეთ და იმის მიხედვით ვიმსჯელოთ, თუ ერთი სტატიის დასასრულს რას ებობს ავტორი და შემდეგ სტატიას როგორ იწყებს, ანდა რომელ „სალაყბო ფურცელს" აქვს დ რომელს არა, ეხადია, ამის მიხედვით ავტორობის საკითხს ვერ დავდგენთო (ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ჩვენც იმ აზრისა ვართ, რომ დეკემბრის „სალაყბო ფურცელი" ნომბრის „ფურცლის" გაგრძელებაა და მით ერთი ავტორი

ჰყავთ, ოღონდ მ. თუმანიშვილი). ეს „ფელეტონებში გამეორებული ჩვეულებრივი ხერხი. ასე, მაგალითად, 1858 წლის იანვრის „სალაყბო ფურცლის“ ავტორი შემდეგნაირად წერს: „წარსულს ფურცლში მეორნი გულნაკლულად განგშორდით ერთმანეთს, საყვარელნო მეთხველნო. მაგრამ ისეთი რა სამფორავი იქნება, რა მტრობა, რა ბოროტება, რომელიც არ განქარდეს, არ მოისპოს ყოველს შემშესგრელს დროისაგან...“ და სხვ. როგორც ვხედავთ, ამ დასაწყისის მიხედვით წინა თვის (დეკემბრის) „სალაყბო ფურცელი“ უეშველად იანვრის თვის „სალაყბო ფურცლის“ ავტორის კუთვნილებაა. ასე რომ, თუ თვით ი. კალანდაძის კელეთთინ ხერხების მიხედვით მივუდგებით და ანგარიშს გავუწევთ ყველა ფელეტონურ მანერას, მაშინ მოლაყბის განცხადებანი, როგორც ნნახეთ, ყოველთვის ა. კალანდაძის სასარგებლო არ იქნება.

ეკრძოდ, თვით „ცისკრის“ რედაქციის განცხადებათაგან, რომლებიც ი. კალანდაძეს მოპოვაეს, პირველი შეხედვით თითქოს ერთია განსაკუთრებით მნიშვნელო

ზედმეტია იმის მტკიცება, შეეძლო თუ არა ასეთ კაცს შეექმნა „სალაყბო ფურცლები“. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მიხ. თუმანიშვილს კრიტიკულ წერილებში იგივე საკითხებია წამოჭრილი (და უფრო ფართოდაც), რაც შემდეგ პირველ „სალაყბო ფურცლებში“ (თუ ვარაუდობს მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ პირველ „სალაყბო ფურცლებში“ მოცემული გ. ერისთავის ქება უფრო მ. თუმანიშვილის ავტორობაზე მიუთითებს, ვიდრე ი. კერესელიძისა: თავის კრიტიკულ წერილში მ. თუმანიშვილი სავსებით ანალოგიურად აქებს გ. ერისთავს, ხოლო ი. კერესელიძე, როგორც თავის მოგონებაში აღნიშნავს, თურმე განაწყენებული ყოფილა გ. ერისთავზე და ერთხელ მასზე უჩიენია კიდეც).

ა. კალანდაძე ხელოვნურად ასხვავებს ურთიერთისაგან ნოემბრისა და დეკემბრის „სალაყბო ფურცლებს“ იანგრის თვის „სალაყბო ფურცლისაგან“. იგი წერს: „იგ. კერესელიძის აზრით (ეს თვით ა. კალანდაძის აზრიცაა. ჯ. ჭ.), მიხ. თუმანიშვილი სცვლიდა კერესელიძის 1857 წლის ნოემბერ-დეკემბრის „სალაყბო ფურცლების“ მიმართულებას, აღარაბგდა მას თუმატიკურად, არომვედდა აქტუალობას, პოლიტიკურ სიმახვილეს. ივ. კერესელიძე ბრალს სდებს მიხ. თუმანიშვილს, რომ ეს უკანასკნელი გატაცებულია რომანტიკული ესთეტიზმით, გართობით, თეატრებით, მსუბუქი ამბებით, მაშინ, როცა „სალაყბო ფურცელი“ ჩვენ (ე. ი. კერესელიძემ) შევეჭვნით ქართული ენისა და ქართული ყურნალის დასაცავადო. ეს ბრძოლა „სალაყბო ფურცლების“ პროგრამისა და ხასიათის შესახებ ძველი რომანტიკული ესთეტიზმით გატაცებული თაობის წარმომადგენელ მიხ. თუმანიშვილსა და ახალი თაობის მებრძოლა სულისკვეთებით გამსჭვალულ იენაე კერესელიძეს შორის უაღრესად დამახასიათებელია იმ პეროიდისათვის“ (დასახელებული წიგნი, გვ. 20).

მკვლევრის ეს მსჯელობა სრული გაუგებრობის შედეგია. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, მართლაც „რომანტიკული ესთეტიზმის“ წარმომადგენელია თუ არა მიხ. თუმანიშვილი გასული საუკუნის 50-იან წლებში. მაგრამ, რაც თავიანთ, პირველ სამ „სალაყბო ფურცელს“ შორის არავითარი განსხვავება არ არის საკითხების აქტუალობის მხრივ. იანგრის „სალაყბო ფურცელი“ პირველი ორი სტატიის თემატიკას აგრძელებს. საკითხების სფერო თითქმის იგივეა: ქართული საზოგადოების გულგრილობა, ქართული ენის, ქართული ყურნალის ბედი და სხვ. ბუნებრივია, რომ ყოველივე ეს სიტყვასიტყვით განმეორებული არ არის: ავტორი ცდილობს მესამე სტატიაში ეს საკითხები ახლებურად, თავისებური ფორმით მიაწოდოს მკითხველს და ახალი საკითხებიც დაემატოს (მართლმსაჯულების კრიტიკა, ყოველგვარი უცხოურით მოდური გატაცების წინააღმდეგ გალაშქრება და სხვ.). სამწუხაროდ, არ არის საშუალება აქ ვრცლად ციტატები.

ა. კალანდაძის მტკიცება, ი. კერესელიძე მოითხოვდა უბრალო ხალხური ენით წერას, საწინააღმდეგოდ „უცხო სიტყვებით შელამაზებული და რომანტიკულად შეფერადებული ინგრის „სალაყბო ფურცლისაო“, ყოველად დაუსაბუთებელია. იანგრის სტატიაც დაწერილია იმ დროისათვის ძალიან მსუბუქი, მარტივი, დახვეწული ენით და თუ უცხო სახელები გვხვდება (ბელინი, ვაგნერი, როსინი, დონიეტი, ფიგარო და სხვ.), და არა სიტყვები [1], ამას თავისი გამართლება აქვს: როგორც აღვნიშნეთ, მიხ. თუმანიშვილი დასკვნის უცხოური მუსიკის წყეგადასულ, მოდურ თაყვანისცემას და საკუთარი, ეროვნული ტრადიციების დავიწყებას. ეს შემთხვევითი არ არის მიხ. თუმანიშვილისათვის: ეროვნული კულტურის აღორძინებით დაინტერესებული, იგი ასეთსავე ტენდენციას ატარებს გამოუქვეყნებელ ნაშრომში — „მეზობენი ალექსო“, რომელიც მშობლიური მუსიკის აპოთეოზს შეიცავს.

ა. კალანდაძე, სავსებით მართებულად, ხაზს უსვამს ი. კერესელიძის დამსახურებას ქართული ლეგრნალისტიკის ისტორიაში, მართებულად აღნიშნავს, რომ შეცდომაა ი. კერესელიძის მიკუთვნება რეაქციონერთა ბანაკისათვის და სხვ., მაგრამ ჩვენთვის გაუგებარია, თუ რატომ ამცირებს იგი ასეთი მონდომებით მეორე ქართველ მწერალს, რომლის დამსახურება ქართული კულტურის ისტორიაში სავსებით ნათელია. ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი თვალსაზრისი დასაბუთოს? თუ ასეა, მაშინ უნდა ითქვას, რომ ასეთი ცდა წარმატებით ვერ გვირგვინდება.

დასასრულ შევნიშნავთ, რომ, მიუხედავად საკითხის მნიშვნელობისა, ჩვენ იქნებ ასე ვრცლად მაინც არ შევჩერებულიყავით ამ მცირე მოცულობის წიგნზე, მას რომ წამძღვარებული არ ჰქონდეს ი. ახალდიანის სახოგტნო ხასიათის წინასიტყვა, რომელიც უხერხული იქნებოდა თვით ფუნდამენტური ნაშრომის ავტორისთვისაც კი.

---

[1] თუ მხედველობაში არ მივიღებთ, მაგალითად, „კომპოზიტორს“, რომლის შესავსი გადაცემულებული უცხო სიტყვები უკვე მრავლადაა „ცისკარში“ (ყურნალი, თეატრი, ტალანტი და სხვ.).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამარ კუკავა

ჩანაფიქრი და სინამდვილე

ქართული ფილოსოფიური კულტურის განვითარების ისტორიაში XI — XII საუკუნეების მოაზროვნეებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ, რადგან სწორედ ეს პერიოდი ითვლება ძველი საქართველოს აყვავებისა და აღმავლობის ხანად. ამიტომაც უდაოდ მისასალმებელი მოვლენაა დოცენტ შ. ხიდაშელის წიგნი „იოანე პეტრიწი", რომელიც ამ პერიოდის გამოჩენილი მოაზროვნისადმია მიძღვნილი. მით უმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამ უაღრესად საინტერესო ფილოსოფოსის ცხოვრება და მემკვიდრეობა ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი.

ავტორს განზრახული აქვს ქართველ მკითხველს მიაწოდოს ცნობები ამ დიდი მოაზროვნის არა მხოლოდ ცხოვრების, არამედ მისი ფილოსოფიური მემკვიდრეობის შესახებაც.

ამიტომ, ბუნებრივია, მკითხველი მოელის, რომ ავტორი პეტრიწის თხზულებას განიხილავს, როგორც თვითნაგე გვპირდება, „მთელი ნარკვევის მანძილზე", რის საფუძველზეც დაახასიათებს პეტრიწის ფილოსოფიის „ძირითად თავისებურებებს", რომ ამ განხილვას საფუძვლად ედება „სპეციალურად ისტორიულ-ფილოსოფიური თვალსაზრისი" და რომ მიღებული დასკვნები, როგორც მართებული, შეიცვლიან სხვა მკვლევართა ავტორის მიერ უკუგდებულ „არასწორ" ინტერპრეტაციებს.

უშიველად პეტრიწის ფილოსოფიას ავტორი განიხილავს 64—83-ე გვერდზე. საამისოდ იგი ანალიზებს არა საერთოდ პეტრიწის თხზულებას, არამედ მხოლოდ „წინასიტყვაას", რომელიც, უნდა აღინიშნოს, კეთილსინდისიერად შეუსწავლია.

პეტრიწის ფილოსოფიის ძირითადი თავისებურებანი ავტორს ორი დებულებით აქვს გადმოცემული: 1. „...სამყაროო „უზესთაესი ერთის" ანუ ღმერთის თანადროულია; უფრო სწორად, **სამყარო** ღმერთის თანამარადიულია" (გვ. 77). 2. პეტრიწის თხზულების ზოგიერთი თავი „იდეალური სწყისის პარალელურად მატერიალური **სწყისის** რეალობაზე მიგვითითებენ" (გვ. 82. ხაზი ყველგან ავტორისაა.—თ. კ.).

ამრიგად, ავტორს სურს დაამტკიცოს პეტრიწის აზროვნების პროგრესულობა, და არა მხოლოდ პროგრესულობა, არამედ მატერიალიზმის მიჯნებამდე მისვლაც. ეს სრულიად გასაკვირი და მისასალმებელი სურვილია — მოიძებნოს პროგრესული მომენტები შუა საუკუნეთა ეპოქის ფილოსოფოსის ნაზრევში.

მაგრამ სულ სხვა საქმეა, ჯერ ერთი, თუ როგორ აქვს ავტორს დასაბუთებული ეს დებულებები და, მეორეც, თვით საკვლევი თხზულება თუ იძლევა იმის საფუძველს, რომ სწორედ ამ მხრივ მივიჩნიოთ პროგრესულად პეტრიწის ფილოსოფია.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ავტორს მის მიერ წამოყენებული საკმაოდ გაბედული პირველი დებულების დასაღასტურებლად არც ერთი საბუთი არა აქვს მოტანილი თვით პეტრიწის თხზულებიდან (სხვა შემთხვევაში კი იგი საკმაოდ გულუხვია ციტირებაში). ამ დებულების სასარგებლოდ წიგნში მტკიცებისა და პეტრიწის თხზულებიდან საბუთების მოტანის ნაცვლად ხელი გვრჩება ავტორის კეთილი ზრახვები, რომ პეტრიწისათვის მიეღებელია „ი. წ. „მამათა კოსმოლოგია", რომელიც მიწერ სამყაროს ზეციურის მხოლოდ „უბადრეკ ანარეკლად" მიიჩნევდა" (გვ. 77), რომ ამ დოგმატის უარყოფას პეტრიწის მიერ დიდი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა (გვ. 80), რომ პეტრიწის აზრით, მთელი სინამდვილე ამ „ერთთან" ერთად თავიდანვე არის მოცემული" (იქვე), რომ პეტრიწთან „სამყაროს რეალობა არათუ „ერთის" ნებელობისაგან აღარაა დამოკიდებული, არამედ **აუცილებლობით** არის განსაზღვრული" (გვ. 81. ხაზი ავტორისაა. — თ. კ.), რომ „პეტრიწის მიხედვით საფუძველი ერყევა აგრეთვე რწმენის განგებისადმი"

CC-BY-NC-ND
Georgian Digital Library

(იქვე), რომ პეტრიწი „ირბილებდა და ასუსტებდა ღუელიზმს, რომლის მიხედვითაც „ზეკასა“ და მიწას შორის, „იმქვეყნიურსა“ და იმქვეყნურს შორის მოურიგებელი წინააღმდეგობა არსებობდა“ (იქვე) და სხვ.

ბეგრი *რომ ეძიოთ*, მსგავსი ლიტონი განცხადებების გარდა ამ საყურადღებო დებულების დამამტკიცებელ ვერც ერთ არგუმენტს ვერ ნახავთ. მეორე მხრივ, ბროშურაში შეხვდებით აღგილებს, სადაც ავტორი თვითონვე ეწინააღმდეგება თავის თვალსაზრისს ერთისა და სამყაროს თანამარადიულობის *საკითხში*. კერძოდ, ავტორი აღნიშნავს, რომ ეს „უზესთაესი ერთი“, ანუ „ოგივე ღმერთი“ არის „ახსოლუტური რეალობა **და ახსოლუტური სიკეთე**“, რომ ეს „ერთი“ ძალუეს რეალობას ყოველ ცალკეულ მოგლენას... *როგორც „მყოფობას“, ავრეთვე სიკეთეს. აქედან კი* გამომდინარეობს, რომ ეს ერთი ქმნის, ანუ *როგორც* ავტორი გამოთქვამს, „აძლევს მყოფობას“ მიწიერ საგნებს, და, მაშასადამე, წინ უსწრებს იმას, რასაც წარმოშობს. ეს აუცილებელი შედეგია „ერთის“ ნიდაშლისეული ინტერპრეტაციისა. საგნები, რომლებმაც მყოფობა მიიღეს „ერთისაგან“, არიან მისი შედეგი და, ცხადია, დროში მის შემდეგ არსებობენ. ამიტომ ისინი „ერთის“ თანამარადიული ვერ იქნებიან; საერთოდ, ვერ იქნებიან მარადიულნიც, თუნდაც იმიტომ, *რომ* დასაწყისი აქვთ. გარდა ამისა, „ახსოლუტური რეალობის“ და „ახსოლუტური სიკეთის“ ცნება მოითხოვს აუცილებლად არაახსოლუტური რეალობისა და სიკეთის არსებობას. პლატონელები და ნეოპლატონელები, ისევე, როგორც პროკლე და პეტრიწიე, პირველში გულისხმობენენ მარადიულსა და წარუვალს, მეორეში — დროებითსა და წარმავალს. მაგრამ მთავარი მაინც შემდეგია: მიუხედავად იმისა, რომ ავტორი რამდენიმე ადგილს ხაზგასმით აღნიშნავს, პეტრიწისათვის „ერთი“ ანუ ღმერთი არის ახსოლუტური რეალობა, შემდგომში, როდესაც თავისი, ჩვენ ციტაოდით — აპრიორული, დებულების დასასაბუთებლად დასჭირდება, ასეთ მოსაზრებას გვთავაზობს: „ფილოსოფიის ძირითადი საკითხის პეტრიწისეული გადაწყვეტა ღვთაებრივი განგების ახსოლუტურობას ზღუდავდა და მის ყოელსშემძლეობას საფუძველშივე უდებდა საზღვარს“ (გვ. 80. ხაზი ჩემია. — თ. კ.).

ჩავხედოთ ახლა თვით პეტრიწს, რომელიც ხიდაშელისათვისაც პირველწყარო და ამოსავალი უნდა ყოფილიყო ამა თუ იმ დებულების როგორც წამოყენების, ისე დასაბუთების დროს.

ავტორი რომ არ დაკმაყოფილებულიყო პეტრიწის თხზულების მხოლოდ წინასიტყვაობის განხილვით და მისი ძირითადი ნაწილი უფრო გულდასმით შეესწავლა, ადვილად დაინახავდა და *მკითხველსაც* დაანახებდა, *რომ* პეტრიწი ყველგან ლაპარაკობს ერთის, *როგორც* „ზეკასა“ წინადრეოდენ არსებობაზე სიმრავლესთან ერთად. *ერთით. ჯერ ერთი*, პეტრიწი ყველგან ხაზს უსვამს, *რომ* „ერთი“ თავისი ბუნებით სრულიად განსხვავებულია მიწიერი საგნებისაგან, *როგორც* მარადიული, დაუსაბამო, მაგრამ სხვისთვის დასაბამი. კერძოდ, „ერთი“ პეტრიწისათვის „უქმნელია“, ხოლო სიმრავლე — დაბადებული, მისგან წარმოშობილი. *რომ* ისაა „არსებაჲ საღმრთო და ზესთ არსი“. მაგრამ პეტრიწი კიდევ უფრო შორს მიდის. იგი ამბობს, *რომ* სიმრავლე ერიში ერთის შემდეგ არსებობსო: „ზაშა *იყოს* შემდგომად ერთისა ყოველი სიმრავლე, *რამეთუ* ვერ ვინასა სიმრავლისასა ძალ უც თუნერ ერთისა *წარმოარსებად*“ (ტ. II. გვ. 27).

შემდეგ პეტრიწი ამბობს, *რომ* არ შეიძლება მსჯელობა „ერთსა“ და „სიმრავლეს“ შორის *რაიმე* თანასწორობაზე, „ვინაჲ არცა სწორ წარმოჩენილი ბუნებასა წარმომჩენელისასა“ (გვ. 32). პეტრიწი ბინასაკუთრებით ხაზს უსვამს იმის, *რომ* ყოველი იმქვეყნიური, *როგორც* ღვთაებრივისაგან წარმოშობილი და მისი შედეგი, წარმავალია და დროებითი, ღვთაებრივი კი მარადიული: „ყოველი არასამარადისოჲ ანუ კაჟშრომა და ასოთაგან არს შემდეგულ, და კუალად მათდა მიმართვე ადღნეს, *რომელთაგანსაცა* შედგა, ეითარ ესე მოკუდავთა ცხოველთა ბუნესაჲ საცნაურ ჰყოფს“ (გვ. 106). ხოლო ღმერთი და ღვთაებრივი კი მარადიულია, *რადგან* მარტივია: „ხოლო მარტივ ყოველი დაუკნ�და განუბნეველ და მგებ თჳს შორის და თჳთმდგომ“ (გვ. 107).

მაგრამ, ყველფერს *რომ* თავი დაანებოთ. შ. ხიდაშელს ხომ თვითონვე აქვს ცალკეული ის ადგილი პეტრიწის თხზულებიდან, სადაც ფილოსოფოსი „ირსთა დაწყებას“, ე. ი. შექმნას განხილოცას და გარკვევით აღნიშნავს, *რომ* სამყაროს მის მიერ წარმოდგენილ იერარქიაში ყოველი ზედა საფეხური მიზეზია მომდევნო საფეხურისა, ხოლო ყოველივეს მიზეზი და შემოქმედი არის „ყოველთაგან ზესთ მდებარე იგი უცნაური ერთი და კეთილნაა“. განა დასაშვებია, *რომ* მიზეზი თავისი შედეგის თანამარადიულად ყოფილიყო გაჩრებული?

შემდეგ შ. ხიდაშელი წერს: „თუ გავითვალისწინებეთ იმ გარემოებას, *რომ* ფილოსოფიური შეხედულებანი, *რომლებსაც* პეტრიწი *ავითარებს*, სინამდვილეს „უზესთაეს“ საფუძველს აზროვნების სახით წარმოადგენს, კიდევ უფრო ცხადი გახდება ჩვენ მიერ გამოთქმული დებულება. „ერთი“ მარადიული აზროვნებაა, პეტრიწის მიხედვით თვალ სინამდვილე ამ „ერთთან“ ერთად თავიდანვე არის მოცემული და „ერთთან“, *როგორც* აზროვნებთან, *არის* ვანსაზღვრული. ხოლო *რადგანაც* აზროვნება „ერთთანთვის“ უარსებითეს თავისებურებას *წარმოადგენს*: *და მას* არ შეუძლიან არ იაზროვნის, *ამიტომ* (?!) *სამყაროს* რეალობა არათუ „ერთთა“ ნებელობასაგან ალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაა დამოკიდებული, არამედ აუცილებლობით არის განსაზღვრული“ (გვ. 80—81. ხაზი ავტორისაა. — თ. კ.). ამგვარად მსჯელობა, მეტი **რომ არ ვთქვათ,** დიდი გულუბრყვილობაა. **განა** ქრისტიანული ფილოსოფია სწორედ იმისეე **არ** ამტკიცებს, რაც აქ პეტრიწის **შესახებ** არის ნათქვამი? მოვიგონოთ იოანეს სახარების **დასაწყისი:** „პირველითაგან იყო სიტყუა, და სიტყუა **იგი** იყო ღუთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუა **იგი.** ყოველივე მის მიერ შეიქმნა და თვინიერ **მისა** არცა ერთი რა იქმნა, როდენი რა იქმნა“. **აქ** ხომ პირდაპირ გაიგივებულია აზროვნება („სიტ**ყუა“,** ლოგოსი) **და ღმერთი.** და განა აქედან ის **გამომდინარეობს,** რომ ახალი აღთქმის წიგნთა **შემქმნელთათვის** „სამყაროს რეალობა „ერთის“ (ღმერთის. — თ. კ.) ნებელობისაგან აღიარა დამოკიდებული“?

ამრიგად, ჩიდაშელის მიერ გამოთქმული მოსაზრება დიამეტრალურად ეწინააღმდეგება პეტრიწის თვალსაზრისს.

ავტორს მოჰყავს პეტრიწის თხზულებიდან შემდეგი ადგილი: „ვინაჲ აწ ისმინე, რამეთუ **სირათ-დასაბამნი და დასაწყნი დაუბადებელ და უმოქმენი (არიან)...** რამეთუ არცა პირველი ბუნებაჲ (წარმოიაყენა) ნაწილებითთა ბუნებათთაგან; **და არცა პირველი სხეული, რომელ არს ციხაჲ,** (წარმოიაყენა) **ნაწილებითთა სხეულთაგან. ვინაჲ** ესე ყოველნი (არიან) დასაბამ და აღუებელ და აღუქმ თჳს-ქუეშეთა სიბათაგან“ (გვ. 82) — და აკეთებს დასკვნას, რომ პეტრიწს სხეული სხვა დასაბამეთან ერთად ერთ-ერთ დასაბამად, ანუ საწყისად მიაჩნია.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ „პირველი სხეულის“ ჩიდაშელისეული ინტერპრეტაცია აგრეთვე ეწინააღმდეგება პეტრიწის თვალსაზრისს. პეტრიწი ამ „პირველ სხეულს“ ასე განსაზღვრავს — „რომელ არს ციხა“, რაც არაგვთარ ეჭვს არ იწვევს, რომ აქ ლაპარაკია **ეროვნული** პლატონისეულ გაგებაზე. პლატონიც ხომ **„იმ ქვეყანად“** უშვებდა **ყოველივე „ამქვეყნიერის“,** მათ შორის, სხეულის, ჴუჴის, თმის, ფურთხის **და** სხვათა **საწყისს. და** ეს **საწყისები** მასთან ისევე ბევრი იყო, როგორც „ამქვეყნიერი“ საგნები. მაგრამ ამავე დროს ეს ისეთი საწყისები იყო, რომელთაც მათ მიერ წარმოშობილ მატერიალურ საგნებთან არაფერი საერთო აღარ ჰქონდათ. ამავე აზრით ამბობს პეტრიწიც „პირველ სხეული, რომელ არს ციხაჲ“. ამრიგად, ეს ადგილი არ გამოადგება ავტორს იმის დასადასტურებლად, რომ პეტრიწმა მატერია საწყისად აღიარა.

ავტორს გაუშუქებელი დარჩა მრავალი საკითხი, **რომელთა** გაშუქება აუცილებელი იყო პეტრიწის ფილოსოფიის კვლევისას. სახელდობრ, ავტორმა არ შეადარა ერთმანეთს პროკლე და პეტრიწი, რაც საშუალებას მისცემდა **დაედგინა — რით არის ორგანალური პეტრიწის ფილოსოფია.** ავტორმა არაფერი თქვა პროკლესა და პეტრიწის დამოკიდებულებაზე არისტოტელისა და პლატონის ფილოსოფიისთან, საიდანაც **ამოდიან,** საბოლოო ჯამში, როგორც პროკლე, **ისე** პეტრიწი. ამის გამო მან არ გააშუქა საკითხი **პეტრიწის** დამოკიდებულებისა ნეოპლატონიზმთან. არაფერი ნათქვამი პეტრიწისა და **იტალის** ფილოსოფიათა ურთიერთობის შესახებ, **ერთისა** და **მრავალის** პრობლემის შესახებ, **რაც ძირითადი** საკითხი იყო პეტრიწის ფილოსოფიაში.

ყოველივე ამის უგულებელყოფის გამო ავტორმა ვერ შეძლო გაეშუქებინა „პეტრიწის ფილოსოფიის ძირითადი თავისებურებანი“, **ვერ** დაგვანახა, თუ რაში მდგომარეობდა **პეტრიწის ფილოსოფიის** ორიგინალობა და **პროგრესულობა** და **ამიტომ** სწორად **ვერ განსაზღვრა** მისი ადგილი ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ისტორიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანა კალანდაძის ლექსების წიგნი



როდესაც საუბარი ჩამოვარდება ხოლმე ანა კალანდაძის შესახებ, თითქმის ყველა სიტყვის შეუბრუნებლად აღიარებს, **რომ** მისი სახით ჩვენ გვყავს **ერთ**-ერთი **ყველაზე ნიჭიერი** და **ორიგინალური ახალგაზრდა** შემოქმედი; მისი პოეზიით თანაბრად აღტაცებულია მწერალთა, კრიტიკოსთა და ლიტერატურის მოყვარულთა უმრავლესობა (რაც, დაგვეთანხმებით, საკმაოდ იშვიათი მოვლენაა).

ამგვარი აზრი ერთხელ კიდევ დადებადებათ ანა კალანდაძის ლექსთა ახლახან გამოსული წიგნის (გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი") გაცნობისას. უკვე ყველამ კარგად გიცით, თუ როგორი ცხოველი ინტერესით შეხვდნენ მკითხველნი ამ წიგნს. ამ ინტერესს ისიც ამძაფრებდა, რომ პოეტის პირველი, საკმაოდ მცირე მოცულობის წიგნის გამოქვეყნებიდან კარგა ხანმა გაიარა, ხოლო პერიოდულ პრესას იგი ერთობ ძუნწად აწვდის ხოლმე ლექსებს.

ადრე ცნობილი ლექსების გარდა წიგნში მრავალი ახალი ნაწარმოებიცაა შეტანილი. მართალია, მათში არ გამოჩენილა პრინციპულად ახალი ელემენტები, მაგრამ ეს იმის როდი **ნიშნავს, რომ** პოეტი თავისთავს იმეორებდეს **ან** მხოლოდ ერთხელ გაკვალული გზით მიდიოდეს.

ერთ-ერთი რუსი ლიტერატურისმცოდნე წერდა თავგორის შესახებ: მისი პოეზიისათვის ყველაზე **ორსებითი** და დამახასიათებელია „დაუ**საბამის**, უსასრულოს წარმავალში, წამიერში **განსახებით** აღძრული სიხარული. თუ მოგიფიქრებენ ან კალანდაძის პოეზიისათვის მსგავსი ლაკონიური შეფასება მიგვეცა, შეიძლებოდა დაახლოებით ამგვარი რამის თქმა: ანა კალანდაძის პოეზიის ყველაზე არსებითი ნიშანია „უთვალავი ფერით" გაშლილი სამყაროს, ბუნების, ცხოვრების უაღრესად პოეტური აღქმით გამოწვეული სიხარული და მცირეში, თვით უმცირესსა და მინიატურულში, უმნიშვნელოვანესის, გრანდიოზულის დანახვის უნარი. ამიტომ ოე, ერთი მხრივ, გვხვდება ამგვარი სტრიქონები:

„ალდიდან ალდეებზე, ხევით ხევებზე
ზღაპრული ქარიოლის...
შენც გოლიათ, მზეც გოლიათი,
ალდეც გოლიათი..." —

მეორე მხრივ (და მეტწილად), პოეტი ამ დიადის, გოლიათურის ხილვას და ასახვას ცდილობს ხოლმე ჩვეულებრივი მზერისათვის ძნელად შესამჩნევი დეტალებით:

„მზის ღიმილი ალაჩინა ცამან,
ვარდს ალმოხდა ხმაი საოცარი:
ფეხშიშველი მიდიოდა თამარ...
დედოფალო, საით მიიჩქარი?
ძოწისფერად ირიგრაკა ცამან
და ბეჭედლს ალვიძებდა ქარი".

ანა კალანდაძეს უსაზღვროდ უყვარს ბუნების მრავალსახოვან სურათებსა და მოვლენებზე დაკვირვება, რაც უქმ მეკრეტელობად არასდროს იქცევა. პოეტის მიზანია ჩვენც განგვაცდევინოს აღტაცებისა და სიხარულის, სიცოცხლის სიყვარულის, სიღიადისა და მოჯადოებულობის ის გრძნობა, რომელიც ამ წუთებში ეუფლება ხოლმე. მისი სტრიქონებისაგან ალ-

ძრელ განწყობას სამოლოდ ღრმა გააზრებისაკენ მიეყვანართ. ამას თვითონაც გრძნობს და ამიტომაა, რომ ღამეული მინდვრის საოცრად მომიხიბლველი პეიზაჟის დახატვას თითქოს შუა გზაზე წყვეტს, მრავალწერტილს სვამს და მოკრძალებით ამას-და გვეუბნება: „ო, არის რაღაც უსაზომოდ დამფიქრალი...“

ლექსები „ლენინი ეისლბენში“, „საპირველმაისო“, „მე ვხედავ ვლადიმერ ლენინს“, „ვერ წაიღეს, ვერა“, და სხვ. ცხადყოფენ, რომ ამ ულორსად დახვეწილი ლირიკული ხმის მქონე შემოქმედს მძაფრი მოქალქეობრივი პათოსით, მგზნებარე ორატორული ინტონაციით შეუძლია ამეტყველება. ამ ტიპის ლექსები მისი შემოქმედების მშვენებაა.

ცალკე დგას ლექსთა ციკლი „ფუშაშინერ ბაბაჯანიანი“ — ტრირი დიალექტური ელემენტების მარჯვენა მოყენებით უადრესად კოლორიტულ სურათებს ქმნის. მიუხედავად **ერთგვარი** სტილიზაციისა, აგრეთვე გარკვეულ **რისკთან** დაკავშირებული თემატიკისა (პოეტი ერთთან გაბედულად იჭრება ვაჟას სამყაროში), ეს **ლექსები** დიდი ინტერესითა და სიამოვნებით იკითხება.

ანა კალანდაძის ენა, მისი ლექსიკა, სინტაქსი, მისი პოეტური სტილი სრულიად ახალ სამყაროს გადაგვიშლის. ამ მხრივ ის ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალურია თანამედროვე შემოქმედთაგან. აქ იმდენად საგულისხმო მოვლენასთან გვაქვს საქმე, **რომ**, ეფიქრობ, **ურიგო არ იქნება** ეს საკითხი სპეციალური მსჯელობის **საგნადაც** იქცეს.

რემაზ თვარაძე

მონოგრაფია ადამ მიცკევიჩზე



მიხეილ კვესელავას მონოგრაფია — „ადამ მიცკევიჩის ცხოვრება და მოღვაწეობა“ პირველი ქართული ლიტერატურულ-კრიტიკული ნაშრომია პოლონური ლიტერატურის ამ სახელგანთქმული კლასიკოსის შესახებ.

მონოგრაფიის დიდი ნაწილი დაწერილია ბიოგრაფიული **რომანის** ფორმით, რაც ეპოქალურისა და ოჯახურის, საზოგადოებრივისა და პიროვნულის, ისტორიულისა და ინტიმურის, იდეურისა და მხატვრულის ერთ ორგანულ მთლიანობაში განხილვას მოითხოვს მხატვრული შემოქმედების **კრიტიკული** ანალიზის დროს.

ამგვარი ფორმა სავსებით მიზანშეწონილია სწორედ ადამ მიცკევიჩზე დაწერილი კრიტიკული ნაშრომისათვის, რადგან მიცკევიჩის მთელი ცხოვრება შემოქმედებითი წვაა, ხოლო შემოქმედება — ცხოვრების უმთავრესი აზრი. მ. კვესელავას კრიტიკულ ნაშრომში კარგადაა გათვალისწინებული ეს გარემოება; აშკარაა, რომ **კრიტიკოსი** ახლოს იცნობს შეკრილ სულიერ სამყაროსა და შემოქმედებითს საიდუმლოებას, გრძნობს **მხატვრის** სპეციფიკას, სათანადო ფორმით, პოეტური ექსპრესიითა და მეტყველი ხატოვანი ენით მოგვითხრობს ყოველივე ამის შესახებ.

მ. კვესელავას წიგნი ვრცელი მონოგრაფიული ნარკვევია. მასში ფართოდაა გარჩეული ადამ მიცკევიჩის თხზულ ბა ყველა მხატვრული ნაწარმოები, დაწყებული ადრეული პოეტური კრებულიდან — „ბალადები და რომანსები“, კლასიკურ პოემებამდე — „პან ტადეუში“ და „ძიადები“, აგრეთვე დიდი რაოდენობა პოეტის კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილებისა და ვრცელი მემუარული ლიტერატურა.

მონოგრაფიაში ნაჩვენებია ა. მიცკევიჩის პოეზიის ხალხური ხასიათი, მწერლის სოციალურ-პოლიტიკური და ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებების ახლო კავშირი მაშინდელი პოლონეთისა და სხვა ქვეყნების პროგრესულ აზრთან, ვრცლადაა დახასიათებული პატრიოტული, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოტივები პოეტის შემოქმედებაში. საერთოდ, ა. მიცკევიჩის ცხოვრება და შემოქმედება წიგნში გარჩეულია ეპოქის მთელი ლიტერატურული პროცესის ფონზე და, რაც მთავარია, მკვეთრადაა მოხაზული პოეტის ადგილი XIX საუკუნის პოლონური ლიტერატურის ისტორიაში.

მონოგრაფიის **ავტორი** გაბედულად მსჯელობს რთულ, პრობლემატურ საკითხებზე, ახლებურად აშუქებს პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთ მხარეს. საგანგებო აღნიშვნის ღირსია, კერძოდ, წიგნის ის ადგილები, სადაც დახასიათებულია ა. მიცკევიჩის პოეზიის შემოქმედებითი სიწყისები და მხატვრული შემოქმედებითი მეთოდის თავისებურებანი.

შრომის ავტორი სამართლიანად უარყოფს ზოგიერთი კრიტიკოსის ცდას ერთი (რომანტიკული ან რეალისტური) ლიტერატურული მიმართულების ფარგლებში აქნეს განხილული ა. მიცკევიჩის ყველა მნიშვნელოვანი ნაწარმოები. **იგი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც იმათ თვალსაზრისს იზიარებს, ვინც „წმინდა“ რომანტიკულ და „წმინდა“ რეალისტურ ნაკადებს ეძებს პოეტის შემოქმედებაში. მ. კვესელავა სწორად აღნიშნავს, რომ ა. მიცკევიჩის მხატვრული შემოქმედებითი მეთოდის ხასიათს რომანტიკული და რეალისტური ტენდენციების ურთიერთობა განსაზღვრავს, რომ „პან ტადეუშის“ ავტორთან რომანტიკულ გარსში იმთავითვე ძლიერია რეალისტური ნაკადი, რომელიც თანდათან ძლიერდება და ბოლოს წამყვანი მნიშვნელობისაც კი ხდება.

ადამ მიცკევიჩის შემოქმედებაში, როგორც ვთქვეთ, იმდენად ორგანულადაა შეერთებული სოციალური და ინტიმური, საზოგადოებრივი და პიროვნული, რომ მათი ერთდროული გათვალისწინების გარეშე ზოგჯერ შეუძლებელიც კია ნაწარმოების ლიტერატურული ახსნა. სწორედ ამიტომაა, რომ მონოგრაფიის ავტორს მეცნიერული კვლევისათვის საჭირო სიმაღლემდე აჰყავს არა მარტო ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტები, როგორიცაა ა. მიცკევიჩის მონაწილეობა ვილნიუსის ეროვნულ აჯანყებაში, პოეტის ახლო ურთიერთობა გოეთესთან, პუშკინთან და ტუს დეკაბრისტებთან, არამედ ერთი შეხედვით წმინდა ინტიმური ამბებიც კი, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს მის ცხოვრებაში.

მონოგრაფიის ავტორი, რომელიც ჩვეულებრივ არ იფარგლება მოვლენების ვიწრო აკადემიური შესწავლით და ცდილობს მოიცვას ყველაფერი, რასაც რაღაც კავშირი მაინც აქვს კვლევის საგანთან, ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით აშუქებს პოლონეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის აქამდე ნაკლებად ცნობილ საკითხებს და გვაცნობს პოეტის ზოგიერთი შემოქმედებითი ნიმუშის (მაგალითად, „ფარისის“) საქართველოში გავრცელების ისტორიას.

შეიძლებოდა წიგნის კიდევ ზოგიერთი სხვა ღირსების აღნიშვნა, მაგრამ, ეფექრობთ, ნათქვამითაც ცხადი უნდა იყოს, რომ მიხეილ კვესელავას „ადამ მიცკევიჩი“ მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული შრომაა.

ზურაბ დავითაძე

ხუტა ბერულავას ერთტომეული



ხუტა ბერულავის „ერთტომეული“ პოეტის მრავალფეროვანი, ნაყოფიერი მუშაობის შედეგია. ეროვნში გამომქმედენდა ავტორის ღრმა პოეტური აზროვნება, თანადროულობის აღქმის უნარი, შინაგან განცდათა სიწრფელე. მთავარი, რაც ეროვნის გადაკეთებისას იგრძნობა, ეს არის შეუნელებელი სწრაფვა ფართო მხატვრული განზოგადებისაკენ, დღევანდელობის მახვილი თვალით დანახვა, ემოციური ნიუანსებით, მეტყველი პოეტური ხერხებით მკითხველამდე მისი მიტანა.



ეს იმ მიწის სურნელება, რომელიც ქართული მზითაა გამთბარი. ხუტა ბერულავასთვის ნიშანდობლივია მდელვარე, ორატორული ინტონაცია, დინამიკური რიტმი, მაგრამ მისი ლექსების რიტმული ტაქტი ამასთან შეფერილია ნაზი ლირიკული სიმღერით.

პოეტის თემატური არე უაღრესად ფართოა. თემატურ მრავალფეროვნებას მივყავართ დიდი დღეკანდელობის სათავეებთან. პოეტი ერთნაირი სიყვარულით წერს სამშობლოსა და სიცოცხლეზე, შობილ დედასა და საოცნებო ასულზე, სამამულო ომის გმირებსა და ფარსულის სურათებზე; მაგრამ ამ თემების წარმოსახვისას ავტორის“ პოეტური ლოგიკა ეპორჩილება თემატიკის ხასიათს, მის ემოციურ შინაარსს, რაც იწვევს პოეტური მეტყველების ცვალებადობას. თანამედროვეობის სიდიადის გადმოცემისას პოეტის თხრობა დინჯია, დარბაისლური და

ღრმად ოპტიმისტური. ექსპრეს

ის გასაღრმავებლად ავტორი აშველიებს ორატორულ მონაცემებს, რაც ზრდის ლექსის დინამიკას, შინაგან დაძაბულობას.

ანალოგიურია სამმაულო ომის მრისხანე დღეებში დაწერილი ლექსები, რომლებიც მტერთან ბრძოლაში დაღუპულ ვეგორას ეეხება. ამ შეხვედვაშიც ავტორის შემეცნება მოქალაქეობრივ შეგნებამდე ადის და პოეტის ინტელექტი საზოგადოებრივ იდეალს ემორჩილება. ლექსის რიტმი სტრიქონებს უაღრესად ძმაური ზემოქმედების უნარს ანიჭებს. ამ ლექსებში იმ ადამიანების უკვდავებაა ხაზგასმული, რომლებმაც სიკვდილით სიცოცხლის უფლება მოიპოვეს.

ხალხთა მეგობრობის თემა პოეტის შემოქმედების დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს, მაგრამ **მეგობრობის ყოველსმძლე იდეებზე დეკლარაციულ მსჯელობას** როდი მიმართავს პოეტი; იგი ცდილობს აღნიშნულ თემას თავისებური **ორიგინალური ქვეტექსტური** შინაარსი მოუძებნოს და მას ახლებური ძღვიადობა შესძინოს („ლილიანა“, „რუსის წყარო“, „შეხვედრა ოულ ჭოჭში“).

სამშობლოს წარსული პოეტისათვის ერთ-ერთი საყვარელი თემაა. საამაყო ქართველი მამულიშვილებისადმი მიძღვნილი ლექსები, რომლებიც თავმოყრილია ციკლში „ვარძიის გზაზე“, მიგვახედებს გარდასული დღეებისაკენ და ჩვენს [illegible] ერებში თანდათანობით ზორცს ისხამს [illegible] საქართველოს ფერგადასული კონტურები. ბერულავას უყვარს მტვერგადაყრილისა და მივიწყებულის გახსენება, საუკუნეების წყვდიადში მიმქრალ წინაპართა ბრძოლების გაცოცხლება, მათი შთამაგონებელი სახეების სტრიქონებში ამეტყველება და ამგვარად წარმავალისა და ერთდროულის გამარადებება. ამიტომ ამბობს პოეტი საქართველოში გურამიშვილის წიგნის ჩამომტანის მირიან ბატონიშვილის შესახებ: „...დავიწყებას მსურს გადაურჩეს „დავითთანამ“ გადამარჩენელთა“.

ხ. ბერულავას შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ლტოლვა ეპიური თხრობისაკენ; პოეტი აქაც საგულისხმო შედეგებს აღწევს. მისი ლირიკულ-ეპიკური პოემები „სიმღერა ვარსკვლავებზე“, „რუსული გული“, „მწვანე ხომალდი“, „კოლური ლეგენდა“ გამოირჩევა მტკიცედ შეკრული კომპოზიციით, ტევადობით, ლირიულობით. ამ პოემებში მკაფიოდ მეღაენდება ბერულავას, როგორც თანამედროვე ეპოქის ადამიანის, რეალისტური მსოფლშეგრძნება, მისი **პოეტური** დიალპზონის სიფართოვე.

„ერთტომეულში“ წარმოდგენილი მასალები ცხადდოფენ, რომ პოეტი ნაყოფიერად მუშაობს სამაგმვო ლირიკისა და თარგმანების დარგში.

ᲯᲔᲜᲔᲢᲘ ᲭᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐᲜᲘ

ᲰᲐᲜᲘᲡᲚ „ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲒᲘᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ“ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ

ირაციონალურად მწერალი ცდება ზოლმე თავისი რომელიმე ნაწარმოების შეფასებაში, ასე დაემართა ჰანესსაც, როცა 1826 წელს თავისი „მოგზაურობის სურათების“ პირველი ტომი გამოაქვეყნა. მას ეგონა — ჩემს პროზას წარმატება არ ხვდებაო. მოხდა კი პირიქით. „მოგზაურობის სურათებმა“ სენსაცია გამოიწვიეს. შემონახულია ჰანეს თანამედროვეთა მოგონებები, რომლებშიც აღწერილია ის განუმეორებელი შთაბეჭდილება, რაც ჰანეს პროზას იმდროინდელ გერმანიაში მოუხდენია. ჰანეს ერთ-ერთი მიოგრაფი წერდა: „რესტავრაციის პერიოდის უღიმღამო, უნიათო ზანაში ამ წიგნმა ელვასავით გაკვეცა და თვალსმომჭრელად გაანათა ის დღეები“.

ეს იყო უჩვეულოდ ორიგინალური, საოცრად მრავალფეროვანი და ნაირბგეროვანი პროზა. ამ წიგნით ჰანეს გერმანულ ლიტერატურაში აღიარეს უბრწყინვალეს სტილისტად, რომელმაც ჯადოსნური მოქნილობა, მუსიკალობა, ფეროვნება და მანამდე არნახული გამომხატველობა მიანიჭა გერმანულ ენას, პოეზიითა და ჯეუფამანელობით აღავსო იგი. ჰანერმ გერმანულ ენას ახალი შესაძლებლობანი და ღირსებანი აღმოუჩინა, შთაბეჭა მას ის სუბიექტური უშფალობა და ფუღურფალობა, რაც ჰანეს პროზის განუმეორებელ ლირიკულობას ქმნის.



ჰანეს „მოგზაურობის სურათებში“ თვალსა და ყურის მომჭრელად ენაცვლებიან ერთმანეთს სერიოზულობა და ხუმრობა, სატირული ტონი და აღტაცება, სარკაზმი და პათეტიკა, ფიუსტური გოგლგასნილობა და მეფისტოფელის სკეპსისი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მოგზაურობის სურათებში“ ჰაინე სატირის, ირონიისა და ჯუამახვილობის იარაღით იბრძვის მისდრონდელი გერმანიის სოციალური უკუღმართობის, რუტინული და რეტროგრადული სულის, ფილისტერობისა და შეზღუდული „აკადემიზმის“ წინააღმდეგ. მეორე მხრივ, იგი ანგარიშს უსწორებს პირად მტრებსა და თავისთვის ანტიპათიურ პიროვნებებსა და პოეტებს, რომელთა განჭიჭებაში იგი ზოგჯერ რაბლესა და სხვა რენესანსული ავტორების უხეშო, ეულგარული კომიზმისა და ძარღვიანი ბურლესკის გამოყენებასაც არ ერიდება (ხანდახან მოწინააღმდეგის ფიზიკურ-ბიოლოგიურ ნაკლსაც კი იშველიებს სატირულ-სარკასტული ეფექტის გასაძლიერებლად).

ყოველგვარი წინასწარი შენიშვნისა და განმარტების გარეშე უნდა ითქვას: „მოგზაურობის სურათების“ ქართული თარგმანი, რომელიც ჯორჯანელებმა შეასრულეს და ამას წინათ გამოსცა სახელგამმა, თითქმის კონგენიალურ ზღვარამდეა მიყვანილი, ძირითადად დაცულ და შენარჩუნებულია ჰაინეს პროზის თითქმის ყველა თვისება და დამახასიათებელი მხარე, მოხდენილადაა შოძებნილი გერმანული იდიომებისა და სპეციფიკური გამოთქმების ქართული ექვივალენტები და, რაც მთავარია, დაუმახინჯებლადაა გაქართულებული ჰაინეს ბრწყინვალე ჯუამახვილობა.

ამას ხაზგასმით იმიტომ აღვნიშნავ, რომ ჩვენ არა ვართ განებივრებული ჰაინეს შემოქმედების კვალიფიციური, მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებული თარგმანებით. ამიტომაა, რომ გერმანული ენის უცოდინარ ქართველ მკითხველს ზოგჯერ დაბალი წარმოდგენა ექმნება მწერლის ცალკეულ ქმნილებებზე, რადგან იგი ხშირად არაკვალიფიციური თარგმნელების მიერ არის შესრულებული.

ნოდარ ჯართველიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბენო გოძიეზიანი

მიხეილ ზიჩის ზოგიერთი სურათის შესახებ

იმ უცნობულ მხატვრთა შორის, რომლებიც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მოვიდნენ საქართველოში და მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ქვეყნის კულტურული აღორძინების საქმეში, ქართველი ხალხის ყველაზე მეტი სიყვარული დაიმსახურა უნგრელმა მხატვარმა მიხეილ (ბიხი) ზიჩიმ (1827 — 1906) [1].

ჩვენი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს ინ დიდ ამაგს, რომელიც ზიჩიმ დასდო „ვეფხისტყაოსნის" დასურათებას და მის ბრწყინვალე გამოცემას.

დღეს დემოკრატიულ უნგრეთში ზიჩის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მრავალი წერილი და მონოგრაფია იწერება, მათში საკმაო სიცხადით არის გაშუქებული ზიჩის ღვაწლი „ვეფხისტყაოსნის" დასურათების საქმეში, ბაგრამ გარდა ამ ნაშუშევრებისა, არაფერია ნათქვამი იმ სურათების შესახებ, რომლებიც ზიჩიმ შექმნა საქართველოს ცხოვრებიდან. ეს სურათები ჩვენშია ნაკლებადაა ცნობილი და დღეს პირველად ვაქვეყნებთ.

ვფიქრობთ, ამ სურათების გამოქვეყნება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საბჭოთა საქართველოსა და დემოკრატიულ უნგრეთს შორის ძმობისა და მეგობრობის განმტკიცებას და მეტ ნათელს მოაფენს ინ დიდი ხელოვანის ცხოვრებასა და შემოქმედების, რომელსაც მიმეინარე წელს უსრულდება ას ოცდაათი წელი დაბადებიდან.

ამ სურათებიდან პირველი რიგში აღსანიშნავია უკანასკნელ დროს აღმოჩენილი ზიჩის „ქართველი ქალის" პორტრეტი, რომელიც ჩვენმა ცნობილმა პოეტმა გრიგოლ აბაშიძემ მოსკოვში შეიძინა და თბილისს ჩამოიტანა. ამ წერილში შევეხებით აგრეთვე ზიჩის სამ გრაფიკულ სურათს: წმიდა ნინოს ცხოვრებიდან, იაკოლის მონასტრის ნახატს და კარნ ერისთავის პორტრეტს, შესრულებულს ზიჩის ნიჭიერი მოწაფის მერი ეტლინგერის მიერ.

ქართველი ქალის პორტრეტი დასრულებია მთელი ტანით. შესრულებულია წყლის ფერებით და ფანქრით. როგორც ჩანს, იგი უფრო ეთნოგრაფიული მიზნით არის გაკეთებული. მეტი ყურადღება აქვს მიქცეული ტანისამოსის დეტალებს და მის ფერადოვნებას. ცნობილია, რომ ზიჩი დიდად იყო დაინტერესებული სხვადასხვა ერების წარმომადგენელთა, განსაკუთრებით კავკასიელთა, ჩაცმულობით. ამის შესახებ უნგრელი ხელოვნებისმცოდნე ილონა ბერკოვიჩი, რომელიც ამჟამად მუშაობს ზიჩის ვრცელ მონოგრაფიაზე, წერს:

„ზიჩი დიდი ინტერესით ეპყრობოდა კავკასიის ხალხებს, მისი სიმპათია მითდამი უფროდაუფრო ღრმავდებოდა და კულმინაციურ წერტილს მიაღწია ქართველებთან მეგობრული დამოკიდებულების დროს. ამის შედეგია მისი ჩინებული ილუსტრაციები რუსთაველის ეპოსისა, შექმნილი მხატვრის მიერ რუსეთში შეორედ ჩასვლის შემდეგ" [2].

ახალაღმოჩენილი პორტრეტი შესრულებულია ბაღალი გემოვნებით და ზიჩისათვის დამახასიათებელი დიდი რეალისტური ოსტატობით. გარდა მხატვრული ღირსებისა, ეს პორტრეტი საყურადღებოა აგრეთვე შესრულების თარიღითაც (1874 წელი), რასაც ერთგვარი სიახლე შეაქვს ზიჩისა და ქართველი საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების საკითხში. დღემდე გავრცელებული იყო აზრი, რომ ზიჩი მაშინ დაუახლოვდა ქართველებს, როდესაც მან თავს იდვა „ვეფხისტყაოსნის" დასურათება, ე. ი. 1881 წელს.

[1] დღემდე ჩვენში ზიჩის დაბადების თარიღად მიჩნეული იყო 1829 წელი. როგორც საბოლოოდ გამოირკვა და დადასტურდა, ზიჩი დაბადებულა 1827 წლის 15 ოქტომბერს.

[2] Илона Беркович — „Михай Зичи и русское искусство".

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Ძ. ᲖᲘᲩᲘ—„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ“.

ᲐᲛ ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ ᲙᲘ ᲒᲒᲜᲘᲕᲔᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲖᲘᲩᲘ ᲑᲔᲓᲠᲐᲓ ᲣᲤᲝᲠᲛ ᲐᲓᲠᲣ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲑᲣᲚᲘ ᲩᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲒᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ, ᲒᲘᲦᲠᲔ ᲔᲡ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ. ᲡᲮᲕᲐ ᲛᲮᲠᲘᲗᲐᲒᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝ ᲔᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ: ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲕᲘᲪᲘᲗ, 1874 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘ ᲩᲔᲜᲘᲗ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲜᲘᲗ ᲒᲐᲘᲛᲔᲖᲐᲠᲐ ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ ᲓᲐ ᲔᲣᲠᲝᲠᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲐᲚᲥᲔᲑᲨᲘ. ᲐᲓᲘᲠᲔᲜᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲘᲡᲘᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲘ ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲜᲓᲔᲚᲘᲡᲐᲜᲘ. ᲔᲡ ᲙᲘᲓᲘᲕ ᲣᲤᲝᲠᲛ ᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲡ ᲘᲜᲢᲠᲔᲡᲘᲡ ᲐᲛ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘᲡᲐᲓᲛᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲛᲘᲗ ᲣᲓᲐᲒᲐᲜ ᲖᲘᲩᲘᲡ ᲛᲫᲘᲠᲐᲓ ᲙᲐᲨᲘᲠᲘ ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ ᲛᲧᲝᲤ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ. ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲗᲥᲕᲐᲗ, ᲠᲝᲛ „ᲔᲕᲔᲤᲘᲡᲢᲐᲧᲝᲤᲘᲡᲘᲡ“ ᲓᲐᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲪ ᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲑᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ ᲓᲐᲘᲪᲐᲓᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲗᲨᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲠᲘᲪᲘᲔᲚᲐ.

ᲖᲘᲩᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲮᲝᲠᲔᲑᲘᲡᲐᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐᲓᲛᲘ „ᲔᲕᲔᲤᲘᲡᲢᲐᲧᲝᲤᲘᲡᲘᲡ“ ᲓᲐᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲝᲛᲐᲠᲗᲣᲚᲐ. ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲕᲘᲜᲔᲡᲘᲡᲬᲘᲜᲔ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲒᲠᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ „ᲔᲕᲔᲤᲘᲡᲢᲐᲧᲝᲤᲘᲡᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲓᲐ (1888), ᲖᲘᲩᲘ ᲙᲚᲔᲜᲐ ᲔᲬᲕᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲜ ᲩᲐᲛᲝᲢᲐᲜᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲓᲐᲖᲜᲣᲠᲘ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲣᲚᲘ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ ᲬᲘᲜᲝᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲓᲐᲜ. ᲔᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ ᲛᲐᲜ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲨᲘ ᲧᲝᲧᲜᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲡ ᲤᲝᲢᲝᲪᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲐ ᲡᲐᲛ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲐᲓ, ᲛᲪᲘᲠᲔ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲗᲐᲜᲘᲗ. ᲐᲛ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲖᲘᲩᲘᲡ ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲐᲚᲑᲐᲗ ᲛᲐᲗᲗᲘᲗᲘ, ᲘᲡᲔᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲑᲔᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘᲗᲐᲜᲐᲒᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ, ᲔᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲣᲪᲜᲝᲑᲘᲐ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲛ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲩᲐᲜᲡ, ᲖᲘᲩᲘ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲚᲔᲓᲔᲒᲘᲡᲓᲐ ᲧᲜᲘᲗᲝᲗ ᲓᲐ ᲘᲛ ᲡᲙᲣᲚᲞᲢᲝᲠᲣᲚᲘ ᲝᲥᲠᲝᲩᲔᲓᲘᲓᲘᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲬᲛᲘᲓᲘᲡ ᲜᲘᲜᲝᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲔ ᲛᲮᲐᲠᲔᲑᲘ. **ᲘᲡ ᲯᲔᲓᲐᲠᲘ** ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲡᲘᲝᲜᲡᲙᲘ ᲪᲐᲓᲐᲠᲨᲘ, ᲓᲐ ᲝᲥᲠᲝᲩᲔᲓᲘᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲘᲜᲘᲐᲗ ᲒᲐᲜᲫᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ. ᲖᲘᲩᲘᲡ ᲛᲘᲠᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲠᲐ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲡᲘᲣᲟᲔᲥᲢᲘ ᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲛ ᲯᲔᲓᲠᲘᲗ ᲛᲗᲝᲗᲐᲕᲡᲘᲡᲬᲘᲜᲔ ᲡᲣᲠᲐᲗᲓᲐᲜ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲐᲗ, ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ, ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲡᲐᲠᲗᲝᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲗ. ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲐᲛ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲣᲟᲔᲥᲢᲔᲑᲘ ᲠᲔᲚᲘ�გᲘᲝᲖᲘᲐ ᲛᲘᲗᲘᲡᲛᲝᲛᲬᲘᲜᲔᲚᲘᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲦᲑᲔᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲕᲐᲜᲔᲚᲘᲡᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐ ᲛᲐᲗᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ, ᲐᲠᲐᲛᲘᲜᲓᲔ ᲛᲮᲐᲢᲒᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲚᲘᲯᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲡᲐᲚᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲖᲘᲩᲘᲡ ᲣᲐᲮᲚᲝᲡᲜᲔᲑᲘᲡᲐᲓᲐ ᲐᲘᲠᲩᲘᲡᲜᲘᲚᲘᲡ ᲔᲗᲔᲛᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲒᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲘᲧᲝᲜᲓᲔᲑᲐ ᲐᲘᲠᲩᲘᲡᲜᲘᲚᲘᲡ ᲔᲗᲔᲛᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲒᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲠᲔᲚᲘᲯᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲡᲐᲚᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲖᲘᲩᲘ ᲣᲐᲮᲚᲝᲡᲜᲔᲑᲘᲡᲐᲓᲐ ᲐᲘᲠᲩᲘᲡᲜᲘᲚᲘᲡ ᲔᲗᲔᲛᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲠᲩᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲐᲗᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ, ᲐᲠᲐᲛᲘᲜᲓᲔ ᲛᲮᲐᲢᲒᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲚᲘᲯᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲡᲐᲚᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ. ᲛᲘᲡ ᲡᲣᲚᲔᲠᲘ ᲫᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲠᲛᲝᲜᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ, ᲨᲔᲣᲓᲔᲑᲠᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ, ᲓᲦᲔᲓᲦᲔᲡᲐᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ, ᲨᲔᲣᲓᲔᲑᲠᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲨᲔᲣᲓᲔᲑᲠᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲔᲛᲘᲡᲒᲕᲘᲪᲔᲛᲓᲔᲜᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲝᲠᲘᲜᲘ ᲡᲐᲛᲐᲧᲠᲝᲡ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲨᲖᲔ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲛ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲬᲘᲠᲘᲡᲘᲗ ᲖᲘᲩᲘᲡᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲡ, ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲔᲪᲔᲜᲝᲠᲘᲗᲐ ᲛᲮᲐᲢᲒᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲝᲛᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲬᲠᲐᲤᲘᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲐᲓ ᲐᲡᲐᲮᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘᲡ.

ᲐᲛ ᲜᲐᲮᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲥᲕᲗ ᲡᲐᲠᲗᲝ ᲡᲐᲣᲙᲔᲡᲣᲠᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძხატვრობასთან, ისინი ცხოვრებიდან არიან აღებული და ადამიანის განცდებსა და გრძნობებს გვიხატავენ. ალბათ ამით აიხსნება, რომ ჩვენმა სამეფოდელოებამ მეტად გულცივად მიიღო დიდი მხატვრის ეს საჩუქარი და მათ შესახებ არაფერი თქმულა.

მართლაც მომხიბლავია ტბაფარავნის პეიზაჟის ფონზე მძინარე ქალწულის სახე თავისი ბუნებრივი გამომეტყველებით. მგზავრობით დაღლილი ადამიანის ოცნება და ფიქრები უფრო რეალური ცხოვრების სეენას გამოხატავენ, ვიდრე რელიგიური ექსტაზისას. ასეთი რეალობა უფრო მეტი სიძლიერით არის გადმოცემული მეორე სურათში, სადაც მაღალი ვაზის ძირას მძინარე ახალგაზრდა ქალს ღვთისმშობელი ესახმრება.

ნინოს სახით მხატვარი იძლევა კეთილშობილებისა და უმანკოების იდეალს. ადამიანის ბუნებრივი სახე ჰარმონიულად არის შეხამებული ეროსული ბუნების განწყობასთან. ამ სურათებში ქალწულის სახე პოეტური ეშხით არის აღბეჭდილი, იგი სავსეა დიდი ზნეობრივი ძალით, სილამაზით და ამქვეყნიური სულიერი წმინდა ნინოს ზიჩისეული სახე, სადაც სიცოცხლის ლამაზი ისევე ჩქეფს, როგორც იმ ბუნებაში, რომლის ფონზედაცაა იგი მოცემული, ძლიერ შორს დგას უსულგულო და გრძნობებგაყინული საეკლესიო წმიდანის სახისაგან.

ზიჩის მიერ შექმნილი წმიდა ნინოს სურათები სანიმუშოა რელიგიური სიუჟეტის ახლებურად გაგებისა და გამოსახვის თვალსაზრისით. ეს სურათები ახალ სხივს ჰფენენ როგორც დიდი მხატვრის შემოქმედების ნაირსახეობას, ისე იმ ეგზარტულ დამოკიდებულებას, რომელიც არსებობდა ზიჩისა და ქართველ ხალხს შორის.

•

იკორთის მონასტრის სურათი, რომელიც ზიჩიმ იკორთაში ყოფნის დროს დახატა, შესრულების მიზეზით უფრო საინტერესოა, ვიდრე მხატვრული ღირსებით.

1888 წელს „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის დიდი მოამაგე ითნა მეუნარგია ზუგდიდიდან ატყობინებდა თავის ნაცნობებს ჯიხაიშში — ზიჩის ცნობილი მოწაფე მხატვარი ქალი მერი ცოლად გაჰყვა კონა ერისთავის შვილს კოლასო. ეს ცნობა საინტერესოა ჩვენთვის იმდენად, რამდენადაც იგი დაკავშირებულია იკორთის მონასტრის სურათის შექმნასთან, აგრეთვე ზიჩის და ქართველი მოღვაწეების მეგობრულ დამოკიდებულებასთან.

ახალგაზრდა მხატვარ ქალს ზიჩის ბიოგრაფიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. მერი დიდი თაყვანისმცემელი იყო თავისი მასწავლებლისა, რომელიც არანაკლებ აფასებდა ახალგაზრდა ქალის მხატვრულ ტალანტს და განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა მისდამი. მერი მუდამ თან ახლდა ზიჩის ევროპაში მოგზაურობის დროს. როდესაც ეს ქალი ერისთავმა შეირთო და იკორთაში მოიყვანა, ზიჩი, რა თქმა უნდა, დაინტერესდებოდა მისი ბედით. ამიტომ, როდესაც ის საქართველოში მეორედ ჩამოვიდა [1], იკორთას მიაშურა და ინახულა თავისი მეგობარი მოწაფე. ეს მონასტერიც იმ დროს არის დახატული.

იკორთაში ცხოვრების სამახსოვროდ მერის დაუხატავს თავისი მამამთილი, ცნობილი მოსასპარეზე კონა ერისთავი. ამკვამად ჩვენ ამ პორტრე-

მერი ალექსანდრა—კონა ერისთავის პორტრეტი.

[1] ზიჩი თან ახლდა მეფე ალექსანდრე მესამეს და დედოფალს მათი მოგზაურობის დროს საქართველოში 1888 წლის შემოდგომაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტის მზოლოდ ფოტოპირი მოგვეპოვება, სიდანაც ჩანს მერი ეტლინგერის მაღალი მხატვრული ნიჭი და შემოქმედებითი ძალა[1]. ეს პორტრეტი როგორც რეალისტური მეტყველებით, ისე ოსტატური შესრულებით ქართველი ფეოდალის განზოგადებულ სახეს იძლევა და ტიპიური პორტრეტის მნიშვნელობისაა.

[1] იმ დროის ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა მერი ეტლინგერის ნამუშევრები.

თუ ზემოხსენებულ სურათებს დაუმატებთ ამ თექვსმეტ მეგობრულ მარსა და კარიკატურას, რომელიც ზიჩიმ შექმნა „ეეფხისტყაოსნის“ ვეფრებზე და ოინა მეუნარგიაზე[2], მაშინ ზიჩის მხატვრული მოღვაწეობა საქართველოში უფრო სრულყოფილად იქნება დანახული, უფრო ცხადად წარმოვიდგენთ, რა უანგაროდ უყვარდა ამ დიდებუნებოვან ადამიანს ქართველობა და რა ამაგი დასდო მან ჩვენს ხალხს.

[2] ამჟამად ინახება ზუგდიდის მუზეუმში.

გიორგი გეთანელი

„საზრიანი კუ“

წინწკლებმა გაორება მოითხოვეს

დიდი ძალა აქვს სასვენ ნიშნებს. ზომ გაგიგონიათ, ძველ დროში ყოფილა შემთხვევა, როცა ერთი კაცის ბედი ერთი მძიმის კუდზე ეკიდა თურმე. ამ კაცს ცოცხალს დატოვებდნენ ან მოკლავდნენ იმის მიხედვით, თუ სად დასვამდნენ მძიმეს. მეფის პრძანების ტექსტში.

თუმცა ორი მძიმე ერთად, ჩვენ წინწკლებს რომ ვეძახით, სასვენი ნიშანი აღარ არის, მაგრამ მახაც ნაკლები ძალა როდი აქვს ზოგჯერ.

„საზრიანი კუ“. წინწკლებმა იხსნეს ეს სათაური რედაქტორის ყოველისშემძლე კალმისაგან. წინწკლების გარეშე ამა თვინ იკისრებდა საზრიანი გაეხადა კუ და ამით ექვი შეეტანა მატერიალისტური ფილოსოფიის საყოველთაოდ აღიარებულ დებულებაში: აზროვნება მხოლოდ ადამიანს შეუძლიაო.

სწორედ მოაზროვნე ადამიანმა კარგა ხანია მიაგნო არსებობისათვის ბრძოლით გამოწვეული სხვადასხვაგვარი მოქმედების წყაროს ცხოველებში. მიაგნო და დაამტკიცა, რომ ცხოველი ისევე ვერ ეგუება აზრსა და ლოგიკას, როგორც ენიქელი თოვლს და თოვლი სითბოს, რომ ზღარბის ზურგზე ეკლების აყრა და კუს მიერ თავფეხის „ქურქში“ შეფარება რეფლექსური მოვლენებია.

მაგრამ თუ რეფლექსური მოვლენა მხოლოდ ცოცხალი არსებისათვის არის დამახასიათებელი, ხოლო ჩვენ კი უსულო „საზრიანი კუზე“ გვაქვს ლაპარაკი, მაშინ?

მაშინ ორმაგი წინწკლები დაგვჭირდება უთუოდ. აზრის ორმაგად შესაცვლელად ორმაგი წინწკლები ჯერ შემოსული არ არის პუნქტუაციაში, თხრობა კი გაგვირთულდა. ამიტომ ჯობს თავი დავაღწიოთ ზოგად მსჯელობათა ლაბირინთს (თავგზე და ლაბირინთზე შემდეგ, თავის ადგილზე) და პირადად გავეცნოთ „საზრიან კუს“.

სამშაბათის საკვირველებანი

მის სანახავად კუს ტბაზე ასვლა არ მოგიხდებათ, არც ზოოპარკის ბილეთის ყიდვა. იგი ერთადერთია საკვირველოში. და როდესაც ამას წინათ „საზრიანმა კუმ“ თავბატიფის გარეშე მიიღო „ცისკრის“ რედაქციის მოწვევა და გასხულ სამშაბათს, ხალამოს, გვეცნობა (თვმდაბალობაც ზომ მოაზროვნეთა თვისებაა), ჩვენ ცოტა არ იყოს დავიბენით — ერთი ზანტი ფოტორეპორტიორიც კი ვერ დავაბვედრეთ იშვიათ სტუმრის (მოქნილ, ხელსწრაფ რეპორტიორს ვანგებ მოვიხიდეთ — შეგვეშინდა ვერ მოახერხებდა „აზროვნების“ პროცესში კუს მოძრაობათა ფოტოფირზე აღბეჭდვას). შემდეგ გამოირკვა, რომ ჩვენს მხატვარს მაინც უმარჯვენია.

მის პირველ ჩანახატზე თქვენ ხედავთ საოცარი კუს მთლიან პორტრეტს. ოთახში ჯერ კიდევ აღწევდა ჩამავალი მზის სინათლე და მხატვარს უცნაური სტუმრის „ნათელანი გამოსეტყველებაც“ კი დაუფერია. ამა ჩანხედეთ თვალებში! ეს თურმე იმიტომ, რომ იგი „მშიერია“. მის გამოსაკვებად ბალახი არ გამოდგება — გემოს ვერ უგებს, სინათლის წყაროს კი ეტანება — ეს უკანასკნელი „აძღებს“. ამიტომ სინათლეს თუ მოკარი თვალი, აქტიური ხდება, „აზროვნებას“ იწყებს, პირდაპირ გეემართება მისკენ და მიდის თავაუღებლივ.

მართლაც ასე მოხდა, როცა ოთახში ელექტრონათურასთან შედარებით ოდნავ გაძლერებული სინათლის წყარო გაჩნდა. დაადო თავი და ოთახის ერთი კუთხიდან აუჩქარებლად, მაგრამ დაბეჯითებით გაემართა მეორე კუთხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, ხაიდანაც სინათლე ციმციმებდა. ოთახის შუაგულში კუ სწერი მაგიდის ფეხს წაეწყდა. სწორედ ამ დროს ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა შემაყვირა, „რას შერეგბი“ (წინასწარ ვიყავით დარიგებული). დაჯაბეგბა მაინც მოხდა და კუ შერერდა (ტკივილის გამო არა — შუბლი მაგარი აქვს, ალუმინის); შეყოვნდა, რათა „გაეაზრა“ სინათლისკენ შემდგომი წინსვლის ახალი შესაძლებლობა. აკი „მოისაზრა“ კიდეც — უკან დაიხია, გვერდი უქცია მაგიდის ფეხს (დაბეღეთ მეორე ჩანახატს) და ისევე დინჯად და დაბეჯითებით გასწია სინათლისაკენ. ნახევარი მეტრიც არ გიგელო თავის გორგოლა ფეხებით, რომ ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა კვლავ შესძახა: „რას შერეგბიო“. წარმოიდგინეთ, „მახსოვრობამ“ არ უდალატა კუს, ეგონა, ახლაც რაიმეს წაეაწყდებიო, შეჩერდა, უკან დაიხია, და თუმცაღა გზა ყოველნაირად ხსნილი იყო, ზუსტად ისეთივე მანვერი ჩაატარა, როგორც წელან და მხოლოდ შემდეგ განაგრძო გზა. როცა ამ სანახაობით მასხრობის გუნებაზე მოსულმა სიანცეთ ერთხელ კიდევ შეეძახეთ „რას შერეგბიო“ — ნურას უკაცრავად, კუმ ყური ალარ გვათხოვა, წამითაც არ შეყოვნებულა: ქმარა, ერთხელ მომატყუეთო.

ერთი სიტყვით, ხაოცანი სანახაობის მოწმენი გავხდით ჯანული კვირის სამშაბათ საღამოს.

ახლა ეფექტების მიღმა...

წინწკლების გარეშე „საზრიან კუს“ ავტომატური მანქანა მქვია და მოკადრაკე, მთარგმნელი, მუსიკოსი მანქანების — კიბერნეტიკის საუკუნის პირმშოთა ხერიის მიეკუთვნება. იგი კონსტრუირებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ. პირველად ახალი ტიპის ასეთი ავტომატური მოდელების კონსტრუირება დაწყებულ ილისელმა მეცნიერმა გრეი-ვალტერმა.

